

მართლმსაჯულება **2**'12
კანონი

Justice and Law Legal Journal
#2(33)'12

N2(33)'12

მართლმსაჯულება



კანონი

რედაქტორი

ნინო ძიციგური

რედაქტორის თანაშემწე

ირმა ბეჟაური

ნომერზე მუშაობდნენ:

ინგა ალავიძე

ლეილა კოშკაძე

მარინე ვასაძე

დიზაინი:

ბესიკ დანელია

ფოტოურუნველყოფა:

დავით ხიზანიშვილი

სარედაქციო საბჭო:

დინა ბერეკაშვილი

თამარ ჯამბახიძე

ინგა კვაჩანტირაძე

კონსტანტინე კუბლაშვილი

ზაზა მემიშვილი

ვალერი ცერცვაძე

Editorial Board:

DIANA BEREKASHVILI

TAMAR ZAMBAKHIDZE

INGA KVACHANTIRADZE

KONSTANTINE KUBLASHVILI

ZAZA MEISHVILI

VALERI TSERTSVADZE

Editor:

NINO DZIDZIGURI

Assistant to Editor:

IRMA BEKAURI

The issue was prepared by:

INGA ALAVIDZE

LEILA KOSHKADZE

MARINE VASADZE

Designed by

BESIK DANELIA

Photo support by

DAVIT KHIZANISHVILI

*English version of articles has been provided by Candidates
of Law faculty of Tbilisi State University*

უპკ (UDC) 340.11+340.130.5

მ-306

ISSN 1512-259X



საპარტვილოს მოსამართლეთა
ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA



აკრძალულია აქ გამოქვეყნებული მასალების
გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, საქართველოს
მოსამართლეთა ასოციაციისა და საქართველოს
უზენაესი სასამართლოს წერილობითი
ნებართვისა და წყაროს მითითების გარეშე.

5

ნუნუ კვანტალიანი

მიზეზობრივი კავშირის დადგენის პრობლემები სამედიცინო მუშაკის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და პაციენტისათვის მიყენებულ ზიანს შორის

CHALLENGES OF ESTABLISHING CAUSAL LINK BETWEEN AN OFFENCE OF A MEDICAL WORKER AND DAMAGE CAUSED TO A PATIENT

NUNU KVANTALIANI

17

ქეთევან მესხიშვილი

ერთიანი განზოგადებული სასამართლო პრაქტიკის არსებობის მიზანშეწონილობა სასამართლო სისტემაში

IMPORTANCE OF UNIFORM, GENERALIZED COURT PRACTICE IN THE JUDICIARY

KETEVAN MESKHISHVILI

25

თეა სუხიტაშვილი

პასუხისმგებლობა საკუთარი და მესამე პირის მოქმედებისათვის

LIABILITY FOR THE OWN ACTIONS AND ACTIONS OF THE THIRD PERSONS

TEA SUKHITASHVILI

38

ეკატერინე ლაფაჩი

იჯარის ხელშეკრულება რომის სამართალსა და ძველ ქართულ სამართალში, როგორც თანამედროვე იჯარის ხელშეკრულების ისტორიული წინაპარი

THE LEASE CONTRACT IN ROMAN LAW AND IN OLD GEORGIAN LAW AS A HISTORICAL PREDECESSOR OF THE MODERNS LEASE CONTRACT

EKATERINE LAPHACHI

51

ნინო ხოლუაშვილი

უფლებამონაცვლეობის ზოგადი მიმოხილვა

GENERAL OVERVIEW OF SUCCESSION

NINO KHOLUASHVILI

59

თინათინ ხაჭვანი

შეჯიბრებითობის პრინციპი (შედარებითი ანალიზი)

ADVERSARIAL PRINCIPLE (COMPARATIVE ANALYSES)

TINATIN KHACHVANI

73

ემზარ გაგნიძე

შეჯიბრებითობის პრინციპი ნაწიცი მსაჯულთა მიერ განსახილველ საქმეებში

PRINCIPLE OF ADVERSARIALITY IN THE JURY TRIAL CASES

EMZAR GAGNIDZE

79

ქეთევან ქისტაური
ინკვიზიციიდან შუამავობითობამდე

FROM INQUISITION TO ADVERSARIALITY
KETEVAN KISTAURI

93

ქეთევან გარდაფხაძე, ია ხარაზი
საქართველოს საგადასახადო კოდექსის სპეციალური დებულებების
სამართლებრივი ასპექტები

LEGAL ASPECTS OF SPECIAL PROVISIONS OF THE TAX CODE
KETEVAN GARDAPHKHADZE, IA KHARAZI

105

თამარ ვეფხვაძე
საქართველოს ინტეგრაცია ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში

INTEGRATION OF GEORGIA IN COMMON EUROPEAN AIRSPACE
TAMAR VEPKVDZE

117

ამირან ჯენაიშვილი
სოციალური დიალოგი – როგორც კოლექტიური ხელშეკრულების
დადების საფუძველი

SOCIAL DIALOGUE – AS BASIS FOR SIGNING JOINT AGREEMENT
AMIRAN ZENAISHVILI

მიზოზობრივი კავშირის დადგენის პრობლემები სამედიცინო მუშაკის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და პაციენტისათვის მიყენებულ ზიანს შორის

ნუნუ კვანტალიანი

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

სამედიცინო მომსახურების მიღებისას პაციენტის სიცოცხლისა და ჯანრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო ვალდებულებების წარმოშობის პირობები იგივეა, როგორც ყველა დელიქტურ ვალდებულებაში: ზიანი, მართლწინააღმდეგობა, მიზოზობრივი კავშირი, ბრალი, ხოლო მათი სპეციფიკა განისაზღვრება სამედიცინო მომსახურების ხასიათით.

კანონისმიერი მოთხოვნის საფუძვლებზე საუბარია მაშინ, როცა მოცემულია გარკვეული კანონისმიერი წინაპირობანი, რომლებიც არ წარმოადგენენ მხარეთა ხელშეკრულებით დადებული შეთანხმების საგანს. თუმცა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული განსაკუთრებული ურთიერთობანი არ გამორიცხავენ პარალელურად, კანონისმიერი მოთხოვნის საფუძვლების განხილვას. ასეთ შემთხვევაში, საუბარია მოთხოვნათა კონკურენციაზე კანონისმიერ და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნის საფუძვლებს შორის.¹ საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ასანაზღაურებელი ზიანი უნდა მდგომარეობდეს მხოლოდ „იურიდიულად დაცული ინტერესის“ („interet juridique pro-

tege“) დარღვევაში, რომ ეს ზიანი უნდა „დადგინდეს საფუძვლიანად“ (certain) და არ იყოს „ჭიპო-თეტიური“ ან „ნავარაუდები“, „შესაძლო“ („hypothetique“ ან „eventuel“), დაბოლოს, იგი უნდა წარმოადგენდეს მოპასუხის ქმედებათა „პირდაპირ და უშუალო შედეგს“ („une suite immediate et directe“). აღნიშნულ მაქსიმუმზე დაყრდნობით, სასამართლოებს შეუძლიათ უარყონ ზიანის ანაზღაურების შესახებ დელიქტური სარჩელები შეხედულებისამებრ, თუ მართებულად ჩათვლიან მსგავს ნაბიჯს.²

იმისათვის, რომ მოვალეს დაეკისროს ქონებრივი პასუხისმგებლობა ზიანის ანაზღაურების სახით, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, წარმოადგენს თუ არა ზიანი მოვალის მოქმედების (უმოქმედობის) შედეგს, ე.ი. არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირი მოვალის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა (უმოქმედობასა) და კრედიტორის ზიანს შორის.³ სამოქალაქო სამართალში სამართალდარღვევის სრული შემადგენლობა აუცილებელია საერთო წესის საფუძველზე ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის, კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. მაგალითად, კანონით გათვალისწინებულია სიტუაციები, როდესაც პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის საკმარისია მხოლოდ ზოგიერთი მითითებული პირობის არსებობა. ამდენად, იმ ფაქტს, არსებობს თუ არა ზარალი ან ბრალი დამნაშავეს ქმედებაში, არა აქვს სამოქალაქო სამართლებრივი მნიშვნელობა. ამასთან, ნებისმიერ შემთხვევაში, კონკრეტული ან მომავალი (აბსტრაქტული) ხარჯების ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის დაყენებისას უნდა დამტკიცდეს ვალდებულების დარღვევასა (შეუსრულებლობას) და დანაკარგს შორის მიზეზობრივი კავშირი, ასევე, ზარალის ოდენობა.⁴

ერთადერთი შეზღუდვა ასანაზღაურებელი ზიანის მოცულობისა არის იურიდიულად ფასეული მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობა მოპასუხის პასუხისმგებლობის გამომწვევ ქმედებებსა და მიყენებულ ზიანს შორის. გერმანიის უზენაესი საიმპერიო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ამგვარი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობს, თუ მოპასუხის მიერ მიღწეული მიზანი მისი მოქმედების შედეგი იყო. ეს მოქმედება „პასუხობდა საგანთა რეალურ მდგომარეობას, არა მხოლოდ განსაკუთრებულ და უჩვეულო გარემოებებს, რომლებსაც გონიერი ადამიანი ყოველდღიურ ცხოვრებაში მხედველობაში არ მიიღებს“ (ადეკვატური მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დოქტრინა: lehre vom „adaquaten kausalzusammenhang“; მაგ., TGT 158,38; 170,136). ანალოგიურ თვალსაზრისს იზიარებს ავსტრიისა და შვეიცარიის სასამართლოები.⁵

მეცნიერებამ მიზეზობრივი კავშირის მრავალი თეორია შეიმუშავა (აუცილებელი და შემთხვევითი მიზეზობრივი კავშირის თეორია, შესაძლებლობისა და სინამდვილის თეორია და სხვ.) უნდა ჩავთვალოთ, რომ პრაქტიკასთან ყველაზე ახლო დგას პირდაპირი და არაპირდაპირი მიზეზობრივი კავშირის თეორია. ამ თეორიის მიხედვით, მიზეზობრივი კავშირის დადგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიეცეს მოვლენებს შორის ობიექტური კავშირის არსებობას და იმას, რომ მიზეზს და შედეგს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში. პირის მართლსაწინააღმდეგო მოქმედება მხოლოდ მაშინაა ზიანის მიზეზი, როცა ეს პირდაპირ (უშუალოდ) დაკავშირებულია ზიანთან.⁶ სამართალში მიზეზობრივი კავშირი განისაზღვრება როგორც აუცილებელი კავშირი მოვლენებს შორის, სადაც ერთი მოვლენა (მიზეზი) წინ უსწრებს სხვას (შედეგს) და წარმოშობს მას. ასეთი განმარტება მოცემულია თითქმის ყველა ლექსიკონსა და ენციკლოპედიაში. ამის გათვალისწინებით, ჩვენ შეგვიძლია მიზეზობრივი კავშირი შემდეგნაირად განვმარტოთ: ეს არის მოვლენათა შორის ობიექტურად დამოუკიდებელი სავალდებულო კავშირი, როდესაც ერთი მოვლენა (მიზეზი) წინ უსწრებს სხვას (შედეგს) და

ნარმოშობს მას.⁷ თეორიაში არსებული წინააღმდეგობის გამოსწორება ჰქონდათ განზრახული გერმანელ ცივილისტებს, როცა ამუშავებდნენ „ადეკვატური მიზეზობრიობის“ თეორიას, რომელიც ფართოდ გამოიყენება სასამართლო პრაქტიკაში. ამ თეორიის მიხედვით, ერთ-ერთი პირობაც შეიძლება აღმოჩნდეს საკმარისი შედეგის მიზეზად, პირობა რომელიც ქმნის მისი დადგომის ობიექტურ შესაძლებლობას.⁸ მიზეზობრივი კავშირის დადგენის აუცილებლობა აღიარებულია ევროპული სასამართლოს პრაქტიკითაც.

მიზეზობრივი კავშირის არსებობა კონვენციით გათვალისწინებული უფლების დარღვევასა და სახელმწიფოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულების შეუსრულებლობას შორის (რაც შესაბამისი პოზიტიური ან ნეგატიური ვალდებულების დარღვევით გამოიხატება), ფაქტობრივად, ერთადერთი საყრდენია უფლების დარღვევის გამო სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობისა.⁹ იმისათვის, რათა სახელმწიფოს დაეკისროს პასუხისმგებლობა კონვენციის დარღვევისათვის, აუცილებელია არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი მისი მხრიდან უფლების დაცვის პოზიტიური ან ნეგატიური ვალდებულების შეუსრულებლობასა და ინდივიდუალური უფლების დარღვევას შორის.¹⁰ უნდა ვიგულისხმოთ, რომ კონვენციის დარღვევის აღიარების ყოველი ფაქტი, პრაქტიკულად, ყოველთვის ასეთი მიზეზობრივი კავშირის არსებობას ემყარება. მნიშვნელობა არა აქვს, მიუთითა თუ არა მასზე ევროპულმა სასამართლომ და ჰქონდა თუ არა მას ამ ფილოსოფიური კატეგორიის ქრილში საერთოდ გაცნობიერებული ეს გარემოება.¹¹

ამ დებულებით ხელმძღვანელობენ გადაწყვეტილების გამოტანისას, როცა სხეულის დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება ვრცელდება ზიანის გამომწვევ შედეგებზეც, რომლებიც არასწორი მკურნალობის შედეგად, მოგვიანებით იჩენს თავს. ამასთან, გათვალისწინებულია გამოცდილი ექიმის შეცდომის შედეგები და არა სამედიცინო ხელოვნების ელემენტარული და საფუძველმდები პრინციპების უხეში დარღვევით გამომწვეული ზიანი (RGZ 102,230; RGJW 1937,990). ზიანის მიმყენებელი პირი პასუხს აგებს იმ შემთხვევაშიც, თუ დაზარალებული გრიპის ეპიდემიის მსხვერპლი გახდება. ეპიდემია კი, იმ ჰოსპიტალში გავრცელდა, სადაც ის სამკურნალოდ მოათავსეს (RGZ 105,264).¹²

სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის შინაარსიდან ჩანს, რომ ქართული სამართალი „უშუალო მიზეზის“ პოზიციზეა, რაც „ადეკვატური მიზეზისაგან“ ბევრად არაფრით განსხვავდება. უფრო მეტიც, ვინაიდან ანაზღაურებადია მოვალისათვის წინასწარ სავარაუდო ზიანი, ამ კუთხით, აქვე შეიძლება დავინახოთ საერთო სამართალში ცნობილი მიდგომებიც.¹³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უპირატესობას ანიჭებს პირდაპირ მიზეზობრივ კავშირს, ანუ ამ თეორიის თანახმად, მიზეზობრივი კავშირის დადგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიეცეს მოვლენებს შორის ობიექტური კავშირის არსებობას და იმას, რომ მიზეზსა და შედეგს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში. პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მხოლოდ მაშინაა ზიანის მიზეზი, როცა ეს პირდაპირ (უშუალოდ) დაკავშირებულია დამდგარ ზიანთან.¹⁴

ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ადასტურებს, რომ სასარჩელო მოთხოვნა სამედიცინო მომსახურებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე არ კმაყოფილდება სწორედ იმ საფუძველით, რომ სასამართლომ ვერ დაადგინა მიზეზობრივი კავშირი პაციენტისათვის არასასურველ შედეგსა და სამედიცინო მომსახურების გამწვევის მოქმედებას შორის. ეს პრობლემა განსაკუთრებულად მწვავედ დგას მაშინ, როდესაც პაციენტი დროულად არ ზრუნავს თავისი

უფლებების დასაცავად ინფორმაციისა და მტკიცებულებების დროულად მოძიებაში ან/და სასამართლო წესით უფლების დაცვისას მტკიცების ტვირთის კანონით გათვალისწინებული წესით გაუწევლობაში.¹⁵

მიზეზობრივი კავშირი შეიძლება იყოს მარტივი და კომპლექსური. მარტივი მიზეზობრივი კავშირის განსაზღვრა არ არის ძნელი – ეს არის მოქმედების (უმოქმედობის) ჯაჭვი, რაც ქმნის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას. კომპლექსური მიზეზობრივი კავშირი წარმოადგენს რამდენიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედების შემთხვევით ერთობლიობას, რომლებიც მავნე შედეგის დადგომის აუცილებელი პირობაა. ასეთი ერთმანეთთან დაკავშირებული სიტუაციების ჯაჭვი, რომელშიც ზიანის მიყენება ხდება სხვადასხვა პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების ერთობლიობით, პირველი მოქმედება არ განპირობებს აუცილებლად მეორეს, მეორე კი, მესამეს და ა.შ.¹⁶

ხშირ შემთხვევაში, მიზეზობრივი კავშირის დადგენა სამოქალაქო დავებზე რთული არ არის, რადგან ზოგიერთ საქმეზე უნდა დადგინდეს ობიექტური კავშირი მოპასუხე მხარის მიერ დაშვებულ სამართალდარღვევასა და იმ ზიანს შორის, რაც მეორე მხარეს მიადგა. თვალნათლივ ჩანს – ერთი მოვლენა – მიზეზი (მაგალითად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამშენებლო მასალის ვადაში გადაუცემლობა) წინ უსწრებს მეორე მოვლენას – შედეგს (ზიანს) და უშუალოდ წარმოშობს მას. თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც მხარის მიერ მიყენებული მართლსაწინააღმდეგო შედეგი დაკავშირებულია გარე ძალის მოქმედებასთან, რომელიც არსებითად მოქმედებს ზარალის მიყენების პროცესზე, მიზეზობრივი კავშირის არსებობის ან არარსებობის დადგენა საკმაოდ რთულია. უფრო ზუსტად, სამედიცინო მომსახურების შედეგად წარმოშობილი ზიანის ამ მომსახურების გამწვევის ქმედებასთან კავშირის დასადგენად უნდა გამოირიცხოს არაერთი ზიანის სავარაუდოდ წარმოშობი ფაქტორი (პაციენტის ბრალი, ადამიანის ორგანიზმის თავისებურება და სხვა). ამავდროულად, ამ კატეგორიის დავებზე სასამართლო პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ჯანმრთელობისათვის მიყენებულ ზიანსა და სამედიცინო მომსახურების გამწვევის მოქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირი აშკარაა და იგი განსაკუთრებულ მტკიცებას არ საჭიროებს.¹⁷

უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც მიზეზობრივი კავშირის დადგენა საკმაოდ რთულია, რადგან პაციენტისათვის დამდგარი არასასურველი შედეგი ყოველთვის სამედიცინო მომსახურებით არ დგება. ერთმნიშვნელოვნად მტკიცება იმისა, რომ დაავადების დროული დიაგნოსტიკა და მკურნალობის სწორი ტაქტიკის შერჩევა გამორიცხავდა უარყოფით შედეგს, არ შეიძლება, ვინაიდან ადამიანის ორგანიზმის სპეციფიკის გამო, გამოჯანმრთელების გარანტირება შეუძლებელია. ასევე, პრობლემატურია მიზეზობრივი კავშირის გარკვევა, როდესაც პაციენტს სამედიცინო მომსახურება მიღებული აქვს სხვადასხვა დანესებულებაში. სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მხოლოდ იმ პირს, ვინც მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებდა. თუკი პაციენტისათვის დამდგარი ზიანის მიყენებაში სამედიცინო მომსახურების გამწვევებს ერთდროულად მიუძღვის, რასაკვირველია, ყველამ პასუხი უნდა აგოს იმისდა მიხედვით, თუ რა წილი ზიანი მიაყენა პაციენტს,¹⁸ თუმცა, ასეთ შემთხვევაში, საკმაოდ რთულია იმის დადგენა, თუ კონკრეტულად რომელი სამედიცინო მომსახურების გამწვევის მოქმედებამ გამოიწვია ზიანი. პრობლემატურია განმეორებით ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ან სადავო მომსახურების შედეგად სამედიცინო მომსახურების გაგრძელების საჭიროების საკითხის გამორკვევა. ასეთ შემთხვევაში, დამოუკიდებლად უნდა გაირკვეს თითოეული სამედიცინო მომსახურების მიერ განეული მოქმედებები.¹⁹

მიზეზობრივი კავშირის დასადგენად სასამართლო ვალდებულია შეაფასოს ყველა ის მიზეზი, რამაც გამოიწვია პაციენტისათვის არასასურველი შედეგი და მათი კავშირი წარმოშობილ ზიანთან. ამ კატეგორიის დავებში, ზიანის წარმომშობი მიზეზების შესწავლას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს, რადგან ჯანმრთელობის დაზიანება შეიძლება მოჰყვეს არა მხოლოდ მცდარ სამედიცინო მოქმედებას, არამედ ავადმყოფობის პათოლოგიის სპეციფიკურობას, ადამიანის ორგანიზმის ინდივიდუალურ თავისებურებებსა და ზოგ შემთხვევაში, თვით პაციენტის მიერ ისეთი ვალდებულებების დარღვევას, როგორცაა სამედიცინო მომსახურების გამწვევისათვის სწორი ინფორმაციის მიწოდება გადატანილი დაავადებების, ორგანიზმის სხვადასხვა ნაწილებთან რეაგირების, ექიმის დანიშნულების შესრულების და სხვა პირობების შეუსრულებლობას. ამ საკითხების გამოსარკვევად მნიშვნელოვანია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. სამედიცინო მომსახურებისას წარმოშობილ ზიანსა და მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა დიდწილად დამოკიდებულია ექსპერტის დასკვნაზე, რომელიც როგორც სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ადასტურებს, ხშირად არასრულია ან ამავე საქმეზე წარმოდგენილ სხვა დასკვნასთან წინააღმდეგობაშია. ამ კატეგორიის დავებთან დაკავშირებით კი, სპეციალური ცოდნა საქმის განმხილველი სასამართლოსათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა – საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია.²⁰

სასამართლო პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბდა სტანდარტული საკითხები, რომელიც გამოსაკვლევად ეგზავნება ექსპერტს და იძლევა საშუალებას დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი სამედიცინო პერსონალის ქმედებასა და პაციენტისათვის მიყენებულ ზიანს შორის. აღნიშნულის ნათელ დასტურს წარმოადგენს სასამართლოს მიერ ექსპერტისათვის დასმული კითხვები ერთ-ერთი პაციენტის სარჩელთან დაკავშირებით: იყო თუ არა 2003 წლის 20 დეკემბერს ნ.ნ-ზე ოპერაციის ჩატარება განპირობებული სასიცოცხლო ჩვენებით, რამდენად მისაღები და სწორი იყო მ.ნ-ისათვის ჩატარებული ოპერატიული მკურნალობა შარდის ბუშტის სტრუქტურულად შეჭმუხვნის გამო და შეიძლებოდა თუ არა ალტერნატიული მკურნალობის ჩატარება; შეიძლება თუ არა ჩაითვალოს ნ.ნ-ისათვის ჩატარებული ოპერაცია წარმატებულად; შეიძლება თუ არა ასეთი ოპერაციის სწორად ჩატარების შედეგად განვითარდეს თირკმლების ქრონიკული უკმარისობა პერიოდული კათეტერიზაციის ადეკვატური გამოყენების შემთხვევაში; ოპერაციამდე ჰქონდა თუ არა ნ.ნ-ს შარდის ბუშტის ქიმიური დამწვრობა? შეიძლება თუ არა ოპერაციის შემდგომ პერიოდში შეხორცებით დაავადების შესაძლო განვითარება უკუჩვენებდა ჩაითვალოს.²¹

სხვა საქმეში სასამართლომ სამედიცინო მომსახურების გამწვევის მოქმედებასა და ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი ექსპერტიზის კატეგორიული დასკვნის საფუძველზე გამოარკვია. სასამართლო ექსპერტიზის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის № დასკვნაზე დაყრდნობით პალატამ დადგინდად მიიჩნია, რომ შპს „დ-ში“ 2008 წლის 24 ივლისს ჩატარებული აბორტის დროს არ შესრულდა საშვილოსნოს სრულყოფილი გამოფხეკა, ადგილი ჰქონდა საშვილოსნოში ემბრიონის ნაწილების ჩარჩენას, რამაც განაპირობა შემდგომი გართულებების განვითარება: საშვილოსნოს ღრუს განმეორებითი გამოფხეკა და 2008 წლის 3 აგვისტოს ოპერაციის ჩატარების

აუცილებლობა. 3 აგვისტოს ოპერაცია შესრულდა დადგენილი დიაგნოზის შესაბამისი მოცულობის ფარგლებში. 2008 წლის 21 ოქტომბერს ნ.მ-ვმა მიმართა სეფსისის სანინალმდეგო ეროვნულ ცენტრს, სადაც დაესვა დიაგნოზი – მარცხენა საკვერცხის მრავალკამერიანი ჰემორაგიულ-სეროზული კისტა (გახეთქილი), ძლიერი შეხორცებითი პროცესი მცირე მენჯის ღრუში. ამავე წლის 22 ოქტომბერს, ნ. მ-ვს სეფსისის სანინალმდეგო ეროვნულ ცენტრში გაუკეთდა ოპერაცია – მუცელკვეთა, შეხორცებების გათიშვა, მარცხენა საკვერცხის კისტის ამოკვეთა, მცირე მენჯის ღრუს სანაცია, ღრენირება.²²

აქვე აღსანიშნავია, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის არსებობის შემთხვევაშიც, მიზეზობრივი კავშირის დადგენა რთულია ან ზოგჯერ შეუძლებელიც, ვინაიდან, სასამართლო პრაქტიკაში იშვიათად არის ექსპერტის კატეგორიული დასკვნები. სავარაუდო ხასიათის სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის შემთხვევაში, აუცილებელი ხდება დამატებითი ან განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარება, რაც აჭიანურებს საქმის განხილვას. არის შემთხვევები, როდესაც ექსპერტი საკითხის გამოკვლევის სათანადო მეთოდოლოგიის არარსებობის გამო უარს აცხადებს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხების გამოკვლევაზე. ამ კატეგორიის დავებზე ექსპერტიზის დასკვნაში გამოყენებული სპეციალური ტექნოლოგიის გამო, საჭირო ხდება ექსპერტის მოწვევა სასამართლო სხდომაზე და მისგან როგორც სპეციალისტისაგან განმარტების მიღება, რაც ასევე, პრობლემებს წარმოშობს საქმის განხილვის ეკონომიურობის თვალსაზრისით.

სამედიცინო მომსახურების გამწვევის მოქმედებასა და პაციენტისათვის დამდგარ უარყოფით შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დასადგენად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამედიცინო დოკუმენტაციის შესწავლას. კანონით, სამედიცინო ჩანაწერები განმარტებულია როგორც სამედიცინო მომსახურების გამწვევის მიერ ქალაქდზე, აგრეთვე ინფორმაციის სხვადასხვა მატარებლებზე, მათ შორის, კომპიუტერში დაფიქსირებული ინფორმაცია პაციენტისათვის სამედიცინო მომსახურების განწვევასთან დაკავშირებით;²³ ამავედროულად, ექიმი და ჯანმრთელობის დაცვის სხვა პერსონალი ვალდებული არიან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის შესაბამისად: ა) დადგენილი წესით აწარმოონ ჩანაწერები სამედიცინო დოკუმენტაციაში; ბ) არასამუშაო ადგილზე სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას წერილობით ასახონ და დანიშნულებისამებრ გადასცენ ინფორმაცია განუული სამედიცინო დახმარების შესახებ.²⁴ აღნიშნული ნორმების ანალიზი ცხადყოფს, რომ სამედიცინო დოკუმენტაცია სათანადოდ უნდა იყოს გაფორმებული, რისი დარღვევაც ართულებს საქმეზე რეალური ვითარების დადგენას. მხოლოდ ამ დოკუმენტების გამოკვლევა იძლევა საშუალებას დადგინდეს რა მოქმედება განახორციელა სამედიცინო პერსონალმა და რამდენად სწორად იქნა სამედიცინო ჩარევა განუული. დოკუმენტაციის წარმოება იწყება პაციენტის სამედიცინო მომსახურების მიღების მიმართვის მომენტიდან და გრძელდება მომსახურების დამთავრების მომენტამდე. ამ მტკიცებულებათა გამოკვლევა იძლევა საშუალებას ობიექტურად შეფასდეს სამედიცინო დახმარების გამწვევის მიერ ჩატარებული ყველა მოქმედების, მათ შორის, დიაგნოსტიკური და სამკურნალო ღონისძიებების მართლზომიერება.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირად იკვეთება სამედიცინო დოკუმენტაციის გაფორმების დეფექტები (განხორციელებული მომსახურების არასრულყოფილად ან საერთოდ მიუთითებლობა), რაც ართულებს სამედიცინო პერსონალის ქმედების შეფასებას. პაციენტის სამედიცინო დოკუმენტაცია დეტალურად და სრულყოფილად უნდა ასახავდეს პაციენტის მდგომარეობას

როგორც მკურნალობის დაწყებამდე, ასევე, მის მიმართ ჩატარებულ ყველა სამედიცინო ჩარევას. დოკუმენტაცია ასევე, უნდა მოიცავდეს პაციენტის ან მისი კანონიერი წარმომადგენლისათვის სამედიცინო მომსახურების განწესის თაობაზე წინასწარ ინფორმაციის მიწოდების, ხოლო კანონით გათვალისწინებული აუცილებლობის შემთხვევაში, განზრახული სამედიცინო ჩარევის შესახებ ინფორმაციის მიწოდების პაციენტის ან კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით დადასტურებას. დოკუმენტაციაში შესწორებების შეტანის შემთხვევაში, შესწორების განხორციელების საფუძველი ნათლად უნდა ირკვეოდეს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო დოკუმენტაციის არასათანადოდ წარმოება ან მისი არარსებობა განიხილება, როგორც სამედიცინო მომსახურების გამწვევის მიერ ამა თუ იმ სამედიცინო ჩარევის შეუსრულებლობა. უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების მარეგულირებელი დანაწესებიდან და მტკიცების ტვირთის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ნორმებიდან გამომდინარე, მტკიცების ტვირთი ამ შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების გამწვევზეა, რომელმაც მისი ქმედების კანონიერება სამედიცინო დოკუმენტაციის მეშვეობით უნდა დაამტკიცოს.

დასკვნა

ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის პასუხისმგებლობა, როგორც წესი, დადგება განსაზღვრული პირობების არსებობისას. გარდა იმისა, რომ უნდა არსებობდეს ზიანი, მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება, თუ ზიანი მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებასა და ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი და ზიანის მიმყენებელს მიუძღვის ბრალი. მიზეზობრივი კავშირის მნიშვნელობა სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრისას ძირითადი და გადაწყვეტია, რადგან ამ კავშირის დაუდგენლობა სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამორიცხავს.

როგორც ზოგადად ზიანის, ასევე, არასათანადო სამედიცინო მომსახურების გამო მოქალაქის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შედეგად ვალდებულებების წარმოშობის სავალდებულო პირობაა – სამედიცინო მომსახურების გამწვევის ქმედებასა (მოქმედებასა და უმოქმედებობას) და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა.

ამ ვალდებულებებისამართლებრივ ურთიერთობაში, მისი მკვეთრად გამოხატული სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მიზეზობრივი კავშირის დადგენის საკითხი საკმაოდ პრობლემატურია. ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ადასტურებს, რომ სამედიცინო მომსახურებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე სასარჩელო მოთხოვნა ხშირად სწორედ იმ საფუძველით არ კმაყოფილდება, რომ სასამართლომ პაციენტისათვის არასასურველ შედეგსა და სამედიცინო მომსახურების გამწვევის მოქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირი ვერ დაადგინა. აღნიშნული ძირითადად, გამოწვეულია იმით, რომ პაციენტი დროულად არ ზრუნავს თავისი უფლებების დასაცავად ინფორმაციისა და მტკიცებულებების დროულად მოძიებაში ან/და სასამართლო წესით უფლების დაცვისას მტკიცების ტვირთის კანონით გათვალისწინებული წესით გაუწევლობაში. ზემოთ განხილული პრობლემები ამ საკითხის გამოკვლევის აუცილებლობასა და აქტუალობას ადასტურებს.

შენიშვნები:

- ¹ ჰ. ბოელინგი, პ. ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბილისი, 2009, გვ. 50.
- ² კ. ცვაიგერტი, ჰ. კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, თბილისი, 2001, ტ. 2, გვ. 319.
- ³ ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 68.
- ⁴ Калайков С., Причинная связь, как основание гражданско-правовой ответственности, Гражданское право, <http://www.Allpravo.Ru>
- ⁵ კ. ცვაიგერტი, ჰ. კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, თბილისი, 2001, ტ. 2, გვ. 292.
- ⁶ ზურაბ ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999, გვ. 68.
- ⁷ Калайков С., Причинная связь, как основание гражданско-правовой ответственности, Гражданское право, <http://www.Allpravo.Ru>
- ⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2011, გვ. 369.
- ⁹ ე. გოცირიძე, გამოსატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით), სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2007, გვ. 473.
- ¹⁰ იქვე, გვ. 476.
- ¹¹ იქვე, გვ. 478.
- ¹² კ. ცვაიგერტი, ჰ. კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, თბილისი, 2001, ტ. 2, გვ. 292.
- ¹³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2011, გვ. 370.
- ¹⁴ ზ. ძლიერიშვილი, ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბილისი, 2010, გვ. 66.
- ¹⁵ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 102-ე მუხლი, <http://www.parliament.ge>
- ¹⁶ Калайков С., Причинная связь, как основание гражданско-правовой ответственности, Гражданское право, [http,www.Allpravo.Ruix.:](http,www.Allpravo.Ruix.) ამავე კვლევაში – დიდი ხნის განმავლობაში იურიდიულ ლიტერატურაში განიხილებოდა შემდეგი მაგალითი: ადამიანი მოხვდა ტრამვაის ქვეშ და დაკარგა ფეხი. ამის შემდეგ მას გაუკეთეს ოპერაცია არასტერილური ინსტრუმენტებით, დაიწყო განგრენა და იგი გარდაიცვალა. ვინ უნდა ჩაითვალოს ზიანის მიმყენებლად: მხოლოდ ქირურგი, თუ ტრამვაის მძღოლი. ვ. მ. ვოფსონი წერდა, რომ „იმ შემთხვევაში თუ დაზარალებულს გაუწიეს სათანადო დახმარება, მაშინ უბედური შემთხვევის ბუნებრივი შედეგით იქნებოდა მხოლოდ შრომისუუნარობის დაკარგვა“, მაგრამ ვინაიდან „ოპერაცია გაუკეთეს არასტერილური ინსტრუმენტებით, რაც ჩვეულებრივად იწვევს სერიოზულ შედეგს, მათ შორის, სიკვდილს“, „დაზარალებულის გარდაცვალებისა და მისი ოჯახისათვის მიყენებული ზიანის მიზეზი არის ექიმის მოქმედება (4). მაგრამ ცნობილი არ იყო როდის მოხდა დაზარალებულის ორგანიზმში ინფექცია: ტრავმის მიღების თუ ოპერაციის დროს. უსამართლო იქნება ზიანის ანაზღაურების დაკისრება მხოლოდ ქირურგზე და იმ იურიდიული პირის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია მომეტებული საფრთხის წყაროსთან. მაშინ სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაეკისრება ორივე პირს, რომელთა

მოქმედებებსა და მიყენებულ ზიანს შორის არის კომპლექსური მიზეზობრივი კავშირი: გაუგებარია, რა კრიტერიუმებით უნდა ვინელმძღვანელოთ, რომ განესაზღვროთ თითოეული ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობა.

¹⁷ მაგალითად, პაციენტსა და სამედიცინო დაწესებულებას შორის დავაში სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა კლინიკის მოსაზრება მის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის არარსებობის შესახებ და დაასკვნა: დადგენილია კლინიკის მიერ განხორციელებულ სამედიცინო ჩარევასა და პაციენტ მ.ც-ლის „ც“ ჰეპატიტით დაინფიცირებას შორის მიზეზობრივი კავშირი და ამ მოქმედებით დამდგარი ზიანის არსებობა. უდავოდ დადგენილია, რომ პაციენტ მ.ც-ს კლინიკაში გასტრო-ინტენსიური სისხლდენის სანინალმდგომო მკურნალობის დაწყებამდე (10.04.2010 წ.) ღვიძლის ფუნქციურ სინჯებში დარღვევა არ ჰქონია. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება ემთხვევა აღნიშნული კლინიკიდან გაწერის (13.04.2010 წ.) შემდგომ პერიოდს. სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, სახეზეა ახალი მწვავე HCV ინფექცია რეპლიკაციის ფაზაში და შესაბამისად, ადგილი აქვს მიზეზობრივ კავშირს მოპასუხე სამკურნალო დაწესებულებაში მოსარჩელის მკურნალობასა და დამდგარ შედეგს შორის. პალატის ეს დასკვნა ეფუძნება საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს: სამედიცინო დახმარების ხარისხის ექსპერტიზის 2010 წლის 3 აგვისტოს დასკვნაში აღნიშნულია, რომ კლინიკაში მკურნალობისას მ.ც-ს ღვიძლის ფუნქციურ სინჯებში დარღვევა არ ჰქონია, დაავადება კი, მწვავედ ვითარდება მკურნალობიდან დაახლოებით ერთ თვეში. კლინიკაში მ.ც-ს ჩატარდა 7 ტრანსფუზია. გადასხმული სატრანსფუზიო საშუალებები დამზადებული იყო 7 დონორის სისხლიდან. 6 დონორი წარმოადგენდა აქტიურ, ხოლო ერთი რეზერვის დონორს. აქედან, დონორ შ.ა-ს დონაციის შემდგომ 05.05.2010 აღმოაჩნდა HHCV (+) და RW (+) ინფექცია, რის გამოც იგი დაწუნებულ დონორთა რიგში იქნა გადაყვანილი. 22.09.2010 ჩატარებული შემოწმების შედეგად დონორ პ.პ-ს აღმოაჩნდა HHCV ინფექცია. საქმეში წარმოდგენილია საქართველოს ექიმთა ასოციაციის წევრის, სრული პროფესორის ე. ვ-ძის მიერ ასოციაციის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარისადმი გაგზავნილი წერილი, რომლის თანახმად, ვერ ხდება პაციენტ მ.ც-ს ინფექციით დაავადების წყაროზე მითითება, ვინაიდან HCV ინფექციის დროს შემთხვევების კონკრეტული წყაროს დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია ინკუბაციური პერიოდის დიდი ვარიაციულობის გამო (1-24 კვირა). კონკრეტულად, პაციენტ მ.ც-ს დაავადება შესაძლებელია განვითარებულიყო მისი კლინიკაში მკურნალობასთან კავშირში (გადაესხა სისხლი, უტარდებოდა მრავლობითი ინვაზიური მანიპულაციები). თუმცა, კვლევის არანაირი მეთოდით არაა შესაძლებელი ამ ფაქტის დადასტურება ან უარყოფა. საქმეში წარმოდგენილია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს 06.08.2010 შემოწმების აქტი, რომლის თანახმად, ტრანსფუზიის წინ არ არის მიღებული პაციენტ მ.ც-ს თანხმობა სისხლისა და მისი კომპონენტების გადასხმის ოპერაციაზე, მინისტრის 2009 წლის 19 მარტის №108/ნ ბრძანების შესაბამისად. ამავე შემოწმების აქტით ირკვევა, რომ არც ერთ დონორს, არა აქვს ჩატარებული ყოველწლიური მთლიანი კლინიკური ანალიზი, რითაც დაირღვა მინისტრის 05.12.2000 წლის ბრძანების „სისხლისა და მისი

კომპონენტების დონორობის წინააღმდეგ ჩვენებების განსაზღვრის შესახებ“ მე-4 თავის მე-20 მუხლის მოთხოვნა. სასამართლო სხდომაზე სპეციალისტის სახით მოწვეული „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ ექიმ-ინფექციონისტი ვ. ქ-ლის განმარტებით, ირკვევა, რომ „C“ ჰეპატიტი განეკუთვნება ისეთ ვირუსებს, რომელთა შეჭრა ორგანიზმში შესაძლებელია ისე მოხდეს, რომ ვერანაირი ხელსაწყოთი და ვერანაირი წინასწარი კვლევით ვერ იქნას დადგენილი ან გამორიცხული. თუ კვლევის შედეგად დაემთხვა მ.ც-ს და დონორის გენოტიპი, მიუხედავად ამისა, დაინფიცირების წყაროს დადგენა ასი პროცენტით ვერ მოხდება, ვინაიდან კვლევისათვის არ არსებობს სისხლის ნიმუში, რომელიც გადაეხა მ.ც-ს და მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ მ.ც. მკურნალობს და თუ იგი ამ პერიოდში განიკურნა, ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება გენოტიპის დადგენაც. იმ შემთხვევაში თუ არ ემთხვევა მ.ც-ს და დაინფიცირებული დონორი პირების გენოტიპი, შესაძლებელია გამოირიცხოს დაინფიცირების ფაქტი. ამდენად, უდავოა, რომ საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, კატეგორიული მტკიცება, რომ პაციენტის დაინფიცირება „C“ ჰეპატიტით მოხდა ამა თუ იმ წყაროდან, კვლევის თანამედროვე მეთოდებით პრაქტიკულად შეუძლებელია. ამასთან, მოცემულ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია, რომ მოსარჩელე არის სოციალურად დაუცველი ფიზიკური პირი, ხოლო მოპასუხე – სოლიდური ინტელექტუალური და ფინანსური პოტენციალის მქონე სამედიცინო დაწესებულება, რომელსაც გაცილებით მეტი შესაძლებლობები აქვს მოსარჩელისათვის ზიანის მიყენებაში მისი არაბრალეულობის დასადასტურებლად. თუმცა, ამ მიმართულებით მოპასუხეს თავისი წილი მტკიცების ტვირთის რეალიზება არ მოუხდენია. კერძოდ, მას არ მიუღია არანაირი ზომები დონორების (შ.ა-ური, პ.პ-ო) ადგილსამყოფელის დადგენისა და მათი ექსპერტიზაზე წარდგენის მიზნით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ექსპერტიზით, ალბათობის საკმაოდ მაღალი ხარისხით, შესაძლებელია გამოირიცხულიყო მოპასუხე კლინიკის ბრალი მოსარჩელისათვის ზიანის მიყენებაში, თუ დადგინდებოდა, რომ დონორების და მ.ც-ს გენოტიპი იყო სხვადასხვა (სუსგ №ას-1779-1757-2011 2012 წელი, 9 თებერვალი).

¹⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 463-476-ე მუხლი, <http://www.parliament.ge> შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, §830. დელიქტში თანამონაწილეები და ჩართული პირები(1) – თუ ზიანს აყენებს რამდენიმე პირი ერთობლივად ჩადენილი დელიქტის შედეგად, მაშინ ნებისმიერი მათგანი პასუხისმგებელია ზიანისათვის. ანალოგიური წესი მოქმედებს, თუ შეუძლებელია დადგინდეს, რამდენიმე მონაწილეთაგან რომელმა მიაყენა ზიანი თავისი მოქმედების შედეგად. §840. ნაშეზებლები და დამხმარე პირები(2) – უთანაბრდებიან დელიქტში თანამონაწილეებს. რამდენიმე პირის პასუხისმგებლობა(1) – თუ რამდენიმე პირი ერთდროულად არის ვალდებული დელიქტიდან გამომდინარე ზიანისათვის, მაშინ ისინი პასუხს აგებენ როგორც სოლიდარული მოვალეები.

¹⁹ ერთ-ერთ სამოქალაქო საქმეში სასამართლომ არ დააკმაყოფილა პაციენტის მოთხოვნა არასწორად ჩატარებული სამედიცინო ჩარევის შემდეგ სხვა სამედიცინო ჩარევისათვის განეული ხარჯების ანაზღაურებაზე შემდეგი დასაბუთებით: ექსპერტიზის კომისიური სასამართლო სამედიცინო ექსპერტის № დასკვნის საფუძველზე

სასამართლომ მიუთითა, რომ შპს „დ-ში“ ნ.მ-ს ოპერაციული მკურნალობა ჩაუტარდა საშვილოსნოსა და მარჯვენა საკვერცხის პათოლოგიასთან დაკავშირებით, ხოლო სეფსისის სანიანალმდეგო ეროვნულ ცენტრში დაუდგინდა მარცხენა საკვერცხის კისტის გახეთქვა, რაც არ არის დაკავშირებული კლინიკა „დ-ში“ ჩატარებულ მკურნალობასთან. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პალატამ არ გაიზიარა ნ.მ-ის მითითება, რომ შპს „დ-ის“ მიერ მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა 7514 ლარია, რადგანაც საქმის მასალებით ირკვევა, რომ „დ-ში“ ჩატარებული მკურნალობის საერთო ღირებულებამ შეადგინა 987 ლარი, ხოლო სეფსისის სანიანალმდეგო ცენტრში ჩატარებული ოპერაცია და შესაბამისი მკურნალობა შპს „დ-ში“ ჩატარებულ მკურნალობასთან არ არის დაკავშირებული. სააფთიაქო მომსახურების ქვითრებისა და სალაროს შემოსავლის ორდერების საფუძველზე, სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული მომსახურება განეულია 2008 წლის ოქტომბერში. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული მედიკამენტებისა და სამედიცინო მომსახურების მიღება მას დასჭირდა სეფსისის სანიანალმდეგო ეროვნულ ცენტრში მკურნალობის დროს. იმის გათვალისწინებით, რომ სეფსისის სანიანალმდეგო ეროვნულ ცენტრში ჩატარებული ოპერაცია და მკურნალობა არ არის დაკავშირებული შპს „დ-ში“ ჩატარებულ მკურნალობასთან, მხარის მიერ წარმოდგენილი სააფთიაქო ქვითრებში მითითებული თანხა სასამართლომ არ მიიჩნია შპს „დ-ის“ მიერ მიყენებული ზიანის ოდენობის განმსაზღვრელ მტკიცებულებად (სუსგ №ას-280-265-201026 აპრილი, 2010 წელი, 26 აპრილი).

²⁰ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 162-ე მუხლი, <http://www.parliament.ge>

²¹ სუსგ №ას-109-946-2010

²² სუსგ №ას-280-265-20.10.2010, 26 აპრილი.

²³ კანონი პაციენტის უფლებების შესახებ, მე-4 მ., <http://www.parliament.ge>

²⁴ კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, 43-ე მ., <http://www.parliament.ge>

CHALLENGES OF ESTABLISHING CAUSAL LINK BETWEEN AN OFFENCE OF A MEDICAL WORKER AND DAMAGE CAUSED TO A PATIENT

NUNU KVANTALIANI

Judge at the Supreme Court of Georgia,

PHD student at the Georgian Technical University

Responsibility for not fulfilment or insufficient fulfilment of an obligation as a rule derives only in case certain conditions exist. Despite the existence of damage there should be following conditions to levy responsibility on debtor: damage shall be caused by an offence, there shall be a causal link between the offence and damage and an offender shall be guilty. Establishment of causal link is core and crucial with regards to civil responsibility, as non existence of a causal link exclude any civil responsibility

As with regards to damage in general, in case of damaging a patient's life and health a must condition for developing respective obligations is establishment of causal link between medical service (action or restrain from action) and certain damage.

Establishment of causal link in case of this type of obligatory-legal relations is one of the most challenging because of its mostly specific nature. The Georgian trial practise shows that in majority of cases a court does not grant favourable decisions to applicants because of not being able to establish causal link between a medical service and not preferred results of medical care. The reasons for this result is that normally patients do not take all measures for the protection of their rights in terms of collecting information and evidences in due time and/or in terms of observing rules for burden of proof with this regard. The problems raised in this thesis prove necessity and importance of examining this topic.

ერთიანი განზოგადებული სასამართლო პრაქტიკის არსებობის მიზანშეწონილობა სასამართლო სისტემაში

ქეთევან მისხიშვილი

*თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი*

ტენდენცია, რომ მესამე ინსტანციის სასამართლო წარმოადგენს დოქტრინალური ტიპის ინსტანციას, რომლის ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია ქვეყანაში ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაა, დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო ძლიერდება. ერთიანი, განზოგადებული სასამართლო პრაქტიკისაკენ სწრაფვა, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმ მიზნით, რომ სასამართლო ქვეყანაში სწრაფად და ეფექტიანად ახორციელებდეს მართლმსაჯულებას, არ ხდებოდეს ინსტანციებს შორის საქმეთა „გადათამაშება“ ე.წ. „პინგ-პონგი“, მსგავს საკითხებზე მხარეები არ იღებდნენ სამართლებრივად განსხვავებულ შედეგს, რაც ძირეულად ხელყოფს მხარეთა თანასწორუფლებიანობასა და სასამართლოს წინაშე თანაბარუფლებიანობის პრინციპს. ამა თუ იმ სამართლებრივი შედეგის დადგომა დამოკიდებული არ უნდა იყოს, თუ რომელი სასამართლო ან მოსამართლე განიხილავს საქმეს, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების მხრიდან სასამართლოს მიმართ ნდობის ხარისხზე. ერთსა და იმავე სამართლებრივ საკითხზე წარმოებული სასამართლო საქმის განხილვა ერთსა და იმავე შედეგს უნდა იძლეოდეს, სხვა შემთხვევაში, საზოგადოებაში ყალიბდება განცდა, რომ მას არასწორად მოექცნენ, სასამართლომ კანონი არასწორად გამოიყენა ან განმარტა, უფრო მეტიც, სასამართლო დაინტერესებული იყო საქმის შედეგით და ა. შ.¹

ამდენად, სასამართლო დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ყველა ზემოაღნიშნული პრინციპის ჯეროვნად დაცვისა და განხორციელების მიზნებისათვის, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას.

ერთიან განზოგადებულ სასამართლო პრაქტიკაზე მსჯელობისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსამართლის არსისა და ფუნქციის გარკვევას. აღნიშნული მიზნით სამართლებრივ ლიტერატურაში ხშირად ამბობენ, რომ მოსამართლე, მართალია, არ ქმნის კანონს, თუმცა, განმარტავს, თუ რას ამბობს კანონი.²

მოსამართლის ძირითადი არსი და დანიშნულება კონტინენტური ევროპის ქვეყანაში დაწერილი ნორმის საფუძველზე კონფლიქტის მოგვარებაა. შესაბამისად, მოსამართლე შეზღუდულია დაწერილი კანონითა და მხარეთა ნებით, მათ მიერ წარდგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიღოს სასამართლომ გადაწყვეტილება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ სად გადის ზღვარი დაწერილი ქვეყნის სამართლის ქვეყანაში მოსამართლისათვის დაწესებულ შეზღუდვებსა და სამოსამართლო თავისუფლებას შორის. მოსამართლე თავისუფალი და დამოუკიდებელია გადაწყვეტილების მიღებისას, თუმცა, მის თავისუფლებას აქვს ფარგლები. თავისუფლება არ უნდა ცდებოდეს კანონის ჩარჩოებსა და მხარეთა მოთხოვნებს.³

სასამართლო თავისუფლების გამოხატულებაა, მოსამართლის უფლებაა, იხელმძღვანელოს შინაგანი რწმენით, თუმცა, აღნიშნული თავისუფლებისათვის დაწესებულ ზღვარს წარმოადგენს შინაგანი რწმენის დაფუძნების ვალდებულება მხარის მიერ წარმოდგენილ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე. მოსამართლის საქმიანობაა კანონის გამოყენება და არა საკუთარი შეხედულებებისათვის ფართო ასპარეზის მიცემა.⁴ ამდენად, სამოსამართლო თავისუფლება ზღვარდადებული თავისუფლებაა. სასამართლო თავისუფლებისათვის გარკვეული ჩარჩოების დაწესება რიგი ფაქტორებით არის განპირობებული. აღნიშნული, უპირველეს ყოვლისა, თვით მოსამართლის ფუნქციური დანიშნულებიდან მომდინარეობს. თვალსაჩინოებისათვის, თუ გავავლებთ პარალელს მოსამართლესა და კანონმდებელს შორის, აშკარა გახდება, თუ რატომ არის მოსამართლე შეზღუდული თავისუფლებით აღჭურვილი გადაწყვეტილებების მიღებისას. მაგალითისათვის, კანონმდებელი უფლებამოსილია იყოს კანონის მიღების ინიციატორი, რაც ნიშნავს, რომ მას უფლება აქვს წარმოადგინოს საკითხის გადაწყვეტის მისეული ვერსია. შესაბამისად, მის მიერ ინიცირებული და საკანონმდებლო ორგანოს მიერ მოწონებული კანონი სავალდებულოა მთელი ქვეყნისათვის. განსხვავებით მოსამართლისაგან, რომელიც საქმეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იხილავს, თუ მას მხარე მიმართავს და შესაბამის ფაქტებსა და აღნიშნული ფაქტების დამადასტურებელ მტკიცებულებებს წარუდგენს. ამასთან, მოსამართლე, თავისი შეხედულებით კი არ წყვეტს წარმოდგენილ კონფლიქტს, არამედ კანონის საფუძველზე, მოსარჩელის მოთხოვნის ფარგლებში. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოა მხოლოდ საქმეში მონაწილე პირებისათვის და არა ყველა პირისათვის, მთელი ქვეყნის მასშტაბით.⁵

ამდენად, მოსამართლის ე.წ. „ზღვარდადებული“ თავისუფლების პირობებში, მნიშვნელოვანია ერთიანი, განზოგადებული სასამართლო პრაქტიკის არსებობა.

ერთიანი განზოგადებული სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების ძირითადი თანმდევი შედეგებია:

1. სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულება – მაშინ, როდესაც მოსამართლემ იცის სასამართლო პრაქტიკა, იგი გადაწყვეტილებას იღებს დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, რაც განაპირობებს სასამართლოს მიერ სწრაფი მართლმსაჯულების განხორციე-

ელებას. პრეცედენტის დოქტრინა ხელს უწყობს საქმის ეფექტიან წარმოებას და დროულ გადაწყვეტას, რამდენადაც ადრეულ საქმეებზე საკითხის კონკრეტული სამართლებრივი გადაწყვეტა შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შემდგომ საქმეებშიც, სიღრმისეული განხილვის გარეშე.⁶ რა თქმა უნდა, მხედველობაში მისაღებია ის გამოწვევები, როდესაც საზოგადოებრივი განვითარების დინამიკა იწვევს სამართლის ადეკვატურ განვითარებას, რაც სასამართლო პრაქტიკაზეც აისახება.

2. საზოგადოების უნარის განვითარება თავად მოაგვაროს კონფლიქტი – განზოგადებული სასამართლო პრაქტიკის პირობებში, სასამართლო გადაწყვეტილებათა გასაჩივრების ხარისხი მცირდება, ვინაიდან მხარე ინფორმირებულია აღნიშნული კატეგორიის დავებზე სასამართლოს პოზიციის თაობაზე. შესაბამისად, მხარე ცდილობს კონფლიქტის უფრო მეტად მოგვარებას, ვინაიდან მან იცის, თუ რა სამართლებრივი შედეგი დადგება სასამართლოსათვის მიმართვის შემთხვევაში. ამდენად, არსებობს რა. კანონის ცოდნის პრეზუმფცია, განზოგადებული სასამართლო პრაქტიკის პირობებში, ასევე, მოქმედებს აღნიშნული კატეგორიის დავებზე სასამართლო პრაქტიკის ცოდნის პრეზუმფციაც, რაც, თავის მხრივ, ზრდის საზოგადოების მართლშეგნებასა და სამართლიანობის განცდას.

3. სასამართლოში საქმეთა ნაკადის შემცირება – სახელმწიფო რაც უფრო დემოკრატიულია, სამართლებრივად განვითარებულია, საზოგადოებას რაც უფრო მეტი ნდობა აქვს სასამართლოს მიმართ, მით მაღალია საქმეთა შედინების ხარისხი სასამართლოში. შესაბამისად, სასამართლო სისტემის განტვირთვის ერთ-ერთი აპრობირებული მეთოდი სწორედ სასამართლოს განზოგადებული პრაქტიკის პოპულარიზაციაა, რაც ნიშნავს, რომ ეტაპობრივად საზოგადოება გადადის კონფლიქტის თვითდარეგულირების მექანიზმზე, ანუ საკითხის მოგვარებას ცდილობს იმგვარად, როგორც ამას სასამართლო მსგავსი კატეგორიის საქმეებზე ახორციელებს, ზედმეტი დანახარჯების გარეშე, ანუ სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე. აღნიშნული კი, პირდაპირპროპორციულად აისახება საზოგადოების მართლშეგნების ამაღლებაზე.

4. სამართლის განვითარება – ერთიანი სასამართლო პრაქტიკის პირობებში, სასამართლო შედარებით განტვირთულია მარტივი კატეგორიის დავებისაგან. მით უფრო, აღნიშნული ეხება დოქტრინალური ტიპის სასამართლოს, ანუ კასაციას, შესაბამისად, საბოლოო ინსტანციის სასამართლო ორიენტირებულია არა კონფლიქტების მოგვარებაზე, არამედ ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაზე და შესაბამისად, სამართლის განვითარებაზე, რომელიც შემდეგომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებისათვის დავების სწრაფად და ეფექტიანად გადაწყვეტის ქვაკუთხედი. ამასთან, საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ ნორმის განმარტება, ხშირ შემთხვევაში, ახალი საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების მაპროვოცირებელი გარემოებაა, ხოლო ნორმის შეცვლამდე, ანუ საკანონმდებლო დონეზე ცვლილების განხორციელებამდე, სამართალურთიერთობის მონესრიგების საუკეთესო ლეგიტიმური გზაა.

აღსანიშნავია, რომ დანერგილი სამართალი არ არის საკმარისი ყველა სახის შესაძლო სამართლებრივი საკითხის გადასაწყვეტად. შესაძლოა, რომ ამა თუ იმ კანონის მიღების შემდგომ შეიცვალოს თავად საზოგადოება ან შეიქმნას სიტუაცია, რომელიც პარლამენტს არ ჰქონდა გათვალისწინებული კანონის გამოცემისას. ასეთ შემთხვევაში, ნორმის განმარტებას და შესაბამისად, აღნიშნული უფლებამოსილების მქონე ორგანოს, უაღრესად დიდი დატვირთვა აქვს სამართალურთიერთობების მონესრიგების პროცესში, საკანონმდებლო დონეზე ცვლილების განხორციელებამდე.⁷

ერთიან სასამართლო პრაქტიკაზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია სამართლიანი ბალანსის დაცვა ზემოაღნიშნულ ღირებულებებსა და მოსამართლის უფლებას შორის, განმარტოს კანონი თავისი შეხედულებისამებრ. შესაბამისად, მართალია, განზოგადებული პრაქტიკის აუცილებლობა ცალსახაა ზემოაღნიშნული შედეგების მიღწევის მიზნებისათვის, თუმცა, ნიშანდობლივია იმ სამართლებრივი მექანიზმების დაცვა და შენარჩუნება, რომელიც ზღვარდადებული და არათვითნებობაში გადასული სამოსამართლო სამართლის განვითარებას შეუწყობს ხელს. ნიშანდობლივია, რომ სასამართლო სამართლის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნყარია, ვინაიდან, ყველაზე უკეთ, სწორედ ნორმათმეფარდების პროცესში ვლინდება საზოგადოების განვითარების ტენდენციები, რაც, ერთი მხრივ, საკანონმდებლო ცვლილებების მაპროვოცირებელი ფაქტორია, ხოლო მეორე მხრივ, სასამართლო პრაქტიკის შეცვლის, პრობლემატიკის სხვაგვარად დანახვისა და ნორმის სხვა ქრილში განმარტების საფუძველი.⁸

დღეისათვის, საქართველოში ერთიანი, განზოგადებული პრაქტიკის ჩამოყალიბების ტენდენციაა, რამაც ზემოაღნიშნული შედეგები ნათელი, თვალსაჩინო და ხელმისაწვდომი გახადა. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმ დადებითი მხარეებისა, რაც ერთიანი განზოგადებული პრაქტიკის ჩამოყალიბებას აქვს, ასევე, გათვალისწინებულია სამოსამართლო სამართლის განვითარებისა და სამოსამართლო თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ფაქტორები. ამიტომ, ამოქმედებულია ყველა ის ბერკეტი, რომელიც უზრუნველყოფს ერთი მხრივ, ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას, ნორმის ერთგვაროვნად განმარტებას, ერთიან მართლმსაჯულებას და მეორე მხრივ, სამოსამართლო თვითმემოქმედების თავისუფლებას. აღნიშნული მიზნით, ყოველი საქმე, რომლის გადაწყვეტა პრაქტიკის შესაბამისია, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დაუშვებლად მიიჩნევა, ხოლო საქმე, რომელზეც მიღებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ სასამართლო პრაქტიკას, არსებითად განსახილველად დაშვების კანონისმიერი საფუძველია. არსებითად განხილვის შედეგად კი, ან პრაქტიკა იცვლება ან პრაქტიკის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების გაუქმების გზით, კიდევ ერთხელ ესმება ხაზი დამკვიდრებული პრაქტიკის სისწორესა და აქტუალობას. ამდენად, პრაქტიკის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება შესაძლებელია. უფრო მეტიც, პრაქტიკის შეცვლის საჭიროების პირობებში, პრაქტიკის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება სავალდებულოცაა. პრაქტიკისაგან განსხვავებული ყოველი გადაწყვეტილება პრაქტიკის შეცვლის მცდელობაა, რაც ორმაგ დასაბუთებას და მოტივაციას საჭიროებს, რათა მასში ის თანამედროვე ტენდენციები იქნეს ასახული, რამაც ნორმის სხვაგვარი განმარტების საჭიროება შექმნა. ასეთი გადაწყვეტილების მიღებითა და შემდგომში კანონიერ ძალაში შესვლით ხდება დამკვიდრებული პრაქტიკის მისადაგება სოციალურ პროცესებთან, სახელმწიფოებრივი განვითარების დინამიკასთან ან სულაც სამართლის განვითარების თანამედროვე ტენდენციებთან.⁹

საქართველოში პრეცედენტის დოქტრინის ფუნქციონირების მიზნით, განსაკუთრებით აღსანიშნავია, ის საკანონმდებლო რეგულაციები, რომლითაც განმტკიცებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს როლი და დანიშნულება სახელმწიფო სისტემაში, უზრუნველყოს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება, რაც თავის მხრივ, პრეცედენტის დოქტრინის დამკვიდრების ერთ-ერთი კანონისმიერი საფუძველია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მითითებული ფუნქცია მომდინარეობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონიდან. უზენაესი სასამართლოსათვის აღნიშნული ფუნქციის მინიჭება იმითაც არის განპირობებული, რომ უზენაესი სასამართლო საბოლოო ინსტანციის სასამართლოა, მისი გადაწყვეტილება უპი-

რობოდ შედის ძალაში. ამასთან, უზენაესი სასამართლოს წევრთა დანიშვნაში მონაწილეობას იღებს საქართველოს პარლამენტი, შესაბამისად, თეორიაში არსებობს მოსაზრება, რომ საკანონმდებლო ორგანოს გარკვეული მონაწილეობით დაკომპლექტებული მართლმსაჯულების ორგანო უფრო მეტად არის ვალდებული მიიღოს მთელი საზოგადოებისათვის სამართლიანი გადაწყვეტილება, რალა თქმა უნდა, მართლმსაჯულების ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით, სადაც განსაკუთრებით ხაზგასასმელი და ყურადსაღები შეჯიბრებითობისა და სასამართლოს წინაშე თანასწორობის პრინციპია. წარმომადგენლობით დემოკრატიაში მთელი საზოგადოებისათვის სამართლიანი გადაწყვეტილებები მიიღება წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ. წარმომადგენლებისა და უმაღლესი სასამართლოების ლეგიტიმური ამოცანაა, იღვწოდნენ როგორც სამართლებრივი შეხედულებების „პოლიგრინები“ და ეს პროცესი გონივრული არგუმენტაციის ჩარჩოებში მოაქციონ. დემოკრატიული ლეგიტიმაციის გაგებიდან გამომდინარე, ეს პროცესი ემსახურება უმრავლესობის კონსესუსუნარიანობის დადგენას, მაშასადამე, მიღებულ იქნას ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც უმრავლესობის სამართლიანობის შეგრძნებას შეესაბამება და ამის გამო, უმრავლესობის მიერ იქნება აღიარებული.¹⁰ ამდენად, სამართლიანია გადაწყვეტილება, თუ იგი საზოგადოებაში სამართლიანობის განცდას ბადებს. მით მეტია საზოგადოების ნდობა სასამართლოს მიმართ, რაც უფრო მეტად სამართლიანად მიიჩნევა ობიექტური, მიუკერძოებელი, საქმისადმი ინტერესის არმქონე მოქალაქე გადაწყვეტილებას. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამართლიანობის დადგენის უპირველესი წყარო თვით საქმეში მონაწილე მხარეა. თუ იგი სასამართლოს არ მისცემს მტკიცებულებებით დადასტურებულ ფაქტებს, სასამართლო ვერ მისცემს ფაქტებს სათანადო სამართლებრივ შეფასებას. ამდენად, სამართლიანი სასამართლო მოლოდინი უნდა არსებობდეს მაშინ, როდესაც მხარე სასამართლოს სამართლიანობის დადგენის შესაძლებლობას მისცემს.

პრეცედენტის დოქტრინასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ორი მიდგომა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, კერძოდ, ერთიანი განზოგადებული პრაქტიკის შემუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვის მხრივ აღსანიშნავია ქვემდგომი სასამართლოს ე.წ. „ვალდებულება“ დაემორჩილოს დამკვიდრებულ პრაქტიკას და თავად უზენაესი სასამართლოს ვალდებულება, მისდიოს მის მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას. აღნიშნული მიდგომა მომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან, სადაც მითითებულია, რომ საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებზე დასაშვებია, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან. ამდენად, იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ პრაქტიკას, აღნიშნული საქმე საკასაციო წესით არსებითად განსახილველად დაშვების კანონისმიერი წინაპირობაა. რაც შეეხება თავად საკასაციო ინსტანციის მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის დაცვას, აღნიშნული ვალდებულება არაპირდაპირ, თუმცა მაინც მომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ დებულებიდან, კერძოდ, 391¹-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტიდან, სადაც მითითებულია, რომ დიდი პალატა იხილავს საქმეს, როდესაც საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას) ან კიდევ დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას (ნორმის განმარტებას).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დანერგილი სამართლის ქვეყანაში ერთიანი განზოგადებული პრაქტიკის არსებობა სასიცოცხლოდ აუცილებელი პროცესია სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებისათვის. ამასთან, დაცული უნდა იყოს ბალანსი ეფექტიან მართლმსაჯულებასა და სამოსამართლო თავისუფლებას შორის, რომელიც თავის მხრივ, სამართლის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა.

პრეცედენტული დოქტრინის არსებობის ძირითადი მოთხოვნებია სასამართლო გადაწყვეტილებათა საჯაროობა და გადაწყვეტილებათა გამოქვეყნების სისტემის არსებობა, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი ხელმისაწვდომობა ქვეყნის სამართლებრივი საზოგადოებისათვის.¹¹ უნდა ითქვას, რომ პრეცედენტული დოქტრინის არსებობის ზემოაღნიშნული მოთხოვნები საქართველოში მიღწეულია, კერძოდ, უზრუნველყოფილია გადაწყვეტილებათა საჯაროობა, დანერგილია აღნიშნულ გადაწყვეტილებათა მოძიების ეფექტიანი პროგრამა,¹² განხორციელებულია გამოტანილ გადაწყვეტილებათა სისტემატიზაცია და ვების კატეგორიზაციის მიხედვით,¹³ ამოქმედებულია ძირეული სასამართლო განმარტებების პოპულარიზაციის რეჟიმი,¹⁴ სისტემური ფორმით ჩამოყალიბებულია პრაქტიკის განზოგადების ძირითადი შედეგები,¹⁵ რაც საზოგადოებისათვის გასაგები ენით არის ასახული სასამართლო რეკომენდაციებში. ამდენად, სახეზეა ყველა ის ტექნიკური თუ სამართლებრივი ბერკეტი, რომელიც ერთიანი პრაქტიკის დანერგვის და ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

შენიშვნები:

- ¹ T. Bingham, "The Rule of Law", Penguin Books, London, 2008, p. 51.
- ² T. Bingham, The Rule of Law, Penguin Books, England, 2011, p. 45.
- ³ Sheryl J. Grana, Jane C. Ollenburger, Mark Nikolas, „The Social Context of Law“, second edition, Upple Saddle River, New Jersey, 2002, p. 134-135.
- ⁴ Tom Bingham, The Rule of Law, Penguin Books, England, 2011, p. 52.
- ⁵ Sheryl J. Grana, Jane C. Ollenburger, Mark Nikolas, „The Social Context of Law“, second edition, Upple Saddle River, New Jersey, 2002, p. 16-137.
- ⁶ ტურე შაი, „პრეცედენტების გამოყენება – ნორვეგიული მეთოდოლოგია და პრაქტიკა“, კონფერენციის მასალები თემაზე – „უზენაესი სასამართლოების მიერ საკუთარი გადაწყვეტილებებისა და ევროსასამართლოს განჩინებების გამოყენება საქართველოსა და ნორვეგიაში“, 2012 წლის 25 აპრილი, თბილისი, საქართველო.
- ⁷ ტურე შაი, „პრეცედენტების გამოყენება – ნორვეგიული მეთოდოლოგია და პრაქტიკა“, კონფერენციის მასალები თემაზე – „უზენაესი სასამართლოების მიერ საკუთარი გადაწყვეტილებებისა და ევროსასამართლოს განჩინებების გამოყენება საქართველოსა და ნორვეგიაში“, 2012 წლის 25 აპრილი, თბილისი, საქართველო.
- ⁸ Amartya Sen, The Idea of Justice, Te Belknap Press of Farvard University Press Cambridge, Massachusetts, 2009, p. 78.
- ⁹ Schnur, E.M. „Law and Society“, New York, 1968, p. 27.
- ¹⁰ რაინჰოლდ ციპელიუსი, „იურიდიული მეთოდების მოძღვრება“, გამომცემლობა „ბეკი“, მიუნხენი, 2006, გვ. 21.
- ¹¹ ტურე შაი, „პრეცედენტების გამოყენება – ნორვეგიული მეთოდოლოგია და პრაქტიკა“, კონფერენციის მასალები თემაზე – „უზენაესი სასამართლოების მიერ საკუთარი გადაწყვეტილებებისა და ევროსასამართლოს განჩინებების გამოყენება საქართველოსა და ნორვეგიაში“, 2012 წლის 25 აპრილი, თბილისი, საქართველო.
- ¹² [http://prg.supremecourt.ge/;](http://prg.supremecourt.ge/)
- ¹³ [http://www.supremecourt.ge/court-decisions/civil-cases/;](http://www.supremecourt.ge/court-decisions/civil-cases/)
- ¹⁴ [http://www.supremecourt.ge/ganmartebebi/;](http://www.supremecourt.ge/ganmartebebi/)
- ¹⁵ [http://www.supremecourt.ge/uniform-court-practice/recommendations-on-civil-cases/;](http://www.supremecourt.ge/uniform-court-practice/recommendations-on-civil-cases/)

IMPORTANCE OF UNIFORM, GENERALIZED COURT PRACTICE IN THE JUDICIARY

KETEVAN MESKHISHVILI

Judge of Tbilisi Appellate Court,

PHD Student of Georgian Technical University

Existence of common, generalized court practice in the continental European countries is vitally important in order to ensure speedy and effective administration of justice. Along with that, it is important to maintain balance between effective judiciary and freedom of judiciary, that represents the source of development for the legal system. Trend to develop and generalize uniform courts practice. This is conditioned with the fact that administration of justice in Georgia is handled in speedy and effective manner, cases should not move backwards and forwards between the instances. Parties should not receive legally different outcome on the similar disputes. Otherwise, public gets the feeling that they were treated unfairly, court misused or misinterpreted the law, and even more, court was interested in the outcome of the case, etc. Thus, common court practice is crucial for ensuring independence and impartiality of the courts.

პასუხისმგებლობა საკუთარი და მესამე პირის მოქმედებისათვის

თქვა სუსნიტაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

საერთო წესის მიხედვით, სამოქალაქო სამართლის ნორმები სუბიექტის პასუხისმგებლობას უპირატესად, საკუთარი მოქმედებებისათვის ადგენს. პასუხისმგებლობის ასეთი წესი განიხილება როგორც ძველი რომის სამართალში, ისე რომანულ-გერმანულ და რალა თქმა უნდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსშიც.

რომის ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი მდგომარეობდა შემდეგში – არავის აქვს უფლება მესამე პირის სახელით დადოს გარიგება; ის, ვინც არ მონაწილეობს ვალდებულებით სამართალურიერთობაში, არ შეუძლია იყოს კრედიტორი ან მოვალე. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პრინციპის სავალდებულო ხასიათი რომის სამართლის საწყისი პოზიცია იყო, რაც შემდგომ სხვადასხვა კანონებით იქნა შეზღუდული.

პასუხისმგებლობა საკუთარი ქმედებისათვის. პასუხისმგებლობა საკუთარი ქმედებისათვის აკველიუსის კანონის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა. კანონის პირველსავე თავში ნათქვამია, რომ თუ პირი მართლსაწინააღმდეგოდ (უკანონოდ) მოკლავს სხვის მონას ან ოთხფეხა ცხოველს, რომელიც შინაურ ცხოველებს მიეკუთვნება, მას მიუსჯიან მესაკუთრისათვის ნივთის იმ საფასურის გადახდას, რაც უკანასკნელი წლის განმავლობაში ამ ნივთის უმაღლეს (საბაზრო) ფასს წარმოადგენდა. ამავე კანონის მესამე თავის თანახმად, თუ ვინმე მონას ან იმ ოთხფეხა ცხოველს დაჭრის (ზიანს მიაყენებს), რომელიც „შინაურ პირუტყვს“ მიეკუთვნება; ან, თუ პირი დაჭრის (ზიანს მიაყენებს) ან მოკლავს იმ ოთხფეხა ცხოველს, რომელსაც „შინაურ პირუტყვს“ არ მიაკუთვნებენ, მაგალითად, ძაღლს ან გარეულ ცხოველს. ასეთ

შემთხვევაში, ისევე როგორც კანონის პირველი თავის თანახმად. პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ პირს ეკისრება, ვისმა მოქმედებამაც გამოიწვია ზიანი. ოღონდ ამ კანონის მესამე თავის თანახმად, ზიანის მიმყენებელს დაეკისრება არა იმ ოდენობის თანხის გადახდის ვალდებულება, რაც იმ წლის განმავლობაში ამ ნივთის ფასს წარმოადგენდა, არამედ იმ ღირებულებისა, რომელიც ნივთს ბოლო ოცდაათ დღეს ჰქონდა.¹

სახელშეკრულებო სამართალურთიერთობის დარღვევის თავისებურებაა, რომ განსხვავებით არასახელშეკრულებო სამართალურთიერთობისაგან, ვალდებულების დამრღვევი პასიურ სუბიექტთა წრე წინასწარ ცნობილია. ის შეიძლება იყოს მხოლოდ ხელშეკრულების მონაწილე, რომელიც სამართალდარღვევამდე უკვე იმყოფებოდა ხელშეკრულების მეორე მხარესთან სამართლებრივ ურთიერთობაში. შესაბამისად, ეს ფაქტი საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევით წარმოშობილი პასუხისმგებლობაც უპირატესად სამართალდამრღვევს უნდა დაეკისროს.

ვალდებულებითი სამართლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ კრედიტორი უფლებამოსილია მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება მოსთხოვოს, ხოლო მოვალე ვალდებულია, შეასრულოს მოთხოვნა. აქედან გამომდინარე, ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას. მოვალემ ვალდებულება უნდა შეასრულოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. მოვალის მხრივ, ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობა, ანუ ვალდებულების დარღვევა კრედიტორს აძლევს უფლებას, ვალდებულების დარღვევით გამონგეული ზიანის ანაზღაურება მოსთხოვოს მოვალეს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლი). გარდა აღნიშნულისა, არსებობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლით დადგენილი საერთო წესი, რომლის მიხედვითაც, მოვალემ, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. რაც ნიშნავს, რომ ზიანი უნდა ანაზღაურდეს ნატურით. კერძოდ, განადგურებული ნივთის სანაცვლოდ კრედიტორს უნდა გადაეცეს იმავე გვარისა და ხარისხის ნივთი ან მოვალის მიერ აღდგენილი ნივთი და ა.შ.

ანალოგიურად წყდება სუბიექტის პასუხისმგებლობა დელიქტურ ვალდებულებებში. კოდექსის 992-ე მუხლში ვკითხულობთ, რომ პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ანუ სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლში გამოხატულია ბრალის პრინციპი – არ არსებობს პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე. ამასთან, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მოქმედება, რომლის შედეგადაც დაირღვა დაზარალებულის უფლება, პირადად პასუხისმგებელი პირის მიერ იყოს ჩადენილი.

ამრიგად, პასუხისმგებლობის განსახილველი სახის ზოგადი წესი მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ პირს, ვინც თავისი მოქმედებით დაარღვია ვალდებულება ან მიაყენა ზიანი.

პასუხისმგებლობა მესამე პირის მოქმედებისათვის. პასუხისმგებლობა საკუთარი მოქმედებისათვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზოგადი წესია და არა იმპერატიული მოთხოვნა. მართალია, რომის სამართალი, მის საწყის პერიოდში მკაცრად იცავდა პრინციპს – არავის აქვს უფლება, მესამე პირის სახელით დადოს გარიგება, მაგრამ ეს პრინციპი მალევე შეიზღუდა ჯერ კიდევ 12 ტაბულის კანონით და განვითარება ჰპოვა მონის მესაკუთრისა და მამის ხელისუფლების უფლებამოსილებებში. რომის სამართალი ფართო შესაძლებლობას იძლეოდა, რომ მოვალის

მიერ ნაკისრ ვალდებულებებზე პასუხისმგებლობა ფიდეიუსორს დაკისრებოდა. იუსტინიანეს ინსტიტუციების მესამე წიგნის XX ტიტულში ვკითხულობთ: პრომისორების² მაგიერ ვალდებულებას, ჩვეულებრივ, სხვები კისრულობენ, რომლებსაც ფიდეიუსორებს უწოდებენ. ფიდეიუსორი ყველა სახის ვალდებულებაში შეიძლება არსებობდეს — რეალურში, ვერბალურში, ლიტერალურში და კონსესუალურში. ფიდეიუსორის პასუხისმგებლობა შეზღუდულია და არ შეიძლება მას იმ პრომისორზე უფრო მეტი მართებდეს, რომლის თავდებობაც მან იკისრა.³

მესამე პირის პასუხისმგებლობას აწესებს რომის სამართალი მაშინაც, თუ მონა მესაკუთრის, ანუ მონათმფლობელის (ან მამის ძალაუფლების ქვეშ მყოფი შვილი მამის) ბრძანებით დადებს გარიგებას. ასეთ შემთხვევაში, პრეტორი მონის მესაკუთრის (მამის) წინააღმდეგ მისცემს სარჩელს და შესაბამისად, პასუხისმგებლობაც მათ დაეკისრებათ, რადგან ხელშეკრულების ამგვარად დამდები პირი მონის მესაკუთრის (მამის) მინდობილ პირად ითვლება.

როგორც ცნობილია, რომის სამართალი დელიქტური მაგალითების სიმრავლით გამოირჩევა, რომლებიც პასუხისმგებელ პირად მონის მესაკუთრეს აღიარებდა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პასუხისმგებლობის დაკისრება ხდებოდა **არა ბრალზე მითითებით, არამედ მესაკუთრის ხელქვეითის მიერ ჩადენილი ქმედების გამო**. ძველი რომის საზოგადოებრივ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების თავისებურებაა, რომ თავისუფალი მოქალაქე, მონათმფლობელი, თავის საქმიანობას მისი ძალაუფლების ქვეშ მყოფი პირებისა და მონების მეშვეობით წარმართავდა, ისინი, თავისუფალი მოქალაქეები, მათი სრულუფლებიანი მეპატრონენი იყვნენ. სწორედ ეს იყო საფუძველი, რომ ხელქვეითთა მიერ ჩადენილ დელიქტზე პასუხისმგებლობაც მათ ეკისრებოდათ. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ნოქსალური სარჩელები. იუსტინიანეს ინსტიტუციების მეოთხე წიგნის VIII ტიტულის თანახმად, ყველა ნოქსალური სარჩელი იმ პირის წინააღმდეგ არის მიმართული, რომლის ხელისუფლებასაც სამართალდამრღვევი ექვემდებარება, რადგან თუ სამართალდარღვევას შენი მონა ჩაიდენს, მაშინ იგი ვიდრე შენი ხელისუფლების ქვეშ არის, სარჩელი შენს წინააღმდეგ იქნება წარდგენილი. ნოქსალური სარჩელი წარმოიქმნება მონის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში. თუ მაგალითად, მონამ ქურდობა ან ქონების ძარცვა ჩაიდინა, ან ვინმეს ზიანი, ან შეურაცხყოფა მიაყენა. ნოქსალური სარჩელის საფუძველზე მონის მესაკუთრეს, როგორც პასუხისმგებელ პირს, უფლება ეძლევა მიყენებული ზიანის ღირებულება გადაიხადოს ან ზიანის მიმყენებელი მონა დაზარალებულს საკუთრებაში გადასცეს. როგორც ვხედავთ, მონის მოქმედებისათვის პასუხისმგებლობა კი, ეკისრება მონათმფლობელს, მაგრამ მის ბრალეულობაზე არაფერია ნათქვამი.

თანამედროვე მრავალფეროვანი სამოქალაქოსამართლებრივი ბრუნვის პირობებში ფაქტობრივად, შეუძლებელია მკაცრად დავიცვათ პრინციპი – „არავის აქვს უფლება მესამე პირის სახელით დადოს გარიგება“ ან „ის, ვინც არ მონაწილეობს ვალდებულებით ურთიერთობაში, არ შეუძლია იყოს კრედიტორი ან მოვალე.“ ამიტომ უკვე ფრანგული სამოქალაქო კოდექსი ფართოდ გამოიყენებს პასუხისმგებლობას მესამე პირის ქმედებისათვის. კოდექსის 1384-ე მუხლით პასუხისმგებლობა წესდება მესამე პირის მოქმედებით გამოწვეული ზიანისათვის იმ პირის მიმართ, ვისაც ევალება სამართალდამრღვევის ქმედებებზე ზედამხედველობის განხორციელება. გერმანული სამოქალაქო კოდექსი სხვისი მოქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის საკითხს უფრო დეტალურად განიხილავს. ცალკე ნორმებით რეგულირდება სულით ავადმყოფობისა და ასაკის გამო ქმედუუნარო პირების მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა. თუ ფრანგული სამოქალაქო კოდექსი ცხოველისა და უძრავი ნივთით

გამონვეული ზიანისათვის ცალსახად ყოველთვის მათ მესაკუთრეს აკისრებს პასუხისმგებლობას, გერმანულ სამოქალაქო კოდექსში ასეთი პასუხისმგებლობა გადანაწილებულია მესაკუთრეს, მფლობელსა და ცალკეულ შემთხვევაში, მომვლელებს (ზედამხედველებს) შორის.

პასუხისმგებლობა მესამე პირის მოქმედებისათვის სახელშეკრულებო ურთიერთობებში. მესამე პირის მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 396-ე მუხლი. მასში ნათქვამია, რომ „მოვალემ თავისი კანონიერი წარმომადგენლის და იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს.“ დასახელებული ნორმა განსაზღვრავს იმ მესამე პირთა წრეს, ვისი მოქმედებებითაც წარმოიშობა პასუხისმგებლობა. ესენია, კანონიერი წარმომადგენლები და პირები, რომლებსაც გარკვეული ვალდებულების შესრულება ხელშეკრულებით აქვთ დაკისრებული.

სახელშეკრულებო სამართალში სხვისი მოქმედებით გამოწვეული პასუხისმგებლობის ურთიერთობებში მონაწილე მესამე პირები, რომელთა მოქმედებამაც შეიძლება გამოიწვიოს სამოქალაქო პასუხისმგებლობა – ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ. პირველს მიეკუთვნება პირი, რომელიც კანონიერი წარმომადგენლობის საფუძველზე მოქმედებს, ხოლო მეორე ჯგუფს მიეკუთვნება პირი, რომელიც წარმომადგენლობით უფლებამოსილებას დავალების ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს. ამ ურთიერთობებს საერთო აქვთ ის, რომ მშობლები, როგორც შვიდწლამდე ასაკის ბავშვების კანონიერი წარმომადგენლები, ქმედუწუნარო პირების მეურვეები და დავალების ხელშეკრულების საფუძველზე რწმუნებულები, ორივე წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებენ. მშობლები და მეურვეები კანონის საფუძველზე ახორციელებენ წარმომადგენლობას და მათ კანონიერი წარმომადგენლები ეწოდებათ, ხოლო დავალების ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებულ ქმედებას სახელშეკრულებო წარმომადგენლობა ეწოდება. წარმომადგენლობის თავისებურებაა, რომ წარმომადგენელი **საკუთარი ნების გამოხატვით**, წარმოდგენილის **სახელითა და ხარჯით**, მისი **ინტერესებისათვის** დებს გარიგებას სამოქალაქო კოდექსის მე-12, 709-ე, 1198-ე, 1293-ე მუხლების საფუძველზე. მე-12, 1198-ე მუხლების თანახმად, მშობლები თავისი არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებული რწმუნებულების გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში. ასეთივე უფლებამოსილება ვრცელდება კოდექსის 1293-ე მუხლით გათვალისწინებულ მეურვეებზე და მათ საქმიანობაზე. რაც შეეხება სახელშეკრულებო წარმომადგენლობას, მისი ლეგალური დეფინიციიდან (კოდექსის 709-ე მუხლი) ირკვევა, რომ დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული მოქმედება **მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე**.

კანონიერი წარმომადგენლობის საფუძველები სამოქალაქო კოდექსით არის დადგენილი და დაკავშირებულია პირის ქმედუწუნარიანობასთან. კოდექსის მე-12 მუხლი შვიდ წლამდე ასაკის არასრულწლოვანს (მცირეწლოვანს) ქმედუწუნაროდ მიიჩნევს. ქმედუწუნაროდ არის მიჩნეული ასევე პირი, რომელიც ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ ქმედუწუნაროდ იქნება აღიარებული. იმის გათვალისწინებით, რომ დასახელებული პირები მოკლებულნი არიან უნარს თავისი ნებითა და მოქმედებით განახორციელონ სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, სამოქალაქო ურთიერთობებში უშუალოდ არ მონაწილეობენ. ამ პირების უფლებებს განახორციელებენ მათი კანონიერი წარმომადგენლები — მშობლები ან მეურვე,

რომლებიც ქმედუუნარო პირის სახელით დადებენ გარიგებებს, გარიგების შედეგად წარმოშობილ უფლებებსა და მოვალეობებს კი, ქმედუუნარო პირი შეიძენს.⁴

ორივე შემთხვევაში, როგორც კანონით, ისე სახელშეკრულებო წარმომადგენლობით ურთიერთობებში წარმომადგენლის მოქმედებით გამოწვეული ზიანისათვის წარმოდგენილის პასუხისმგებლობა იმით უნდა აიხსნას, რომ წარმომადგენელი წარმოდგენილის სახელითა და ხარჯით მოქმედებს მისივე უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, გარიგების შედეგად უფლებები და მოვალეობებიც მას წარმოეშობა (სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლი) და შესაბამისად, უარყოფითი შედეგებისათვის რისკი წარმოდგენილის მხარეზეა. ამიტომ, სამოქალაქო კოდექსის 396-ე მუხლი წარმომადგენლის მოქმედებით გამოწვეულ უარყოფით შედეგებზე პასუხისმგებლობას წარმოდგენილ პირს აკისრებს.

მესამე პირის მოქმედებისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრისას, აუცილებელია, ბრალეულობის საკითხის დადგენაც. ცალკეულ შემთხვევებში, წარმოდგენილი პირი პასუხს აგებს მესამე პირის მოქმედებისათვის, როგორც საკუთარი ბრალისათვის. სხვა შემთხვევაში, ის პასუხს აგებს მესამე პირის მოქმედებისათვის, მაგრამ არა საკუთარი ბრალისათვის. მესამე პირის მოქმედებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტას ის მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს, რომ მესამე პირის მოქმედებისათვის, მაგრამ საკუთარი ბრალისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევაში, წარმოდგენილს რეგრესული მოთხოვნისათვის სარჩელის უფლება არ უნდა მიეცეს. სხვა შემთხვევაში, მესამე პირის მოქმედებისა და მისივე ბრალისათვის წარმოდგენილისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება საფუძველს იძლევა ამ უკანასკნელმა ბრალეული პირისაგან რეგრესის წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. დაბოლოს, თანამედროვე სამოქალაქო სამართალი ისეთ შემთხვევებსაც იცნობს, როცა რომის სამართლის მსგავსად, სუბსიდიალური პასუხისმგებლობის დროს, მშობელს არასრულწლოვანი შვილის ბრალეული მოქმედებისათვის დაეკისრება პასუხისმგებლობა, მაგრამ რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურების უფლება არ გააჩნია, ან პასუხისმგებლობა დაეკისრება ბრალის გარეშე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როდის აგებს პასუხს მარწმუნებელი თავისი ბრალისათვის და როდის – მესამე პირის ბრალისათვის. როგორც უკვე ითქვა, კანონიერ წარმომადგენლობასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა პირს არ მიუღწევია შვიდი წლის ასაკისათვის ან ჭკუასუსტობის, ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ აღიარებულია ქმედუუნაროდ. ბუნებრივია, ასეთი პირი მოკლებულია შესაძლებლობას, თვითონ აირჩიოს წარმომადგენელი და რამდენადაც ქმედუუნარო პირი მისი კანონიერი წარმომადგენლის არჩევაში მონაწილეობას არ ლეზულობს, ამიტომ წარმომადგენლის მიერ მესამე პირისათვის ზიანის მიყენებაში წარმოდგენილს ბრალი არ მიუძღვის. ის პასუხს აგებს წარმომადგენლის მოქმედებისა და მისივე ბრალისათვის. შესაბამისად, ქმედუუნარო პირს მისი კანონიერი წარმომადგენლის მიმართ წარმოეშობა უფლება რეგრესის წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. მაგალითად, თუ მცირეწლოვანის კანონიერი წარმომადგენლის (დედის) ბრალეული ქმედებით მესამე პირს მიადგა ზიანი, რაც წარმოდგენილის (მცირეწლოვანი შვილის) ქონებით იქნა ანაზღაურებული, ამ უკანასკნელის მეორე კანონიერი წარმომადგენლის – მამის მეშვეობით რეგრესის წესით შეიძლება მოთხოვნილი იყოს ზიანის ანაზღაურება.

სხვა შემთხვევაში, როდესაც მეურვე მეურვეობაში მყოფი პირის საცხოვრებელ სახლს გააქირავენ, ქირავნობის ხელშეკრულებით მიღებულ შემოსავალზე საკუთრების უფლება წარ-

მოდგენილს (მეურვეობაში მყოფ პირს) წარმოეშობა. ამიტომ, ამავე ხელშეკრულებით გამოწვეულ უარყოფით შედეგებზე პასუხისმგებლობაც მას ეკისრება. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ მცირეწლოვანისათვის მეურვის დანიშვნაში თვითონ მცირეწლოვანი არ მონაწილეობს და მისი ნების გარეშე ხდება მისთვის მეურვის ამორჩევა და დანიშვნა, მეურვის ბრალეულ მოქმედებას მეურვეობაში მყოფ პირს ვერ შევრაცხავთ. ამიტომ, მეურვის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით გამოწვეული ზიანისათვის წარმოდგენილი პასუხს აგებს მეურვის ბრალეული მოქმედებისათვის და შესაბამისად, რეგრესის უფლებაც სახეზე გვექნება.

განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე სახელშეკრულებო წარმომადგენლობით ურთიერთობებში. ამჯერადაც, მართალია, რწმუნებულის მოქმედებისათვის პასუხისმგებლობა მარწმუნებელს ეკისრება, მაგრამ კანონიერი წარმომადგენლობისაგან განსხვავებით, მისივე ბრალისათვის. მარწმუნებლის ბრალი ამჯერად იმაში ვლინდება, რომ მან თავის დროზე წარმომადგენლის შერჩევას ვერ განსაზღვრა ამ უკანასკნელის შესაძლებლობები, კვალიფიკაცია და სხვა მონაცემები, რაც დავალების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა ჯეროვან შესრულებას უზრუნველყოფდა. ამიტომ წარმომადგენლის მიმართ მას რეგრესის უფლება არ წარმოეშობა. გათვალისწინებული უნდა იყოს ისიც, რომ უარყოფითი შედეგებისათვის ცალსახად მარწმუნებლისათვის პასუხისმგებლობის დადგენა არ იქნებოდა სწორი. ასეთ შემთხვევაში, კანონი ხელს შეუწყობდა რწმუნებულს ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულების მოვალეობის უგულებელყოფას. სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარეც არ იქნება სწორი, რწმუნებულის განზრახი მოქმედებით ან მარწმუნებულის მითითებების საწინააღმდეგოდ განხორციელებული მოქმედებიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობაც მარწმუნებელს დაეკისროს.

სახელშეკრულებო სამართალში სხვისი მოქმედებისათვის პასუხისმგებლობის სუბიექტთა მეორე ჯგუფს მიეკუთვნება უშუალოდ ხელშეკრულების მონაწილე მხარეები, მაგრამ არა ის მხარეები, რომელთა მოქმედებამაც გამოიწვია პასუხისმგებლობა. აქ მესამე პირის სახით, რომლის მოქმედებამაც წარმოშვა პასუხისმგებლობა, კრედიტორთან რაიმე სამართლებრივ ურთიერთობაში არ იმყოფება, ამიტომ კრედიტორი უფლებამოსილია, სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის მოთხოვნები თავის მოვალეს წაუყენოს და არა მესამე პირს. ამ შემთხვევაში, კრედიტორის წინაშე მოვალე პასუხს აგებს მესამე პირის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის.

ასეთი პასუხისმგებლობის მკაფიო მაგალითია სამოქალაქო კოდექსის 632-ე მუხლი. საერთო წესის მიხედვით, მენარდემ პირადად უნდა შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო; მაგრამ ხშირია შემთხვევები, როდესაც სამუშაოს მოცულობის, სირთულის, სპეციფიკის გათვალისწინებით მენარდე ვერ შეძლებს ყველა სამუშაოს შესრულებას. ამიტომ კოდექსის 632-ე მუხლი შესაძლებლობას იძლევა მენარდემ გარკვეული სამუშაოების შესრულება სხვას მიანდოს. ასეთ შემთხვევაში, უკვე პრაქტიკაში დამკვიდრებული ტერმინების მიხედვით, საქმე გვექნება გენერალურ მენარდესთან და ქვემენარდესთან, მაგრამ შემკვეთის მიმართ მათი სამართლებრივი დამოკიდებულება განსხვავებულია. ქვემენარდესა და შემკვეთს შორის რაიმე სამართლებრივი ურთიერთობა არ წარმოიშობა. მენარდესა და ქვემენარდეს შორის დადებული ე.წ. ქვემენარდობის ხელშეკრულებით ქვემენარდე გენერალური მენარდის წინაშე პასუხისმგებელი, ხოლო გენერალური მენარდე შემკვეთის წინაშე პასუხს აგებს როგორც უშუალოდ მის მიერ შესრულებული სამუშაოსათვის, ისე მესამე პირის – ქვემენარდის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ან

არაჯეროვანი შესრულებისათვის. განსხვავება ამ ორ მომენტს შორის არის ის, რომ პირველ შემთხვევაში, მენარდე საკუთარი ბრალეული მოქმედებისათვის აგებს პასუხს, მეორე შემთხვევაში კი – ქვემენარდის ბრალისათვის. ამიტომ კრედიტორის (შემკვეთის) დაკმაყოფილების შემდეგ გენერალური მენარდე უფლებამოსილია რეგრესის წესით ქვემენარდეს მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება.

სამოქალაქო კოდექსი იცნობს მესამე პირის ბრალეული მოქმედებისათვის პასუხისმგებლობის სხვა შემთხვევებსაც. ასე მაგალითად, ნმნ-ე მუხლის მესამე ნაწილში ნათქვამია, რომ პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მიზნით გადამზიდველს არ შეუძლია მიუთითოს არც გადაზიდვისათვის გამოყენებული სატრანსპორტო საშუალების ნაკლზე და არც ამ საშუალების გამქირავებლის ან დამქირავებლის მომსახურე პერსონალის ბრალზე. ეს კი მეტყველებს, რომ თუ დაქირავებული სატრანსპორტო საშუალება აღმოჩნდა ნაკლიანი, რამაც გამოიწვია უარყოფითი შედეგი, პასუხისმგებლობა არა სატრანსპორტო საშუალების გამქირავებელს, არამედ მისი, როგორც მესამე პირის ბრალისათვის პასუხისმგებლობა გადამზიდველს დაეკისრება. ამიტომ ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში გადამზიდველი უფლებამოსილია რეგრესის წესით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება სატრანსპორტო საშუალების გამქირავებელს მოსთხოვოს.

მესამე პირის მოქმედებისათვის პასუხისმგებლობის თავისებურ მაგალითს წარმოადგენს ნოტარიუსის პასუხისმგებლობა ნოტარიუსის შემცვლელის უკანონო მოქმედებით გამოწვეული ზიანისათვის. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ნოტარიუსი უფლებამოსილია სამუშაოზე არყოფნის დროისათვის, საქართველოს ნოტარიუსთა პალატასთან შეთანხმებით, დანიშნოს მისი შემცვლელი პირი. ნოტარიუსი ვალდებულია შემცვლელ პირთან გააფორმოს ხელშეკრულება. ამავე ხელშეკრულებაში ნოტარიუსმა უნდა განსაზღვროს ნოტარიუსის შემცვლელისათვის შრომის ანაზღაურების ოდენობა. ყოველივე ეს ქმნის ერთგვარ გაურკვეველობას, თუ რა სახის პასუხისმგებლობას გამოიწვევს ნოტარიუსის შემცვლელის უკანონო მოქმედებით დამდგარი ზიანი – მესამე პირის მოქმედებისათვის, თუ მუშაკის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. მუშაკის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მესამე პირისათვის ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის თავისებურება ის არის, რომ მუშაკი სამსახურებრივ მოვალეობას შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს დამსაქმებლის სახელით. ნოტარიუსის შემცვლელი კი, სანოტარო მოქმედებებს ასრულებს ნოტარიუსთან დადებული სამოქალაქო ხელშეკრულების საფუძველზე, თავისი სახელით. დამსაქმებლისაგან განსხვავებით სანოტარო ბიურო არ არის იურიდიული პირი და არც ნოტარიუსია ინდივიდუალური მენარმე. დამსაქმებელი მისი მუშაკის ქმედებისათვის პასუხს აგებს, როგორც საკუთარი მოქმედებისა და ბრალისათვის და ამიტომ მას რეგრესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არა აქვს. რაც შეეხება ნოტარიუსს, დასახელებული კანონის 26-ე მუხლის საფუძველზე, უფლება აქვს ნოტარიუსის შემცვლელს რეგრესის წესით მოსთხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნოტარიუსის პასუხისმგებლობა ნოტარიუსის შემცვლელის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის მიეკუთვნება პასუხისმგებლობას მესამე პირის მოქმედებისათვის, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის 396-ე მუხლით.

პასუხისმგებლობა მესამე პირის მოქმედებისათვის დელიქტურ ურთიერთობებში. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 396-ე მუხლის შესახებ საუბრისას, კიდევ ერთხელ უნდა დავაზუსტოთ, რომ იგი ეხება პასუხისმგებლობას მესამე პირის მოქმედებისათვის სახელშეკრულებო

ურთიერთობებში. ის არ უნდა გავაიგივოთ კოდექსის 994-ე მუხლთან. კანონმდებელს აქ მხედველობაში აქვს არასრულწლოვანის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით (დელიქტით) მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლებისათვის, მაშინ როდესაც კოდექსის 396-ე მუხლი პირიქით – სახელმეკრულებო ურთიერთობებში კანონიერი წარმომადგენლის ქმედებისათვის პასუხისმგებლობას წარმოდგენილს – ქმედუუნარო პირს აკისრებს.

სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის უპირველესად საჭიროა გავარკვიოთ, არის თუ არა პირი დელიქტუნიარიანი. სხვადასხვა ქვეყნის სამოქალაქო კოდექსები დელიქტუნიარიანობას სხვადასხვანაირად წყვეტს. მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ფიზიკური პირის დელიქტუნიარიანობა და ქმედუნიარიანობა ერთდროულად, თვრამეტი წლის, ანუ სრულწლოვანების მიღწევიდან წარმოიშობა. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1384-ე მუხლით მშობლები, რამდენადაც ისინი აღმზრდელობით უფლებამოსილებას ახორციელებენ, სოლიდარულად აგებენ პასუხს მათთან მცხოვრები არასრულწლოვანი შვილების მიერ მიყენებული ზიანისათვის. ამავე კოდექსის 388-ე მუხლის თანახმად კი, არასრულწლოვანად ითვლება პირი, რომელსაც თვრამეტი წლის ასაკისათვის არ მიუღწევია. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ 1974 წელს სამოქალაქო კოდექსის 388-ე მუხლში განხორციელებულ ცვლილებამდე სრულწლოვანება და შესაბამისად, სრული ქმედუნიარიანობა და დელიქტუნიარიანობა 21 წლის ასაკიდან წარმოიშობოდა. დელიქტუნიარიანობის წარმოშობის კრიტერიუმების სრულყოფილებით გამოირჩევა გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. კოდექსის 828-ე პარაგრაფი შვიდ წლამდე ასაკის ბავშვს ცალსახად დელიქტუნიაროდ მიიჩნევს, ხოლო შვიდიდან თვრამეტ წლამდე ასაკის არასრულწლოვანის დელიქტუნიარიანად ცნობისათვის კანონი ინდივიდუალურ მიდგომას მოითხოვს. კერძოდ, 828-ე პარაგრაფში ნათქვამია – ის, ვინც მიაღწია შვიდი წლის ასაკს, მაგრამ ჯერ თვრამეტი წლის არ შესრულებულა, პასუხს არ აგებს მიყენებული ზიანისათვის, თუ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების ჩადენის დროისათვის არ შეეძლო თავისი მოქმედების მნიშვნელობის შეცნობა. დაბოლოს, რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 1073-ე მუხლის თანახმად, ფიზიკური პირის დელიქტუნიარიანობა წარმოიშობა 14 წლის ასაკიდან.

ნებით თუ უნებლიეთ, პირდაპირ თუ არაპირდაპირ ძველი ქართული სამართლის გამოცხილია მოქმედი სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული დელიქტუნიარიანობის ძირითადი ნიშნები. ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის 187-ე მუხლში ვკითხულობთ: „ათს წლამდის ყმანვილის ნაქნარის რასაც ფერის საქმისა, ავის კაცის ნაქნარს, ავს საქმესთან არ ჩაიგდების. თავის ტოლს უზამს თუ უფროსს, ყმანვილობით და უჭკუობით უქნია, საფათერაკოსავით არის; მისმან მშობელმან, მისის ყმანვილობისაგან მკვდარს სამარხი მისცეს, და დაჭრილსა და დასნეულებულს სააქიმო მისცეს. სხვას ვერას შეუა.“⁴⁵ ქართული სამოქალაქო სამართალი ერთ ადგილას არ გაჩერებულა. მოქმედმა სამოქალაქო კოდექსმა ფიზიკური პირის დელიქტუნიარიანობის წარმოშობისათვის გერმანული სამოქალაქო კოდექსის მოდელი აირჩია. ამ მოდელით როგორც ვნახეთ, კანონი პირის დელიქტუნიარიანად ცნობის მომენტს ორ პერიოდად ყოფს. ქართული სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პირველი პერიოდი მოიცავს პირის ათ წლამდე ასაკს, როცა იგი ცალსახად დელიქტუნიაროდ არის მიჩნეული, მეორე პერიოდი იწყება ათი წლიდან და მთავრდება პირის თვრამეტი წლის შესრულებამდე. თავისებურება მეორე პერიოდის ყოველი ცალკეული სამართალდამრღვევის ინდივიდუალიზაციაა. რაც ნიშნავს, რომ ათ წელზე მეტი ასაკის, მაგრამ არასრულწლოვანის დელიქტუნიარიანობის დადგენისათვის უნდა

გაირკვეს, სამართალდამრღვევს ზიანის მიყენებისას შეეძლო თუ არა მისი მოქმედების მნიშვნელობის გაგება. ქმედუნარიანობის მსგავსად, დელიქტუნარიანობა დაკავშირებულია პირის ჯანმრთელობასთანაც. პირი, რომელიც ჭკუასუსტობის ან სულით ავადმყოფობის გამო სასამართლოს მიერ ქმედუნაროდ არის აღიარებული და მართლსაწინააღმდეგოდ ზიანს მიაყენებს სხვას, მას ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ ეკისრება. დელიქტუნაროდ მიიჩნევა ასევე, პირი, რომელიც დროებით უგონო ან სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში ყოფნისას მიაყენებს მესამე პირს ზიანს. ასეთი პირი პასუხისმგებლობისაგან არ გათავისუფლდება თუ ასეთ მდგომარეობაში თვითონ ჩაიყენა თავი ალკოჰოლური სასმელის ან მსგავსი საშუალებების გამოყენებით.

დელიქტუნარო პირი პასუხს არ აგებს იმ ზიანისათვის, რაც მან სხვას მიაყენა. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დელიქტუნარო პირის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხი არავინ აგოს. დელიქტუნარო პირის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებენ მშობლები და დელიქტუნაროზე მეთვალყურეობის ვალდებული პირები. მეცნიერ იურისტთა შორის ათეული წლების განმავლობაში მიმდინარეობს დავა, მოცემულ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დადგება მესამე პირის – არასრულწლოვანის ბრალისათვის თუ წარმომადგენლის საკუთარი ბრალისათვის. პროფესორი შალვა ჩიკვაშვილი მეორე პოზიციას იზიარებს და ამტკიცებს, რომ „მშობლები და მეთვალყურეობაზე ვალდებული პირები ზიანისათვის დამოუკიდებლად აგებენ პასუხს და არა სხვისი ბრალისათვის“ და რომ ‘მშობლის და მეურვის (მზრუნველის) ბრალი გამოიხატება იმაში, რომ მათ ზედამხედველობის გარეშე დატოვეს ბავშვი ზიანის მიყენების მომენტში, ასევე, შვილების (სამეურვეო პირების) ცუდად აღზრდაში.⁶

მშობლის ბრალეული მოქმედება შვილის ზედამხედველობის გარეშე დატოვებისა და ცუდი აღზრდის შესახებ მრავალ კითხვას ბადებს. არასრულწლოვანის გაუკონტროლებელი ქცევა, ცუდი აღზრდა შეიძლება ცალკეულ შემთხვევებში მართლაც, მიზეზობრივ კავშირში იყოს არასრულწლოვანის მოქმედებით გამოწვეულ ზიანთან, მაგრამ რა ვქნათ, თუ მშობელმა ყველაფერი გააკეთა შვილის კარგი აღზრდისათვის, მაგრამ არასრულწლოვანმა მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებით ზიანი მაინც მიაყენა სხვას? ბრალეულობის პრინციპიდან გამომდინარე – არ არსებობს პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე, ლოგიკური იქნებოდა თუ მშობელს, როგორც არაბრალეულ პირს გავათავისუფლებთ პასუხისმგებლობიდან, მაგრამ მშობელი არასრულწლოვანი შვილების მოქმედებისათვის ქონებრივი ხასიათის პასუხისმგებლობას დიდი ხანია მიეჩვია. ეს დღევანდელი სოციალური ცხოვრების განუყოფელი მოვლენაა და მშობლები მას არ „აპროტესტებენ“. მათთვის უფრო მიუღებელი და მტკივნეულია შვილის მიერ უღირსი საქციელის ჩადენა და საყვედური მათი მისამართით, რომ ცუდი შვილი აღზარდეს. ამიტომ სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლის განხილვისას, ეს უნდა გავითვალისწინოთ. ამით კონკრეტულად იმის თქმა გვინდა, რომ ჩვენთვის მიუღებელია შვილის ცუდად აღზრდის ესოდენ დიდი ტვირთი მშობელს დავაკისროთ ფაქტობრივად ყოველგვარი შემონმების გარეშე; მაგრამ რა თქმა უნდა, ეს ხელს არ გვიშლის არასრულწლოვანის ქმედებით წარმოშობილი ზიანისათვის პასუხისმგებლობა მშობელს დავაკისროთ. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ასეთ შემადგენლობას ჯერ კიდევ, რომის სამართალი იცნობდა. მამის ხელისუფლების ქვეშ მყოფი პირის, ასევე, მონის არამართლზომიერი მოქმედებით წარმოშობილი ზიანისათვის პასუხისმგებლობა მამას და მონის მეპატრონეს (მონათმფლობელს) ეკისრებოდა მათ ბრალეულობაზე მითითებების გარეშე. დელიქტუნარო პირის არამართლზომიერი მოქმედებისათვის მშობლისათვის (მეურვისათვის) პასუხისმგებლობის დაკისრება მათივე

ბრალისათვის XIX-XX საუკუნის პირველ ნახევარში გერმანიაში, საფრანგეთსა და საერთო სამართლის ქვეყნებში გაბატონებული ბრალის პრინციპის გავლენის შედეგი უნდა იყოს. ამ პერიოდისათვის ბრალის პრინციპის აქტიურ გამოყენებას მეცნიერები ინგლისურ-ამერიკულ სოციალურ დარვინიზმს უკავშირებენ.⁷

ჩვენს საამაყოდ უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნით ათი წლის ასაკს მიუღწეველი არასრულწლოვანის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის მისი მშობელი პასუხს აგებდა ბრალზე მითითების გარეშე.⁸

არასრულწლოვანის ქმედებით მიყენებული ზიანისათვის მშობლის პასუხისმგებლობა საკუთარი ბრალისათვის ფართოდ იყო დანერგილი საბჭოთა სამოქალაქო კოდექსებით (იხ.: მაგ., საქართველოს სსრ 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 464-ე მუხლი), რაც სოციალისტური ცხოვრების წესებისა და დარვინიზმის ხელოვნური შერჩევის მეთოდით ახალი ადამიანის აღზრდისა და ჩამოყალიბების თავისებურ იდეოლოგიას წარმოადგენდა. ვფიქრობთ, ანალოგიური მიდგომით ხასიათდება დღეს რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 1073-ე მუხლი. მასში ნათქვამია, რომ თოთხმეტ წლამდე ასაკის არასრულწლოვანის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხს აგებენ მათი მშობლები (მეურვეები) თუ ვერ დაამტკიცებენ, რომ ზიანი მათი ბრალით არ არის მიყენებული. ანუ კანონი უშვებს შესაძლებლობას, რომ არასრულწლოვანის მიერ მიყენებული ზიანი მისი მშობლის (მეურვის) ბრალეულ მოქმედებაზე იყოს დამოკიდებული. ამგვარი ბრალეული ქმედება კი, უნდა გამოვლინდეს ცუდ აღზრდაში და არასრულწლოვანზე სათანადო ზედამხედველობის განუხორციელებლობაში.⁹

საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო კოდექსმა თავი დააღწია ამგვარ იდეოლოგიურ წნეხს. კოდექსის 994-ე მუხლით, ახლა უკვე არასრულწლოვანის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის მეთვალყურეობაზე ვალდებული პირის (მშობლის) პასუხისმგებლობა გამოირიცხება, თუ მათ არ შეეძლოთ ზიანის თავიდან აცილება. როგორც ვხედავთ, აქ საუბარია არა ბრალზე, არამედ – შემთხვევითობაზე. მაგალითად, როცა მეთვალყურეობაზე ვალდებულმა პირმა (მშობელმა) ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო ზიანის თავიდან აცილება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა რომის სამართლისეული მოდელი აირჩია, რომელიც ასევე, მიესადაგება ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნით განმტკიცებულ პრინციპს, როცა მშობელი მისი დელიქტუუნარო შვილის მოქმედებისათვის ფაქტობრივად ბრალის გარეშე აგებს პასუხს. ამიტომ ვფიქრობთ, პროფესორ შ. ჩიკვაშვილის ზემოაღნიშნული დებულება რუსეთის სამოქალაქო კოდექსს უფრო მიესადაგება, ვიდრე – საქართველოს სამოქალაქო კოდექსს.

დაზღვევის ხელშეკრულება, როგორც პასუხისმგებლობა მესამე პირის მოქმედებისათვის. სამოქალაქო სამართლის მეცნიერებაში აქტიურად განიხილება საკითხი პასუხისმგებლობაში სადაზღვევო ურთიერთობის მნიშვნელობის თაობაზე. ო. იოფე და მ. შარგოროდსკი მიიჩნევენ, რომ უპირველესად, პასუხისმგებლობა არის სანქცია სამართალდარღვევისათვის, ამიტომ მცდარია მტკიცება იმის შესახებ თითქოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეული ზიანის მზღვეველის მიერ ანაზღაურება მისი პასუხისმგებლობაა.¹⁰ არსებობს აღნიშნული მოსაზრების საპირისპირო პოზიციაც,¹¹ რასაც უფრო ვეთანხმებით, რადგან პირი, რომელიც ხელშეკრულებით კისრულობს ვალდებულებას ან კანონით ევალდება სხვისი ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მის მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის, ბრალის ნიშნებისა და მის ქმედებაში სამართალდარღვევის არარსებობის მიუხედავად, იგი პასუხისმგებელ პირად უნდა იყოს მიჩნეული. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ

ო. იოფესა და მ. შარგოროდსკის პრინციპს გავყვებით – არ არსებობს პასუხისმგებლობა სამართალდარღვევის გარეშე – ასეთივე წარმატებით შეგვიძლია ვამტკიცოთ ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ მაგალითზე, რომ ქვემენარდის ბრალეული მოქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა შემკვეთის წინაშე გენერალურ მენარდეს არ ეკისრება, რადგან ზიანი ამ უკანასკნელის არამართლზომიერი მოქმედებით არ ყოფილა გამოწვეული. ამიტომ ნოტარიუსის სამოქალაქო პასუხისმგებლობის (იგივე ავტომფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის) დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის მზღვეველის მიერ ანაზღაურება სხვა არაფერია, თუ არა ამ უკანასკნელის მიერ ნოტარიუსის ნაცვლად პასუხისმგებლობით თავისი თავის შებოჭვა. წინააღმდეგ შემთხვევაში მივიღებთ, რომ ნოტარიუსის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის მაგალითიდან გამომდინარე, სანოტარო მოქმედების პროცესში კლიენტისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება, მაგრამ ისე, რომ პასუხისმგებელი სუბიექტი არ გვყავს, რაც არადაამაჯერებელი და შეუძლებელია.

მას შემდეგ რაც გავარკვიეთ, რომ სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება მზღვეველის პასუხისმგებლობაა, ახლა საჭიროა განვსაზღვროთ მისი ბრალეულობის საკითხი. აქ ორი მომენტი იქცევა ყურადღებას. თუ ზიანის მიყენების წყარო ხელშეკრულების სუბიექტია, მაგალითად, როგორც ეს ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ ნოტარიუსის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევასთან გვაქვს საქმე, მიჩნეული უნდა იყოს, რომ მზღვეველი პასუხს აგებს საკუთარი ბრალისათვის, რადგან ხელშეკრულებით თვითონ შეიბოჭა უფლება, რადგან ნოტარიუსის არამართლზომიერი მოქმედებისათვის იკისრა პასუხისმგებლობა. ასეთივე წესი უნდა გავრცელდეს მაშინაც, როცა ზიანის გამომწვევი, ანუ სადაზღვევო შემთხვევის წყარო არის ბუნება – წყალდიდობა, მიწისძვრა, გვალვა და ა.შ. სხვა შემთხვევასთან გვექნება საქმე, როცა სადაზღვევო შემთხვევის წყარო სადაზღვევო ხელშეკრულების არა მონაწილე სუბიექტია. ასეთ შემთხვევაში, მზღვეველს პასუხისმგებლობა დაეკისრება მესამე პირის მოქმედებისა და ბრალისათვის. მაგალითად, როდესაც სადაზღვევო კომპანიის მიერ დაზღვეულ ავტომანქანას გარეშე პირი დააზიანებს, მზღვეველი დამზღვევს ზიანს აუნაზღაურებს და თავის მხრივ, რეგრესის წესით მესამე პირს მოსთხოვს ზიანის ანაზღაურებას. პირველი შემთხვევისათვის კი, მზღვეველი ნოტარიუსის მიმართ რეგრესის უფლებას ვერ მოიპოვებს.

შენიშვნები:

- ¹ რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, პროფესორ ნუგზარ სურგულაძის თარგმანი, თბილისი, 2002, გვ. 214, 217.
- ² პრომისორი – პირი, რომელიც ვერბალური ან ლიტერალური ფორმით კისრულობს რაიმე მოქმედების შესრულებას.
- ³ რომის სამართლის ძეგლები, იუსტინიანეს ინსტიტუციები, თბილისი, 2002, გვ. 182-183.
- ⁴ წინამდებარე ნაშრომში ჩვენ არ განვიხილავთ შეზღუდული ქმედუნარიანი პირების პასუხისმგებლობის საკითხს, რადგან სამოქალაქო სამართალი მათთვის პასუხისმგებლობის განსხვავებულ რეჟიმს ადგენს.
- ⁵ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თინა ენუქიძემ, თბილისი, 1955, გვ. 96.
- ⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი II, ავტორთა კოლექტივი, მთავარი რედაქტორი ლადო ჭანტურია, თბილისი, 2001, გვ. 393.
- ⁷ კონრად ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, თბილისი, 2001, გვ. 338.
- ⁸ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, თბილისი, 1995, გვ. 96.
- ⁹ Комментарий к гражданскому кодексу Российской Федерации, часть вторая, Москва. 1999, стр. 680.
- ¹⁰ О. Иоффе, М. Шаргородский, Вопросы теории права, Москва, 1961, стр. 314 и др. "Ответственность есть прежде всего санкция за правонарушение, поэтому ошибочно утверждение, что страховщик несет ответственность за убытки вызванные наступлением страхового случая".
- ¹¹ иб.: Витольд Варкалло, Об ответственности по гражданскому праву, Москва, 1978, стр. 116.

LIABILITY FOR THE OWN ACTIONS AND ACTIONS OF THE THIRD PERSONS

TEA SUKHITASHVILI

*The PHD Student of the Law Faculty
of Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

Civil liabilities should be divided in accordance with the certain criteria, depending on the aim. There is difference in contractual and non contractual liability according to the grounds of their origin and according to its distribution (subsidiary and solidary) important type of liability is the one for own action and actions of the third persons. Liability for the own action is a very general rule and is based on the principle of guilt, which implies – there is no liability without the guilt. However, this does not mean that action, that has violated the right of the damaged, was committed by the responsible person. In practice, and not only, it is important to analyze liability for the action of the third persons. Presented article focuses on that.

In modern environment of diversified civil relations, it is practically impossible to strictly follow the principle – “no one is entitled to sign an agreement on behalf of a third person” or “a person may not be a debtor or a creditor if he / she does not participate in mandatory relations”. Bearing in mind, these circumstances, we tried to provide a comprehensive overview of the liability for third persons’ actions in contractual relations and liability for third persons’ actions in delict relations; We have split these two and described their peculiarities.

We consider especially important section of the article where we discuss the issue of guilt in relation with the liability for the action of the third persons. In certain cases, a person is kept liable for the actions of the third persons, or for the own guilt, or the guilt of a third party, that did not cause disputes in scientific literature so far. Defining issue of guilt also has another meaning. We believe that, in case of imposing liability for the for the action of the third persons, but he own guilt, respondent should not be granted the right of regressive request complaint, otherwise, imposing liability of the respondent provides grounds that the latter asks for the reimbursement from the guilty person through the regressive rule.

იჯარის ხელშეკრულება რომის სამართალსა და ქველ ქართულ სამართალში, როგორც თანამედროვე იჯარის ხელშეკრულების ისტორიული წინაპარი

ეკატერინე ლაფანი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი კერძო
სამართლის მიმართულებით*

I. შესავალი

იჯარის ხელშეკრულება იდება როგორც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, ისე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე, აგრეთვე, სხვადასხვა შენობა-ნაგებობების სარგებლობაში გადაცემის დროს. საქართველოში, ვიდრე მიწის პრივატიზაცია დაიწყებოდა, სასოფლო-სამეურნეო მიწების დაახლოებით 50% იჯარით იყო გაცემული. იჯარით შეიძლება გაიცეს როგორც მიწის ნაკვეთი, ასევე მთლიანად სასოფლო მეურნეობა. ასევე აღსანიშნავია, რომ გარკვეული სპეციფიკითა და თავისებურებებით ხასიათდება სახელმწიფოს მიერ კერძო პირებისათვის იჯარის ხელშეკრულებით გადაცემული ქონების საკითხი.

იჯარის ხელშეკრულება უძველესი დროიდან ფართოდ გამოიყენებოდა ქართულ სამართალში. ქონების სარგებლობაში გადაცემა, ნაყოფის (შემოსავლის) მიღების შესაძლებლობით, საშუა-

ლებას იძლევა, რომ სამოქალაქო სამართლის სუბიექტებმა ისარგებლონ ამ ქონებით და მიიღონ მისგან სარგებელი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მაშინ, როდესაც უძრავი ქონება ისე ძვირდება, რომ მათზე საკუთრების უფლების მოპოვება არა მარტო დაბალი ფენისათვის, არამედ საშუალო ფენისათვისაც თითქმის შეუძლებელია, იჯარის ხელშეკრულების გაფორმება საუკეთესო გამოსავალია.

იჯარის ხელშეკრულების ქირა გაცილებით ნაკლებია და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების რეალური შანსი საკმაოდ მაღალია. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილია, კიდევ უფრო დაიხვეწოს ეს ხელშეკრულება, რათა მხარეების, მეიჯარისა და მოიჯარის უფლებები საკმარისად იქნეს დაცული. პრაქტიკამ ცხადყო ის ნაკლოვანებები, რაც მას ახასიათებს. აღსანიშნავია, რომ იჯარის საკითხები სხვადასხვა ნორმატიულ აქტშია მიმოხილული, გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში, არსებობს გარკვეული შეუსაბამობა სამოქალაქო კოდექსსა და სხვადასხვა ნორმატიულ აქტებს შორის. გარკვეული სპეციფიკისაა სახელწიფოს საკუთრებაში არსებული როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე არასასოფლო სამეურნეო მიწის იჯარით გაცემის საკითხები. იმისათვის, რომ პრობლემა მოგვარდეს, აუცილებელია იჯარის ხელშეკრულების ისტორიული წარმომავლობის შესწავლა.

საინტერესოა, რომ იჯარის ხელშეკრულების საკითხები სხვადასხვა ქვეყნის სამართალში განსხვავებულად წესრიგდება, ძირითადი ნორმები სამოქალაქო კოდექსშია თავმოყრილი, ხოლო მიწასთან დაკავშირებით კი, ზოგიერთ ქვეყანაში მიღებულია მიწის კოდექსები, ზოგში კი – ცალკე კანონები სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე. 'დუალისტური სისტემის კერძო სამართლის ქვეყნებში ასეთად გვევლინება სამოქალაქო კოდექსები და დებულებები, რომლებიც ასევე, შეიცავენ სპეციალურ ნორმებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შესახებ. გარდა ამისა, უძრავი ქონების დაქირავებაზე – სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯარაზე, საცხოვრებელი სადგომისა და სავაჭრო სამრეწველო შენობების დაქირავებაზე ყველა განვითარებულ ქვეყანაში მიღებულია მრავალრიცხოვანი სპეციალური აქტები.'¹

II. იჯარის ხელშეკრულება რომის სამართლის მიხედვით

იჯარის ხელშეკრულება მიეკუთვნება იმ ხელშეკრულებათა რიცხვს, რომელიც ჯერ კიდევ, რომის ცივილური სამართლიდან არის ცნობილი. თანამედროვე იჯარის ხელშეკრულების პროტოტიპად რომის სამართალში ქონების ქირავნობის ხელშეკრულება გვევლინება.²

იმისათვის, რომ სრულყოფილად იქნეს გამოკვლეული საკითხი, აუცილებელია შესწავლა, თუ რა გზა განვლო, როგორ ჩამოყალიბდა ესა თუ ის ინსტიტუტი თანამედროვე სახით. ამიტომ მეტად საინტერესოა იჯარის ხელშეკრულების წარსულის გამოკვლევა და შესაბამისად, მოკლე ისტორიული ექსკურსი.

„...რომის სამართლის მიხედვით, მეიჯარეს ეკისრებოდა ვალდებულება, უზრუნველყო მოიჯარის სასარგებლოდ ნივთით დაუბრკოლებელი სარგებლობა.“³

რომაელები ერთმანეთისგან განასხვავებდნენ ორი სახის ქირავნობას: ნივთის ქირავნობას და მომსახურების ქირავნობას.⁴ კიდევ ერთი მოსაზრების მიხედვით, რომის სამართალში ქირავნობის სამი სახე არსებობდა: ნივთების ქირავნობა, მომსახურების ქირავნობა და სამუშაოს ქირავნობა ან ნარდობა. ამ სამ სახეს საერთო ის ჰქონდა, რომ ერთი მხარე ვალდებული იყო

შესაბამისი მხარისათვის სარგებლობის უფლება მიეცა, ხოლო მეორე მხარეს უნდა გადაეხადა ამ სარგებლობისათვის გარკვეული ფულადი ანაზღაურება.⁵ სწორედ ნივთების ქირავნობის ხელშეკრულება მიიჩნეოდა იჯარის ხელშეკრულებად. მინის ნაკვეთის მოიჯარეს ეწოდებოდა კოლონი, ხოლო საცხოვრებელი შენობების მოიჯარეს კი, ინკვილინი.⁶

მომსახურების ქირავნობის დროს საქმე ეხებოდა სამუშაო ძალის დაქირავებას, სავარაუდოდ, აქ იგულისხმება მონების იჯარით გაცემა. ამ დროს საგნად გვევლინება ხელით მუშაობა, რომელიც გარკვეული ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ ხორციელდებოდა. განსაკუთრებული პირობები იყო გათვალისწინებული თავისუფალი პროფესიის ადამიანებისათვის.⁷

იუსტინიანეს დიგესტების მიხედვით, ქირავნობის ხელშეკრულება განხილულია, როგორც ნასყიდობის (ყიდვა-გაყიდვის) ხელშეკრულების მსგავსი ხელშეკრულება. ამავე დიგესტების მიხედვით, ქონების ქირავნობისა და ნასყიდობის ხელშეკრულება სამართლის ერთსა და იმავე ნორმებს ექვემდებარებოდა. ამ შეხედულების საფუძველია, ის რომ ნასყიდობის ხელშეკრულება ითვლება დადებულად, როცა მხარეები სასყიდელზე (ფასზე) შეთანხმდებოდნენ. ხოლო ქირავნობის ხელშეკრულება მაშინ ითვლებოდა დადებულად, თუ შეთანხმდებოდნენ ქირაზე. ამავე შეხედულების მიხედვით, ეს ორი ხელშეკრულება ისე ჰგავს ერთმანეთს, რომ ხშირ შემთხვევაში, გარჩევა, თუ რომელი ხელშეკრულებაა დადებული: ქირავნობის თუ ნასყიდობის, საკმაოდ ძნელია.⁸

რომაელი იურისტები ნასყიდობისა და ქირავნობის ხელშეკრულებას შორის განსხვავებას იმაში ხედავდნენ, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების დროს მყიდველი იძენდა მუდმივ მფლობელობას, მაშინ როცა ქირავნობის დროს ნივთი, მომსახურება, სამუშაო დროებითი ხასიათის იყო.⁹

ეს ორი ხელშეკრულება იმდენად განსხვავებული ნიშნებით ხასიათდებოდა, რომ მათი მგავსება მხოლოდ ფასის განსაზღვრის ნიშნით მართებული არ უნდა იყოს... ნასყიდობის ხელშეკრულებით ხდება საკუთრების უფლების გადაცემა, ხოლო იჯარა-ქირავნობის ხელშეკრულების დროს კი, დროებით სარგებლობაში გადაცემა. რაც ადასტურებს, რომ ამ ორი ხელშეკრულების ერთ სამართლებრივ ჭრილში განხილვა ვერ მოხერხდება.

იჯარის ხელშეკრულების დასადებად აუცილებელი იყო ხელშეკრულების საგნისა და ქირის განსაზღვრა და შესაბამისად, ეს ორი პირობა იყო არსებითი.

იყო რა კონსენსუალური, ხსენებული ხელშეკრულება ეყრდნობოდა თვით შეთანხმებას ქირავნობის შესახებ და იურიდიული ძალის მოსაპოვებლად, ამ ხელშეკრულებაში გარდა ქირავნობის საგნისა, უნდა ყოფილიყო ფიქსირებული და დადგენილი დაქირავებული შრომის საზღაური – ქირა. ამასთან, აუცილებელი იყო, რომ ქირა განსაზღვრულიყო გარკვეულად როგორც ორივე მხარის ნება და არა როგორც ერთ-ერთი კონტრაჰენტის ნება.

რომის სამართლის მიხედვით, ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად მიჩნეული იყო ვადის გასვლა. თუმცა ეს არ გამოირიცხავდა, რომ ხელშეკრულება ვადის გასვლის შემდეგაც გაგრძელებულიყო მდუმარე განახლების გზით. ამ შემთხვევაში, დამქირავებელი სარგებლობდა დაქირავებული ნივთით, ხოლო გამქირავებული რეგულარულად ლეზულობდა ქირას და შესაბამისად, თუ რომელიმე მხარეს არ ჰქონდა ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილი – ხელშეკრულების ვადა ითვლებოდა გაგრძელებულად. როცა დაქირავებულ „ნივთს“ დამქირავებლისათვის უკვე აღარ მოჰქონდა დაპირებული ეფექტი, მაშინ დამქირავებელი უფლებამოსილი იყო ცალმხრივად მოეშალა ხელშეკრულება.¹⁰

ასეთივე უფლებას იძენდა გამქირავებელიც, როდესაც მას დაქირავებული ნივთი სჭირდებოდა ან როდესაც დამქირავებელი დაქირავებული ნივთის ქირას არ იხდიდა ზედიზედ ორი წლის მანძილზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მეიჯარე გადასცემდა მოიჯარეს ნივთს იმ მიზნით, რომ ესარგებლა და მიეღო ნაყოფი.¹¹

რაც შეეხება ხელშეკრულების ვადის საკითხს რომის სამართლის მიხედვით, შესაძლებელი იყო ხელშეკრულების დადება ვადის განუსაზღვრელად. ამ შემთხვევაში, მხარეებს უფლება ჰქონდათ ნებისმიერ დროს გასულიყვნენ ხელშეკრულებიდან, მაგრამ ერთი მხარის მიერ შესრულება მეორე მხარესაც ავალდებულებდა... კერძოდ, ეს ის შემთხვევაა, როცა მოიჯარე წინასწარ გადაიხდიდა საიჯარო ქირას და ეს უკვე ავალდებულებდა მეიჯარეს დაეცვა ხელშეკრულება შესაბამისი ვადის განმავლობაში.¹²

რომის სამართალში საკმაოდ მკაცრი წესები იყო იმ პირისათვის, რომელიც დაქირავებულ ნივთს არ დააბრუნებდა ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ.

კერძოდ, თუკი დამქირავებლის მიერ ნივთის დაუბრუნებლობის გამო საქმე სასამართლომდე მივიდოდა, მაშინ ასეთი დამქირავებელი ქონების დამტაცებლად განიხილებოდა და მას ეკისრებოდა არა მარტო დაქირავებული ნივთის უკან დაბრუნება, არამედ ამ ნივთის ღირებულების გადახდის ვალდებულებაც.

აღსანიშნავია, რომ რომის სამართალი ეფუძნებოდა ნივთის ქირავნობის ხელშეკრულების ვალდებულებითსამართლებრივ ხასიათს. თანამედროვე სამოქალაქო სამართლისათვის კარგადაა ცნობილი ქონების ქირავნობის სანივთოსამართლებრივი ხასიათი: ნივთზე მიდევნების თვისება და დამქირავებლის, როგორც მფლობელის, სანივთოსამართლებრივი დაცვა, რაც რომის სამართალში არ არსებობდა. ეს წესი ნათლად იკვეთება გაქირავებული ნივთის გასხვისების დროს. ამ დროს გასხვისების ფაქტის გამო ქირავნობის ხელშეკრულება თავისთავად არ წყდებოდა.

ამ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა გამქირავებელს ეკისრებოდა. დამქირავებელს ნივთით სარგებლობის უფლება გასხვისების შემდეგ იმ შემთხვევაში ენიჭებოდა, თუკი ახალი მესაკუთრე თანხმობას განაცხადებდა.

რომის სამართლის რეცეპციის შედეგად ევროპის ქვეყნების სამოქალაქო სამართალმა განიცადა დიდი გავლენა და შეითვისა ქონების ქირავნობის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები. ამ მიზეზის გამო, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, ქონების ქირავნობის ხელშეკრულება დღემდე ინარჩუნებს თავის არსს.¹³

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში იჯარის ხელშეკრულება იმავე ძირითადი ნიშანთვისებებით ხასიათდება, რა ნიშნებითაც რომის სამართალში ქონების ქირავნობის (იჯარის) ხელშეკრულება ხასიათდებოდა.

III. იჯარის ხელშეკრულება ძველი ქართული სამართლის მიხედვით

1. იჯარის ცნების მოკლე ისტორია

ძველი ქართული სამართლიდან მოყოლებული იჯარის (ქონების ქირავნობის) ხელშეკრულება მიეკუთვნება იმ ხელშეკრულებათა რიცხვს, რომელიც ჯერ კიდევ, რომის ცივილური სამართლიდან არის ცნობილი. თანამედროვე იჯარის ხელშეკრულების პროტოტიპად რომის სამართალში ქონების ქირავნობის ხელშეკრულება გვევლინება.

ძველ ქართულ სამართალში იჯარის ხელშეკრულება მეტად ფართოდ გამოიყენებოდა. ამას მონიშნავს არაერთი ძველი ქართული სამართლის ისტორიული ძეგლი. ქართულ ვალდებულებით სამართალთან დაკავშირებით არაერთ მკვლევარს გამოუთქვამს თავისი აზრი. ივანე ჯავახიშვილის კვლევის მიხედვით, მიწის ალებ-მიცემობა ხდებოდა სამშენებლოდ, სააღალოდ, საბეგროდ და საკაბალოდ. მიწის ალება გასაშენებლად გულისხმობდა „ყანის“ გაცემას ან „სანახევროდ“ ან „საზიაროდ“, ამ ორ ტერმინს განსხვავებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. სავარაუდოდ, „ყანაა საზიარო“ საერთო მფლობელობასაცა და დამუშავებასაც გულისხმობდა და რასაკვირველია, მოსავლის თანასწორად გაყოფასაც, ე. ი. ორთავე მონაწილეს აქაც მოსავლის ნახევარ-ნახევარი ერგებოდა. ტერმინი „ყანაა სანახევრო“ კი, თითქოს მარტო მოსავლის ნახევრის უფლებაუნარიანობის გამომხატველი უნდა ყოფილიყო.¹⁴ კარგად თუ დავეუკვრებოთ, შესაძლებელია მსგავსების აღმოჩენა დღევანდელ აღნაგობის ხელშეკრულებასთან, კერძოდ, მიწის ალება ხდებოდა ვენახის გაშენების მიზნით და ვენახის ნახევარი მოსარგებლის საკუთრება ხდებოდა. მსგავსება არის იმაშიც, რომ არამესაკუთრე გამშენებელს უფლება ჰქონდა კუთვნილი ვენახის ნაცვლად პატრონისაგან მისი საფასური აეღო. ხოლო რაც შეეხება „სანახევრო ყანას“ ის, ამ შემთხვევაში, ნათელია მისი მსგავსება დღევანდელ იჯარის ხელშეკრულებასთან, ვინაიდან სწორედ ნაყოფის მიღების (მოსავლის სახით) უფლება ჰქონდა ამ ტიპის მოსარგებელს და მოსავლის ნახევარს ქირის სახით უხდიდა მესაკუთრეს, ანუ ხდებოდა ქირის ნატურით გადახდა.

მიწის სააღალოდ გაცემა-მიღების საკითხი გარკვეულწილად ბუნდოვანია. ირკვევა, რომ ხდებოდა სააღალოდ გაცემა გლეხებზე. არ ჩანს სააღალოდ გადასაცემი მიწის გადასაცემ პირთა წრე. დაბოლოს, „ღალა“ დასამუშავებლად ალებული მიწის ქირას წარმოადგენდა, ამასთანავე სულადად, თვით მოსავლის გარკვეული რაოდენობით (პროცენტით) გადახდილს. „ბეგარა“ სხვისი უძრავი საკუთრების პატრონთან შეთანხმებულ სარგებლობა-გამოყენებას წარმოადგენდა. საბეგროდ ალებული მიწის სამაგიეროდ მებეგრეს პირადი და ქონებრივი ვალდებულება აწვა, რომელიც გარკვეული სამსახურითა და მოსაცემლით გამოიხატებოდა.¹⁵

მაშასადამე, საბეგროდ და სააღალოდ გაცემა-ალება ორივე გარკვეული საფასურის სანაცვლოდ სარგებლობაში გადაცემას ნიშნავდა. ორივე შემთხვევაში, მხარეებს შორის წარმოიშობოდა ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობა. ჩვენი აზრით, შორეულ წარსულში არსებული ურთიერთობები ეს დღევანდელი ქირავნობისა და იჯარის ხელშეკრულებების შორეული წინაპარია. მართალია ფეოდალური წყობილება იყო, თავისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით და თანამედროვე თანასწორუფლებიანობისაგან შორს მდგარი, მაგრამ სავსებით ცხადია, რომ ამ შემთხვევაში, მიწის ასეთი ფორმებით ალებ-მიცემას ახასიათებდა სარგებლობაში გადაცემის ხელშეკრულებების ელემენტები. ვინაიდან ისეთი ძირითადი მახასიათებლები, როგორცაა სარგებლობაში გადაცემა გარკვეული ქირის სანაცვლოდ, რაც გულისხმობს ნაყოფის მიღების შესაძლებლობასაც, სწორედ დღევანდელი იჯარის ხელშეკრულების არსებითი პირობაა.

ივანე ჯავახიშვილი გამოთქვამს მოსაზრებას, ტერმინ „კაბალასთან“ დაკავშირებით. კერძოდ, „კაბალა“ არაბულიდან მოდის და „ნიშნავს ხელშეკრულებას, სიმტკიცეს, დასასრულ, იჯარასა და საიჯარო ფულსაც ნიშნავდა. „კაბალა“ მოსკოვის სამეფოს XVI ს. სოციალური ცხოვრების ტერმინოლოგიაშიც იყო მიღებული და თათრების წყალობით იყო რუსეთში შესული. თათრულ საბუთებში კაბალა ვალის ხელწერილის მნიშვნელობითაც იხმარებოდა... ქართული ძეგლების ცნობები საკაბალოდ მიცემის შესახებ რუსულ წყაროებთან შედარებით რამდენიმე საუკუნით

ადრინდელია და მათ შორის, ქრონოლოგიურის გარდა, არსებითი განსხვავებაცაა: თუ რუსეთში კაბალა ვალს ნიშნავდა და აღებულ ვალში გადასახდელ სარგებელს, საქართველოში უძრავ ქონებას ეხება: „ნიკორწმინდელს ცხილათის „მინა“ შეუძენია („მობიგე“) და იმათთვისვე, ვისგანაც შეუძენია, მიუცია „საკაბალოდ“. ის გარემოება, რომ საბუთში ნათქვამია, ამის „მონმე არიან კაცნიო“ ცხადყოფს, რომ მინის საკაბალოდ მიცემა ვალდებულებითს ხელშეკრულებას წარმოადგენდა.“¹⁶

ამავე მოსაზრებას ავითარებს იაკობ ფუტყარაძე თავის ნაშრომში, როდესაც წერს, „ქონებრივი ქირავნობის სახე და მონათესავე ინსტიტუტები მეცამეტე საუკუნემდელი მასალების მიხედვით, ივანე ჯავახიშვილმა განიხილა თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „ქართული სამართლის ისტორია.“ ამ ნაშრომში, სახელდობრ კი, ვალდებულებითი სამართლისათვის განკუთვნილ განყოფილებაში, განსახილველ საკითხებს ეხება მე-4 თავი. აქ კვლევის საგანია სხვისი მინის დამუშავებითა და ხმარებით წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობანი.“¹⁷

ადრეულ პერიოდში ქირავნობასა და იჯარას შორის მკვეთრი მიჯნა არ იყო გავლებული. ტერმინი „იჯარა“ საკმაოდ ადრეული პერიოდიდან ჩნდება, მაგალითად, თამარ ჩიტოშვილის აზრით, „ტერმინი „იჯარა“ უძველესი დროიდან არის ჩვენს ენაში შემოსული.“¹⁸ მაგალითად, „ამას ვევედრებოდით მათს სიმაღლეს ქარელში რომ სამღებრო არის, იმის იჯარის წყალობა მიყოთ, როგორც ბატონის თქვენის წყალობის წიგნი მქონდეს, ნუმც თქვენ მომიშლით,“¹⁹ ეს მონმობს, რომ ჯერ კიდევ, ფეოდალურ პერიოდში იჯარა საკმაოდ ფართოდ გამოიყენებოდა.

ძველ ქართულ სამართალში ქირავნობისა და მის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებითი ურთიერთობების გამოსახატავად გამოიყენებოდა ტერმინი „ქირა“ და „მიზდი.“ ტერმინი „ქირა“ და მისი ძირისაგან ნაწარმოები სხვა სიტყვები აღბულა ათაბაგ-ამირსპასალარისა და ვახტანგ VI-ის სჯულდებლობაში გვხვდება. ეს ტერმინი გვხვდება, აგრეთვე ვახტანგ მეფის „დასტურლამაში.“²⁰

2. მხარეთა ნების თავისუფლების ნიშნები

გვიანფეოდალური პერიოდის ქართული მასალებიდან ირკვევა, რომ „სამღებროთა იჯარა სრული ნებაყოფლობისა და თავისუფალი შესაქმების შედეგია. საიჯაროდ გამოცხადებული საქმე გარკვეული ხნის განმავლობაში (40 დღე) ღიაა კონკურენტებისათვის: ვინც მეტს გაიღებს, მას მიეცემა.“²¹ აღნიშნული მონაკვეთი მონმობს, რომ ტერმინი იჯარა გავრცელებული და მიღებული იყო სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში და მხარეთა ნების თავისუფლების ნიშნებითაც ხასიათდებოდა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ კონკურენციის ელემენტები ჩნდება, ანუ 40 დღის განმავლობაში შეეძლო ყველას განეცხადებინა თავისი სურვილი იჯარის ხელშეკრულების დადების შესახებ, მაგრამ ამ პირობების მიხედვით, გაიმარჯვებდა ის, ვინც ყველაზე მეტ თანხას გაიღებდა, ანუ ის, ვინც დააკმაყოფილებდა კონკურსის პირობებს. თავისუფლების ელემენტებია, აგრეთვე, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნიც.

მართალია, „ფეოდალური სამართლისათვის უცხოა დაყოფა სამოქალაქო, საოჯახო და ადმინისტრაციულ დარგებად და ა. შ. მასში უმეტესად ჩვეულების ხელშეკრულება – სიგელებისა და სერვიტუტების გზით ყალიბდება და ჯგუფდება პატრონყმობის განმსაზღვრელი ნორმები – საეკლესიო, სამოქალაქო და სხვა.“ შესაბამისად, ასეთი დაყოფა არ არსებობს, მაგრამ ცალკეული

ძეგლების შესწავლისას ირკვევა, რომ საკმაოდ კარგად იყო განვითარებული სამოქალაქო სამართალი და არა მარტო სამოქალაქო სამართალი, მაგალითად, დავით ბატონიშვილის სამართალში ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტებიდან მოწესრიგების საგანს წარმოადგენს ნასყიდობა, გაცვლილობა, ჩუქება, სესხი, ნათხოვრობა, ანაბარი და ამანათი, ქონების ქირავნობა, პირადი ქირავნობა და ა. შ. რაც ნიშნავს, რომ მართალია, ფეოდალურ სამართალში არ იყო დაყოფა სამართლის დარგებად, მაგრამ მათი შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ სამართლის სხვადასხვა დარგებისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტები არსებობს და ვითარდება. მათი დამახასიათებელი ზოგიერთი ელემენტი დღემდე შემორჩენილია უმნიშვნელო ცვლილებებით. მაგალითად, ჩვენს განსახილველ საკითხს რაც შეეხება, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იჯარის (ქირავნობის) ხელშეკრულებას ახასიათებს ნების გამოვლენის თავისუფლების ელემენტები. კერძოდ, იჯარის ხელშეკრულება ფეოდალურ პერიოდშიც მხარეთა ნების შეთანხმების საფუძველზე იდებოდა.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ქონებრივი ქირავნობის ურთიერთობანი მხარეთა ნების გარდა სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგადაც მყარდებოდა. „გამონაკლისის სახით, ძველ ქართულ სამართალში დასტურდება ისეთი შემთხვევა, როდესაც ქირავნობის საფუძველს არ წარმოადგენდა ხელშეკრულების მხარეთა თავისუფლად გამომჟღავნებული ნება.“²²

3. ქირავნობის სახეები ძველ ქართულ სამართალში

დავით ბატონიშვილის სამართალში ცალკეა საუბარი „უძრავის ქირავნობაზე,“ ცალკეა გამოყოფილი „პირუტყვის ქირავნობა.“ ორივე შემთხვევაში საუბარია ქონების სარგებლობაში გადაცემაზე და იგულისხმება, რომ როგორც მიწა, ასევე პირუტყვი სარგებლობაში გადაეცემოდა არა მარტო სარგებლობის მიზნით, არამედ ნაყოფის მიღების მიზნითაც.

მართალია, ამ შემთხვევებში საუბარია ქირავნობაზე, მაგრამ ვინაიდან იჯარისა და ქირავნობის ხელშეკრულებები თავისი არსით მსგავსი ხელშეკრულებებია, თანაც განხილულ სამართლის ძეგლში ივარაუდება ნაყოფის მიღების შესაძლებლობაც, ლოგიკურია დასკვნა, რომ ამ შემთხვევაში, ეს ხელშეკრულებები დღევანდელი იჯარის ხელშეკრულების წინაპარია. ყოველივე ზემოაღნიშნული მოწმობს იჯარის ხელშეკრულების დიდ მნიშვნელობას არა მარტო დღეისათვის, არამედ წარსულშიც. სამოქალაქო სამართლის თვალსაზრისით, საინტერესოა, ვახტანგ მეექვსის სამართლის ნიგნთა კრებული, სადაც საუბარია ქირავნობის საკითხზე, კერძოდ, „ვინ ვისგან ითხოვოს ქირითა და დაიჭიროს მიწა ანუ სხვა რამე... ვინ ვისგან იქირაოს მოძრავი თუ უძრავი,“²³ აქედან ირკვევა, რომ ქირავნობა ხდებოდა ნაყოფის მიღების მიზნითაც, ასევე, ხდებოდა როგორც უძრავი, ისე მოძრავი ნივთების ქირავნობა. ეს ქირავნობა კი, ჩვენი აზრით, სხვა არაფერია, თუ არა დღევანდელი იჯარის ხელშეკრულების წინაპარი.

იჯარა და ქირავნობა ფეოდალურ სინამდვილეში მომეტებულადაც კი იყო განვითარებული, ვინაიდან ისინი საკუთრებას მოკლებულ ადამიანებს ხელს უწყობდნენ გარკვეული მიზნების აღსრულებაში. შესაბამისად, ამ ინსტიტუტებში სახელშეკრულებო თავისუფლებაც საკმარისადაა გათვალისწინებული, რაც შეუფერხებელი ბრუნვისათვის იყო აუცილებელი. „მასალებიდან ირკვევა, რომ ქირავნობის ხელშეკრულება, ფორმალურ-იურიდიული გაგებით მაინც, მხარეთა ნების თავისუფალი გამოვლინებით წარმოიქმნება.“²⁴ თუმცა, მხარეთა შორის უფლება-მოვალეობათა სამართლიანი ბალანსი ხშირად დარღვეულია – დამქირავებელი არაკეთილსინდისიერებისათვის გადამეტებულად ისჯება. ასე მაგალითად, თუ დამქირავებელი არ გადაიხდის ქირას

და ამასთან, გამქირავებელსაც უჩივლებს, მავინროებსო და გამტყუნდება, მან ქირაც უნდა გადაიხადოს, საქონელიც უნდა დააბრუნოს და მისი ფასიც უნდა გადაიხადოს.²⁵

4. ქირის საკითხები

დღეისათვის, ტერმინი „ქირა“ გამოიყენება როგორც ქირავნობის, ისე იჯარის ხელშეკრულებებში დათქმული სასყიდლის გამოსახატავად. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს ტერმინი დამკვიდრდა ძველ საქართველოში და დღემდე თითქმის იმავე მნიშვნელობით გამოიყენება.

„ქირის ოდენობას, ფორმალურ-იურიდიულად, ხელშემკვრელი მხარეები თანასწორუფლებიანობის საწყისებზე მიღწეული ურთიერთშეთანხმებით ადგენდნენ. ისინი ანგარიშს ასწორებდნენ შეთანხმების მიხედვით.“²⁶ ზოგადსამართლებრივი წესით საზღაური თავისუფალი მოლაპარაკების გზით უნდა განესაზღვრათ გამქირავებელსა და დამქირავებელს. საინტერესოა, რომ ქირის საკითხი ისეთივე სახით წყდებოდა როგორც თანამდროვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით წესრიგდება, კერძოდ, როგორც იჯარის, ისე ქირავნობის ხელშეკრულების დადებისას მოიჯარემ (დამქირავებელმა) მეიჯარეს (გამქირავებელს) უნდა გადაუხადოს დათქმული საიჯარო ქირა.

თუმცა, ძველი ქართული სამართლის წყაროებიდან ის ფაქტიც იკვეთება, რომ ოდენობის განსაზღვრის მხრივ გადამწყვეტი სიტყვა, ჩვეულებრივ, ნივთის მესაკუთრეს ეკუთვნოდა. ასე მაგალითად, ვახტანგის სამართლის 250-ე მუხლში, ის ნაწილი, სადაც კანონმდებელი საჭიროდ მიიჩნევს ღალაზე „შერიგებას“ მინის „პატრონობის პირობით.“²⁷ თუმცა ეს, არ ნიშნავს, რომ თუ მოიჯარეს „ღალის“ საკითხი განუზომლად მაღალი მოეჩვენებოდა, მას არ შეეძლო უარის თქმა ასეთ ურთიერთობაზე.

ქირის გადახდის პერიოდულობის საკითხიც მხარეთა შეთანხმებით წყდებოდა, კერძოდ, ქირის გადახდა შეიძლებოდა მომხდარიყო დათქმული პერიოდულობით, დასაწყისში ან დასასრულს. თუ მინას ნაგებობის აშენების მიზნით აიღებდნენ, მაშინ დამქირავებელი ქირას ჩვეულებრივ იხდიდა და სარგებლობდა, ვიდრე გამქირავებელი შენობის ფასს არ გადაუხდიდა. აქ აღსანიშნავია, რომ ქართული სამართლის მიხედვით, რუსულისაგან განსხვავებით, ნაგებობა არ განიხილებოდა ვითარცა მინის სარგებლობის საზღაური. ასეთი სახის ქირავნობა სხვა არაფერია თუ არა დღევანდელი აღნაგობა, რომელიც სწორედ შენობის აგების მიზნით იდება. მაგრამ დღევანდელი აღნაგობისაგან სწორედ ვადის საკითხით²⁸ განსხვავდება, რადგან აღნაგობის ვადა არა უმეტეს 49 წელი. ხოლო ასეთი იჯარის ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით დადებულად ითვლებოდა. ამ მოსაზრების დასტურია შემდეგი – „...მინის ნაკვეთის ქირავნობა ხდებოდა ნაგებობის სამშენებლოდ. ნაგებობა ხელშეკრულებით დათქმული ვადის გასვლის შემდეგ რჩებოდა მინის მესაკუთრეს, რომელსაც მასზე საკუთრების უფლება მისი აშენებისთანავე წარმოეშობოდა... ამგვარი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი იყო, რომ მისი მოქმედების ვადა 20-25 წელს და ზოგჯერ, უფრო მეტხანსაც გრძელდებოდა. თუ შევადარებთ ქირავნობის ამ ნიშან-თვისებას რომაულ სუპერფიციასთან, რომლიდანაც თანამედროვე აღნაგობის უფლებას დაედო საფუძველი, აშკარად ჩანს მათი მსგავსება.“²⁹

დავით ბატონიშვილის სამართალში საუბარია როგორც ქირის გადახდაზე, ასევე, ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურებაზეც. „...მსაჯულნი, არათუ, მხოლოდ იმას მიაცემინებენ, რაოდენსაცა რამეს შეჰპირებია, და კვალად მასაც, რაოდენიცა უგულისმოდგონლეო-

ბითა და დაუდევნელობითა წაუხდენია.³⁰ პირუტყვის ქირავნობისას განხილულია ის შემთხვევა, თუკი პირუტყვი მოუვლელია დაშავდება ან მოკვდება. ამ შემთხვევაში, დამქირავებელი ვალდებულია „ნაცვლად მისა აღუდგინოს პატრონსა მისსა.“ მეიჯარე (დამქირავებელი) პასუხს აგებდა აგრეთვე იჯარით აღებული ნივთის (დაქირავებული ნივთის) დაზიანებისა და განადგურების შემთხვევაში. რაც სავსებით სამართლიანი და ლოგიკურიცაა.

ქირის გადახდა შეიძლებოდა ფულით ან ნატურით. ძირითადად, ქირის გადახდა ფეოდალური ურთიერთობიდან გამომდინარე, ნატურით ხდებოდა. თუმცა, არ იყო გამორიცხული ქირის ფულადი სახით გადახდაც. ქირა ამა თუ იმ სამსახურის განვეითაც შეიძლებოდა გასტუმრებულიყო. ცალკეულ შემთხვევებში, ქირის გადახდის ნატურალური, ფულადი და შრომითი ფორმების შეერთება-შეხამებაც არ იყო გამორიცხული. საზღაურის რაგვარობა ზუსტად, სახელდებით უნდა ყოფილიყო ხელშეკრულებაში აღნიშნული და განსაზღვრული. თანამედროვე სამოქალაქო სამართალშიც ქირის საკითხები ანალოგიურად წესრიგდება, კერძოდ, მოიჯარეს ქირის გადახდა შეუძლია როგორც ფულით, ისე ნატურით და დათქმული პერიოდულობით. ქირის ურჩ გადახდელს ძველი ქართული კანონმდებლობით ჯარიმა ეკისრებოდა. ახალი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, დამქირავებელს შეუძლია ხელშეკრულება მოშალოს ვადამდე, თუ დამქირავებელმა ქირა არ გადაიხადა სამი თვის განმავლობაში. დიგესტების მიხედვით კი, ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად მიიჩნეოდა დამქირავებლის მხრიდან ორი თვის ქირის გადაუხდელობა.³¹

5. ვადა

ძველ ქართულ სამართალში იჯარის ხელშეკრულების ვადის საკითხი განსაკუთრებული თავისებურებებით არ ხასიათდება. როგორც ჩვენამდე მოღწეული ძეგლებიდან ირკვევა, იჯარის (ქირავნობის) ხელშეკრულება იდებოდა განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. ძველ ქართულ სამართალში ქონების ქირავნობის ესა თუ ის კონკრეტული ვადა არ იყო განსაზღვრული ფეოდალური საქართველოს კანონმდებლობით: ვადების დადგენა, მხარეთა ნება-სურვილის მიხედვით ხდებოდა. განუსაზღვრელი ვადით ქირავნობის ხელშეკრულების დადების მტკიცებულებაა, რომ როდესაც ნაგებობის აშენება ხდებოდა დაქირავებულ მიწაზე, მაშინ ქირავნობა დადებულად ითვლებოდა იმ ვადით, ვიდრე დამქირავებელი შენობის საფასურს არ გადაუხდიდა დამქირავებელს. ეს კი, წინასწარ, გარკვეული არ იყო, ამიტომაც ასეთი ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით დადებულად ითვლებოდა. საინტერესოა ი. ფუტყარაძის კვლევა იჯარის ხელშეკრულების ვადის საკითხთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, საქართველოსა და მთელ კავკასიაში XIX–XX საუკუნეთა მიჯნაზეც მიწის გრძელვადიანი იჯარის ვადა დაახლოებით 4–30 წლით განისაზღვრებოდა. საერთოდ კი, მემამულეს უფრო აინტერესებდა მოკლევადიანი იჯარა, ვინაიდან ასეთ ვითარებაში მას ქირის გაზრდის მეტი შესაძლებლობა ექმნებოდა. მოკლევადიანი იჯარის პრაქტიკა ფართოდ იყო გავრცელებული გვიანფეოდალურ საქართველოში. როგორც წესი, ერთი წლით იდებოდა ხოლმე სამღებროს, აბანოს, წისქვილისა და სხვათა საიჯარო ხელშეკრულება. თუ მხარეები იჯარის ვადის გასვლის შემდეგ კვლავ მოისურვებდნენ სამართლებრივ ურთიერთობათა გაგრძელებას, მაშინ ისინი ახალ ხელშეკრულებას დადებდნენ.³²

6. ფორმა

საინტერესოა იჯარის (ქირავნობის) ხელშეკრულების ფორმის საკითხიც. ქონების ქირავნობა ჩვეულებრივ, ზეპირად იდებოდა. არ ჩანს, საჭირო იყო თუ არა ამ დროს მონმეთა თანდასწრება. როგორც ი. ფუტკარაძის კვლევებიდან ირკვევა, სიტყვიერად და მონმეების გარეშე ხდებოდა ცხენის, ჯორის თუ სხვა ტვირთმზიდი პირუტყვის ქირავნობა. გავრცელებული იყო აგრეთვე, საიჯარო ხელშეკრულების წერილობითი ფორმაც. წერილობითი ხელშეკრულების დადებას მონმეებიც ესწრებოდნენ ხოლმე და საბუთში მათი ვინაობაც აღინიშნებოდა. მონმეებთან ერთად საბუთის დამწერის ვინაობის აღნიშვნაც იყო მიღებული. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა საბუთის შედგენის თარიღის მითითებაც, რამდენადაც ხელშეკრულების ვადა სწორედ აქედან იანგარიშებოდა.³³ საბუთი მოიჯარის სახელით გაიცემოდა და იყო განვითარებული და შესაბამისად, ბევრი საკითხი გადმოტანილია ახალ ქართულ სამართალში.

აგრეთვე, წერილობით ფორმდებოდა მიწის აღება ვენახის გასაშენებლად. აქედან ჩანს, რომ არსებობდა მიწის ნაკვეთის დროებით სარგებლობაში გადაცემა ვენახის გაშენების მიზნით. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, თუ როგორი განვითარებული ყოფილა საქართველოში სახელშეკრულებო სამართლის საკითხები.

7. გაქირავებული ნივთით სარგებლობის უფლების შენარჩუნება მესაკუთრის მიერ

ძველი ქართული სამართლის მიხედვით, ერთმანეთისაგან არ იმიჯნებოდა უძრავი და მოძრავი ნივთების ქირავნობა.

გამქირავებელი ზოგჯერ ინარჩუნებდა გაქირავებული ნივთით სარგებლობის უფლებას, რაც საგანგებოდ, სახელდებით და ზუსტად უნდა ყოფილიყო აღნიშნული ხელშეკრულებაში. ასეთი პირობის დათქმას საგნის ბუნებრივი თვისებები, ნივთის რაგვარობა განაპირობებდა. ქართული დოკუმენტებით დასტურდება იჯარით გაცემულ აბანოში მეპატრონის ოჯახის წევრთა უფასო ბანაობის შესაძლებლობა: „თქვენი აბანო იჯარით მოგვეცით... პატრონები რომელიც მოხვიდეთ, უსტუმროთ, საბანებლათ თქვენ თეთრი არ უნდა გამოგართოთ.“³³

ამ საკითხზე საუბრისას უნდა ითქვას, რომ დღევანდელი სამოქალაქო კოდექსი გაქირავებული ნივთით დამქირავებლის სარგებლობის თაობაზე არაფერს ამბობს. თუმცა, შესაძლებელია იმის ვარაუდი, რომ თუ მხარეები შეათანხმდებოდნენ, მაშინ შესაძლებელი იყო, რომ გაქირავებულს შეენარჩუნებინა გაქირავებული ნივთით სარგებლობის უფლება. ძველი ქართული სამოქალაქო სამართალი უამრავ დისპოზიციურ ნორმებს შეიცავდა და მხარეებს აძლევდა არჩევის თავისუფლებას.

სავსებით ცხადია, რომ „...ქირავნობა და იჯარა ყველა დროის სამართალში განვითარებულია, ვინაიდან ისინი სახელმწიფოსა და საზოგადოების ეკონომიკური არსებობის განმსაზღვრელ ინსტიტუტებს წარმოადგენდნენ.“³⁴

იჯარის ხელშეკრულების განხილვისას გამოიკვეთა, რომ ჯერ კიდევ, ადრეფეოდალურ პერიოდში ჩანს იჯარის ხელშეკრულების ჩანასახი. გარდა ამისა, საკმაოდ კარგადაა განვითარებული ხელშეკრულების თავისუფლების ელემენტები, მართალია არა იმ სახით, როგორც თანამედროვე სამოქალაქო სამართალშია, მაგრამ ფაქტია, რომ ხელშეკრულება იდებოდა მხარეთა შეთანხმების

საფუძველზე. მართალია, არის შემთხვევები, როცა ხდება ხელშეკრულების დადება ნების სანინააღმდეგოდ, არსებობს ისეთი მაგალითიც, როდესაც ხელშეკრულება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე დაიდო. იჯარის ხელშეკრულების ანალიზისას ირკვევა ისიც, რომ არსებობდა მოძრავი და უძრავი ნივთების იჯარის ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

კარგადაა განვითარებული ფორმისა და ვადის საკითხები. მართალია, იმ პერიოდისათვის ნოტარიუსი არ არსებობდა, მაგრამ წერილობითი ფორმით ხელშეკრულების დადებისას მოწმეების დასწრების სავალდებულო მოთხოვნა არსებობდა. ეს კი, მხარეთა ინტერესების მაღალ დონეზე მეტყველებს.

IV. დასკვნა

ისტორიული წყაროების კვლევის შედეგად წარმოჩნდა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ, ადრეულ პერიოდში არსებობდა იჯარის ხელშეკრულების ჩანასახები, რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში განვითარდა და თანამედროვე სახით ჩამოყალიბდა. ამ მხრივ, დიდი როლი შეასრულა რომის სამართალმაც. ირკვევა, რომ საქართველოში საიჯარო ურთიერთობები ნების გამოვლენის თავისუფლების სანყისებზე ხორციელდებოდა. მართალია, ხშირ შემთხვევაში ეს თავისუფლება იზღუდებოდა, მაგრამ თავისთავად ის ფაქტი, რომ არსებობდა ნების გამოვლენის თავისუფლების პრინციპი, მეტად მნიშვნელოვანია. არის შემთხვევები, როდესაც იჯარის ხელშეკრულება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზეც წარმოიშობოდა. გარდა ამისა, იჯარისათვის შეიძლება ითქვას, კონკურსიც იმართებოდა, მაგალითად, როდესაც ხელშეკრულება იდებოდა იმ პირთან, რომელიც უფრო მაღალ ქირას შესთავაზებდა და ამის თაობაზე წინასწარ აცხადებდნენ. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის იჯარით გაცემის ერთ-ერთი წესია, სწორედ აუქციონი, რომლის დროსაც იმარჯვებს ის, ვინც ყველაზე მაღალ ქირას იხდის.

ამრიგად, გაირკვა, რომ ძველ ქართულ სამართალში იჯარის ხელშეკრულება საკმაოდ დახვეწილი ფორმით არსებობდა. ყველა დროსა და ყველა ქვეყნის სამართალში წინა პლანზეა წამოწეული მიწის სამართლებრივი მოწესრიგების საკითხი. თანამედროვე იჯარის ხელშეკრულებაზე დიდი გავლენა მოახდინა, როგორც ძველმა ქართულმა, ასევე, რომის სამართალმა.

შენიშვნები:

- ¹ იხ.: Брагинский М., Витрянский В., Договоры о передаче имущества, II, М., 2005; 352.
- ² იჯარის ხელშეკრულების ისტორიული წინაპარი იყო ქირავნობის ხელშეკრულება.
- ³ Дождев Д., Римское частное право, М., 2004, 583.
- ⁴ ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართლის საფუძვლები, თბ., 1994, 167.
- ⁵ Брагинский М., Витрянский В., Договоры о передаче имущества, II, М., 2005; 380. Дождев Д., Римское частное право, М., 2004, 582.
- ⁶ Мануел Хеусус Гарсиа Гарридо, Римское частное право, М., 2005, 619-620.
- ⁷ Мануел Хеусус Гарсиа Гарридо, Римское частное право, М., 2005, 224.
- ⁸ Дигесты Юстиниана, Книга девятнадцатая, Том III, М., 2003, 707.
- ⁹ Брагинский М., Витрянский В., Договоры о передаче имущества, II, М., 2005; 380. Дождев Д., Римское частное право, М., 2004, 582.
- ¹⁰ ნადარეიშვილი გ., რომის სამოქალაქო სამართლის საფუძვლები, თბ., 1994, 168.
- ¹¹ Мануел Хеусус Гарсиа Гарридо, Римское частное право, М., 2005, 620.
- ¹² Дождев Д., Римское частное право, М., 2004, 583.
- ¹³ Брагинский М., Витрянский В., Договоры о передаче имущества, II, М., 2005; 380. Дождев Д., Римское частное право, М., 2004, 392.
- ¹⁴ ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, 316-317.
- ¹⁵ ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, 319.
- ¹⁶ ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბ., 1984, 320.
- ¹⁷ ფუტყარაძე ი., „ქართული ვალდებულებითი სამართლის ისტორიის ნარკვევები“, თბ., 1976, გვ. 61.
- ¹⁸ ჩიტოშვილი თ., „აგრარული სამართლის საკითხები“, თბ., 2002, „მერიდიანი“, 92.
- ¹⁹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, 1984, 157.
- ²⁰ ფუტყარაძე ი., „ქართული ვალდებულებითი სამართლის ისტორიის ნარკვევები“, თბ., 1976, 64-69.
- ²¹ ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი IV, თბ., 1967, 32.
- ²² ფუტყარაძე ი., ქართული ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტები (ისტორიულ-იურიდიული გამოკვლევა), თბ., 2002, 30.
- ²³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, 320.
- ²⁴ ფუტყარაძე ი., ქართული ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტები (ისტორიულ-იურიდიული გამოკვლევა), თბ., 2002, 30.
- ²⁵ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ., 2005, 38.
- ²⁶ სამართალი ბატონიშვილის დავითისა, დ. ფურცელაძის გამოცემა, 1964, 110.
- ²⁷ ფუტყარაძე ი., „ქართული ვალდებულებითი სამართლის ისტორიის ნარკვევები“, თბ., 1976, 82.
- ²⁸ ფუტყარაძე ი., „ქართული ვალდებულებითი სამართლის ისტორიის ნარკვევები“, თბ., 1976, 73.
- ²⁹ ზოიძე ბ., „რეცენზია იაკობ ფუტყარაძის სადოქტორო დისერტაციაზე „ქართული ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტები“ (ისტორიულ-სამართლებრივი გამოკვლევა), ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, თბ., №1, 2002, 172.
- ³⁰ სამართალი ბატონიშვილის დავითისა, დ. ფურცელაძის გამოცემა, თბ., 1964, 11.
- ³¹ იხ.: Брагинский М., Витрянский В., Договоры о передаче имущества, II, М., 2005; 380; Дождев Д., Римское частное право, М., 2004, 391
- ³² ფუტყარაძე ი., „ქართული ვალდებულებითი სამართლის ისტორიის ნარკვევები“, თბ., 1976, 75.
- ³³ ფუტყარაძე ი., „ქართული ვალდებულებითი სამართლის ისტორიის ნარკვევები“, თბ., 1976, 90.

THE LEASE CONTRACT IN ROMAN LAW AND IN OLD GEORGIAN LAW AS A HISTORICAL PREDECESSOR OF THE MODERNS LEASE CONTRACT

EKATERINE LAPHACHI

*The PHD Student of the Law Faculty of Ivane Javakhishvili Tbilisi State
University*

The Modern Lease Contract's predecessor is the Property Rent Contract. The Lease Contract was widely used in Georgian Law from Ancient Times. The legal regulation of land issues is at the front line of all legal systems of all times.

Historical Studies revealed that in Georgia there were some inceptions of the Lease Contract at the very early periods and time by time they developed and transformed into modern form. The Roman law contributed a lot in this development. It was revealed that leasing relations were developing on the basis of free will. Certainly in many cases this freedom was limited but it is very important that the principle of declaration of free will existed. The contracts were made not only as a result of declaration of free will but as a result of court decision. The analysis of Lease Contracts shows that there was a distinction between lease contracts for movable and immovable property.

The issues of form and duration of lease were also well-developed. Certainly there was no notary service in that period but in cases of written contracts the attendance of witnesses was a must condition, which respectively means high level of protection of contract parties.

Consecutively the study shows that in Old Georgian law the Lease Contract existed in highly developed form.

Both the Old Georgian and the Roman laws highly influenced the development of the modern Lease Contract.

უფლებამონაცვლეობის ზოგადი მიმოხილვა

ნინო ხოლუაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
დოქტორანტი

უფლებამონაცვლეობა (Succession) მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით განიმარტება, როგორც უფლებებისა და მოვალეობების ან ცალკეული უფლებების გადასვლა ერთი პირიდან მეორე პირზე. უფლებამონაცვლეობა შეიძლება განხორციელდეს კანონის, ხელშეკრულების ან სხვა იურიდიული დოკუმენტის ძალით. თავად ტერმინი „უფლებამონაცვლეობა“ რომის სამართლიდან მომდინარეობს და მემკვიდრეობას უკავშირდება. რომის კერძო სამართალში მემკვიდრეობის მიერ სამკვიდროს დამტოვებლის მთელი უფლებებისა და მოვალეობების შექნას ეწოდებოდა **მემკვიდრეობით მიღება** ან მემკვიდრეობა (Succession). სამკვიდროს დამტოვებელი გაგებულ იყო, როგორც პირი, რომელიც სიცოცხლის განმავლობაში წარმოადგენდა სამკვიდრო უფლებებისა და მოვალეობების მატარებელს. მისი სიკვდილის შემდეგ ეს უფლებები და მოვალეობები ვერსად გაუჩინარდებოდნენ, ისინი მთლიანად უნდა გადასცემოდა მემკვიდრეებს, როგორც მის უფლებამონაცვლეებს.

ვეთანხმებით სამართლის დოქტრინაში არსებულ მოსაზრებას, რომლის მიხედვით უფლებამონაცვლეობა ახალი სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას არ გულისხმობს. დ. მიეიერი თვლიდა, რომ ვალდებულებათა მონაწილენი ან ეკუთვნის მას თავიდან ან შემდგომ უერთდება სხვის სანაცვლოდ, ხდება პირთა შეცვლა, ისე რომ პირთა შეცვლისას თვით ვალდებულება იგივე რჩება.¹ იცვლება მხოლოდ მასში მონაწილე პირთა შემადგენლობა. აღნიშნულს იზიარებენ მთელი რიგი მეცნიერები.² თ. იოფე წერს: სუბიექტის შეცვლისას წარჩუნდება ვალდებულების შინაარსი, მაშინ როცა ვალდებულების შინაარსის შეცვლისას იგივე პირთა შორის ვალდებულებითი კავშირი წყდება და წარმო-

იშობა ახალი სახის ვალდებულება. ამიტომ, პირველ შემთხვევაში, საუბარია ვალდებულებათა შეცვლაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში, მის შეწყვეტაზე.⁴³

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, სამართალურთიერთობაში ახალი სუბიექტის, უფლებამონაცვლის შემოსვლა თავისთავად ახალი ურთიერთობის წარმოშობას გულისხმობს. მათი მოსაზრებით, ქონებრივი უფლებები საერთოდ არ არის სამოქალაქო უფლებათა ობიექტი, რაც გულისხმობს, რომ მას არ ახასიათებს ბრუნვაუნარიანობა; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ შეიძლება ქონებრივი უფლებების ერთი პირიდან მეორეზე გადაცემა. თუ იგი წარმოეშვა ერთ პირს, მასთანვე უნდა შეწყდეს. მფლობელის შეცვლა დაუშვებელია. აღნიშნულ მიდგომასთან დაკავშირებით საინტერესოა კიდევ ერთი მოსაზრება: სხვის მფლობელობაში შეიძლება გადავიდეს ნივთი და არა უფლება. უფლება და მოვალეობა იდეოლოგიური კატეგორიებია, რომელთაც დროსა და სივრცეში მოძრაობა არ შეუძლიათ. მაგალითად, საკუთრების უფლების გადასვლა ნიშნავს, გარკვეული იურიდიული ფაქტის საფუძველზე საკუთრების უფლების ერთი პირისათვის შეწყვეტას და სხვა პირისათვის იგივე ან განსხვავებული შინაარსით წარმოშობას. აღნიშნული მოსაზრების თანახმად, რეორგანიზაციისას არსებული უფლებამოვალეობანი წყდება და იდენტური სახით უფლებამონაცვლებზე წარმოიშობა.⁴⁴

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ, რომის სამართალი იცნობდა კრედიტორთა მოთხოვნის უფლების გადასვლას მემკვიდრეზე მოვალის გარდაცვალების შემთხვევაში. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პირთა ასეთი შეცვლა ვალდებულებაში არა ღრმა მეცნიერულ კვლევებს, არამედ ერთგვარ მისტიკურ თეზისს ეყრდნობოდა: მემკვიდრე მამკვიდრებლის პიროვნული გამგრძელებელია. ამ შემთხვევაში, მემკვიდრეზე მამკვიდრებლის ყველა უფლება გადადიოდა გარდა მკაცრად პიროვნულისა. კრედიტორის მიერ მოვალის მიმართ თავისი მოთხოვნის გადაცემა სხვისთვის დაუშვებელი იყო: „ვინმესათვის ერთხელ შექმნილი სტიპულაცია (მოთხოვნის უფლება) ჩვეულებრივ სხვაზე არ გადადის გარდა მემკვიდრისა. არავინ არ შეიძლება მოქმედებდეს სხვისი სახელით ლეგისაქციურ (სასამართლო) პროცესში.“⁴⁵ მემკვიდრე ხდებოდა მემკვიდრეობით მიღებული მოთხოვნების კრედიტორი და მემკვიდრეობით მიღებული ვალების მოვალე. ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში ნებისმიერი მხარის შეცვლა შესაძლებელი იყო მხოლოდ ნოვაციის მეშვეობით, რომლის ძალითაც ნოვირებული ვალდებულება წყდებოდა და მის ადგილას წარმოიშობოდა ახალი ვალდებულება. მემკვიდრეობა ნიშნავდა გარდაცვლილი პირის უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირზე გადასვლას საყოველთაო ნესრიგის შესანარჩუნებლად და როგორც არსებული ურყევი საზოგადოებრივი ურთიერთობის გარანტიას.⁴⁶ ყველაზე გავრცელებული იყო სამკვიდროს დამტოვებლის უფლებებისა და მოვალეობების მთელი კომპლექსის მიღება. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში, პირს შეეძლო მიეღო რაღაც ცალკეული უფლება შესაბამისი, ხშირად მძიმე, მოვალეობის გარეშე. სწორედ ამას ეფუძნებოდა მემკვიდრეობის დაყოფა ე.წ. უნივერსალურ და სინგულარულ მემკვიდრეობად. „უნივერსალური იყო ისეთი მემკვიდრეობა, რომლის დროსაც მემკვიდრეზე გადადიოდა მამკვიდრებლის როგორც უფლებები, ისე მოვალეობები, ხოლო სინგულარული მემკვიდრეობის ძალით მემკვიდრეზე გადადიოდა მხოლოდ ცალკეული უფლებები (მაგალითად ლეგატი).“⁴⁷

თანამედროვე კონტინენტური ევროპის კანონმდებლობით მემკვიდრეობა განიხილება როგორც უნივერსალური უფლებამონაცვლეობა, რომლის შედეგადაც გარდაცვლილის ქონება მთელი მოცულობით (აქტივები და პასივები) გადადის მის მემკვიდრეებზე. რაც შეეხება ინგლისსა და აშშ-ს, მამკვიდრებლის ქონება პირველ ეტაპზე მინდობილი საკუთრების უფლებით გადადის

გარდაცვლილის ე.წ. „პირად წარმომადგენელზე,“ რომელიც შემდგომ მემკვიდრეებს სამკვიდროს მხოლოდ იმ ნაწილს გადასცემს, რაც მამკვიდრებლის კრედიტორებთან ანგარიშსწორების შემდგომ დარჩება.

ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა საერთოდ არ იცნობს ვალის გადაკისრებისა და მოთხოვნის დათმობის ინსტიტუტს, მაგალითად, საფრანგეთი. ზოგიერთ ქვეყანაში კი, აღნიშნული გათვალისწინებულია კანონმდებლობაში და მიღებულია ჩვეულებრივ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში.

საქართველოში მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების მარეგულირებელი ნორმები სამოქალაქო კოდექსის სანივთო სამართლის წიგნშია თავმოყრილი. „ფაქტობრივად არც მოთხოვნის დათმობა და არც ვალის გადაკისრება არ ცვლის მხარეთა შორის არსებულ ძირითადი ურთიერთობის შინაარსს. იცვლებიან მხოლოდ მოთხოვნისა და ვალის სუბიექტები. თუ მოთხოვნა ერთი პირის საკუთრებას წყვეტს ამ მოთხოვნაზე, სამაგიეროდ ამ მოთხოვნის შემძენი იძენს მასზე საკუთრებას. ამიტომ, რომ ამ შემთხვევაში სახეზეა სანივთო სამართლებრივი გარიგება.“⁸

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლი ითვალისწინებს მოთხოვნის დათმობას. აღნიშნული მუხლის მიხედვით კრედიტორს შეუძლია, მოვალის თანხმობის გარეშე, მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს. მოვალესთან მოთხოვნის დათმობის შეთანხმება მაშინაა სავალდებულო თუ არსებობს მოვალის პატივსაღები ინტერესი. მოთხოვნის დათმობის შესახებ მფლობელსა და მესამე პირს შორის იდება ხელშეკრულება, რომელიც იურიდიულ ლიტერატურაში ცესიის სახელწოდებითაა ცნობილი. ძველი რომის სამართალში მოთხოვნის დათმობის ინსტიტუტს „ნოვაცია“ ეწოდებოდა. მოგვიანებით „ნოვაციას“ ცესიის ხელშეკრულება ჩაენაცვლა და იგი ხელშეკრულების დამოუკიდებელ სახედ ჩამოყალიბდა. თავდაპირველად ცესიონერი სასამართლოში მოთხოვნის წარდგენას ახორციელებდა ცედენტის სახელით და გამოდიოდა როგორც მისი წარმომადგენელი.

კანონმდებელი არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ არ განსაზღვრავს პერიოდს თუ როდისაა შესაძლებელი კრედიტორის მიერ მესამე პირისათვის მოთხოვნის დათმობა. მოთხოვნის უფლების წარმოშობის მომენტიდან კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია განახორციელოს „მოთხოვნის“ დათმობა. მაშინ როცა რეორგანიზაციის განხორციელებისათვის კანონით მკაცრად განსაზღვრული ვადების დაცვა უნევთ მენარმე სუბიექტებს.

თავდაპირველი კრედიტორის (ცედენტის) უფლებები ახალ კრედიტორზე იმავე მოცულობით გადადის, რა მოცულობითაც არსებობდა მოთხოვნის დათმობის მომენტში. ამასთან, მოთხოვნის დათმობით ახალ მფლობელზე გადადის მისი უზრუნველყოფის საშუალებები და მოთხოვნასთან დაკავშირებული სხვა უფლებებით (სსკ 201.1 მ.). წინამდებარე წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს საბანკო გარანტია. სსკ 883-ე მუხლის თანახმად, „საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, ბენეფიციარის კუთვნილი მოთხოვნის უფლება გარანტის მიმართ არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირს, თუ გარანტიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.“ შესაძლებელია გარანტიით გათვალისწინებული იყოს ბენეფიციარის მიერ სხვა პირისათვის მოთხოვნის უფლების დათმობის შესაძლებლობა, მაგრამ ამისათვის საჭიროა მოვალის (გარანტის) თანხმობა, რაც აღნიშნულს განასხვავებს კრედიტორის მიერ მოთხოვნის დათმობისათვის გათვალისწინებული ზოგადი წესისაგან.

ზემოაღნიშნულის საწინააღმდეგოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ რეორგანიზაციის დროს უფლებამონაცვლებზე გადადის არა მხოლოდ ძირითადი უფლებები, არამედ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის (აქცესორული) საშუალებებიც.

რეორგანიზაციის საფუძველზე განხორციელებული უფლებამონაცვლობისაგან განსხვავებით, ცესიის დროს ვალდებულების მხარეები სხვა პირებით იცვლებიან. ცესიის დროს თუ კრედიტორმა სრულად არ დათმო თავისი მოთხოვნის უფლება, ანუ არ გავიდა ვალდებულებიდან, მაშინ ცესია ბათილია. აღნიშნულ განსხვავებაზე საუბრობს ქართველი ცივილისტი ო. ლომიძე თავის ნაშრომში. მისი აზრით, „მოთხოვნის დათმობა ყოველთვის ინვეს ვალდებულებაში პირთა ცვლილებას. გამონაკლისის სახით შეიძლება ითქვას, რომ შესაძლოა დათმობილ იქნას ცალკეული უფლებამოსილებანი ვალდებულებაში პირთა შეცვლის გარეშეც. ასეთ გამონაკლისს წარმოადგენს იურიდიული პირის რეორგანიზაციის ზოგიერთი შემთხვევა.“⁹

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ვალდებულებაში პირთა შეცვლის დროს იცვლება სუბიექტური შემადგენლობა, ხოლო სისტემური კავშირი უფლებამოსილებასა და ვალდებულებას შორის ნარჩუნდება. ზემოხსენებული ავტორი ეთანხმება პოზიციას, რომლის თანახმად, ცესიის დროს ახალ კრედიტორზე გადადის თავდაპირველი კრედიტორის არა მხოლოდ ცალკეული უფლებები და მოვალეობები, არამედ გადასვლის მომენტში არსებული უფლება-მოვალეობათა ერთობლიობა.¹⁰

სსკ 198-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მოთხოვნა და უფლება, რომელთა დათმობა და დაგირავებაც შესაძლებელია, მათმა მფლობელმა შეიძლება საკუთრებად გადასცეს სხვა პირს. მოთხოვნები და უფლებები ახალ პირზე გადადის ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ისინი ძველი მფლობელის ხელში იყვნენ.“ კრედიტორი თავადაა უფლებამოსილი გადაწყვიტოს დაუთმოს თუ არა სხვას თავის მოთხოვნა. თუმცა, ამასთან დაკავშირებით თავს იჩენს ერთი პრობლემა, აქვს თუ არა „სპეციალურ სუბიექტს“ უფლება დაუთმოს მოთხოვნის უფლება სხვა პირს? მეცნიერთა უმრავლესობა ამ საკითხთან დაკავშირებით მიიჩნევს, რომ იმ მოთხოვნათა დათმობა, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული კრედიტორის პიროვნულობასთან დაუშვებელია. იგივე მოსაზრებას უჭერს მხარს ქართველი მეცნიერი ზ. ახვლედიანი: „მოთხოვნის დათმობის დროს მოვალის თანხმობა საჭირო არ არის, რამდენადაც კრედიტორის პიროვნებას საერთოდ არ შეუძლია, რომ გავლენა მოახდინოს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებაზე. თუმცა, შესაძლოა, რომ კრედიტორის პიროვნებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს მოვალისათვის, ასეთ შემთხვევაში მოთხოვნის დათმობა არ დაიშვება. ამიტომაც, რომ მოთხოვნის მფლობელს შეუძლია მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს. მოვალის პატივისცემის ინტერესების არსებობისას შესაძლებელია შეთანხმება დათმობის დაუშვებლობის შესახებ.“¹¹

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 632-ე მუხლის თანახმად, „მენარდემ პირადად უნდა შეასრულოს სამუშაო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს გამომდინარეობს კონკრეტული გარემოებებიდან ან სამუშაოს ხასიათიდან.“ ნარდობის ხელშეკრულება თავისი არსით გულისხმობს მენარდის მიერ შემკვეთისათვის კონკრეტული სამუშაოს შესრულების ვალდებულებას ნაკეთობის/ნივთის დამზადებას, შექმნას და სხვა. შესაბამისად, დამკვეთი მენარდეს არჩევს იმის მიხედვით თუ რამდენად გამოცდილია იგი ამ საქმეში. ამდენად ნარდობის ხელშეკრულებაში მენარდის მიერ სამუშაოს შესრულებას „პირადად“ დიდი ყურადღება ექცევა. მაშინ როცა დამკვეთი კონკრეტულ შემთხვევაში „ა“ იქნება თუ „ბ“ გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

თუკი ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულება მენარდეს უფლება აქვს გამოიყენოს მესამე პირი ე.წ. ქვენარდობის ხელშეკრულების საფუძველზე. მიუხედავად ხელშეკრულებაში მესამე პირის მონაწილეობისა პასუხისმგებლობა ნარდობის ხელშეკრულების შესრულებისათვის ეკისრება თავდაპირველ, ძირითად მენარდეს. სსკ-ის 396-ე მუხლის თანახმად, „მოვალემ თავისი კანონიერი წარმომადგენლის და იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელსაც იგი იყენებს საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს.“ ხსენებული მუხლი ცხადია კრედიტორის წინაშე პასუხისმგებლობას თავდაპირველ მოვალეს აკისრებს. თუმცა, ეს არ გამორიცხავს მესამე პირების სამოქალაქო პასუხისმგებლობას, ცხადია, მათ მენარდის სასარგებლოდ რეგრესის წესით, დაეკისრებათ პასუხისმგებლობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლი განსაზღვრავს ვალის გადაკისრების წესს. აღნიშნული მუხლის მიხედვით, მოთხოვნის მფლობელთან დადებული ხელშეკრულებით ვალი შეიძლება თავის თავზე აიღოს მესამე პირმაც. ასეთ შემთხვევაში, მესამე პირი დაიკავებს თავდაპირველი მოვალის ადგილს. როგორც მუხლის შინაარსიდან ჩანს, მოთხოვნის დათმობისაგან განსხვავებით ამ შემთხვევაში, არსებითაა მოთხოვნის მფლობელისა და მესამე პირის შეთანხმება, თუმცა თავდაპირველ მოვალეს უფლება აქვს არ დაეთანხმოს ამ შეთანხმებას და თვითონ გადაიხადოს ვალი. ხოლო თუ ვალის გადაკისრების შესახებ შეთანხმდებიან თავდაპირველი მოვალე და მესამე პირი ამ შემთხვევაში, ვალის გადაკისრების ნამდვილობა დამოკიდებულია მოთხოვნის მფლობელის თანხმობაზე. „ახალ მოვალეს“ შეუძლია მოთხოვნის მფლობელის წინააღმდეგ წამოაყენოს ყველა ის შესაგებელი, რომელიც გამომდინარეობს მოთხოვნის მფლობელსა და თავდაპირველ მოვალეს შორის არსებული ურთიერთობიდან. მაგრამ ამავე დროს მას არა აქვს უფლება გაქვითოს ის მოთხოვნები, რომლებიც თავდაპირველ მოვალეს ეკუთვნოდა. ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც ვალის გადაკისრებას უკავშირდება ესაა მოთხოვნის უზრუნველყოფათა საშუალებების ბედი. სსკ-ის 206-ე მუხლის მიხედვით ვალის გადაკისრებისთანავე წყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თავდებობა და გირავნობა, თუკი თავმდეები ან დამგირავებელი არ განაცხადებს თანხმობას ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე.

სამოქალაქო კოდექსი ასევე, იცნობს მოთხოვნის დათმობას არა მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, არამედ კანონის საფუძველზე (მ. 905). ასეთ შემთხვევაში მოთხოვნის დათმობის საფუძველი შეიძლება იყოს როგორც კანონი, ისე სასამართლოს ან კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილება. მაგალითად, კანონი ადგენს, თუ თავდები დააკმაყოფილებს კრედიტორს მასზე გადადის კრედიტორის მოთხოვნა. ასევე, შეიძლება ითქვას იმ შემთხვევებზე, როცა მოთხოვნის უფლება გადადის უფლებამონაცვლეებზე. მაგალითად, მამკვიდრებლის მოთხოვნა გადადის მემკვიდრეებზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ცალკეულ წიგნებში სხვადასხვა უფლებასთან თუ ვალდებულებასთან მიმართებაში იყენებს ცნებას „უფლებამონაცვლე.“ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უფლებამონაცვლე ზუსტად იგივე სტატუსით მოიხსენიება, როგორც მისი წინამორბედი და აღჭურვილია ზუსტად იმავე უფლებებითა და მოვალეობებით. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 143-ე მუხლის თანახმად: „თუ ნივთი, რომლის მიმართაც არსებობს სანივთო მოთხოვნა, უფლებამონაცვლეობის გზით მესამე პირის მფლობელობაში აღმოჩნდება, მაშინ უფლებრივი წინამორბედის მფლობელობაში გასული ხანდაზმულობის ვადა

გამოიყენება აგრეთვე უფლებამონაცვლის მიმართაც.“ ამ მუხლის შინაარსიდან ჩანს, რომ არა მხოლოდ უფლება-მოვალეობანი, არამედ კანონის მიხედვით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადაც იმავე სახით უცვლელად ვრცელდება უფლებამონაცვლებზე. შესაბამისად, არ შეიძლება გავიზიაროთ რიგ მეცნიერთა მოსაზრება, რომ უფლებამონაცვლების დროს ახალი ურთიერთობა წარმოიშობა. განხილული მუხლის მაგალითზე, ეს მოსაზრება აშკარად უსუსურია.

საინტიერესოა სამოქალაქო საპროცესო ინსტიტუტის მოქმედება უფლებამონაცვლების შემთხვევებზე. მაგალითისათვის განვიხილოთ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ პუნქტი, რომლის თანახმად, სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმისწარმოებას თუ: „არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;“ აღნიშნული მუხლის თანახმად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუკი მხარეებს შორის სასამართლოს მიერ მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების შემდგომ ამ ურთიერთობაში წარმოიშვა უფლებამონაცვლება და უფლებამონაცვლემ იმის გამო, რომ მის მიმართ არასასურველი სასამართლო გადაწყვეტილება უნდა აღსრულდეს, კვლავ მიმართოს სასამართლოს დავის განხილვისათვის. იმ მეცნიერების მოსაზრების მიხედვით, რომლებიც მიიჩნევენ რომ უფლებამონაცვლება ახალ სამართლებრივ ურთიერთობას წარმოშობს და ურთიერთობის მონაწილე არის სხვა პირი, სასამართლოს არ ექნებოდა ზემოაღნიშნული მუხლის გამოყენების უფლება. არ არის გამორიცხული ეს მოსაზრება ზოგიერთმა ადვოკატმა, პრაქტიკოსმა იურისტმა გაიზიაროს და მიმართოს სასამართლოს მსგავსი დავის განხილვისათვის. ამდენად მიზანშეწონილად მიმაჩნია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: სასამართლო მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვეტს საქმისწარმოებას თუ: „ბ) არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით. მხარედ განიხილება მოსარჩელე ან მოპასუხე, ასევე, მათი უფლებამონაცვლე.“

დასკვის სახით შეიძლება ითქვას, რომ ვალდებულება ეს არ არის პიროვნული თვისების მატარებელი, იგი ქონებრივი ხასიათისაა, ქონებრივი უფლება-მოვალეობა კი, გადაცემაუნარიანია. ცნება „უფლებამონაცვლება“ სწორედ უფლება-მოვალეობების გადაცემას გულისხმობს და სხვაგვარად მისი განმარტება შეუძლებელია.

შენიშვნები:

- ¹ Агарков М.М., Перевод долга// Право и жизнь. 1993. №3.
- ² ბ. ზოიძე, ზ. ახვლედიანი, ქ. ქოქრაშვილი, ვ. ვისერმანი, ჟ. მორანდიერი, ლ. ენეკცერუსი, ვ. ანსონი, ე. ჯენესი, ო. იოფე და სხვები.
- ³ Иоффе О.С., Обязательственное право. М. 1975.
- ⁴ Белов В.А., Правопреемство в связи с законодательной концепцией квалификации имущественных прав как объект гражданских прав // Законодательство. 1998. №6.
- ⁵ დ. დოჭდევი, რომის კერძო სამართალი, 1997.
- ⁶ ნ. ვ. მიხაილოვა, ა.ა. ივანოვი, ს.რ. ასანიძე, რომის სამართალი, თბილისი, 2009. გვ. 187.
- ⁷ ვ. მეტრეველი, რომის სამართალი, საფუძვლები, თბილისი, 1995, გვ. 95-96.
- ⁸ ბ. ზოიძე, სანიეტო სამართალი, თბ., 1999, გვ. 16.
- ⁹ Ломидзе О., Уступка права (цессия) // Российская юстиция. 1998. №5, стр. 17.
- ¹⁰ Ломидзе О., Переход обязательственных прав: общие правила и исключения // Российская юстиция. 2002. №9. стр. 16.
- ¹¹ ზ. ახვლედიანი, ბ. ზოიძე, ჯ. ხეცურიანი, ლ. ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი, 1999.

GENERAL OVERVIEW OF SUCCESSION

NINO KHOLUASHVILI

PHD student Georgian Technical University

The main subject of the present article is succession as one of the most important institute of the Civil Law. The author also reviews existing scholar opinions and provisions of acting legislation of succession. The importance of the mentioned subject is proved by the variety of scholars' positions and court practice. For the purpose of the article court practice have been reviewed (decisions of courts of all three instances), which gives us grounds to conclude that there is a problem of misunderstanding an essence of succession as at the stage of initiating court applications as well as during court hearings. There are cases when a party (through its legal representative, attorney) applies to a court with the request of establishing successor while the succession is explicitly at place and there is no need for court deliberation. Misguiding legal counseling and consequent court application is an extra financial burden for an applicant and loss of time for courts.

Based on the mentioned practical overview the article proposes some suggesting of the author for legal amendments, which lead to specification and clear definition of main aspects with regards to succession and solve existing problems.

As a conclusion we can once more highlight that obligation does not have personal character, but is of property nature; on the other hand property rights and duties are grantable. The term 'succession' in essence means granting of rights and duties and it is impossible to interpret it in another way.

საქართველოს უზენაეს
სასამართლოში გაიმართა
სამეცნიერო კონფერენცია
თემაზე – „შეჯიბრებითობის
პრინციპი სისხლის
სამართლის პროცესში.“

კონფერენცია საქართველოს
უზენაესი სასამართლოსა და
ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ურთიერთთანამშრომლობის
მემორანდუმის ფარგლებში
ჩატარდა და
მონაწილეობდნენ
უნივერსიტეტის პროფესორ-
მასწავლებლები,
დოქტორანტები,
სტუდენტები. ზოგადად,
კონფერენციამ ხელი შეუწყო
სამეცნიერო წრეებში
შეჯიბრებითობის პრინციპის
შესახებ დისკუსიას, ასევე,
მართლმსაჯულების ამ
უმნიშვნელოვანესი
პრინციპის შესახებ
ინფორმაციის გავრცელებას
ფართო საზოგადოებაში.

გთავაზობთ კონფერენციაში
მონაწილე სტუდენტთა
მოხსენებებს, რომლებმაც
მონონება დაიმსახურა,
როგორც პრაქტიკოს
იურისტთა შორის, ასევე,
სამეცნიერო წრეებში.

შეჯიბრებითობის პრინციპი (შედარებითი ანალიზი)

თინათინ ხაჭვანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი

შესავალი

შედარებითი ანალიზი ძალზე მნიშვნელოვანია ნებისმიერი სა-
კითხის შესწავლის დროს, რადგან შესაძლებლობას იძლევა
მკითხველი გაეცნოს საზღვარგარეთ არსებულ რეალობას, მსოფ-
ლიოს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლის მიერ არჩეული მიდგო-
მის ავ-კარგიანობას. ჟან პრადელის განმარტებით შედარებითი
სისხლის სამართლის დეფინიცია შემდეგნაირად შეიძლება
ჩამოყალიბდეს: იგი წარმოადგენს სისხლის სამართლის ორ (ან
რამდენიმე) იურიდიულ ერთობას შორის მსგავსებისა და განსხ-
ვავების შესწავლას.¹ საქართველოს სისხლის სამართლის პრო-
ცესში წმინდა შეჯიბრებითობის პრინციპის დანერგვა დღესდღე-
ობით მეტად აქტუალური თემაა. კანონმდებლის აღნიშნულმა
ნაბიჯმა აზრთა სხვადასხვაობა გამოწვია. საზოგადოების ერთი
ნაწილი მიიჩნევს, რომ წმინდა შეჯიბრებითი პროცესი გაუმარ-
თლებლად ზღუდავს სასამართლოს უფლებამოსილებებს. საზო-
გადოების მეორე ნაწილის აზრით კი, პროცესის შერეული მოდე-
ლისაგან განსხვავებით, რომლის პირობებშიც მოსამართლეს ფაქ-
ტობრივად წინასწარ უყალიბდება შინაგანი რწმენა, ნეიტრალუ-
რი მოსამართლის მონაწილეობით გამართული წმინდა შეჯიბ-
რებითი პროცესის მიდგომა, ბევრად უფრო სამართლიანია.
ვფიქრობთ, ინტერესსმოკლებული არ უნდა იყოს, განვიხილოთ
საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის საპროცესო სამართლის
თავისებურებანი შეჯიბრებითობის პრინციპთან დაკავშირებით.
გავეცნოთ, როგორც ინკვიზიციური, ისე შეჯიბრებითი პროცე-
სის მომხრეთა არგუმენტებს.

წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით მოკლედ მიმოვიხილოთ საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული მიდგომები, აგრეთვე ძირითად სამართლებრივ სისტემებს შორის განსხვავებები. საქართველო, ახალი საპროცესო კოდექსით, არსებითად დაუახლოვდა ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებს, ამიტომ მოკლედ შევეხებით ინგლისსა და ამერიკაში არსებულ მიდგომებს. საინტერესო იქნება რამდენიმე სიტყვით იმ მსგავსებებზე ვისაუბროთ, რომელიც წინა რედაქციის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და კონტინენტური ევროპის ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემებს შორის არსებობდა. ნაშრომის ბოლო ნაწილი ეთმობა ევროსასამართლოს პრაქტიკას შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევასთან დაკავშირებით.

§1. ძირითადი სისხლისსამართლებრივი სისტემების მოკლე მიმოხილვა

მსოფლიოში გავრცელებული სისხლისსამართლებრივი სისტემებიდან რამდენიმე ძირითადი მოდელი შეიძლება გამოიყოს, ესენია: საერთო სამართლის (ე.წ. ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნები), ცივილური, იგივე კონტინენტური ევროპის და ისლამური მოდელები. საერთო სამართლის ქვეყნების (მაგ.: დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები) სისხლისსამართლებრივი სისტემები, ე.წ. წინააღმდეგობრივ საწყისზეა დაფუძნებული, რაც გულისხმობს, რომ პროცესზე წარმოდგენილია ორი დაპირისპირებული მხარე – ადვოკატი, როგორც ბრალდებულის დამცველი და ბრალმდებელი, როგორც სახელმწიფოსა და ხალხის წარმომადგენელი. ჩვეულებითი სამართლის სისტემა ემყარება სასამართლო გადაწყვეტილებას, როგორც პრეცედენტს, რომელიც შეიძლება შემდგომში ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში იქნეს გამოყენებული. ცივილური სამართლის ქვეყნებში კი, რომლის კლასიკურ მაგალითებსაც წარმოადგენენ შვედეთი, საფრანგეთი ან გერმანია, გავრცელებულია ინკვიზიციური მოდელი, რომელიც ბრალდებულს, ჩვეულებრივ, უფრო ნაკლებ უფლებებს ანიჭებს. იგი, ძირითადად, წინასწარ გამოძიებასა და წერილობით სამართალს ემყარება. ისლამური სამართალი, რომელიც არაბულ ქვეყნებშია გავრცელებული, რელიგიურ ღირებულებებზეა ორიენტირებული და შესაბამისად, მისი ძირითადი ნორმები ყურანიდან მომდინარეობს. მაგალითად, საუდის არაბეთის სისხლისსამართლებრივი სისტემა მთლიანად მუსლიმანურ რელიგიურ კულტურასთანაა ინტეგრირებული.

ერთი-ორი სიტყვით უნდა შევეხოთ აფრიკის ქვეყნების სისხლისსამართლებრივ სისტემებსაც. აფრიკა ის კონტინენტია, რომელმაც გასული საუკუნის მანძილზე უდავოდ ყველაზე რადიკალური ცვლილებები განიცადა. კოლონიალიზმისა და ტრადიციების ერთგვარმა დაპირისპირებამ წარმოშვა, რომ აფრიკის უმრავლეს ქვეყანაში ევროპელი „დამპყრობლების“ მიერ შეტანილი წეს-ჩვეულებები ადგილობრივ ჩვეულებით სამართალთან წინააღმდეგობაში აღმოჩნდა. მაგალითისათვის ავიღოთ ტომპსონისა და პოტერის მიერ 1997 წელს სიერა ლეონეში ჩატარებული კვლევა, რომელმაც ნათელყო, რომ ადგილობრივი ჩვეულებითი სამართალი ინგლისიდან იმპორტირებულ სამართალთან მნიშვნელოვან კონფლიქტში იყო. პროფესორი ადლერი აგრეთვე საუბრობს ალჟირზე, სადაც სიერა ლეონეს მსგავსად, საფრანგეთიდან იმპორტირებული სამართალი ადგილობრივ ისლამური ტენდენციების მქონე სამართლის სისტემას დაუპირისპირდა.²

განვიხილოთ ის ორი ძირითადი სამართლებრივი სისტემა, რომელსაც ანგლო-ამერიკული და კონტინენტური სამართლის ქვეყნები ქმნიან. ანგლო ამერიკული-სამართლისათვის დამახასა-

იათებელია შეჯიბრებითი პროცესი, რომელიც ორი თანასწორუფლებიანი მხარის დაპირისპირებას გულისხმობს. მათ მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში თანაბარი პროცესუალური უფლებები აქვთ. აღნიშნული მოდელის ფარგლებში მოსამართლე ნეიტრალური არბიტრის როლში გვევლინება. შეჯიბრებით პროცესზე საუბრისას გამოყოფენ მის მძირითად მახასიათებელს: მხარეთა დაპირისპირებულობა, ზეპირობა და საჯაროობა (The trial has thus three essential characteristics; it is confrontative, oral, and public). შეჯიბრებითობის პირობებში მოსამართლეს საკუთარი ინიციატივის გამოვლენა არ შეუძლია, არამედ იგი მხოლოდ მის წინაშე წარმოდგენილ მტკიცებულებებს უნდა დაეყრდნოს და მათგან გამომდინარე განსაჯოს. უცხოურ ლიტერატურაში ხატოვნად ამბობენ, რომ იგი მეორეა დუელში (He is present as a second in the duel). მოსამართლე ამ ერთგვარ შერკინებას აკვირდება და ბოლოს აცხადებს, თუ ვინაა გამარჯვებული. იგი არც ბრალდებისა და არც დაკითხვის პროცესში არ იღებს აქტიურ მონაწილეობას. პროცესი დუელია თანაბარი ღირებულებების მქონე სამართლებრივი იარაღებით.³

ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემაში ზეპირი მტკიცებულებების უპირატესობის საკითხი საფუძველს იღებს ინგლისურ ჩვეულებით სამართალში: „ინგლისური პროცესის ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებად, როგორც სამოქალაქო, აგრეთვე სისხლის საქმეებზე, ითვლება ზეპირობა. ბევრად უფრო დიდი წონა აქვს პროცესზე წარმოდგენილი მოწმეების ჩვენებებს, ვიდრე წერილობითს, რომლებიც მათ მანამდე მისცეს.“⁴ შეჯიბრებითი პროცესი საპოლიციო გამოძიებით იწყება, რომელიც ცალსახად არანეიტრალურია და მას შემდეგ, რაც ფოკუსირდება ეჭვმიტანილზე, ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეგროვებისკენაა მიმართული. დაპირისპირების საწყისზე დაფუძნებული პროცესი ნეიტრალური გადანყვეტილების მიმღები სუბიექტის წინაშე ტარდება, მოსამართლე იქნება ეს თუ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, რომელთაც საქმის არავითარი წინასწარი ცოდნა არა აქვთ. ამ პირობებში თითოეული მხარე ცდილობს გადანყვეტილების მიმღები თავისი პოზიციის პატიოსნებაში დაარწმუნოს. პროცესი განგრძობადია და დამყარებულია ზეპირობის პრინციპზე (მაგალითად: ბრალდებულის საწინააღმდეგო ჩვენება მოწმეებმა უშუალოდ სასამართლოში უნდა მისცენ; ჯვარედინი დაკითხვის პრინციპი). ეს მოდელი გავრცელებულია ბრიტანეთსა და მის ყოფილ კოლონიებში, როგორცაა ავსტრალია, კანადა და ამერიკის შეერთებული შტატები. ტრადიციულად, ჩვეულებითი სამართლის ქვეყნებში იყენებენ არა კოდექსებს, არამედ სასამართლოს გადანყვეტილებებს. დადებით მხარეებთან ერთად ასახელებენ აღნიშნული მოდელის უარყოფით მხარეებსაც. შეჯიბრებითი პროცესის თანდაყოლილ სისუსტედ მიიჩნევენ, რომ ერთ მხარესაა ბრალდება, რომელსაც დაცვისაგან განსხვავებით მეტი რესურსი აქვს. აღნიშნული მოიცავს პროფესიონალ საპოლიციო ძალებს და საკმაოდ მაღალი შემოსავლის მქონე პროკურორებს, რომლებიც როგორც წესი, შესაბამისი უნარ-ჩვევებითა და ენთუზიაზმით არიან აღჭურვილნი.⁵

განვიხილოთ ე.წ. ინკვიზიციური მოდელიც, თუმცა, აღნიშნული ტერმინი მოცემულ თემაში პირობითია, რადგან წმინდა შეჯიბრებითი პროცესი თანამედროვე პირობებში ფაქტობრივად აღარ არსებობს. ყველა ქვეყანამ, ასე თუ ისე, აღიარა შეჯიბრებითობის პრინციპი სასამართლო წარმოების ეტაპზე. ამ სტილის ქვეყნებისთვის, რომელთაც სხვაგვარად შერეული მოდელის ქვეყნებსაც უწოდებენ, ძირითადად, დამახასიათებელია, რომ ინკვიზიციურობა წინა სასამართლო, სხვაგვარად რომ ვთქვათ, საგამოძიებო ეტაპზე ვლინდება, სადაც მოსამართლე პროცესის სხვა სუბიექტებთან ერთად აქტიურად არის ჩაბმული მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში.

აღნიშნული მოდელის ქვეყნები გახლავთ საფრანგეთი, გერმანია და ა.შ. ტრადიციულ ინკვიზიციურ მოდელში, თეორიულად ნეიტრალური სუბიექტი ახორციელებს სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას და მოსამართლეს, ან მოსამართლეთა კოლეგიას საგამოძიებო მასალებთან (დოსიესთან) სრული კავშირი აქვთ. პროცესი შედარებით მოკლებნიანია და ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობის გარეშე ტარდება. ბრალდებულს შესაძლოა არც ჰქონდეს თვითგათქმაზე უარის გარანტირებული უფლება და ასეთ პირობებში შესაძლოა, არც ადვოკატის როლი იყოს განსაკუთრებული. პროცესი ხშირად არ არის განგრძობადი და არ შეიცავდეს ყველა მონმის დასწრების აუცილებლობას. როგორც წესი, ინკვიზიციური მოდელის ქვეყნებში სისხლის სამართლის საქმის მწარმოებელი სუბიექტების ყველანაირი მოქმედება სისხლის სამართლის კოდექსში – ერთიანი კოდიფიცირებულ აქტშია განერილი. აღნიშნული მოდელის მომხრეებს შემდეგი არგუმენტები მოაქვთ: იმ პირობებში, როდესაც მოსამართლე ნეიტრალურია და თავად აწარმოებს გამოძიებას, ფაქტობრივად, უსარგებლო ხდება დამცველის ინსტიტუტი, შესაბამისად, ბრალდებულს ნაკლები ხარჯის გაღება უწევს. აგრეთვე პროცესზე მოწმეთა გამოძახება არ არის საჭირო, რადგან მათი ჩვენებები უკვე დოსიეშია შეტანილი. რადგან სისტემა ასე ეფექტიანად მუშაობს, პრაქტიკაში ისეთი ინსტიტუტის საჭიროების საკითხი სასამართლოთა განსატვირთავად, როგორც საპროცესო შეთანხმებაა, აღარ დგას. მოწმეები, მაგალითად ექსპერტები, თუ ისინი პროცესზე არიან წარმოდგენილნი, მიიჩნევიან არა მხარედ, არამედ სასამართლოს მოწმეებად, მათი დაკითხვაც ბუნებრივია სასამართლოს პრეროგატივაა. მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი უპირატესობებისა, ბევრი ამ სისტემას, როგორც ბრალდებულის უფლებების შემზღუდავს, აკრიტიკებს, უპირველეს ყოვლისა, ზეპირობის პრინციპის ნაკლებობის და ზოგ შემთხვევაში, დამცველის არარსებობის გამო. ხშირ შემთხვევაში, მოსამართლისთვის, რომელიც გარკვეულწილად სახელმწიფო აპარატს წარმოადგენს, მთლიანი საქმის სადავების მინდობა, მოქალაქეებში ეჭვის განცდას იწვევს. მოსამართლეებს ხშირად არ ძალუძთ საკუთარი თავის ჩვეულებრივ მოქალაქედ წარმოდგენა, როგორც ამას ნაფიცი მსაჯულები შეძლებდნენ.⁶

საბოლოოდ, შეიძლება დავეთანხმეთ პროფესორ დამასკას, რომელიც ამ ორი სისტემის უმთავრეს განმასხვავებელ ნიშნად მხარეთა როლს მიიჩნევდა. მისი აზრით, შეჯიბრებით პროცესში გამოძიების მამოძრავებელია საკუთარი ინტერესი და არა სახელმწიფო ინტერესი, როგორც ეს ინკვიზიციურშია.⁷ შეჯიბრებით პროცესში არ გვყავს გამომძიებელი მოსამართლე, რომელიც ეძიებს სიმართლეს, აქ მთავარია მხარეთა მონდომება.

§2. შეჯიბრებითი პროცესი საერთო სამართლის ქვეყნებში და პარალელები საქართველოსთან

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არც თუ ისე დიდი ხნის წინათ განხორციელებულმა ცვლილებებმა ჩვენი ქვეყნის მიდგომა სისხლის სამართლის პროცესის მთელი რიგი ინსტიტუტებისადმი არსებითად შეცვალა. კერძოდ, საქართველოში მანამდე არსებული პროცესის შერეული მოდელი წმინდა შეჯიბრებით მოდელზე გადავიდა. ახალი პროცესის პირობებში მოსამართლე შედარებით პასიურ სუბიექტად იქცა, იმდენად რამდენადაც მას მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში უკვე არანაირი უფლება არ დარჩა და ყველაფერი ფაქტობრივად მხარეთა ნება-სურვილზეა მინდობილი. ვფიქრობთ, უინტერესო არ იქნება შედა-

რებითი ანალიზის ქრილში განვიხილოთ იმ ქვეყნების მიდგომა შეჯიბრებითობის პრინციპისადმი, რომელშიც საერთოდ იშვა წმინდა შეჯიბრებითი პროცესი. წმინდა შეჯიბრებით პროცესს, რომლის პრაქტიკაში დანერგვასაც საქართველო ახლა იწყებს, დიდი ისტორია აქვს ინგლისსა და ამერიკაში. აქედან გამომდინარე, განვიხილოთ ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნების მიდგომა ამ საკითხისადმი.

სისხლის სამართლის პროცესი, საქართველოს მსგავსად, ინგლისშიც იყოფა ე.წ. წინასასამართლო გამოძიებად და არსებით განხილვად. მართალია, ახალი პროცესის ფარგლებში თავად ტერმინი „წინასასამართლო გამოძიება“ აღარ გვხვდება, მაგრამ მისი შინაარსი დღეს უკვე გამოძიების ცნებაშია მოაზრებული. ინგლისის სამძებრო სამსახურთა სპეციფიკიდან გამომდინარე წინასასამართლო ეტაპზე ჯერ ე.წ. საპოლიციო გამოძიება ტარდება, რომლის შემდეგაც პოლიცია საქმის მასალებს გვირგვინის საბრალდებო სამსახურს გადასცემს. მართალია, საქართველოში მსგავსი დაყოფა არ არსებობს, მაგრამ შეიძლება ვთქვათ, რომ აღნიშნული ორგანოები და „ჩვენებური“ პროკურატურა ერთსა და იმავე ქმედებებს ახორციელებენ, კერძოდ, ახდენენ მტკიცებულებათა აღმოჩენას და მათ საპროცესო დამაგრებას კანონით დადგენილი წესით, რათა შემდგომში არსებით განხილვაზე ჯეროვნად დაიცვან სახელმწიფოს პოზიცია და ამტკიცონ პირის ბრალეულობა. აღნიშნულის პარალელურად ინგლისშიც, ისევე როგორც ჩვენთან, დაცვის მხარეს უფლება აქვს ჩაატაროს პარალელური გამოძიება. ეს ყოველივე გულისხმობს, რომ თავად ბრალდებული ან მისი დამცველი მტკიცებულებათა მოსაპოვებლად ატარებენ ბრალდებისაგან დამოუკიდებელ საგამოძიებო მოქმედებებს. გამოძიების დასრულების შემდეგ, საქმის არსებით განხილვაზე, ბრალდება და დაცვა წარმოდგენილნი არიან როგორც მოდავე მხარეები.

კიდევ ერთი პარალელის გავლება შეიძლება ინგლისურ და ქართულ მოდელს შორის. სსსკ-ს 83-ე მუხლის მე-6 ნაწილის მსგავსად, რომელიც მხარეებს ავალდებულებს გაუცვალონ ერთმანეთს მტკიცებულებები წინასასამართლო სხდომამდე არა უგვიანეს 5 დღისა, ინგლისურ სამართალშიც არსებობს ე.წ. „მტკიცებულებათა გახსნის“ ვალდებულება (დისკლოსურე). აღნიშნული პროცედურის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ინგლისური სისხლის სამართლის პროცესი ბოლომდე შეჯიბრებითია, ესე იგი პროცესის წინასასამართლო სტადიებზე არ არსებობს როგორც „ერთიანი სისხლის სამართლის საქმე“ (ინკვიზიციური მიდგომისაგან განსხვავებით) იმ გაგებით, რომ წინასასამართლო წარმოებისას თითოეული მხარე დამოუკიდებლად აგროვებს მტკიცებულებებს და ქმნის თავის „დოსიეს“ – (საქმის) მასალებს. პროცესის გარკვეულ ეტაპზე მხარე ფაქტობრივად არ ფლობს უტყუარ ინფორმაციას, თუ რა მტკიცებულებებს წარადგენს სასამართლოში მისი ოპონენტი.⁸ თუმცა, საინტერესო მომენტია, რომ დაცვისაგან განსხვავებით, ბრალდებას უფლება აქვს არ გახსნას ისეთი მტკიცებულებები, რომელმაც „შესაძლოა ხელი შეუწყოს დაცვას დაიცვას მისი პოზიციები.“ აღნიშნული მიდგომა დამგომ ევროსასამართლომ, თუმცა, ამ საკითხზე ოდნავ მოგვიანებით შევჩერდებით. აღსანიშნავია, რომ თემაზე მუშაობისას გაცნობილი ლიტერატურის ფარგლებში არ შეგვხვდებოდა ანგლო-ამერიკულ სამართალში, ქართულ რეალობაში არსებული დაცვის მხარის ე.წ. საგამონაკლისო უფლების მსგავსი ინსტიტუტი, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართული პროცესი საკუთრივ მისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს შეიცავს და არ წარმოადგენს დასავლური მოდელების ზუსტ კოპირებას.

არსებითად, ინგლისის მსგავსი მიდგომებია სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპის მიმართ ამერიკაშიც. საინტერესოა, რომ აშშ-ში ხშირად შევხვდებით სისხლის სამართლის საქმეთა შემდეგნაირ სახელწოდებებს „ილინოისის შტატი სმიტის წინააღმდეგ,“ „აშშ მერფის წინააღმდეგ.“ ფაქტობრივად, ეს დეტალი ნათელყოფს, რომ პროცესი განიმარტება, როგორც სარჩელი, ნაყენებული იმ პირისადმი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული.⁹

მართალია, ზოგიერთი ამერიკელი თეორეტიკოსი მომხრეა, რომ როგორც ეს კონტინენტური ევროპის ქვეყნების პროცესისთვისაა დამახასიათებელი, საქმეზე ჭეშმარიტება დადგინდეს, მაგრამ შტატებში მაინც კვლავ უფრო აქტუალურად რჩება მიდგომა, რომ „იურისტის მიზანს წარმოადგენს ბრძოლის მოგება და არა სასამართლოსათვის ფაქტების დადგენაში დახმარების აღმოჩენა.“¹⁰ წინასასამართლო ეტაპზე შეჯიბრებითობის მაღალი ხარისხის კიდევ ერთი დასტურია საქმე – „ესკობედო ილინოისის წინააღმდეგ.“ აღნიშნულ საქმეში აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ ესკობედოს ბრალდება გააუქმა და აღიარა ეჭვმიტანილის უფლება ჰყავდეს ადვოკატი საპოლიციო დაკითხვის დროს. მოსამართლე არტურ გოლდბერგმა აღნიშნულ საქმეში პოლიციის ქმედება კონკრეტული პიროვნების, ბრალდებულის დაკითხვად ჩათვალა, ვიდრე მოწმეთა ზოგად გამოკითხვად, ამიტომ გამოძიების მუშაკთა აღნიშნული ქმედება განხილულ იქნა აშშ-ის კონსტიტუციის მე-6 ნაწილის დარღვევად, რომელიც პიროვნებას აძლევს გარანტიას გამოიყენოს დაცვის უფლება მას შემდეგ, რაც აღიარებულ იქნება სანყის ეტაპზე ეჭვმიტანილად.¹¹

მეტად საინტერესო მოსაზრება აქვს იელის სამართლის სკოლის პროფესორ დამასკას, რომელიც ამბობს, რომ თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ მისმა ჩაურევლობამ („იდეალური როლის უცვლელობამ“ – *abiding by his ideal role*) შესაძლოა, გავლენა მოახდინოს პროცესზე ან შელახოს საჯარო ინტერესი, მას შეუძლია აქტიურად ჩაერთოს პროცესის მიმდინარეობაში. აღნიშნულ „დარღვევას“ და პასიური როლიდან გადახვევას დამასკა შეჯიბრებითი სისტემის უფუნქციოების გამოსწორების სურვილით ხსნის. მისი აზრით, შეჯიბრებითი პროცესი მოითხოვს მინიმუმ, მიახლოებით თანასწორობას მხარეთა შორის, რათა სწორად იფუნქციონიროს და თუ შესაძლებლობათა ბალანსი სერიოზულადაა დარღვეული, მოსამართლის ჩარევა შესაძლებელია.¹² თუმცა, ავტორი იქვე აღარ განმარტავს, კონკრეტულად რა შემთხვევაში იქნება სასამართლოს ჩარევა გამართლებული, პირიქით, მიუთითებს, რომ ეს ქმედება არცერთ შემთხვევაში მხარეების „წისქვილზე არ უნდა ასხამდეს წყალს.“

საბოლოოდ, შეიძლება ვთქვათ, რომ შეჯიბრებითი პროცესის ქვაკუთხედია, რომ მოსამართლე თავის განყენებულ როლს ინარჩუნებს და მისი მხრიდან ნებისმიერი ჩარევა ინკვიზიციურობის გამოვლინებად განიხილება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიც ბუნებრივია, ამ მიდგომას იზიარებს და მოსამართლეს ერთადერთ, თითქოსდა ინკვიზიციურ ელემენტს უთოვებს, რომელიც მხარეთათვის დამაზუსტებელი კითხვის დასმაში გამოიხატება, თუმცა, რადგანაც აღნიშნული მხარეებთან შეთანხმებით ხორციელდება, მოსამართლის მხრიდან ყოველგვარი თვითნებური ჩარევა გამორიცხულია.

§3. ფრანგული ინკვიზიციური მოდელის მოკლე ანალიზი და შედარება სსსსკ-ის წინა რედაქციასთან

შერეული (პირობითად, ინკვიზიციური) მოდელის კლასიკურ მაგალითებად, როგორც წესი, განიხილავენ საფრანგეთისა და გერმანიის სისხლის სამართლის პროცესებს. აღსანიშნავია, რომ

უკანასკნელ წლებში ამ ქვეყნებში განხორციელებული რეფორმები გვარწმუნებს, რომ კონტინენტურ ევროპაშიც ნელ-ნელა შეინიშნება წმინდა შეჯიბრებითი მოდელისაკენ სწრაფვის ტენდენცია.

განვიხილოთ საფრანგეთის მაგალითი. საფრანგეთში ინფორმაციის შესვლის მომენტიდან თავდაპირველ ე.წ. მოკვლევას საპოლიციო ორგანოები ახორციელებენ პროკურორთან მჭიდრო კავშირში. საბოლოოდ, სწორედ ეს უკანასკნელი წყვეტს საქმის გამომძიებელი მოსამართლისათვის გადაცემის საკითხს. მას შემდეგ, რაც წინასწარი გამოძიების მოსამართლეს, პროკურორის (ან დაზარალებულის – ე.წ. კერძო დევნის შემთხვევაში) ინიციატივით გადაეცემა საქმე, იგი იწყებს წინასწარ სასამართლო გამოძიებას. გამოძიების მოსამართლე ორსახოვანი იანუსის მგავსი ფიგურაა: იგი ფლობს სხვადასხვა ტიპის ძალაუფლებას, ერთი მხრივ, აღჭურვილია საქმის გამომძიების უფლებამოსილებით, რაც ნიშნავს, რომ თვითონ ახორციელებს საგამომძიებო მოქმედებას ან მათ ჩატარებას, ოფიციალური საგამომძიებო დავალებების სახით (commission rogatoire) ავალებს სასამართლო პოლიციის ორგანოებს, ხოლო მეორე მხრივ, ახორციელებს სასამართლო ფუნქციებს: იღებს გადაწყვეტილებებს ეჭვმიტანილის წინასწარი პატიმრობის, ჩხრეკის, ამოღების ჩატარების შესახებ, გამოძიების დასასრულს კი, წყვეტს საქმის შემდგომი წარმართვის საკითხს.¹³ საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „კანონით დაწესებულ ფარგლებში, გამოძიების მოსამართლეს შეუძლია ჩაატაროს ნებისმიერი მოქმედება, რომელსაც საჭიროდ თვლის ქვეყნისთვის დასადგენად. იგი მოიძიებს როგორც დამნაშავეობის, აგრეთვე უდანაშაულობის დამადასტურებელ მტკიცებულებას“ (The investigating judge undertakes in accordance with the law any investigative step he deems useful for the discovery of the truth. He seeks out evidence of innocence as well as guilt).¹⁴

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელი ხდება, რომ მოსამართლეს ისეთი საგამომძიებო მოქმედებების განხორციელების უფლება აქვს, როგორცაა შემთხვევის ადგილის დათვალიერება, დაკითხვა, დაპირისპირება, ექსპერტიზა, ჩხრეკა, ამოღება და ა.შ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგადი წესის თანახმად, მოსამართლე ყველა საგამომძიებო მოქმედებას დამოუკიდებლად ახორციელებს, თუმცა, კანონი მას უფლებას ანიჭებს საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს ზოგიერთი უფლების დელეგირება სხვა თანამდებობის პირებზე ცალკეულ დავალებათა მიცემით.¹⁵ პრაქტიკაში, უმრავლეს შემთხვევაში, სწორედ ასე ხდება და მოსამართლის დავალებით ძირითადად, პოლიციის ოფიცრები მოქმედებენ. უმთავრესი, რაც ინკვიზიციურ და შეჯიბრებით სისტემას განასხვავებს არის, რომ ინკვიზიციურ სისტემაში მოსამართლის მთავარი მოვალეობა საქმეზე ქვეყნისთვის დადგენაა, მაშინ როდესაც შეჯიბრებითობის პირობებში პროცესი აღნიშნული-საკენ სულაც არ არის მიმართული. ზემოთ განხილული ნორმიდან გამომდინარე, ფრანგულ სამართალში მოსამართლე ყველანაირი საშუალებით ცდილობს საქმეზე ქვეყნისთვის დადგენას. იგი მოიპოვებს როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარის სასარგებლო მტკიცებულებებს. აქ წინა პლანზეა წამოწეული საჯარო ინტერესი, შეჯიბრებით პროცესისგან განსხვავებით, სადაც პირადი ინტერესი მძლავრობს და თავიანთი საქმის ბედი თავად მხარეების გადასაწყვეტია.

1998 წლის 20 თებერვლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროცესის უმთავრეს ამოცანად ქვეყნისთვის დადგენას მიიჩნევდა. აღნიშნული კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე და სასამართლო ვალდებული არიან უტყუარად დაადგინონ, მოხდა თუ არა დანაშაული, ვინ ჩაიდინა იგი და გაარკვიონ მტკიცების საგნის ყველა სხვა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. იმავე

მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული იყო, რომ საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა იყოს ყოველმხრივი, ობიექტური და სრული. ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი, აგრეთვე მათი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები. იმავე იდეას ახმოვანებს 437-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმადაც, სასამართლო სხდომის თავმჯდომარე ყველა ღონეს მიმართავს მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესში „ჭეშმარიტების დასადგენად.“ უწინდელი რედაქციის სისხლის სამართლის კოდექსში მრავლად შევხვდებით ინკვიზიციურობის გამოვლინებებს, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი ისეთივე შერეული ტიპის გახლდათ, როგორც ზემოთ განხილული ფრანგული მოდელია. იმავე 437-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბოლო წინადადება მოსამართლეს აძლევდა უფლებას საკუთარი ინიციატივით განერიდებინა ყველაფერი, რაც, მისი აზრით, საქმის განხილვასთან არ იყო დაკავშირებული. დღევანდელ პირობებში ეს მოქმედება მხარეებთან შეთანხმებით ხორციელდება. 128-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა შუამდგომლობით, მთელი რიგი საპროცესო მოქმედებების განხორციელება შეეძლო. აქვე აღვნიშნოთ, რომ იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მას, ფრანგული მოდელის მსგავსად, შესაძლებლობას აძლევდა დაევალებინა ამ მოქმედებების შესრულება გამომძიებლისათვის ან პროკურორისათვის. აღსანიშნავია, რომ შერეული ტიპის ქვეყნებში, ინკვიზიციურობა ძირითადად, წინასაგამოძიებო ეტაპზე ვლინდება, ხოლო რაც შეეხება საქმის არსებით განხილვას, აქ უკვე, როგორც წესი, შეჯიბრებითობის პრინციპი სრულად არის დაცული. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის წინა რედაქციის მე-15 მუხლი განამტკიცებდა ისეთ მნიშვნელოვან პრინციპს, როგორც შეჯიბრებითობაა. საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე სასამართლოს მხარეთა თანასწორობის დაცვის ვალდებულება ჰქონდა. ისინი სარგებლობდნენ უფლებით თანასწორობის საფუძველზე წარმოედგინათ მტკიცებულებები, მონაწილეობა მიეღოთ მათ გამოკვლევაში, განეცხადებინათ შუამდგომლობები თუ აცილებები, გამოეთქვათ საკუთარი აზრი სისხლის სამართლის საქმის ნებისმიერ საკითხზე.

დავუბრუნდეთ ფრანგულ მოდელს და ვთქვათ, რომ საფრანგეთის სსსკ-ის 81-ე მუხლი ერთი შეხედვით, თითქოს საკმაოდ ბევრის უფლებას ანიჭებს მოსამართლეს გამოძიების ეტაპზე. მიუხედავად ამისა, არსებობს მთელი რიგი შეზღუდვები, რაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროცესის ყველა სტადიაზე შეჯიბრებითობის პრინციპის მზარდ ტენდენციაზე მიუთითებს. უპირველესად, უნდა ვთქვათ, რომ წინასწარი გამოძიების მოსამართლეები სულ უფრო და უფრო ნაკლები რაოდენობის საქმეებში აქტიურობენ. 2005 წლის მონაცემებით, საფრანგეთში წარმოებაში მყოფი 1.1 მილიონი საქმიდან, სულ რაღაც, 33 000 ათასი იქნა მოსამართლეების მიერ გამოძიებული. ამასთან, გამომძიებელი მოსამართლეები „გამოიყენებინან“ მხოლოდ გარკვეული ტიპის საქმეებზე, – მკვლელობა ან გაუპატიურება, აგრეთვე ისეთ საშუალო ხარისხის დანაშაულებზე, როგორცაა მითვისება, სახელმწიფო სახსრების არადანიშნულებისამებრ გამოყენება და კორუფცია.¹⁶

ობიექტური ჭეშმარიტების ძიება ევალებათ პროცესის მწარმოებელ სუბიექტებს აგრეთვე საბერძნეთში, ჰოლანდიაში, ბელგიაში, გერმანიაში, საერთოდ, კონტინენტური ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში, ასევე, ლათინურ ამერიკაში, იაპონიაში და ა.შ.

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ჩვენი მეზობელი სომხეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძირითადი მიმართულებების გაცნობა. სომხეთის სისხლის

სამართლის კოდექსის 23-ე მუხლი პროცესის შეჯიბრებითობას განამტკიცებს. აღნიშნული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედებები შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე უნდა წარიმართოს. სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, დაცვა და საქმის საბოლოო გადაწყვეტილება ერთმანეთისაგან უნდა იყოს გამოყოფილი და სხვადასხვა პირებისა და ორგანოების მიერ წარიმართოს. მნიშვნელოვანია, 23-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმადაც, სასამართლო არ არის ბრალდებისა და დაცვის მხარდამჭერი ორგანო და მხოლოდ სამართლისა და კანონისადმი ინარჩუნებს და გამოხატავს ინტერესს. თუმცა, მე-4 ნაწილი აწესებს, რომ სასამართლო მხარეთა მოსაზრებებით არ არის შეზღუდული და საკუთარი ინიციატივით შეუძლია მიმართოს ყველა ზომას, რათა სისხლის სამართლის საქმეზე სიმართლე დაადგინოს. ნათელია, რომ თუ საჭიროდ ჩათვლის, მოსამართლეს შეუძლია სიმართლის დადგენაში თავად ჩაერთოს. აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ სომხეთის სისხლის სამართლის პროცესი ჯერ კიდევ, აღიარებს ინკვიზიციურობის ნიშნებს. პირადად ჩვენ, შეუძლებლად მიგვაჩნია შეჯიბრებითობის დაცვა იმ პირობებში, როდესაც „ჭეშმარიტების“ ძიებას თავად სასამართლო იწყებს, რადგან მის მიერ ჩატარებული ნებისმიერი მოქმედება თუ მოპოვებული მტკიცებულება უცილობლად იქნება ერთ-ერთი მხარისათვის ტენდენციური. მეტად მისასალმებელია, რომ საქართველოს მსგავსად, სომხეთშიც იგეგმება მთელი რიგი ცვლილებები სისხლის სამართლის პროცესში. კერძოდ, დაგეგმილი რეფორმების თანახმად, აუცილებელია გაძლიერდეს შეჯიბრებითი პროცესის ელემენტები წინასასამართლო წარმოების ეტაპზე, ვინაიდან შეჯიბრებითობა ბრალდებულის უფლებების ეფექტიანად დაცვის უპირველესი გარანტიაა. მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრებითობა ქვეყნის კონსტიტუციასა და სხვა მთელ რიგ სპეციფიკურ კანონებშია განმტკიცებული, საერთაშორისო ექსპერტების დასკვნით, სომხეთში სათანადოდ მაინც არ არის უზრუნველყოფილი წინასასამართლო ეტაპზე. მხარეთა თანასწორობა შეჯიბრებითი პროცესის შემადგენელი თვისებაა, ამიტომაც სისხლის სამართლის კანონმდებლობაში იგი მკაფიოდ უნდა იქნეს განერილი. მხარეთა თანასწორობა გულისხმობს, რომ მათ უნდა ჰქონდეთ თანაბარი საშუალებები და შესაძლებლობები, რათა თავიანთი არგუმენტები წარმოადგინონ და მეორე მხარეს შეეჯიბრონ. ამასთან, საერთაშორისო რეკომენდაციების მიხედვით, ბრალმდებლის უფლებამოსილებები წინასაგამოძიებო ეტაპზე ნათლად უნდა გაიწეროს და ზოგიერთი მათგანი შემცირდეს.¹⁷

§4. ევროსასამართლოს მიდგომა შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევასთან დაკავშირებით

ევროსასამართლოს განცხადებით, „სისხლის სამართლის საქმეში შეჯიბრებითი პროცესის უფლება გულისხმობს, რომ როგორც ბრალდებას, ისე დაცვას უნდა მიეცეს მეორე მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და მტკიცებულებების გაცნობისა და მათზე საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა. ზემოთ მოცემული განსაზღვრების ნაწილს საინტერესოდ მიიჩნევენ, რადგან იმ პირობებში, როდესაც სასამართლომ მკაფიოდ განაცხადა, რომ ეს უფლება ვრცელდება როგორც ბრალდების, აგრეთვე დაცვის მხარეზე – აღნიშნული თეორიულად შეუძლებელია, რადგან კონვენციის ტექსტის თანახმად, მხოლოდ ინდივიდებმა შეიძლება ისარგებლონ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტების დაცვით და ამ პირობებში ბრალდების მხარე ცალსახად, გამოირიცხება, როგორც სახლმწიფო აპარატი და არა კონკრეტული ფიზიკური

პირი.¹⁸ გარდა ამისა, ასახელებენ კიდევ იმ არგუმენტს, რომ ბრალდებას დაცვის მხარის არგუმენტებზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა ყოველთვის არ ექნება, ვინაიდან სასამართლო პროცესზე ბოლო სიტყვა, როგორც წესი, ბრალდებულს ეკუთვნის. ჩვენი აზრით, ეს უკანასკნელი პოზიცია ქართული რეალობის ფონზე ცოტა სუსტად გამოიყურება, რადგან პროცესს ახასიათებს გარკვეული თანმიმდევრობა. აღნიშნული გულისხმობს, რომ მხარეები თანმიმდევრულად წარმოთქვამენ შესავალ სიტყვას, იკვლევენ მტკიცებულებებს, ატარებენ პირდაპირ და ჯვარედინ დაკითხვას, შემდეგ გამოდიან დასკვნითი სიტყვით და აქვთ რეპლიკების გაცხადების უფლება. ასეთ პირობებში, საეჭვოა, რომ ბრალდებულმა თავის საბოლოო სიტყვაში ისეთი რამ თქვას, რომ ბრალდების მხარის უუფლებობამ მასზე კომენტარი გააკეთოს, არსებითად შეცვალოს სასამართლოს აზრი ამა თუ იმ საკითხზე.

პრეცედენტული სამართალი შეჯიბრებითი პროცესის უფლებაზე არ არის მრავალფეროვანი და ძირითადად, 2 ტიპის საქმეებს მოიცავს. საქმეების პირველ ჯგუფში დაცვა მოკლებული იყო შესაძლებლობას, ჯეროვანი პასუხი გაეცა პროკურატურის წარდგინებებზე, მეორე კი, შეეხება ბრალდების მიერ მტკიცებულებების გამჟღავნების ვალდებულებას.¹⁹

საერთაშორისო ქრილში შეჯიბრებითობის პრინციპზე საუბრისას, აუცილებელია ვახსენოთ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლებას უზრუნველყოფს. ევროსასამართლოს პრაქტიკაში არაერთი პრეცედენტი, როდესაც განმცხადებლის მტკიცებით, ბრალდება მტკიცებულებებს არ გასცემდა და აღნიშნული ცალსახად არღვევდა მისთვის მინიჭებულ უფლებებს პროცესის ნებისმიერ სტადიაზე ჰქონოდა ინფორმაცია, თუ რის გამოყენებას აპირებდა ბრალდება მის წინააღმდეგ. მართლაც, ბრალდების ორგანოებს ხშირად ახასიათებს ტენდენცია არ გაამჟღავნონ საქმესთან დაკავშირებული გარკვეული მასალები, მაგალითად, ანგარიშები, ჩანაწერები, განცხადებები და ინფორმაცია მოწმეთა შესახებ. ამ შემთხვევებისათვის სასამართლომ განსაზღვრა ძირითადი წესი: „სასამართლო თვლის, რომ მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული სამართლიანობის მოთხოვნის მიხედვით, რომელიც აღიარებულია ინგლისურ სამართალში, ბრალდების ორგანოებმა დაცვას უნდა გაუმხილონ ნივთიერი მტკიცებულება ბრალდების წინააღმდეგ ან მის სასარგებლოდ. მოცემულ საქმეში აღნიშნულის შეუსრულებლობამ გამოიწვია ხარვეზი სასამართლო განხილვაში“ (Edwards vs UK).

საერთოდ, უნდა ვთქვათ, რომ შეჯიბრებითობა მეტად ფართო ცნებაა და დაცვის მხარისათვის მთელი რიგი იმ უფლებამოსილების მინიჭებას გულისხმობს, რაც შეიძლება იმთავითვე ბრალდებასაც ჰქონდეს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ისევე როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი და ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია განამტკიცებენ ბრალდებულის უფლებას ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალება საკუთარი დაცვის მოსამზადებლად. „საშუალებები“ საკმაოდ ზოგადი ცნებაა და თავის თავში მოიცავს ბრალდების არსისა და საფუძვლის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლებას, დამცველის დახმარების უფლებას, მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის უფლებას.²⁰ შეჯიბრებითობის პირობებში მნიშვნელოვანია ბრალდების შესახებ ინფორმირების უფლება. ევროსასამართლოს განცხადებით (ბრალდებულს აქვს უფლება), „მისთვის გასაგებ ენაზე, დაუყოვნებლივ და დაწვრილებით ეცნობოს წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი“ – განამტკიცებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (მე-6 (3) მუხლი).²¹ საკმარისი შესაძლებლობების

ქონის უფლება თავის თავში მოიცავს ბრალდებულის უფლებას, გაეცნოს ბრალდების მტკიცებულებებს. ევროსასამართლომ ატლანის საქმეში დაადგინა, რომ ბრალდების მხარემ, რომელიც გამუდმებით უარყოფდა, რომ არ არსებობდა არანაირი „გაუხსენლი“ მტკიცებულება, ველარ შეძლო უშუალოდ პროცესზე სასამართლოსათვის გაეცნო ნამდვილი პოზიცია, როდესაც აღმოჩნდა, რომ არსებობდა გარკვეული გაუმხელებელი მტკიცებულებები, რომლებიც აუმჯობესებდა დაცვის მხარის პოზიციას.²²

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევას განიხილავს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ქრილში, რომელიც განამტკიცებს სამართლიანი სასამართლოს უფლებას და ბუნებრივია, შეჯიბრებითობა სრულყოფილი სასამართლო პროცესის ერთ-ერთი შემდგენელი ნაწილია. ჩვენდა სასიხარულოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეჯიბრებითი პროცესის განხორციელებასთან დაკავშირებული დარღვევები არცერთ საქმეში არ გამოუვლენია.

დასკვნა

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედებული ცვლილებებით სისხლის სამართლის პროცესში არსებითად ახალი მიდგომები დაწერა და შეუერთდა იმ ქვეყნების რიცხვს, რომლებიც წმინდა შეჯიბრებით მოდელს იზიარებენ. აღნიშნული გადაწყვეტილება, რა თქმა უნდა, ნაჩქარევად მიღებული არ ყოფილა, არამედ იგი აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და სხვა მთელი რიგი განვითარებული ქვეყნების გამოცდილების ანალიზსა და მათი პროცესუალური სამართლის საუკეთესო თვისებების კომპილაციას წარმოადგენდა.

ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია, რომ საქართველო ერთხელ და სამუდამოდ საბჭოური „ნაშთებისაგან“ თავისუფლდება. რეფორმები მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც თანამედროვე პირობებში სულ უფრო უკანა პლანზე იწევს სახელმწიფო ინსტიტუციების როლი და მნიშვნელობა საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან აქტივობებში და წინა პლანზე თავად საზოგადოებისვე აქტიურობა ინაცვლებს. XXI საუკუნე ახალ გამოწვევებს ქმნის და ფრიად მისასალმებელია, რომ საქართველო რეგიონის მასშტაბით ნოვატორის როლში გამოდის და მეზობელი სახელმწიფოებისათვის მაგალითი ხდება. ზემოთ მოტანილი სომხეთის მაგალითიც ნათელყოფს, რომ კავკასიის რეგიონის ქვეყნები ნელ-ნელა იჩენენ მისწრაფებას სისხლის სამართლის პროცესის წმინდა შეჯიბრებითი მოდელისაკენ, რომელიც საქმის სადავეებს თავად მხარეს ანდობს და დღევანდელ პირობებში მეტად პროგრესულია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჟან პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, 1995;
2. ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები (თარგმანი – კნიქარიშვილის), 2002.
3. შტეფან ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009;
4. კ. ფ. გუცენკო, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, 2007;
5. Mathieu Deflem, Amanda J. Swygart Comparative criminal justice, Purdue university, West Lafayette, Indiana , 2001;
6. Adhémar Esmein, A history of continental criminal procedure with special reference to france, New jersey, 2000 ;
7. Liricka Meintjes van der Walt, Comparative method: Comparing legal systems and/or legal cultures?, 2006;
8. Craig M. Bradley , Criminal Procedure (A Worldwide Study), Second Edition, North Carolina, 2007;
9. Mirjan R. Damaska, Structures of Authority and Comparative Criminal Procedure, 1975;
10. (Escobedo v Illinois) იხ.: http://en.wikipedia.org/wiki/Escobedo_v_Illinois
11. Criminal Procedure Code of the French Republic (English version) ix.: <http://legislationline.org/download/action/download/id/1674/file/848f4569851e2ea7eabfb2ffcd70.htm/preview>
12. Inquisitorial system / modern use in France იხ. http://en.wikipedia.org/wiki/Inquisitorial_system
13. OSCE/ODIHR Note on the Concept Paper on the Reform of Criminal Procedure Legislation in Armenia, Warsaw, 4 November 2010, ix. :www.legislationline.org
14. The Strasbourg jurisprudence იხ.: <http://www.publications.parliament.uk/pa/ld200304/ldjudgmt/jd040205/hc-2.htm>

შენიშვნები:

- ¹ ჟან პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, 1995, გვ. 6.
- ² Mathieu Deflem, Amanda J. Swygart Comparative criminal justice, Purdue university, West Lafayette, Indiana, 2001, p. 53-54.
- ³ Adhémar Esmein, A history of continental criminal procedure with special reference to france, New jersey, 2000, p. 6.
- ⁴ Liricka Meintjes van der Walt, Comparative method: Comparing legal systems and/or legal cultures?, 2006, p. 53.
- ⁵ Craig M. Bradley, Criminal Procedure (A Worldwide Study), Second Edition, North Carolina, 2007, p. xviii.
- ⁶ Craig M. Bradley, Criminal Procedure (A Worldwide Study), Second Edition, North Carolina, 2007, p. xvii, xviii
- ⁷ Liricka Meintjes van der Walt, Comparative method: Comparing legal systems and/or legal cultures?, 2006, p. 55.
- ⁸ კ.ფ. გუცენკო, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, 2007, გვ. 161, 165.
- ⁹ იქვე, გვ. 213-214.
- ¹⁰ კ.ფ. გუცენკო, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, 2007, გვ. 263.

- ¹¹ (Escobedo v Illinois) იხ.: http://en.wikipedia.org/wiki/Escobedo_v_Illinois
- ¹² Mirjan R. Damaska, Structures of Authority and Comparative Criminal Procedure, 1975, p. 524.
- ¹³ ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები (თარგმანი – კ. ნიქარიშვილის), 2002, გვ. 126.
- ¹⁴ Criminal Procedure Code of the French Republic (English version) იხ.: <http://legislationline.org/download/action/download/id/1674/file/848f4569851e2ea7eabfb2ffcd70.htm/preview>
- ¹⁵ კ.ფ. გუცუნკო, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, 2007, გვ. 431.
- ¹⁶ Inquisitorial system / modern use in France ix. http://en.wikipedia.org/wiki/Inquisitorial_system
- ¹⁷ OSCE/ODIHR Note on the Concept Paper on the Reform of Criminal Procedure Legislation in Armenia, Warsaw, 4 November 2010, p. 15-16 იხ.: www.legislationline.org
- ¹⁸ შტეფან ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, გვ. 115.
- ¹⁹ იქვე, გვ. 116.
- ²⁰ შტეფან ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, 2009, გვ. 243.
- ²¹ იქვე, გვ. 225.
- ²² The Strasbourg jurisprudence, იხ. <http://www.publications.parliament.uk/pa/Id200304/ldjudgmt/jd040205/hc-2.htm>

Supreme Court of Georgia
hosted scientific conference
dedicated to the issue –
“Adversarial Principle in the
Criminal Procedure”.

Conference was held within
the framework of the
memorandum between the
Supreme Court of Georgia and
Ivane Javakhishvili State
University and professors,
scholars, PHD Students and
other students participated in it.
The Conference promoted
discussion on the adversarial
principle, as well as raising
public awareness on this
important principle among wider
public.

We offer students ‘
presentations that were
appreciated by practitioner
lawyers as well as by the
scholars.

ADVERSARIAL PRINCIPLE (COMPARATIVE ANALYSES)

TINATIN KHACHVANI

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Law Faculty Student*

We can say that the Comparative Criminal Law is a sphere that has not been so well studied by Georgian scholars, thus working on this topic is twice as much responsibility and is much more difficult. Despite the challenges, working on the article was extremely interesting. Comparative analyses allows to look at the issue and analyze it from various perspectives, view opinions of different authors regarding certain problematic issues. Presented article was an effort to analyze adversarial principle in criminal law based on the examples of several countries. Introduction provides short overviews on basics of criminal law systems. General importance of adversarial principle in Anglo-American and civil law countries is also analyzed in this section. Besides the general overview, article also offers peculiarities of each system in relation with the adversarial principle. Author analyzes similarities between criminal procedure code of Georgia and other countries. Article discusses those norms of Armenian Criminal Procedure Code that strengthen adversarial principle. As well as the changes that are foreseen in this country in the near future. Final part of the article is dedicated to the case law of the European Court and those international acts that directly or indirectly strengthen principle of adversariality.

შეჯიბრებითობის პრინციპი ნაფიც მსაჯულთა მიერ განსახილველ საქმეებში

ემზარ გაბნიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

შესავალი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს ქართული მართლმსაჯულების სისტემაში. საქართველოს ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, რომელიც ძალაში 2010 წლის 1 ოქტომბრიდან შევიდა, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა ქართული სისხლის სამართლის სისტემაში. ამ მხრივ, ყურადსაღები სიახლეა შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული სისტემის შემოღება, ნაცვლად ინკვიზიციური სისტემისა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დანერგვა. მოქალაქეები გადამწყვეტ როლს ასრულებენ პირის ბრალეულობისა და უდანაშაულობის საკითხის გადაწყვეტაში. მოსამართლე კი, კანონის ექსპერტია, რომელიც დამოუკიდებელი დამკვირვებლის სახით მოქმედებს. იგი უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს ჩატარებას როგორც ბრალდებულის, ასევე, ბრალდების მხარეთათვის.¹ სწორედ აღნიშნული სიახლიდან გამომდინარე, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, დღესდღეობით, ქართულ სამართლებრივ სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა.

ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა საქართველოში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით გამართული პროცესები და ვფიქრობთ, რომ მკითხველისათვის საინტერესო იქნება სტუდენტის თვალით დანახული შეჯიბრებითობის პრინციპის მნიშვნელობა ნაფიც მსაჯულთა მიერ განსახილველ საქმეებზე და საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით შემოთავაზებული სიახლე შეჯიბრებითობის პრინციპთან დაკავშირებით.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის წარმოშობის მოკლე ისტორიული ექსკურსი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ხანგრძლივი ისტორია აქვს. აღნიშნული ინსტიტუტის სამშობლოდ დიდი ბრიტანეთი მოიხსენიება. ნაფიცი მსაჯულები წარმოადგენენ ფაქტების დამდგენ ინსტანციას, რომელთაც სამართლებრივ საკითხებზე მითითებებს აძლევს მოსამართლე. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ფაქტების ერთადერთი არბიტრია და მისი გადაწყვეტილება ნმიდათანმიდად (სომეტჰინგ საცროსაინცტ) მიიჩნევა.² მიუხედავად ამისა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ჩანასახი საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპზეც შეიმჩნეოდა. მაგალითად, საბერძნეთში, სკანდინავიის ქვეყნებში, რომში, ნორვეგიასა და შვედეთში.

დიდი ბრიტანეთის მსგავსად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გავრცელდა მის ყოფილ კოლონიებსა და სხვა ქვეყნებში, რომლებიც ადრე იმყოფებოდნენ დიდი ბრიტანეთის გავლენის ქვეშ და შემდეგ, საერთო სამართლის სისტემას შეუერთდნენ. მაგალითად, აშშ, ირლანდია, ავსტრალია, კანადა და ახალი ზელანდია.³

კონტინენტური ევროპის მოდელი მოსამართლესა და მსაჯულებს შორის ფუნქციების მკაცრ გადანაწილებას გულისხმობს, სადაც პირის ბრალეულობის საკითხს წყვეტენ ნაფიცი მსაჯულები, მოსამართლე კი, უფარდებს სასჯელს და წყვეტს პროცესულურ საკითხებს.⁴ რაც შეეხება კონტინენტური ევროპის ქვეყნებს, თავდაპირველად, მსაჯულთა ავტორიტეტი აქაც მაღალი იყო. თუმცა, ამ ქვეყნებში გავრცელებულ მსაჯულთა სახეს ძნელად შეიძლება ეწოდოს ნაფიცი მსაჯულები. აშკარაა, რომ ისინი მსაჯულთა განსხვავებულ ნაირსახეობას განეკუთვნებიან. მათ სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიებენ. ამასთან, სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის კიდევ ერთი ფორმა არსებობს – საქმეებს განიხილავს კოლეგია, რომელიც შედგება მოსამართლისა და არა იურისტი (არჩევითი) წევრებისაგან. მათ იტალიაში – სახალხო სასამართლოებს, რუსეთში – სახალხო მსაჯულებს, გერმანიაში – შეფენებს, ხოლო საფრანგეთში ასიზებს უწოდებენ. შემდგომში კი, ამ სახელწოდებებმა ტრანსფორმაცია განიცადა.⁵

რაც შეეხება საკითხს, იცნობდა თუ არა საქართველო ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს თავისი განვითარების ადრეულ ეტაპზე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ინსტიტუტის მსგავსი ჩანასახი ხევსურეთის ჩვეულებით სამართალში არსებობდა. ხევსურეთის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, შეირჩეოდა 4-დან 12-მდე კაცისაგან (რჩეული პირებისაგან) შემდგარი სასამართლო და ისინი ძველი ადათ-წესების მიხედვით შერიგების, ქურდობის, განქორწინებისა და სხვა მსგავს საქმეებს იხილავდნენ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ შერიგულ პირებს მსაჯულებს უწოდებდნენ.⁶

მოგვიანებით, 1919 წლის 17 იანვარს, საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ.“ ამ კანონის თანახმად, ნაფიცი მსაჯულები 12 კაცის შემადგენლობით, მოსამართლისაგან დამოუკიდებლად წყვეტდნენ ბრალდებულის დამნაშავედ ცნობა-არცნობის საკითხს. აღნიშნული კანონით, განსაზღვრული იყო, თუ ვის შეეძლო მონაწილეობა მიეღო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში, როგორც ნაფიც მსაჯულს. აღსანიშნავია, რომ სწორედ დასახელებული პერიოდი უნდა მივიჩნიოთ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პირველსაწყისად.

შეჯიბრებითობის პრინციპის ასახვა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში

სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის მიღებით, საქართველოში სისხლის სამართლის საქმეებზე შეჯიბრებითობის ახლებური სისტემა შემოვიდა. ამასთან, შეჯიბრებითობის პრინციპს ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიც იცნობდა, თუმცა, არა იმ სახით, რა სახითაც აღნიშნული პრინციპი დღეს მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშია ასახული. ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განმტკიცებული შეჯიბრებითობის პრინციპის მიხედვით, მხარეთა ფუნქციები და სისხლის სამართლის საქმის გადანყვეტის ფუნქცია ერთმანეთისაგან გამიჯნული იყო.⁷ დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განმტკიცებულია წმინდა შეჯიბრებითობის პრინციპი, რომელიც საერთო სამართლის ქვეყნებიდან შემოვიდა. წმინდა შეჯიბრებითობის პრინციპის მიხედვით, სასამართლო პროცესებზე მოსამართლეები აღარ აქვეყნებენ მტკიცებულებებს და არ ხდება მონმეთა დაკითხვა; ამ პრინციპის თანახმად, პროკურორის/ადვოკატის ფუნქციაა წარმოადგინოს თავისი საქმე და დაკითხოს მონმეები. თუ პროკურორი/ადვოკატი თავის საქმეს თავს ვერ გაართმევს, მტკიცებულებები და ჩვენებები ვერასოდეს მივა მოსამართლემდე ან ნაფიც მსაჯულებამდე, რომლებმაც საქმე უნდა გადანყვიტონ. აღნიშნულის თანახმად, მთლიანად მხარეებს აკისრიათ ის ტვირთი, რომლითაც უნდა უზრუნველყონ, მათი შუამდგომლობის მხარდამჭერი მტკიცებულების მოსამართლემდე და ნაფიც მსაჯულებამდე მიტანა. მათ ასევე, უნდა შეძლონ, რომ მათთვის არასასურველი მტკიცებულებები არ იქნეს განხილული. ყოველივე ამის განსახორციელებლად პროკურორები/ადვოკატები მალალ დონეზე უნდა დაეუფლონ შეჯიბრებითობის სისტემას და უზრუნველყონ მომზადების სათანადო ხარისხი.

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტში გამოკვეთილადაა ასახული. სწორედ ამიტომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საერთო სამართლის ქვეყნებში შეჯიბრებითობის პროცესის ნაწილად მიიჩნევა, სადაც მოსამართლე მიუკერძოებელი არბიტრია და მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესში არ მონაწილეობს.⁸

შეიძლება ითქვას, რომ ახალი საპროცესო კოდექსის მიღებამდე, ჩვენთან რეალურად არ ყოფილა შეჯიბრებითი პროცესი, ვინაიდან არ შეიძლება შეჯიბრებითი პროცესი ეწოდოს, როდესაც ადვოკატი მიმართავს პროკურორს/გამომძიებელს შუამდგომლობით საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე, როგორც ხდებოდა დღემდე მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. შეჯიბრებითი პროცესი არც მაშინ არსებობს, როდესაც მოსამართლე დაკითხავს მონმეს და მონმის პასუხი პირდაპირ თუ არაპირდაპირ აუცილებლად აძლევს ხელს რომელიმე მხარეს და არც მაშინ გვაქვს შეჯიბრებითობა, როდესაც მოსამართლე გარკვეულ მოსაზრებას გამოთქვამს. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა უარყოფილია დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით. ახალი კოდექსის მიხედვით, მოსამართლე კი არ დაკითხავს მონმეს, არამედ კითხვასაც კი, ვერ დასვამს მხარეებთან შეთანხმების გარეშე.

შეჯიბრებითობის პრინციპის მნიშვნელობა ყველაზე მკაფიოდ ვლინდება ნაფიც მსაჯულთა მიერ განსახილველ საქმეებში. აღნიშნული პრინციპი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში მოსამართლის პასიურობაში გამოიხატება. სასამართლოში საქმის განხილვისას მოსამართლე მიუკერძოებელი არბიტრის როლს ასრულებს და იგი აქტიურად არ მონაწილეობს საქმის განხილვაში, მაგალითად, არ დაკითხავს მონმეებს და ვერ სვამს კითხვებს საკუთარი ინიციატივით; მოსამართლე პასიურია მტკიცებულებათა მოპოვების დროს, ვერ გამოიძახებს მონმეს; საკუთარი ინიციატივით ვერ

შეამცირებს ბრალდებას და ვერც დაუშვებლად ცნობს მტკიცებულებას, რადგან ყოველივე ეს ხორციელდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე. მოსამართლის პასიურობაზე მიგვანიშნებს, რომ იგი მოკლებულია უფლებამოსილებას დააბრუნოს საქმე გამოძიებაში. შეჯიბრებითობის პრინციპის უშუალო გამოვლინებაა ისიც, რომ მხარეები თავად განსაზღვრავენ თავიანთ მოთხოვნებს და თავადვე ამყარებენ მოსაზრებებს. მტკიცებულებათა მოპოვება და სასამართლოში წარდგენა მხარეთა პრეროგატივაა. მხარეებს ეკისრებათ მოწმეთა სასამართლოში გამოცხადების უზრუნველყოფა. ყოველივე აღნიშნული მხარეებს უბიძგებს, რომ ისინი უფრო მეტად მოტივირებულნი და უფრო მეტად ჩართულნი იყვნენ პროცესის მსვლელობაში.

ზემოთ ხსენებული საკითხების განხილვისას, არაერთხელ აღინიშნა, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი სიახლეს წარმოადგენს ქართული მართლმსაჯულების სისტემაში. ამ მხრივ, ვფიქრობთ, ისმის კითხვა, თუ რას უნდა მოველოდეთ აღნიშნული პრინციპის დამკვიდრების შედეგად? შეჯიბრებითობის პრინციპის არსზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ და ამჯერად ყურადღებას გავამახვილებთ მის მოსალოდნელ შედეგებზე. ჩვენი აზრით, შეჯიბრებითობის პრინციპის განვითარება ხელს შეუწყობს მხარეთა სამართლებრივი დონის ამაღლებას, ვინაიდან ხსენებულ პრინციპზე აგებული პროცესის წარმართვისათვის აუცილებელია საქმის მაღალ დონეზე მომზადება, რათა მოსამართლისა და ნაფიცი მსაჯულების წინაშე პროკურორის/ადვოკატის გამოსვლა იყოს დამაჯერებელი. ვინაიდან შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე საქმის სასამართლო განხილვისას მოსამართლე პასიურ როლს ასრულებს, მხარე ექვევებ ვერ დააყენებს მისი ობიექტურობის საკითხს და მხარისათვის უარყოფითი შედეგის დადგომა გამონკვეული იქნება მხოლოდ და მხოლოდ მისივე არაჯეროვანი მომზადების დონით, შესაბამისად, მოიმატებს საზოგადოების მხრიდან სასამართლოსადმი ნდობა.

სტუდენტის თვალით დანახული ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესი

მას შემდეგ, რაც 2010 წლის 1 ოქტომბრიდან ძალაში შევიდა სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი, რომლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სიახლეს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება წარმოადგენდა, საზოგადოება განსაკუთრებული ინტერესით ელოდებოდა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით გამართულ რეალურ პროცესს. აღნიშნული პროცესის გამართვას კიდევ უფრო დიდი ინტერესით ელოდა იურიდიულ სფეროში მოღვაწე პროფესორთა და სტუდენტთა სეგმენტი. 2011 წლის 9 ნოემბერს, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით დაინიშნა პირველი პროცესი. აღნიშნული თარიღი ისტორიული მნიშვნელობისაა და ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს, მით უმეტეს, სამართლით დაინტერესებულ პირებს დიდი სურვილი ჰქონდათ ამ მოვლენის მონაწილენი გამხდარიყვნენ. შესაბამისად, როგორც სტუდენტს დიდი ინტერესი მქონდა აღნიშნული პროცესის მიმართ და აქტიურად დავესწარი დღემდე გამართულ ორივე პროცესს. მიმაჩნია, რომ საინტერესო იქნება სტუდენტის თვალთ დანახული რეალური პროცესი და ამ პროცესებთან დაკავშირებული შეფასებები.

თემის სათაურიდან გამომდინარე, ყურადღებას გავამახვილებთ საკითხზე, თუ რა კუთხით ჰპოვა ასახვა შეჯიბრებითობის პრინციპმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესში. უპირველესად, აღსანიშნავია, რომ მოსამართლემ თავი გაართვა მასზე დაკისრებულ მძიმე მისიას. მართალია, შეჯიბრებითობის პრინციპის მიხედვით, მოსამართლე პასიურ როლს ასრულებს, მაგრამ მისი როლი ამასთან გაზრდილია იმდენად, რამდენადაც მას ევალება უზრუნველყოს შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვა მთელი პროცესის მიმდინარეობისას, რაც ადვილი საქმე არ არის.

მოსამართლის მხრიდან შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვის მკაფიო გამოხატულება იყო, როდესაც ერთმა მხარემ მოწმეს დაუსვა კითხვა, თუ რომელი ბრალდებული იყო კონკრეტული პიროვნება, არა და ეს პიროვნება საერთოდ არ იმყოფებოდა ბრალდებულებს შორის სხდომის დარბაზში. მიუხედავად იმისა, რომ კითხვის მოხსნის საფუძველი სახეზე იყო, კერძოდ ის, რომ მხარეს მოწმე და ნაფიცი მსაჯულები შეცდომაში შეჰყავდა, მოსამართლემ ვერ მოხსნა კითხვა, რადგანაც მეორე მხარეს ეს არ გაუპროტესტებია.

რაც შეეხება მხარეებს, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხრიდან პროცესის მიმართ პასუხისმგებლობა იგრძნობოდა, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ბრალდების მხარე უფრო უკეთესად გამოიყურებოდა, ვიდრე დაცვის მხარე. დაცვის მხრიდან, ჩვენი აზრით, ყველაზე დიდი მინუსი იყო, რომ ადვოკატი პოლემიკაში შედიოდა მოწმეებთან და მას ემჩნეოდა აგრესია კონკრეტული მოწმეების მიმართ.

საბოლოოდ, ვფიქრობთ, აღნიშნული პროცესები დადებითად უნდა შეფასდეს და იმედი ვიქონიოთ, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება გაამართლებს, რაც ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების სამართლებრივი დონის ამაღლებას. ამგვარი ვარაუდი ჩატარებული პროცესებიდან ნათლად იკვეთება.

შენიშვნები:

- ¹ კინბოლი ჯ., ქართული სასამართლო სისტემა უკეთესობისკენ იცვლება, ჟურ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2009, N4, გვ. 10.
- ² ევროგაერთიანების ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო სისტემები, (თარგმანი ინგლისურიდან), კრისტინე ვან დენ ვინგაერტი (რედ.), თბ., 2002, გვ. 95.
- ³ იორჰენდი, ლ., ნიქარიშვილი ლ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, თბ., 2007, გვ. 11-12.
- ⁴ ვიდმარი ნ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო: (საერთო სამართლის ქვეყნები): სამართალი და თანამედროვე პრობლემატიკა, თბ., 2005, გვ. 6.
- ⁵ ჭაჭუა ვ., ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის წარმოშობისა და განვითარების ძირითადი ტენდენციები, ჟურ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“ 8/2005-3/4, გვ. 10.
- ⁶ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია, (საქართველოს უზენაესი სასამართლო), თბ., 2010, გვ. 16-17.
- ⁷ მეიშვილი ზ., ჯორბენაძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბ., 2007, გვ. 66.
- ⁸ სახელმძღვანელო სასამართლო უნარ-ჩვევებში, თბ., 2012, გვ. 22.

PRINCIPLE OF ADVERSARIALITY IN THE JURY TRAIL CASES

EMZAR GAGNIDZE

Ivane Javakishvili Tbilisi State University

Law Faculty Student

New Criminal Procedure Code of Georgia has introduced significant changes to the Georgian justice system. Among those, the most important is the jury trail system. Presented Article provides an overview on the realization of the adversarial principle on jury trails.

You know that adversariality principle has its peculiarities during the jury trail case proceedings. Article offers a short overview regarding the background of establishment of jury trail court and its development. You know, that this institute has a long history. Its motherland is Great Britain and due its influence it was spread among the colonies and other countries, that later joined common law system countries. As for the continental European countries, originally, jury trail had high influence here. Though, juries' institute that operated in these countries could hardly be named as jury trail institute. It is obvious, that they belonged to a different type of jury. It is worth mentioning that for Georgia was familiar with jury trail institute and similar institute existed in Khevsureti Law of Customs.

Introduction of the Jury Trail in Georgian justice system is a very interesting novelty and along with that implementation of the adversarial principle as well.

Article focuses on the peculiarities of the jury trail hearings and implementation of the adversarial principle.

ინკვიზიციიდან შეჯიბრებითობამდე

ქატიკან ძისტაური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შემოიტანა. მისი საჯაროდ გაცხადებული მიზანია მხარეებს შორის სრული თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფა და შეჯიბრებითობის პრინციპის განხორციელება სამართალწარმოების ისეთ სისტემაში, რომელიც აქამდე, ძირითადად, ინკვიზიციური იყო. ექსპერტები, რომლებიც ამ კანონპროექტზე მუშაობდნენ, მიიჩნევენ, რომ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, უდავოდ, პროგრესული ნაბიჯია ქართულ კანონმემოქმედებით საქმიანობაში.

სისხლის სამართალწარმოების არსის თანამედროვე გაგებისაკენ მიმავალი გზა ხანგრძლივი და რთული იყო. თითოეული ქვეყანა თავისი გზით მიისწრაფოდა. მრავალ ფაქტორთა გათვალისწინებით, რომლებიც კონკრეტულ ქვეყანაში მოქმედებდნენ, ყალიბდება არაერთგვაროვანი წარმოდგენები სისხლის სამართლის საქმის წარმოების საკვანძო საკითხებზე. ასეთ საკითხებს, უპირველესად, მიეკუთვნება: სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მოსამართლისა და სასამართლოს საპროცესო მდგომარეობა, ბრალდებულისა და მისი დამცველის საპროცესო უფლებათა მოცულობა, ბრალმდებლისა და გამომძიებლის საპროცესო უფლება-მოვალეობანი, მტკიცების მიზნებისა და შინაარსის განსაზღვრა და ა. შ. სწორედ, ამ საკვანძო საკითხების გადანყვეტა საშუალებას გვაძლევს, ვისაუბროთ სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა ფორმების არსებობის შესაძლებლობის შესახებ.¹

I. ბრალდებითი პროცესი

ბრალდებითი პროცესი, რომელიც მონათმფლობელურ პერიოდში ჩაისახა, განსაკუთრებით განვითარდა ფეოდალური საზოგადოების არსებობის პირველ ეტაპებზე. ამ პერიოდის სისხლის სამართლის პროცესისათვის დამახასიათებელია კერძოსამართლებრივი ხასიათი, რადგან საზოგადოება ჯერ კიდევ, არაა იმდენად კონსოლიდირებული, რომ შეიგნოს და დაიცვას საჯარო ინტერესები, ამიტომ მასში ძირითადად, ნათესაური კავშირები ბატონობს. დანაშაული ჯერ კიდევ, მიიჩნევა კერძოსამართლებრივ ქმედებად, რომელიც ზიანის მომტანია არა მთელი საზოგადოებისათვის, არამედ მხოლოდ დაზარალებულისა და მისი გვარისათვის. ასე, მაგალითად, ძველი ინგლისური ბრალდებითი პროცესის მიხედვით, მეფის მკვლელობისთვისაც კი, მის გვარს გამოსასყიდს უხდინდნენ, ისევე როგორც ეპისკოპოსის მკვლელობისათვის. მხოლოდ სამართლის განვითარების შემდგომ ეტაპზე გახდა მეფის მკვლელობა სახელმწიფო დანაშაული, რომელიც ფულადი კომპენსაციით არ გამოისყიდებოდა.²

ბრალდებითი პროცესისთვის დამახასიათებელია ბრალმდებლის განსაკუთრებული მდგომარეობის აღიარება, რომლის როლშიც ხშირად დანაშაულისაგან დაზარალებული პირი გამოდიოდა. სწორედ მის ნებაზე იყო დამოკიდებული საქმის აღძვრა და შეწყვეტა.³ ამასთან, კერძო ბრალმდებელი პირადად ატარებდა მტკიცების ტვირთს, რომელიც დაკავშირებული იყო სისხლისსამართლებრივ დევნასთან. მის ვალდებულება იყო, მოეძებნა და სასამართლოში მიეყვანა დამნაშავე. იგი ასევე, პასუხისმგებელი იყო დაუსაბუთებელი ბრალდებისათვის. რაც შეეხება დაცვის მხარეს, მას წარმოადგენდა თავად ბრალდებული ან მისი ახლობლები, რომლებიც მხოლოდ კერძო ინტერესებით მოქმედებდნენ. აღსანიშნავია, რომ ძველად, სისხლის სამართალში პირადი პასუხისმგებლობის პრინციპის არარსებობა განაპირობებდა იმ გარემოებას, რომ დანაშაულებრივი ქმედების შედეგად გამოყენებული სანქცია შეიძლებოდა დამნაშავის ნათესავებს დაკისრებოდათ. აღნიშნული კი, უშუალო კავშირში იყო სისხლის აღების ჩვეულებასთან. ამასთან, ადამიანის პიროვნება მისი გვარისაგან არ გამოიყოფოდა, არამედ იგი მთელი გვარის წარმომადგენლად მიიჩნეოდა. ბრალდებულის პირადი შეხედულებები მის საპროცესო სტატუსშიც გამოიხატებოდა. მის სურვილზე იყო დამოკიდებული სისხლისსამართლებრივი სარჩელის ცნობა და პასუხისგება ან სარჩელზე შეწინააღმდეგება. ბრალდებულის საპროცესო უფლებები ზუსტად ისეთივე მოცულობის იყო, როგორც ბრალმდებლის. მხარეთა თანასწორობა მათი უფლებების თანასწორობით გამოიხატებოდა. ბრალდებულს, ბრალმდებლის მსგავსად, ეკისრებოდა იმ მასალის (მტკიცებულების) წარმოდგენის ვალდებულება, რომელიც პროცესის საფუძველს შეადგენდა.⁴

როგორც ცნობილია, საზოგადოების განვითარების ნებისმიერ ეტაპზე სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობა მიზნად ისახავს მტკიცებულებათა შეკრებას. გამონაკლისი არც განსახილველი პერიოდია. იმ დროს ბრალდებითი პროცესი ფორმალური იყო, რაც მტკიცებულებათა მოძიებისა და წარმოდგენის პროცედურაზეც აისახებოდა. საზოგადოება მოკლებული იყო შემეცნების ადეკვატურ საშუალებებს და სამართლიანობის გასარკვევად ღმერთს მიმართავდა. ამიტომ ბრალდებით პროცესში მტკიცება მიმართული იყო არა საქმის არსისაკენ, არამედ მის გარეთ – ზებუნებრივი ძალებისაკენ. მტკიცების საშუალებად გვევლინებოდა ორთაბრძოლები, განმედიტი ფიცის დადება და ა.შ. რომლებიც ურთულესი წესებით ტარდებოდა და რომელთა დარღვევაც დავაში დამარცხებას ნიშნავდა. ღმერთი კი, მოდავეთა სიმართლეს იმით

განსაზღვრავდა, რომ მხარეს რთული შეჯიბრების მოგებაში ეხმარებოდა. სასამართლოს აინტერესებდა არა ჭეშმარიტება, არამედ დარწმუნება, რომ ბრალდებულს შესწევს უნარი გაუძლოს წამებას, ორთაბრძოლას, დაიფიცოს ისე, როგორც წესია და სხვ.

ორთაბრძოლა საბრალდებო პროცესში, როგორც მტკიცების მთავარი საშუალება, მარტო მხარეებს შორის არ იმართებოდა. ამგვარად, შეიძლებოდა გადანყვეტილიყო მოწმის აცხილება და საჩივარი განაჩენზე. ამასთან, ორთაბრძოლა კერძო ომის „ყველა ყველას წინააღმდეგ“ შემსუბუქების საშუალებაც იყო. ბრალდებითი პროცესი ცვლიდა სისხლის ალებას, რადგან ორი გვარის ომის ნაცვლად იმართებოდა მათი წარმომადგენლების დაპირისპირება შუამავლის წინაშე. შემდეგ კი, ჯგუფური ორთაბრძოლა ინდივიდუალურით შეიცვალა. ითვლებოდა, რომ ორთაბრძოლაში (ორდალიაში) გამარჯვებული წარმოადგენდა დავაში გამარჯვებულს.⁵

აქვე უნდა შევეხოთ სასამართლოს საპროცესო მდგომარეობას. კერძო საწყისი მის შეზღუდულ უფლებამოსილებაზეც აისახებოდა. იგი მხოლოდ სისხლისსამართლებრივი სარჩელისა და მასზე შეწინააღმდეგების ფარგლებში მოქმედებდა. სასამართლოს პასიური მდგომარეობა ეკავა, რაც გამოიხატებოდა მოსამართლის მინიმალურ თავისუფლებაში. იგი წარმოადგენდა მხარეთა შეჯიბრების უბრალო მოწმეს, რადგან მას საკუთარი ინიციატივით მტკიცებულების შეკრების უფლება არ ჰქონდა. მტკიცების როლი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხარეთა შორის თანაბრად იყო განაწილებული. ამასთან, მტკიცების პროცესის წესების სირთულე სასამართლოს შესაძლებლობას აძლევდა, მათი დარღვევა თავისებურად განემარტა, რაც მოსამართლის თვითნებობას იწვევდა. აღსანიშნავია, რომ ბრალდებითი პროცესის მტკიცების წესების განმარტების თავისუფლება მტკიცებულებათა შინაგანი რწმენით შეფასების ჩანასახია.

სასამართლოს კერძო მდგომარეობას ნათლად გამოხატავს ის ფაქტიც, რომ ძველ პროცესში წაგებული მხარე ორთაბრძოლაში იწვევდა მოსამართლეს, რომელმაც განაჩენი დაადგინა. ყოველ სამართალდარღვევაში ერთმანეთს უპირისპირდებოდა სამი მხარე: მოსარჩელე, მოპასუხე და მოსამართლე. თითოეული მათგანი მტრულად იყო განწყობილი დანარჩენი ორის მიმართ, მაგრამ ორის კავშირი წყვეტდა საქმეს მესამის წინააღმდეგ.

საინტერესოა, როგორ ხორციელდებოდა აღნიშნული პროცესი ადრეულ ცივილიზაციაში. მესოპოტამიაში, უმეტეს შემთხვევაში, მოსარჩელის, ანუ დაზარალებული პირის ვალდებულებას წარმოადგენდა მოპასუხის სასამართლოში მიყვანა. თუმცა, განსაკუთრებით საშიში დამნაშავეს დაკავება და დაპატიმრება მეფის მოხელეთა საქმე იყო. სასამართლოში მტკიცებულებების წარმოდგენა მხარეებს (მოსარჩელესა და მოპასუხეს) თანაბრად ევალებოდათ. ჯერ კიდევ, შუმერულ კანონებში იყო დეფინირებული ალიბისა და ნივთმტკიცების ცნება. მტკიცებულების მნიშვნელოვან საშუალებად მიიჩნეოდა მოწმის ჩვენება, განსაკუთრებით, თუ ის ფიცითა და ორდალიებით (წყლით გამოცდა) იყო განმტკიცებული. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „შაკ“-ის თანახმად, ორდალიების გამოყენება (ანუ ღვთის მსჯავრი) არამხოლოდ ბრალდებულის, არამედ ბრალმდებლის მიმართაც გამოიყენებოდა. „შაკ“-ებით, ორდალი ფიცის შემოწმების საშუალებად გამოდიოდა და მასზე უარის თქმა არამხოლოდ ბრალის აღიარებას, არამედ თვითდანყველას ნიშნავდა. ფიცი ქურუმების წინაშე იდებოდა: იფიცებდნენ მეფის, ღმერთების, წმინდა ადგილების სახელით. ქურუმები აქტიურად მონაწილეობდნენ ორდალიების ორგანიზებასა და დაკითხვაში. რიგი საქმეების მიმართ კი, სავალდებულო იყო მტკიცებულების სახით წერილობითი დოკუმენტების წარმოდგენა.⁶

რაც შეეხება ძველ ინდურ სამართალწარმოებას, რომელიც დაწვრილებით არის აღწერილი როგორც ართჰამასტრაში, ისე გვიანდელი პერიოდის დჰარმამასტრებში აღნიშნულია, რომ

სამართალწარმოება იწყებოდა სასამართლოში სასარჩელო განცხადების შეტანითა და მოსარჩელისა და შემდეგ მოპასუხის დაკითხვით. საქმის ხასიათიდან გამომდინარე, თითოეული მხარე უფლებამოსილი იყო, რწმუნებული წარმოედგინა, რომელიც გარანტიას, პირობას იძლეოდა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით. ამ დროს მოპასუხეს შესაგებლის (ბრალდების) შეტანის უფლება არ ჰქონდა, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა ქურდობის, ვაჭართა შეთანხმების დარღვევისა და მხარეთა შორის კამათის საქმეები განიხილებოდა. მოპასუხის მიერ ბრალის აღიარების შემთხვევაში, სასამართლო განიხილავდა წყდებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, მას იძლეოდა ვადა პასუხის მოსამზადებლად (პირველ შემთხვევაში – 3-დან 7 დღემდე, მეორე შემთხვევაში – თვენახევარი). თუ მოპასუხე, იმავე დღეს დასაბუთებულად ვერ გააბათილებდა მოსარჩელის ჩვენებას, იგი დაჯარიმდებოდა. მოსარჩელისა ან მოპასუხის მიერ მართლმსაჯულებისათვის თავის არიდება ბრალის აღიარებად განიხილებოდა.

ძვ. ინდოეთში უძველესი დროიდან მტკიცებულებათა საშუალებად ორდაღიები – ღვთის მსჯავრი იყო ცნობილი. იაჯნავალკიაში დანვრილებითაა აღწერილი ხუთი დიდი ორდაღი [სასწორით, ცეცხლით, წყლით (წმინდა და უბრალო) და შხამით]. თუმცა, მათი გამოყენება შესაძლებელი იყო, ჯერ ერთი – მხარეთა თანხმობით, მეორე – ავტორიტეტული მტკიცებულების არარსებობის შემთხვევაში – დოკუმენტი, მოწმის ჩვენება, ნივით სარგებლობის ფაქტი და მესამეც – საჯაროდ.⁷

რაც შეეხება ისლამურ სასამართლო პროცესს, ჩვეულებრივ, იგი საბრალდებო ხასიათს ატარებდა. საქმის აღძვრა ხდებოდა არა სახელმწიფო ორგანოების, არამედ დაინტერესებული პირების მიერ (გამონაკლისს წარმოადგენდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული). სასამართლოში საქმის განხილვა საჯაროდ მიმდინარეობდა, როგორც წესი, მეჩეთში. მხარეებს საქმე თვითონ უნდა ეწარმოებინათ ადვოკატების დაუხმარებლად.

ძირითად მტკიცებულებად ითვლებოდა მხარეთა აღიარება, მოწმეთა ჩვენება და ფიცი. საქმე ერთ სხდომაზე უნდა გადაწყვეტილიყო, დაუშვებელი იყო მისი გადატანა მეორე დღისათვის. არსებითად, სასამართლო პროცესი, მხარეთა თავისებურ შეჯიბრში გადაიქცეოდა, სადაც ბუნებრივია, ღარიბი და მდიდარი წარმომავლობის პირები თანაბარ მდგომარეობაში ვერ იქნებოდნენ. გადაწყვეტილების გამოტანის დროს მოსამართლე დიდი თავისუფლებით სარგებლობდა, მას საკუთარი შეხედულებისამებრ გამოჰქონდა გადაწყვეტილება (მხარეთა მიმართ პირადი სიმპათია-ანტიპათიის გათვალისწინებითა და მათი სოციალური მდგომარეობის შესაბამისად). სასამართლოში, მტკიცებულებათა შეფასების დროს, ფორმალისში ბატონობდა. კერძოდ, სრულფასოვან მტკიცებულებად ითვლებოდა მხოლოდ „ღირსეული“ ორი მუსლიმი მამაკაცის მოწმეობა. ქალის მოწმეობა ნახევარ მტკიცებულებად მიიჩნეოდა და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე არ იყო სანდო და საფუძვლიანი მტკიცებულება. სასამართლო დასაშვებად მიიჩნეოდა ფიცის დადებას, რაც ევალებოდა როგორც მოპასუხეს, ასევე ბრალდებულ მხარეს. ფიცის დადება ხდებოდა საზეიმო ვითარებაში ალაჰის სახელით, ამის გამო იგი განსაკუთრებით საიმედო მტკიცებულებად იყო აღიარებული. მას ბრალდებულის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ან/და სასჯელის ზომის შემსუბუქებაც კი, შეეძლო. ბრალდებულის აღიარებითი ჩვენება, თუ ის სრულწლოვანი და შერაცხადი პირის მიერ იქნა მიცემული, ყოველგვარი ზენოლისა და იძულების გარეშე, საკმარის მტკიცებულებად მიიჩნეოდა და სასამართლოს შეეძლო გადაწყვეტილება მხოლოდ მასზე დაყრდნობით გამოეტანა.⁸

რაც შეეხება საქართველოს, ფეოდალურ პერიოდში, უმთავრესად საბრალდებო პროცესი ფიქსირდება, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასამართლო პროცესის უძველესი ფორმაა. მისთვის დამახასიათებელი იყო მთელი რიგი პრინციპები, რომლიდანაც ცალკე უნდა გამოიყოს შეჯიბრებითობის პრინციპი, რაც საქმისწარმოებისას მხარეთა თანასწორ უფლებებში გამოიხატებოდა. ისინი საქმის დაწყების ინიციატორები იყვნენ. სწორედ მხარეები აგროვებდნენ დამამტკიცებელ საბუთებს და წარუდგენდნენ განსახილველად მოსამართლეებს. მოსამართლეთა როლი პასიურია, მტკიცებულებათა შეკრებაში ისინი მონაწილეობას არ იღებენ, მათ მხოლოდ მხარეთა მიერ წარმოდგენილი მასალები უნდა შეესწავლათ, შეეფასებინათ და ამის საფუძველზე გამოეტანათ განაჩენი. არ ტარდებოდა არავითარი წინასწარი გამოძიება, არსებობდა მხოლოდ საქმის სასამართლო განხილვა. საბრალდებო პროცესის სხვა პრინციპებია: ზეპირობა და საჯაროობა. ყველა ეს პრინციპი უხსოვარი დროიდან მოქმედებდა საქართველოს სასამართლო წარმოებაში.⁹

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბრალდებითი პროცესი, რომელსაც ხშირად კერძოშეჯიბრებით პროცესს უწოდებენ, დამახასიათებელია მონათმფლობელური საზოგადოებისათვის და ადრეული ფეოდალიზმისათვის. ძველ ბრალდებით პროცესს მიეკუთვნება წარმოება ძველ საბერძნეთში, ძველ რომში, ინგლისში (XII საუკუნემდე), საფრანგეთში (XI-XII საუკუნეებში), გერმანიაში (X-XIII საუკუნეებში) და სხვ.¹⁰

II. სამძებრო (ინკვიზიციური) პროცესი

სამძებრო პროცესი ისევე, როგორც ბრალდებითი, მონათმფლობელურ საზოგადოებაში წარმოიშვა და ფართოდ გავრცელდა აბსოლუტიზმის ეპოქაში. მის აყვავებას უკავშირებენ „კუდიანებზე ნადირობის“ ეპოქას, რომელსაც ეკლესია ახორციელებდა. აღნიშნული პროცესის წესების თანახმად, მოსამართლეს, თავის ფუნქციებთან ერთად, უნდა განეხორციელებინა გამომძიებლის, ბრალმძებლისა და გარკვეულწილად, დამცველის ფუნქციები. ბრალდებული მოკლებული იყო დაცვის უფლებას. იგი წარმოადგენდა პროცესის არა სუბიექტს, არამედ ობიექტს. ასეთი პროცესისათვის ტიპური იყო ე. წ. ფორმალურ მტკიცებულებათა სისტემა, რომელიც მტკიცებულებათა შეფასებასთან დაკავშირებულ მკაცრ რეგლამენტაციაში გამოიხატებოდა. მაგალითად, ბრალდებულის აღიარება, რომელიც მტკიცებულებათა დედოფლად მიიჩნეოდა, რომ ქალს უფრო ნაკლებად უნდა დაუჯერო, ვიდრე კაცს, მდიდარს უფრო მეტად, ვიდრე ღარიბს და ა. შ. რაც შეეხება წამებას, იგი წარმოადგენდა „მტკიცებულებათა დედოფლის“ – აღიარების მოპოვების მნიშვნელოვან ხერხს.¹¹

ისტორიული ანალიზი გვიჩვენებს, რომ საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ პერიოდში ინკვიზიციური პროცესი ლეგიტიმური ხდება. როგორც აღნიშნული საკითხის მკვლევარი ა. სიმონოვი აღნიშნავს, ინკვიზიციური პროცესი აუცილებელი იყო საზოგადოებისათვის, როგორც ბუღდოზერი, რომელიც ასწორებდა ფეოდალურ მოედანს ახალი შენობის ასაშენებლად.¹² სამძებრო პროცესის საპროცესო მნიშვნელობა ისაა, რომ მასში ჩნდება სტადიები და განსაკუთრებული თანამდებობის პირები, რომლებიც შემდგომ გამომძიებლად და პროკურორებად იწოდებიან. საგამომძიებო პროცესი ახდენს ისეთ მტკიცებულებათა რეგლამენტაციას როგორ-

ცაა: მონმეთა ჩვენებები, ბრალდებულის აღიარება, წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი სასამართლო გადაწყვეტილებების გადასინჯვის ინსტიტუტს. განსაკუთრებით დეტალურად ინკვიზიციურ პროცესში მუშავდება მისთვის ძირითადი სტადია – წინასწარი გამოძიება, რომელიც იყოფა საერთო, შემაჯამებელი და სპეციალური გამოძიების ეტაპებად.

კერძოშეჯიბრებითი პროცესის სამძებროთი შეცვლა კანონზომიერი იყო. ადამიანი მივიდა დასკვნამდე, რომ დანაშაული ზიანს აყენებდა არა მხოლოდ დაზარალებულსა და მის გვარს, არამედ მთელ საზოგადოებას [სამძებრო (ინკვიზიციურ) პროცესში დანაშაულებრივი ქმედებით დაზარალებულად აღიარებულია მთელი საზოგადოება]. რაც შეეხება ბრალდებულს, იგი წარმოადგენს დანაშაულის შესახებ ფასეული ინფორმაციის მფლობელს, რომლის მისაღებადაც სერიოზული იძულება გამოიყენებოდა. ამასთან, ბრალდებულის მიმართ მოქმედებს არა უდანაშაულობის, არამედ დამნაშავეობის პრეზუმფცია. უზენაესი ინტერესებისათვის იგი ვალდებულია, დაკითხვისას ყველაფერი აღიაროს. პროცესისათვის ცნობილია შემთხვევები, როდესაც ბრალდებულს, საკუთარი დანაშაულის შესახებ სხვადასხვა და ცრუ ჩვენებისათვის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრა.¹³

სახელმწიფო ინტერესების რეალიზაციისათვის სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენდა, გაერკვია ობიექტური ჭეშმარიტება და ამის საფუძველზე გადაეწყვიტა საქმე. იგი პროცესს ფორმალური ბრალმდებლის გარეშე იწყებდა, თვითონ აყენებდა საბრალდებო თეზისს და მტკიცებულებით ამყარებდა მას (ბრალმდებლის ფუნქცია). ჭეშმარიტების დასადგენად სასამართლოს უნდა წამოეყენებინა და შეემონმეებინა საწინააღმდეგო ვერსია – დაცვითი თეზისი (დაცვის ფუნქცია). გარდა ამისა, საქმის გადაწყვეტა (იუსტიციის ფუნქცია) ასევე, სასამართლოს პრეროგატივა იყო. მოსამართლე წარმოადგენდა პროცესის ერთადერთ ქმედუნარიან მონაწილეს, რომელიც არ იყო შეზღუდული რაიმე საზღვრებით. ძეზნის საჯარო ინტერესი ზღუდავდა მის პიროვნულ უფლებას. ყველა მისი მოქმედება კანონით მკაცრად იყო რეგლამენტირებული.

მთლიანობაში, სამძებრო სისხლის სამართლის პროცესისათვის განმსაზღვრელია სახელმწიფო ინტერესების გაბატონება პიროვნების ინტერესებზე, რაც სასამართლო წარმოების მონაწილეთა საპროცესო მდგომარეობაში გამოიხატება. კანონის მკაცრი მოთხოვნების შესაბამისად, პროცესის მწარმოებელი ორგანო პროცესის სხვა მონაწილეების მიმართ თავის ცალმხრივ, ძალაუფლებრივ უფლებამოსილებებს ახორციელებს. სამძებრო პროცესში ბრალმდებლის, დამცველისა და სასამართლოს ვალდებულებები ეკისრება საქმის მწარმოებელ ორგანოს, რომელსაც ჭეშმარიტების დადგენისა და გადაწყვეტილების მიღებისას მხარეთა დახმარება არ ესაჭიროება.¹⁴

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ტიპის პროცესისისათვის დამახასიათებელია მტკიცებულებათა ფორმალური სისტემა, რომლის არსია, რომ მოსამართლე მტკიცებულებებს მისთვის „გარეშე“ კრიტერიუმებით აფასებს (ისინი დეტალურადაა მითითებული კანონში). უტყუარ მტკიცებულებად მიიჩნევა ბრალის აღიარება, დამნაშავის ადგილზე დაკავება, ორი სარწმუნო მონმის ჩვენება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამძებრო პროცესი სხვადასხვაგვარია: საგამოძიებო პროცესში ბრალდებულს აქვს ზოგიერთი საპროცესო უფლება, შესაძლებელია დაშვებულ იქნეს დამცველი, განხილვის საგანი შეზღუდულია ბრალდებით, ამასთან, გაბატონებულია წერილობითობა და არ არის უშუალო წარმოება; ვინრო გაგებით, „სამძებრო“ პროცესში ბრალდებული ივარაუდება დამნაშავედ, წამება კი, ფორმალურად აკრძალულია, მოქმედებს მტკიცებულებათა ფორმალური, მკაცრად რეგლამენტირებული სისტემა, წერილობითობა და საიდუმლოობა;

სამძებრო პროცესის ინკვიზიციურ ფორმას ახასიათებს წამება და შეიძლება ჰქონდეს როგორც ზეპირი (ფორმალური მტკიცებულებების გარეშე), ასევე, წერილობითი ფორმა.¹⁵

ინკვიზიციური პროცესის მხრივ, საინტერესოა, ძველი ჩინეთი, სადაც თავდაპირველად შეჯიბრებითობითი პროცესი მოქმედებდა, თუმცა, პროცესის აღნიშნული სახე ადრევე უთმობს ადგილს სამძებრო ტიპის პროცესს, რომელიც დროთა განმავლობაში, საბოლოოდ გაბატონდა. ძველჩინური სამართალწარმოება დანაშაულის გამოძიებას განსაკუთრებულ მოხელეს ავალებდა. საგამოძიებო მოქმედებები იწყებოდა სამაზრო ან საოლქო მმართველობის ორგანოში, განცხადების ან დასმენის შეტანის შემდეგ. დასმენა, განსაკუთრებით ქურდობის ან მკვლელობის საქმეზე, ძალზედ ზუსტად უნდა ყოფილიყო განსაზღვრული, რადგან უზუსტობა დამსმენის დასჯის საფუძველს წარმოადგენდა. დასმენაზე „უფლება“ პირდაპირ იყო დამოკიდებული პირის სოციალურ მდგომარეობასა და მის ადგილზე სისხლით ნათესაური კავშირების სისტემაში (გარდა სახელმწიფოსა და იმპერატორის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისა).¹⁶

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფეოდალურ საქართველოში პროცესის ძირითადი ფორმა საბრალდებოა, თუმცა, სამძებრო პროცესის ელემენტებიც ჩანს. მაგალითად, ვახტანგის სამართლის წიგნის მე-4 მუხლში საუბარია იასაულის მიერ საგამოძიებო ფუნქციის შესრულებაზე. იგი იგზავნებოდა მოსამართლის მიერ საქმის ადგილზე გამოსარკვევად და ამდენად, მის მოქმედებას სამძებრო ხასიათი ჰქონდა. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ვახტანგ IV-ის სამართლის წიგნითაც და სხვა ძეგლებითაც მოსამართლე საქმის განხილვისას არცთუ პასიურ როლს ასრულებდა. იგი არ კმაყოფილდებოდა მხარეთა მიერ წარმოდგენილი საბუთებით და თვითონ იღებდა გარკვეულ ზომებს მასალების, მტკიცებულებების შესაკრებად.¹⁷

XVIII საუკუნის II ნახევრის არაერთ სასამართლო ხასიათის დოკუმენტში პირდაპირ არის მოცემული, რომ სასამართლო პროცესს წინ უძღვის წინასწარი გამოძიება, რაც სამძებრო პროცესისთვისაა დამახასიათებელი. ასევე, მოსამართლის აქტიური როლი სწორედ სამძებრო პროცესის არსებობაზე მიუთითებს.¹⁸

სამძებრო პროცესმა მოსპო სასამართლო წარმოების კერძო ხასიათი, მასში საჯაროობა შემოიტანა და პროცესის თანამედროვე საჯაროშეჯიბრებითი ტიპის წარმოშობის წინაპირობები შექმნა.

III. შეჯიბრებითობის პრინციპი თანამედროვე სისხლის სამართალში

საქართველოს 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა პირველად საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში შეჯიბრებითობის პრინციპი შემოიტანა. კერძოდ, მე-15 მუხლში მოცემული იყო სისხლის სამართლის პროცესის შეჯიბრებითობა, რომლის თანახმადაც: 1. სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. 2. ბრალდების, დაცვისა და საქმის გადაწყვეტის ფუნქციები გამოყოფილია ერთმანეთისაგან და არ შეიძლება დაეკისროს ერთსა და იმავე ორგანოს ან ერთსა და იმავე თანამდებობის პირს. 3. მხარეებს სრული თანასწორობის საფუძველზე უფლება აქვთ წარმოადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მათ გამოკვლევაში, განაცხადონ შუამდგომლობა და აცილება, გამოთქვან საკუთარი აზრი სისხლის სამართლის საქმის ნებისმიერ საკითხზე. 4. შეჯიბრებითობა წინასწარ გამოძიებაში უზრუნველყოფილია იმით, რომ: ბრალდების ფუნქცია

ეკისრება პროკურორს, აგრეთვე დაზარალებულს, სამოქალაქო მოსარჩელესა და მათ წარმომადგენლებს; დაცვის უფლება აქვთ ბრალდებულს, დამცველს, სამოქალაქო მოპასუხესა და მის წარმომადგენელს; დაწესებულია სასამართლო კონტროლი გამომძიებლისა და პროკურორის იმ საპროცესო მოქმედებაზე, რომელიც დაკავშირებულია მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასთან; ექვმიტანილს, ბრალდებულს, დამცველსა და პროცესის სხვა მონაწილეს ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით უფლება აქვთ სასამართლოში გაასაჩივრონ გამომძიებლის ან პროკურორის უარი შუამდგომლობის, საჩივრისა თუ განცხადების დაკმაყოფილებაზე. 5. სასამართლო არ არის სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო, არ ასრულებს დაცვისა და ბრალდების ფუნქციას. სასამართლო ბრალდებისა და დაცვის მხარეებს უქმნის საჭირო პირობებს მტკიცებულებათა წარდგენისათვის, მათი ყოველმხრივი და სრული გამოკვლევისათვის. 6. სასამართლო შებოჭილი არ არის მხარეთა მოსაზრებებით.

მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა, მართალია, ერთგვარად შეზღუდული ფორმით, მაგრამ მაინც ხორციელდებოდა წინასწარი გამოძიების სტადიაზე. შეზღუდვა მდგომარეობდა იმაში, რომ წინასწარ გამოძიებაში პროკურორი ახორციელებდა სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციას და თვითონვე ღებულობდა საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით ყველა საკითხზე გადაწყვეტილებას. ბრალდებული და დამცველი ახორციელებდნენ დაცვის ფუნქციას ისეთ პირობებში, როცა მათ არ ჰქონდათ მტკიცებულებათა შეგროვებისა და წარდგენის თანაბარი შესაძლებლობა.¹⁹

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო არ წარმოადგენდა წინასწარი გამოძიების მწარმოებელ ან/და წინასწარ გამოძიებაზე საპროცესო ხელმძღვანელობის განმახორციელებელ ორგანოს, ზემოაღნიშნული მე-15 მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, დაწესებული იყო სასამართლო კონტროლი გამომძიებლისა და პროკურორის იმ საპროცესო მოქმედებასა და გადაწყვეტილებაზე, რომელიც დაკავშირებული იყო ადამიანის კონსტიტუციით დაცული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასთან. მაგალითად: აღკვეთის ღონისძიების, ბრალდებულის თანამდებობიდან გადაყენების, ქონებაზე ყადაღის დადების შემთხვევაში და ა.შ.²⁰

ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, ასევე, ერთ მუხლში გააერთიანა მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა, კერძოდ, მე-9 მუხლის თანახმად: 1. სისხლის სამართლის დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. 2. მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება.

კანონმდებლის მიერ მე-3 მუხლის მე-5 ნაწილში განმარტებულია თუ ვინ მიიჩნევა პროცესში მხარედ. კერძოდ, მხარეს წარმოადგენს ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი, გამომძიებელი და პროკურორი. შესაბამისად, დაზარალებული, განსხვავებით ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისაგან, აღარ არის მხარე. ვერ დავეთანხმებით დოქტორანტ დავით ბენიძეს, რომელიც თავის ნაშრომში მიუთითებს, რომ დაზარალებულის ბრალდების მხარედ არყოფნა, კოდექსის ღირსებაზე კი არ მეტყველებს, არამედ პროცესის ერთ-ერთი ძირითადი მონაწილის უფლებების ყოვლად გაუმართლებელ შეზღუდვებზე მიუთითებს. დედისთვის იმ უფლების წართმევა, რომ შეაფასოს და გაასაჩივროს მისი შეხედულებით სასამართლოს უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენი, შვილის მკვლელობასთან დაკავშირებით, წარმო-

ადგენს ადამიანის დისკრიმინაციას. აღნიშნულთან მიმართებაში უნდა ითქვას, რომ სახელმწიფომ თავის თავზე აიღო საკუთარი მოქალაქეების ინტერესების დაცვა. სწორედ სახელმწიფო დგას ადამიანის დარღვეული უფლებების სადარაჯოზე. რაც შეეხება დაზარალებულს, იგი სისხლის სამართლის პროცესში მოწმის სტატუსით სარგებლობს, თუმცა, მისგან განსხვავდება პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმირებულობის მაღალი ხარისხით. ამასთან, მას შეუძლია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით იდავოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სისხლის სამართლის პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპის ჯეროვნად განსახორციელებლად, აუცილებელია დაცვისა და ბრალდების მხარის უფლებრივი გათანაბრება. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაცვის უფლება გარანტირებულია. სწორედ ამ უფლებაში ნათლად არის გამოხატული მართლმსაჯულებისა და პიროვნების ინტერესების ურთიერთკავშირი. ბრალდებულს თუ არ ჩაუდენია დანაშაული, მაშინ დაცვის უფლება ხელს უწყობს მისთვის წარდგენილი ბრალდების უარყოფას, ხოლო დამნაშავეობის შემთხვევაში – მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გამოვლენას.

აღსანიშნავია, რომ დაცვის უფლება გარანტირებულია არა მარტო შიდა კანონმდებლობაში არამედ მთელ რიგ საერთაშორისო აქტებში.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბრალდებულს უფლება აქვს, საკუთარი ხარჯით, თვითონ ან/და ადვოკატის დახმარებით მოიპოვოს მტკიცებულება. ამასთან, კანონმდებელმა მტკიცებულებების მოპოვებისათვის დამატებითი ბერკეტები შექმნა. კერძოდ, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ მტკიცებულებების მოპოვებისათვის საჭიროა ისეთი საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარება, რომელსაც ბრალდებული ან მისი ადვოკატი დამოუკიდებლად ვერ ატარებს, იგი უფლებამოსილია, შესაბამისი განჩინების გამოტანის შუამდგომლობით მიმართოს მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. მოსამართლე კი, ვალდებულია, მიიღოს ყველა ზომა, რათა ბრალდების მხარისათვის ცნობილი არ გახდეს დაცვის მხარის მიერ მტკიცებულების მოპოვება.

ამასთან, დაცვის უფლება მოქმედებას იწყებს კონკრეტული პირის მიმართ დაკავების ან ბრალდებულად ცნობის მომენტიდან და მთავრდება საპროცესო საქმიანობის და შესაბამისი საპროცესო ურთიერთობის დამთავრებასთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ დაცვის უფლება წარმოადგენს უდანაშაულობის პრეზუმციის რეალიზაციის უმნიშვნელოვანეს გარანტიას, სისხლის სამართლის საქმის ყველა გარემოების სამართლიანი გადანყვეტის საფუძველს. ბრალდებულის უფლება, იყოლიოს დამცველი, არსებითად შეუცვლელი და ბუნებრივი უფლებაა. „უარი მითხარით მე ან იმას, ვინც მე ავირჩიე ჩემი ქონების, ჩემი ღირსების, ცხოვრებისა და თავისუფლების დაცვაზე და მაშინ თქვენ დაამსხვრევთ ბუნებრივი სამართლიანობის წმინდათაწმინდა კანონს“ – აღნიშნავდა მაქსიმილიან რობესპიერი.²¹

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით დამკვიდრდა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის სრულიად ახალი მოდელი, რის საფუძველზეც მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეთა პრივილეგიაა. ბრალდებისა და დაცვის მხარე თანაბრად არიან უფლებამოსილნი კანონით დადგენილი წესის დაცვით მოიპოვონ მტკიცებულება. ამასთან, სსსკ 44-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ გარემოებათა გამოსაკვლევად, რომელიც ამართლებს ბრალდებულს ან/და ამსუბუქებს მის პასუხისმგებლობას, ადვოკატმა ყველა კანონიერი საშუალება და ხერხი უნდა გამოიყენოს. ხოლო ადვოკატის მიერ მტკიცებულებების მოპოვების კანონით დადგენილი წესის დარღვევით მოპოვებული მტკიცებუ-

ლება და ამგვარი მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია და იურიდიული ძალა არა აქვს (აკრძალული ხის ნაყოფის თეორია).

საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, ადვოკატი უფლებამოსილია ჩაატაროს გამოკითხვა, დაკითხვა, საგამოძიებო ექსპერიმენტი, ამოცნობა, ექსპერტიზის დანიშვნა, გვამის ექსპუმაცია, ნიმუშის აღება. მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას აქვთ თანაბარი უფლებები და მოვალეობები, სსსკ-ის 111-ე მუხლში მოცემულია გამონაკლისი, რომლის თანახმადაც, დაცვის მხარე არ არის უფლებამოსილი სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების თაობაზე.

შეჯიბრებითობის პრინციპის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებით აღსანიშნავია სსსკ-ის 83-ე მუხლით გათვალისწინებული შესაძლო მტკიცებულებათა თაობაზე ინფორმაციის გაცვლა მხარეების მიერ. კერძოდ, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე დაცვის მხარის მოთხოვნა ბრალდების მხარის იმ ინფორმაციის გაცნობის თაობაზე, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც ბრალდების მხარე აპირებს, დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. ამასთან, ბრალდების მხარე ვალდებულია ზემოთ აღნიშნულის შემთხვევაში, დაცვის მხარეს გადასცეს მის ხელთ არსებული გამამართლებელი მტკიცებულებები. დაცვის მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ, ბრალდების მხარე უფლებამოსილია დაცვის მხარისაგან მიიღოს ის ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც დაცვის მხარე აპირებს, ხოლო ინფორმაციის გაცვლის მოთხოვნის შემდეგ, იმ მომენტისათვის არსებული მასალის მხარისათვის სრული მოცულობით გადაუცემლობა ინვეს ამ მასალის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობას.

მხარეთა მოვალეობას წარმოადგენს წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა, ერთმანეთს და სასამართლოს მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ. ამასთან, კანონმდებლის მიერ ამავე მუხლის მე-5 ნაწილით დაწესებულია გარკვეული გამონაკლისი, რომლის თანახმადაც, დაცვის მხარის უფლება ინფორმაციის გადაცემის თაობაზე შეიძლება ბრალდების მხარის შუამდგომლობით შეზღუდოს სასამართლომ მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად მიღებული ინფორმაციის ნაწილში და მხოლოდ წინასასამართლო სხდომამდე.

კანონმდებელი ცდილობს დააბალანსოს მხარეთა უფლებები და მოვალეობები, ის თუ ერთ მხარეს რაიმე პრივილეგიას ანიჭებს, თავის მხრივ, მეორე მხარესაც აღჭურავს განსაკუთრებული უფლებით. დაცვის მხარესთან მიმართებაში უნდა აღინიშნოს მისი საგამონაკლისო უფლება, რომლის თანახმადაც, ის უფლებამოსილია, არ გადასცეს ბრალდების მხარეს დაცვის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მტკიცებულება, რაც არ ინვეს სასამართლოში საქმის არსებით განხილვაზე ამ მტკიცებულების დაუშვებლობას. ამ შემთხვევაში, დაცვის მხარეს დაეკისრება ჯარიმა და საპროცესო ხარჯების ანაზღაურება. აღნიშნული ჯარიმა უნდა იყოს შემაკავებელი ხასიათის, მიყენებული ზიანის პროპორციული და უნდა შეესაბამებოდეს მხარის ფინანსურ მდგომარეობას. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს აღნიშნულ უფლებას დაცვის მხარე ძირითადად, არ იყენებს, რადგან ეს პირდაპირ არის დაკავშირებული ფინანსურ მხარესთან.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, მხარეებს შორის შეჯიბრებითობა უზრუნველყოფილია როგორც გამოძიების ეტაპზე, ასევე, საქმის სასამართლო განხილვისას.

სსსკ-ის 25-ე მუხლში მოცემულია სასამართლო პროცესის შეჯიბრებითობა და მხარეთა თანასწორობა. კერძოდ, სასამართლო ვალდებულია მხარეებს თავიანთი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები ისე, რომ არცერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა. ამასთან, სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა, აღნიშნული მხოლოდ მხარეების კომპეტენციაა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილში მოცემულია მოსამართლის ვალდებულება, განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე არ გამოთქვას აზრი ბრალდებულის (მსჯავრდებულის) დამნაშავედ თუ უდანაშაულოდ ცნობის თაობაზე. როდესაც სასამართლო სხდომაში ორივე მხარე მონაწილეობს, ერთი მხარის შუამდგომლობასთან ან საჩივართან დაკავშირებით, სასამართლო ისმენს მეორე მხარის აზრსაც. აქვე ხაზგასმით აღსანიშნავია, მოსამართლის მიერ კითხვის დასმის საკითხი. მოგეხსენებათ, იგი უფლებამოსილია გამონაკლის შემთხვევაში, მხარეებთან შეთანხმების შედეგად დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად. ლიტერატურაში ხშირად გამოთქვამენ უკმაყოფილებას აღნიშნულთან დაკავშირებით და მიუთითებენ, რომ მოსამართლეს ყველა შემთხვევაში უნდა ჰქონდეს კითხვის დასმის უფლება. ამასთან, ამ უფლების რეალიზაცია არ უნდა იყოს დამოკიდებული მხარეთა ნება-სურვილზე, მაგრამ ჩვენი აზრით, სწორედ რომ შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე დაანესა კანონმდებელმა ეს შეზღუდვა. მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება, არ გამოჩინონ ფაქტი, მტკიცებულება, დაუსვან მონმეს სათანადო კითხვა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სამართლიანი სასამართლო, მაგრამ როდესაც ისინი ამას ვერ ახერხებენ და რჩება რაიმე გაურკვეველი გარემოება, ამოქმედდება მოსამართლის უფლებამოსილება, მაგრამ მისი განხორციელება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მხარეთა თანხმობაზეა დამოკიდებული. ამასთან, როგორც პრაქტიკოსი იურისტები აღნიშნავენ, როდესაც მოსამართლე იყენებს კანონმდებლის მიერ მინიჭებულ კითხვის დასმის უფლებას, ის თითქოსდა თავის პოზიციას აფიქსირებს განსახილველ საქმესთან დაკავშირებით და ერთ-ერთი მხარისკენ იხრება (განსაკუთრებით, ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვისას).

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა ინკვიზიციიდან შეჯიბრებითობამდე ხანგრძლივი და რთული გზა განვლო. ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის საჯაროდ გაცხადებული მიზანი კი – მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა, წარმოადგენს ქართული მართლმსაჯულების სისტემის უმნიშვნელოვანეს პრინციპს, რადგან შეჯიბრებითობის პრინციპს აქვს არამარტო თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სისხლის სამართლის პროცესმა გაზარდა ადვოკატის ფუნქციები. ისინი უფლებამოსილნი არიან ჩაატარონ გამოძიება და დამოუკიდებლად მოიპოვონ მტკიცებულებები. მოცემული რეფორმა ხელს შეუწყობს ადვოკატთა კორპუსის განვითარებას. მიუხედავად აღნიშნულისა, ისინი (ადვოკატები) ხშირად მიუთითებენ, რომ ახლმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა მათ კი არ მიანიჭა მთელი რიგი უფლებები, პირიქით შეზღუდა ისინი. ადვოკატები ხშირად აპელირებენ იმ ფაქტზე, რომ მათ არა აქვთ რესურსები დამოუკიდებელი გამოძიების საწარმოებლად. გამოითქვა მოსაზრება კერძო დეტექტივის ინს-

ტიტუტის შემოღების შესახებ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს ეს ინსტიტუტი უკვე ათეული წელია წარმატებით გამოიყენება ინგლისში. ამ ქვეყნის სისხლის სამართალწარმოების სპეციფიკის გამო, დაცვის განხორციელებისას მათ პროფესიულ მოვალეობას წარმოადგენს ე. წ. პარალელური გამოძიების ორგანიზაცია – გამამართლებელ მტკიცებულებათა უშუალო შეგროვება ანდა თანამშრომლობის დამყარება კერძო დეტექტივებთან, სხვა სპეციალისტებთან, რომლებიც საჭირონი არიან დაცვის მტკიცებულებათა „დასამუშავებლად.“ კერძო დეტექტივის ინსტიტუტის შემოღება ქართულ მართლმსაჯულებაში, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობდა დაცვის მხარეს მტკიცებულებათა მოპოვებაში, მაგრამ აღნიშნული საკმაოდ დიდ რესურსებს მოითხოვს (ფინანსურ მხარესთან არის დაკავშირებული) და საკითხავია რამდენად უღირს ეს ბრალდებულს?

შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, პროცესის მთელი ტვირთი გადასულია მხარეებზე. დაცვის მხარის წაგების შემთხვევაში, ბრალდებულს თუ ვინმეს მიმართ შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია, უპირველესად ადვოკატის მიმართ, რადგან სწორედ ის ახორციელებდა მისი უფლებების დაცვას. ვერც იმ მოსაზრებას დავეთანხმები, რომ შეჯიბრებითმა პროცესმა დაამდაბლა მოსამართლის სტატუსი. მოსამართლე აქტიური არბიტრია, მას ეკისრება ვალდებულება წარმართოს პროცესი კანონმდებლობის შესაბამისად, არ დაუშვას წესრიგის დარღვევა, განუმარტოს პროცესის მონაწილეებს საკუთარი უფლებები და მოვალეობები, წესრიგის დარღვევის შემთხვევაში მიმართოს შესაბამის ღონისძიებას და ა.შ. ამასთან, მხარეებთან შეთანხმების საფუძველზე იგი უფლებამოსილია დასვას დამაზუსტებელი კითხვა, თუ ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად და რაც მთავარია, იგი წარმოადგენს ერთადერთ უფლებამოსილ პირს, რომელსაც გამოაქვს საბოლოო გადაწყვეტილება საქართველოს სახელით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998;
3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2010;
4. ვ. მეტრეველი, ქართული სამართლის ისტორია, თბილისი, 2008;
5. კ. კეკელია, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, ტ. 1, თბილისი, 1970;
6. ლ. ვ. გოლოვკო, ბ. ა. ფილიმონოვი, კ. ფ. გუცენკო, დასავლეთის სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, 2007;
7. დ. ბენიძე, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახ. უნივერსიტეტი, სამეცნიერო შრომების კრებული, თბილისი, 2009;
8. ი. აქუბარდია, დაცვის ხელოვნება, თბილისი, 2011;
9. მ. გარიშვილი, საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია (ლექციების კურსი), თბილისი, 2008;
10. სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები), ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2009;
11. ზ. მეიშვილი, ო. ჯორბენაძე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბილისი, 2006;
12. Мешеряков Ю. В. Формы уголовного судопроизводства. Л. 1990.

შენიშვნები:

- ¹ კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო, ბ.ა. ფილიმონოვი, დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007, 11.
- ² დ. ბენიძე, შეჯიბრებითობის თავისებურება ბრალდებით და სამძებრო (ინკვიზიციური) ტიპის პროცესში, თბილისი, 2009, გვ. 103.
- ³ კ. ფ. გუცენკო, ლ. ვ. გოლოვკო, ბ.ა. ფილიმონოვი, დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007, გვ. 11.
- ⁴ დ. ბენიძე, შეჯიბრებითობის თავისებურება ბრალდებით და სამძებრო (ინკვიზიციური) ტიპის პროცესში, თბილისი, 2009, გვ. 104.
- ⁵ იქვე, გვ. 106.
- ⁶ მ. გარიშვილი, საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია (ლექციების კურსი), თბილისი, 2008, გვ. 58.
- ⁷ იქვე, გვ. 59-60.
- ⁸ მ. გარიშვილი, საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია (ლექციების კურსი), თბილისი, 2008, გვ. 269.
- ⁹ ვ. მეტრეველი, ქართული სამართლის ისტორია, თბილისი, 2008, გვ. 415.
- ¹⁰ იქვე, გვ. 105.
- ¹¹ კ.ფ. გუცენკო, ლ.ვ. გოლოვკო, ბ.ა. ფილიმონოვი, დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 2007, 12
- ¹² დ. ბენიძე, შეჯიბრებითობის თავისებურება ბრალდებით და სამძებრო (ინკვიზიციური) ტიპის პროცესში, თბილისი, 2009, გვ. 121.
- ¹³ Мещеряков Ю. В., Формы уголовного судопроизводства, Л., 1990, 65.
- ¹⁴ დ. ბენიძე, სამეცნიერო შრომების კრებული (თბილისის კონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი), თბილისი, 2009, გვ. 113-114.
- ¹⁵ Мещеряков Ю. В. Формы уголовного судопроизводства. Л., 1990, 22-23.
- ¹⁶ მ. გარიშვილი, საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია (ლექციების კურსი), თბილისი, 2008, გვ. 59-60.
- ¹⁷ ვ. მეტრეველი, ქართული სამართლის ისტორია, თბილისი, 2008, გვ. 416
- ¹⁸ მ. კეკელია, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, ტ.1, თბილისი, 1970, გვ. 272.
- ¹⁹ სისხლის სამართლის პროცესი, ავტორთა კოლექტივი, თბილისი, 2009, გვ. 151.
- ²⁰ ზ. მეიშვილი, ო. ჯორბენაძე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბილისი, 2006, გვ. 6.
- ²¹ ი. აქუბარდია, დაცვის ხელოვნება, თბ., 2011, გვ. 41-46.

FROM INQUISITION TO ADVERSARIALITY

KETEVAN KISTAURI

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Law Faculty Student

New Criminal Procedure Code has introduced number of significant changes to the Georgian justice system. Its publicly declared goal is to ensure full equality of parties and implementation of the adversarial principle in the justice system that was inquisitorial. This issue is still critical, as the implemented reform caused disputes between scholars as well as practitioners. Presented article shall allow readers to observe the process of transformation from inquisitorial to adversarial.

As you know, new Criminal Procedure Code had to go a long and difficult way before it became what it is now. Each and every historic form of the Procedure has individual characteristics. Part of accusation is characterized with private legal nature, as the public is not yet so consolidated to realize public interests, thus it is still governed by relatives' relations. As for the inquisitorial procedure as a whole, criminal investigative procedures are determined by state interests versus interests of the individuals.

It is especially interesting to see realization of the adversarial principle in modern criminal law. In accordance with the new Criminal Procedure Code, adversarial principle is maintained at the court hearings as well as at the investigation stage. In addition, I have focused on the basic changes made to the criminal procedure code. This mainly refers to the procedural position of the damaged person, margins of appreciation of a judge, amount of rights provided for the defendant and his / her attorney, etc.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის სპეციალური დებულებების სამართლებრივი ასპექტები

**(საგადასახადო კოდექსის ნოვაციის შესახებ –
„ოქროს სია“, ავტორიზებული ეკონომიკური
ოპერატორი)**

ქეთევან ბარდაუხაძე

*საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის დეკანი, პროფესორი*

ია ხარაზი

*საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის
პროფესორი*

უკანასკნელ დროს შესამჩნევად იზრდება სახელმწიფოსა და სამართლის როლი საქონლის, სამუშაოების, მომსახურებისა და სხვადასხვა ინფორმაციის საერთაშორისო გაცვლის რეგულირებაში. სახელმწიფო ემყარება რა, კონკრეტულ იურიდიულ აქტებს, ადგენს საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების შესაბამის სასაქონლო ოპერაციებს, კრეფს გადასახადებს, ამტკიცებს პორტალში (საქართველოს ეკონომიკურ საზღვართან მდებარე კონტროლის ზონაში) მგზავრების, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების მიმართ საგადასახადო კოდექსით დადგენილ პროცედურებს და საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის მონაწილეებზე სამართლებრივი და მმართველობითი ზემოქმედების სხვა ფორმებს.

„განსაკუთრებული ფუძემდებლური მნიშვნელობა საგადასახადო-საბაჟო სამართლის ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციას ენიჭება, სადაც ჩადებულია საქართველოს დემოკრატიული და ცივილიზებული პრინციპები, საქართველოს დემოკრატიისა და სამართლებრივი სისტემებისა და მისი ცალკეული დარგების, მათ

შორის, საგადასახადო-საბაჟო სამართლის განვითარების საფუძვლები.⁴¹ განსაკუთრებული აქცენტი გვინდა გავაკეთოთ კონსტიტუციის მე-3 მუხლზე, რომლის „ვ“ პუნქტის თანახმად, მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება „საგარეო ვაჭრობა, საბაჟო და სატარიფო რეჟიმები.“ აღნიშნულმა მუხლმა გამოკვეთა საქართველოს საგადასახადო-საბაჟო პოლიტიკა (ეკონომიკური პოლიტიკა), რომელიც არის „სახელმწიფოს მიერ დადგენილი ერთგვარი „თამაშის წესები“ საგადასახადო-საბაჟო საქმის სფეროში, რომლის მიზანი გაცვლით განპირობებული განაწილებითი მართვაა.“⁴²

საქართველოს საგადასახადო პოლიტიკა ვითარდება საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებსა და პრაქტიკასთან ჰარმონიზაციისა და უნიფიკაციის მიმართულებით. ამ შემთხვევაში, უპირველესი პრიმატი განეკუთვნება ევროსაბჭოს საბაჟო კოდექსსა და საბაჟო პროცედურების გამარტივებისა და ჰარმონიზაციის საერთაშორისო (კიოტოს) კონვენციას.

საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსი არაერთი ნოვაციით გამოირჩევა, რომელიც სამომავლოდ ხელს შეუწყობს სახელმწიფო ორგანოებსა და ბიზნესს შორის საქმიანი, პარტნიორული, ცივილიზებული ურთიერთობის ჩამოყალიბებას, რომელზეც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერება და თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაც.

საგადასახადო კოდექსის ნოვაციური მუხლები, მრავალ სასიკეთოს ჰპირდება არა მარტო ეკონომიკური, სასაქონლო ოპერაციების გამომყენებელთ და აგრეთვე იმ ფიზიკურ პირებს, რომლებიც იურიდიული პირის შექმნის გარეშე ეწვეიან საქონლის გატანა-შემოტანას (საქონლის გადაადგილებას) ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნოვაციას წარმოადგენს საგადასახადო კოდექსის 224-ე მუხლი („ოქროს სია“, ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორი), ასევე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის №993 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით „საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“ ნოვაციური თავი XXI (მუხ. 80-89) „ოქროს სია“. აღნიშნული საგადასახადო სამართლებრივი (ეკონომიკური) ინსტიტუტი ადრე მოქმედი საგადასახადო და საბაჟო კოდექსებისათვის უცხო იყო. მისი შემოტანა საგადასახადო კოდექსში განაპირობა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (რომლის წევრიც არის საქართველო) მიერ აღნიშნული პროგრამის შემუშავებამ, რომელიც კარგად აპრობირებული მეთოდია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ბევრი წევრი ქვეყნისათვის.

მაინც რა სასიკეთოს სთავზობს იგი ექსპორტ-იმპორტის სასაქონლო ოპერაციის გამომყენებელთ? ვიდრე ამ კითხვას პასუხს გავცემდეთ, ვისაუბროთ მუხლის შესახებ (საგადასახადო კოდექსი, მუხ. 224), თუ რა უპირატესობას ჰპირდება იგი ამ სიაში შესულ პირებს. „ოქროს სიაში“ შეტანით პირს ენიჭება უფლება, კუთვნილი საქონლის საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოტანა გატანისას ისარგებლოს გამარტივებული პროცედურებით და იმპორტის გადასახდელების გადახდის განსხვავებული წესით.

საიდან მოდის ეს ინსტიტუტი? რას უნდა ელოდოს ამ პროგრამაში ჩართვისას ბიზნესმენი?

„ოქროს სია“ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციამ დაამკვიდრა და იგი უკვე კარგად აპრობირებული მეთოდია მსოფლიოს წევრ ქვეყნებში. „ოქროს სიის“ წევრი ქვეყნები უნდა აკმაყოფილებდნენ მთელ რიგ კრიტერიუმებს, რომლებსაც კონკრეტული ქვეყანა შეიმუშავებს.

„საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ახალი პროგრამა, რომელიც მიზნად საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადმოკვეთის გამარტივებას ისახავს, რაც საზღვრის საქონლით გადმოკვეთ პირებს ფინანსური რესურსების დაზოგვის საშუალებას მისცემს. მისი შემუშავებისას

ევროკავშირისა და ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ექსპერტების გამოცდილება იქნა გაზიარებული და ის ვარიანტი შეირჩა, რაც ქართული სინამდვილისათვის ყველაზე მისაღები იყო. „ოქროს სიის“ მიზანია სახელმწიფო ორგანოსა და კერძო სამართლის სუბიექტებს შორის თანამშრომლობის თანამედროვე მოთხოვნებზე დაფუძნებული პროგრამის დანერგვა და ურთიერთდობის ამაღლება, საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელის შეწყობა. „ოქროს სიის“ ამოქმედება, როგორც მისი ავტორები აღნიშნავენ, კონტროლის ორგანოების პროცედურების გამარტივების მეშვეობით, ადმინისტრაციული რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენების საშუალებას იძლევა.³

„ოქროს სიის“ მონაწილეებს უფლება აქვთ სასაქონლო დეკლარაცია ელექტრონულად წარადგინონ, საქონლის გაფორმება და მასთან დაკავშირებული სხვა საგადასახადო პროცედურები კი, საზღვარზე მოახდინონ. ამასთან ერთად, მათ საშუალება ეძლევათ შემოტანილი ტვირთი შემოსავლების სამსახურის სანყოფის ნაცვლად საკუთარ სანყოფში მოათავსონ და დეკლარაციით განსაზღვრული გადასახადი 30 სამუშაო დღეში გადაიხადონ. მოცემული სიის წევრის მიერ წარდგენილი დეკლარაცია და დოკუმენტები დეტალურ შემოწმებასაც არ ექვემდებარება.

„ოქროს სიის“ პროგრამით გათვალისწინებულია იმპორტირებული საქონლის გატარების 3 შესაძლო რეჟიმი: მწვანე, ლურჯი ან წითელი. მწვანე რეჟიმში გავა საქონელი, რომელიც დაუბრკოლებლად გაფორმდა და საგადასახადო ოპერაციები წარმატებით დასრულდა; ლურჯ რეჟიმში გატარებული საქონელი განბაჟებულია (დღეს საგადასახადო პროცედურა დასრულებულია), მაგრამ გადამოწმებას საჭიროებს, ხოლო წითელი რეჟიმი სრულ საგადასახადო პროცედურებს ნიშნავს.

თავდაპირველად „ოქროს სიაში“ მოხვდნენ ის კომპანიები, რომლებიც ბიზნესსაქმიანობას „თეთრად“ აწარმოებდნენ, თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ სიაში მოსახვედრად მხოლოდ კეთილსინდისიერება საკმარისი არ იყო, არსებობდა მთელი რიგი კრიტერიუმები, რომლებსაც ამ სიაში მოხვედრის მსურველი კომპანიები დააკმაყოფილებდნენ: კომპანიები დღგ-ს გადამხდელად უნდა ყოფილიყვნენ რეგისტრირებული, ჰქონოდათ დეკლარირებული საქონლის სატარიფო ღირებულების მაღალი მაჩვენებელი, არანაკლებ 10 მლნ ლარისა; გადახდილი იმპორტის გადასახდელების მაღალი მაჩვენებელი, რომელიც არ უნდა ყოფილიყო 1,8 მლნ ლარზე ნაკლები; კომპანიას არ უნდა ჰქონოდა საბაჟო-საგადასახადო სამართალდარღვევა; უნდა წარედგინა მინიმუმ 100 000 ევროს საბანკო გარანტია და 100 შევსებული დეკლარაცია. არსებობდა რამდენიმე დამატებითი პირობა, რის გამოც კომპანიას შეიძლება უარი მიეღო „ოქროს სიაში“ ჩართვაზე, მათ შორის: საბაჟოსთან ანგარიშსწორების არსებული დავალიანება, საერთაშორისო აუდიტები და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, კომპანიას საბაჟო (საგადასახადო) ორგანოებისათვის ცნობილი საქმიანობის არანაკლებ 2-წლიანი გამოცდილება უნდა ჰქონოდა.

პროგრამაში ასევე, მონაწილეობა შეეძლოთ (შეუძლიათ) დიპლომატიური სტატუსის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციებს, საქართველოში აკრედიტებული ქვეყნის საელჩოებს, საკონსულო დანესტრულელებს, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს 2004 წლის კანონით გათვალისწინებულ სამინისტროებს.

ექსპერტების აზრით,⁴ „ოქროს სიას“ აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. უარყოფითად შეიძლება ჩაითვალოს, რომ შეღავათებს მიიღებს მსხვილი ბიზნესი, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესი დაჩაგრულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. ნაწილი ამ მოსაზრებას არ იზიარებს და აღნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე რიგები სწორედ მსხვილი

იმპორტ ექსპორტის გამოა. ექსპერტები ამ სიის ამოქმედების დადებით მხარესაც ხედავენ, რომ საგადასახადო ადმინისტრირება და ფუნქციები უფრო ეფექტიანი გახდება, ხოლო კომპანიებს უფრო სწრაფი და უკეთესი მომსახურების საშუალება მიეცემა. თუმცა, დადებითთან ერთად, როგორც აღვნიშნეთ, რისკის ფაქტორიც იჩენს თავს და რისკის ფაქტორს ამ შემთხვევაში, არა საგადასახადოს თანამშრომელი, არამედ კომპიუტერი განსაზღვრავს.

ზოგი ექსპერტის აზრი საპირისპიროა. ისინი იზიარებენ ხელისუფლების მოსაზრებას და თვლიან, რომ ნებისმიერ ეკონომიკურ საზღვარზე რიგს სწორედ მსხვილი ბიზნესის ტვირთი ქმნის და თუ ამ პროექტის ამუშავებით პორტალს⁵ მსხვილი ბიზნესის ტვირთი მოაკლდება, აქედან სარგებელს მცირე და საშუალო ბიზნესიც მიიღებს. ისინი ტვირთს სწრაფად გააფორმებენ და ეს ფინანსურ დანახარჯებსაც შეამცირებს, ვინაიდან ტვირთის საწყობში გადასატანად მანქანების დაქირავება აღარ მოუწევთ. მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებისათვის კი, უპირატესობა ტვირთის მარტივად შემოტანა იქნება.

მიუხედავად ასეთი მიმზიდველი პირობებისა, „ოქროს სია“, რომელიც 2009 წელს ამოქმედდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 21 ოქტომბრის №679 ბრძანებით, დღეს რეალურად მოქმედებს, მთელი დატვირთვით ალბათ მალე ამოქმედდება. თავიდანვე მსხვილი ბიზნესის ნაწილი მას სკეპტიკურად შეხვდა, რაც ბუნებრივია. ამის მიზეზი ალბათ ისიცაა, რომ მსხვილი ბიზნესმენები ამ ახალი ინსტიტუტისადმი ჯერ კიდევ, ვერ ფლობდნენ სრულ ინფორმაციას ან იქნებ ამ ახალი ნოვაციისადმი შეგუება და ნდობის ფაქტორი ნაკლები იყო, როგორც ხდება ხოლმე ყოველი ახლის დანერგვისას.

რა ეფექტი ქმნება „ოქროს სიის“ ამოქმედებას?

ბოლომდე პოზიტივებზე ძნელია საუბარი, ეს ინსტიტუტი ახალია, ალბათ დახვეწასაც მოითხოვს. პროგრამის დადებითი მხარე ალბათ ისაა, რომ ფირმებს გაუადვილდებათ შემოსავლების სამსახურს დაქვემდებარებული პორტალის ორგანოებთან ურთიერთობა და ის პროცედურები, რომლებსაც დიდი დრო სჭირდებოდა, რომელიც შედარებით ნაკლებ დროში მოგვარდება. იმუშავენს თუ არა საქართველოში ეს პროგრამა, პრაქტიკა გვიჩვენებს. ცხადია, იგი ყველაზე არ გავრცელდება, რადგან ფირმებმა შეიძლება სხვა მიზნებისათვის გამოიყენონ. ცხადია, არის რისკის ფაქტორებიც, რომ „ოქროს სია“ იმპორტიორ-ექსპორტიორებმა კონტრაბანდის წყაროდ არ აქციონ. მთავარი პრობლემაა, რომ ადამიანებმა, რომელთაც შეეძლებათ გამარტივებული პროცედურებით გადალახონ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და ეკონომიკურ სივრცეში შემოიტანონ საქონელი, ეს არ გამოიყენონ გაფორმებული, პროცედურაჩატარებული საქონლის გვერდით საქართველოს შიდა ბაზარზე კონტრაბანდული საქონლის შემოსატანად.

დღეისათვის „ოქროს სიაში“ მონაწილე კომპანიების რაოდენობა იზრდება. შპს „გორგია“, შპს „ალიანსი-საქართველო“, შპს „ქართული სადისტრიბუციო მარკეტინგული კომპანია“, შპს „შარმ ტრედიინგი“, შპს „დემასი“, სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ და სხვა. ეს ის კომპანიებია, რომლებიც საგადასახადო თანამშრომლობის პროგრამით გათვალისწინებული პრივილეგიით ისარგებლებენ. მათ გადაეცათ „ოქროს სიის“ სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

„საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების წესის შესახებ“ ინსტრუქციის მე-80 მუხლის თანახმად: „ოქროს სიაში“ შეყვანილ პირს (შემდგომში

– „ოქროს სიის“ მონაწილე ენიჭება უფლება, კუთვნილი საქონლის საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოტანისას ან/და გატანისას ისარგებლოს გამარტივებული პროცედურებით და იმპორტის გადასახდელის გადახდის განსხვავებული ვადებით. აღნიშნული სტატუსის მიღება პირს არ უკრძალავს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი, ამ თავისაგან განსხვავებული წესით განახორციელოს საქონლის საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოტანა ან საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიიდან გატანა და საქონლის გაფორმება.“

გამარტივებული პროცედურები არ გამოიყენება შემდეგი საქონლის გადაადგილების შემთხვევაში: ა) შეზღუდულად ბრუნვადი მასალები (იმ შემთხვევის გარდა, როცა აღნიშნული საქონლის მიმღები ან გამგზავნია „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს 2004 წლის კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან სახელმწიფო საქვეუნეყო დანესებულება); ბ) ბირთვული და რადიაციული ობიექტები, ბირთვული მასალები, რადიექტიური ნივთიერებები, რადიექტიური ნარჩენები, მინერალები (წიაღისეული), რომლებსაგანაც პრაქტიკულად შესაძლებელია ბირთვული მასალების მიღება, ყველაფერი, რაც დამზადებულია ბირთვული მასალისაგან ან რადიექტიური ნივთიერებისაგან ან შეიცავს მათ, როგორც შემადგენელ ნაწილს, აგრეთვე ბირთვული ტექნოლოგიები ან „ნოუ-ჰაუები“ (იმ შემთხვევის გარდა, როცა აღნიშნული საქონლის მიმღები ან გამგზავნია „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს 2004 წლის კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან სახელმწიფო საქვეუნეყო დანესებულება); გ) „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობები, მათი ნაწილები და დერივატები; დ) იარაღი და საბრძოლო მასალები (იმ შემთხვევის გარდა, როცა აღნიშნული საქონლის მიმღები ან გამგზავნია „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან სახელმწიფო საქვეუნეყო დანესებულება); ე) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებები; ვ) მილსადენი ტრანსპორტით და ელექტროგადამცემი ხაზებით გადაადგილებული საქონელი; ზ) „ოქროს სიის“ მონაწილის მიერ ან მისი დანიშნულებით ერთი სატრანსპორტო საშუალებით (გარდა საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტისა), სარკინიგზო ტრანსპორტის შემთხვევაში, ერთი კონტეინერით, ცისტერნით ან ვაგონით ერთდროულად გადაადგილებული სხვადასხვა სასაქონლო ოპერაციაში მოსაქცევად განკუთვნილი საქონელი; თ) ერთი სატრანსპორტო საშუალებით (გარდა საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტისა) ერთდროულად გადაადგილებული საქონელი, რომლის მიმღებს ან გამგზავნს „ოქროს სიის“ მონაწილესთან ერთად წარმოადგენს სხვა პირი (იმ შემთხვევაშიც, როცა ეს პირი „ოქროს სიის“ მონაწილეა).

როგორია „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსის მინიჭების პირობები? თუ ზემოთ აღნიშნული ინსტრუქციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსის მისაღებად აუცილებელი პირობებია:⁶

ა) შემოსავლების სამსახურის მიერ კანდიდატის შერჩევის ან კანდიდატის განცხადების რეგისტრაციის კალენდარული თვის პირველი რიცხვიდან წინა ერთი წლის (უწყვეტი 12 კალენდარული თვის) განმავლობაში: ა.ა) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის გამოცდილება; ა.ბ) საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე იმპორტში ან/და ექსპორტში დეკლარირებული

საქონლის სატარიფო ღირებულების მაღალი მაჩვენებელი – არანაკლებ 5,0 მლნ ლარისა; ა.გ) გადახდილი იმპორტის გადასახდელების ოდენობის მაღალი მაჩვენებელი – არანაკლებ 900 000 ლარისა, ან საქონლის იმპორტის ან/და ექსპორტის მიზნით წარდგენილი სასაქონლო დეკლარაციების დიდი ოდენობა – არანაკლებ 100-ისა;

ბ) შემოსავლების სამსახურის მიერ კანდიდატის შერჩევის ან კანდიდატის განცხადების რეგისტრაციის კალენდარული თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით: ბ.ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-7 ნაწილით (როდესაც საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე სახელმწიფო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად გადატანილი ან გადმოტანილი საქონლის სატარიფო ღირებულება აღემატება 10 000 ლარს) და საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებული საგადასახადო სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული გადაწყვეტილების არარსებობა (როცა გასულია 6 თვე აღნიშნული სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე გადაწყვეტილებების ძალაში შესვლიდან); ბ.ბ) დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაცია. ინსტრუქციის 81-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირობები არ ვრცელდება შემდეგ სუბიექტებზე: ა) საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისი, სამთავრობათაშორისი) ორგანიზაციები, უცხოეთის დიპლომატიური წარმომადგენლობები, მასთან გათანაბრებული დანესებულებები და საკონსულო დანესებულებები; ბ) საქართველოს პარლამენტი; გ) „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტროები და სახელმწიფო საქვეყნებო დანესებულებები; დ) საქართველოს ეროვნული ბანკი; ე) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საქართველოს უზენაესი სასამართლო; ვ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, თვითმმართველი ქალაქები: თბილისის, ბათუმის, ქუთაისის და რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები (მერიები); ზ) საქართველოს საპატრიარქო.

რა შეიძლება კიდევ ითქვას ამ ახალი საგადასახადო ინსტიტუტის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ, დახვეწის პროცესშია? შემოსავლების სამსახური პერიოდულად ახორციელებს „ოქროს სიის“ კანდიდატთა შერჩევას სამსახურში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, ინსტრუქციის 81-ე მუხლით დადგენილი პირობების გათვალისწინებით: 1. პირს „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსი ენიჭება შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანების საფუძველზე და ASYCUDA-ში დაშვებისათვის ენიჭება მომხმარებლის სპეციალური სახელი და კოდი. 2. თუ „ოქროს სიის“ მონაწილეს სურვილი აქვს, საქონლის მიწოდება განახორციელოს თავის საწყოში (რომელიც უზრუნველყოფს საქონლის დაცულობას და შენახვას), წარადგენს ინფორმაციას ასეთი საწყოების სახეობის, ფართობის, შენახვის პირობების, მისამართისა და კუთვნილების თაობაზე (შენობა-ნაგებობის ან/და ღია მოედნის საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ან არანაკლებ ერთი წლის ვადით დადებული სარგებლობის ექსკლუზიური უფლების (იჯარა, ქირავნობა, უზუფრუქტი ან სხვ.) დამადასტურებელი დოკუმენტი და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან). 3. „ოქროს სიის“ მონაწილის თითოეულ საწყოზე ცალკეული მისამართის მიხედვით ენიჭება ხუთნიშნა ციფრული კოდი შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებით.

ინსტრუქციის ნოვაციური მუხლი 83-ე ეხება „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსის გაუქმებას, კერძოდ: 1. სტატუსის მინიჭებიდან 3 თვის შემდეგ შემოსავლების სამსახური ახორციელებს „ოქროს სიის“ მონაწილის საგადასახადო დავალიანების არსებობის გადამოწმებას და დავალიან-

ნების არსებობის შემთხვევაში, უგზავნის მას საგადასახადო მოთხოვნას. 2. შემოსავლების სამსახური ამონმებს „ოქროს სიის“ მონაწილის მიერ 81-ე მუხლით განსაზღვრული პირობების დაკმაყოფილების მდგომარეობას კალენდარული წლის განმავლობაში ერთხელ, რომელიც აითვლება სტატუსის მინიჭების მომენტიდან. 3. „ოქროს სიის“ მონაწილის მიერ 81-ე მუხლით განსაზღვრული პირობების დაუკმაყოფილებლობის ან/და საგადასახადო მოთხოვნით განსაზღვრული დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, ხორციელდება „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსის გაუქმება შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანების გამოცემით. ამასთან, საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-7 ან/და მე-10 ნაწილებით გათვალისწინებული საგადასახადო სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე ძალაში შესული გადაწყვეტილება წარმოადგენს „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსის დაუყოვნებლივ გაუქმების საფუძველს. 4. „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსის გაუქმების შემდეგ ყოფილი „ოქროს სიის“ მონაწილის დანიშნულებით საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოტანილი და პორტალში წარდგენილი საქონელი, იმ საქონლის ჩათვლით, რომლის შემოტანამდეც წარდგენილი იყო სასაქონლო დეკლარაცია ან საქართველოს ეკონომიკური ტერიტორიიდან გასატანი დეკლარირებული საქონელი სახელმწიფო კონტროლის ქვეშ გადაადგილდება მონაწილით.

„ოქროს სიის“ მონაწილეს საქონლის იმპორტში გაფორმების მიზნით, უფლება აქვს წარადგინოს სასაქონლო დეკლარაცია: ა) წინასწარ – საქონლის საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოტანამდე ან საქონლის პორტალში წარდგენიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა და ისარგებლოს ინსტრუქციის ნოვაციური 85-ე მუხლით გათვალისწინებული გამარტივებული პროცედურებით; ბ) საქონლის პორტალში წარდგენის შემდეგ, მე-20 მუხლით დადგენილ ვადებში და ისარგებლოს 86-ე მუხლით გათვალისწინებული გამარტივებული პროცედურებით; გ) საქონლის მიმართ გამოყენებული ნებისმიერი სასაქონლო ოპერაციის (გარდა ექსპორტისა) იმპორტით შეცვლის მიზნით. გაფორმების საგადასახადო ორგანოს დეკლარაცია წარედგინება ელექტრონულად, ASYCUDA-ს მეშვეობით, ხოლო დეკლარაციაზე დასართავი, 24-ე მუხლით განსაზღვრული დოკუმენტები დეკლარაციასთან ერთად წარედგინება ელექტრონულად ან ინახება დეკლარანტთან, რომელიც ვალდებულია, მოთხოვნისამებრ წარუდგინოს ისინი საგადასახადო ორგანოს. იმპორტის გადასახდელები გადახდილი უნდა იქნეს საქონლის გაშვების თარიღიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა.

„ოქროს სიის“ მონაწილის მიერ საქონლის შემოტანა გამარტივებული პროცედურებით ხორციელდება, კერძოდ: „ოქროს სიის“ მონაწილის მიერ დეკლარაციის წინასწარ წარდგენისას, წინასწარ დეკლარირებული საქონლის საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოტანისას, პორტალში ხორციელდება სახელმწიფო კონტროლის ღონისძიებები. იდენტიფიკაციის საშუალებების მთლიანობის დარღვევის, დაულუქავი სატრანსპორტო საშუალების (გარდა იმ შემთხვევისა, როცა შეუძლებელია საქონლის გაბარიტული მოცულობის გამო სატრანსპორტო საშუალების დალუქვა) შემთხვევაში, აგრეთვე გარეგნული დათვალისწინების შედეგად საქონლის გაფუჭების, დაზიანების აშკარა ნიშნების არსებობისას, ხორციელდება გაფორმების ადგილამდე საქონლის სახელმწიფო კონტროლის ქვეშ გადაადგილება. ზემოთ აღნიშნულის შემთხვევაში, გათვალისწინებული გარემოებების არარსებობისას საქონლის მფლობელის (გადამზიდავის) მიერ პორტალში წარედგინება სატრანსპორტო დოკუმენტები – საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულება/ანგარიშ-ფაქტურა/სხვა საანგარიშსწორებო დოკუმენტი და ეცნობება, რომ

საქონლის მიმღებს (იმპორტიორს) წარმოადგენს „ოქროს სიის“ მონაწილე, აგრეთვე გაფორმების საგადასახადო ორგანოს კოდი და დეკლარაციის რეგისტრაციის ნომერი. სატრანსპორტო საშუალების, საქონლის გამომგზავნისა და მიმღების იდენტიფიცირების შემთხვევაში, პორტალის უფლებამოსილი თანამშრომელი ASYCUDA-ს გამოყენებით ახორციელებს დეკლარაციის დამუშავებას, რის შემდეგაც დეკლარაციისათვის განისაზღვრება შესაბამისი დერეფანი.

მაინც რა შეღავათიანი ღონისძიებები ხორციელდება საგადასახადო კოდექსისა და აღნიშნული ინსტრუქციის მიხედვით „ოქროს სიის“ მონაწილის მიერ ქვეყნის ეკონომიკურ საზღვარზე საქონლის გადაადგილებისას? რით არის იგი მიმზიდველი მსხვილი ბიზნესისათვის? რა სასიკეთოს ჰპირდება იგი ამ ნოვაციური ინსტიტუტის გამოყენებისას იმპორტ-ექსპორტიორებს? პირველი და მთავარი ასეთი ფორმით საქონლის გადაადგილებისას ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე გამარტივებული პროცედურების გამოყენებაა „ოქროს სიის“ მონაწილის მიერ, კერძოდ: დეკლარაციის წინასწარ წარუდგენლობა. უფრო კონკრეტულად: 1. „ოქროს სიის“ მონაწილის მიერ საქონლის წინასწარი დეკლარირების განუხორციელებლობის შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე შემოტანისას, პორტალში ხორციელდება საქონლის ზოგადი დეკლარირება და სახელმწიფო კონტროლის ღონისძიებები. 2. პორტალის მიერ გაიცემა აღრიცხვის მოწმობა (გარდა TIR-წიგნაკით გადაადგილების შემთხვევისა), რომლითაც ხორციელდება „ოქროს სიის“ მონაწილის საწყობამდე ან მის მიერ შერჩეული საწყობის დანიშნულებით საქონლის გადაადგილება. 3. სასაქონლო დეკლარაციის წარდგენამდე იდენტიფიკაციის საშუალებები არ იხსნება და საქონელი არ ჩამოიტვირთება. 4. „ოქროს სიის“ მონაწილის მიერ იმპორტის დეკლარაცია გაფორმების საგადასახადო ორგანოს წარედგინება აღნიშნული ინსტრუქციით დადგენილ ვადებში. 5. გაფორმების საგადასახადო ორგანოს დეკლარაცია წარედგინება ელექტრონულად, ASYCUDA-ს მეშვეობით, ხოლო დეკლარაციაზე დასართავი დოკუმენტები დეკლარაციასთან ერთად წარედგინება ელექტრონულად ან ინახება დეკლარანტთან, რომელიც ვალდებულია, მოთხოვნისამებრ წარუდგინოს ისინი საგადასახადო ორგანოს. 6. გამოიყენება დაბეგვრის შეღავათიანი მექანიზმი.

საგადასახადო კოდექსის ნოვაციური 224-ე მუხლი და ინსტრუქციის შესაბამისი ნოვაციური მუხლები (80-89) განსხვავებულად არეგულირებს განსაკუთრებულ პროცედურებს TIR-წიგნაკით გადაადგილებული საქონლის გაშვებისას, კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც TIR-წიგნაკით⁷ გადაადგილებული საქონლის გაშვება ხორციელდება პორტალიდან. შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანების შესაბამისად, პორტალი უზრუნველყოფს TIR-წიგნაკის მონაცემების შეტანას აღრიცხვის მოწმობის ელექტრონულ ფორმატში. იმ შემთხვევაში კი, როდესაც TIR-წიგნაკით გადაადგილებული საქონლის გაშვება არ ხორციელდება პორტალიდან, გადაადგილებული საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების TIR-წიგნაკის შესახებ მონაცემები კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეიტანება ელექტრონულ ბაზაში.

იმ შემთხვევაში, თუ „ოქროს სიის“ მონაწილეს განზრახული აქვს საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე შესაბამისად შემოტანილი საქონლის მიმართ იმპორტისაგან განსხვავებული სასაქონლო ოპერაციის გამოყენება, იგი ვალდებულია: ა) მიმართოს გაფორმების საგადასახადო ორგანოს და აღნიშნულის მიერ გაცემული აღრიცხვის მოწმობით უზრუნველყოს საქონლის წარდგენა მის მიერ შერჩეულ გაფორმების საგადასახადო ორგანოში; ბ) ინსტრუქციის მე-20 მუხლით დადგენილ ვადებში⁸ განახორციელოს სასაქონლო დეკლარაციის წარდგენა (ოპერაციის განსაზღვრის დასრულება).

ინსტრუქციის ნოვაციური 89-ე მუხლი განსაზღვრავს გამარტივებული პროცედურებს იმ პირთათვის, რომლებიც ავტომატურად იძენენ „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსს. „ოქროს სიის“ მონაწილის სტატუსს ავტომატურად (ბრძანების გამოცემის გარეშე), მხოლოდ ამ მუხლით გათვალისწინებული გამარტივებული პროცედურებით სარგებლობისათვის, იძენს: ა) ფიზიკური პირი – საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე საჭაერო ტრანსპორტით შემოტანილი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ა.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დაუბეგრავ რაოდენობასა და ღირებულებაზე მეტი და 3 000 ლარამდე ღირებულების კვების პროდუქტების (მათ შორის, საფოსტო გზავნილის შემთხვევაში) ან/და ამავე მუხლის „დ.ზ.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დაუბეგრავ რაოდენობასა და ღირებულებაზე მეტი და 10 000 ლარამდე ღირებულების საქონლის (საქონელთა ჯგუფის) იმპორტისას; ბ) ფიზიკური პირი საფოსტო გზავნილის შემთხვევაში, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 199-ე მუხლის „დ.ვ.“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დაუბეგრავ რაოდენობასა და ღირებულებაზე მეტი და 10 000 ლარამდე ღირებულების საქონლის (საქონელთა ჯგუფის) იმპორტისას; გ) პირი (გარდა ფიზიკური პირისა) საფოსტო გზავნილით შემოტანილი, 10 000 ლარამდე ღირებულების საქონლის (საქონელთა ჯგუფის) იმპორტისას; დ) პირი, საქონლის იმპორტში მოქცევის მიზნით, გაფორმების ეკონომიკურ ზონაში საგადასახადო ორგანოს მიერ შევსებული დეკლარაციით გაფორმებისას. ზემოთ აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საქონლის დეკლარირება ხორციელდება გამარტივებული დეკლარაციით, ხოლო იმპორტის გადასახადების გადახდა ხდება დეკლარაციისათვის რეგისტრაციის ნომრის მინიჭების თარიღიდან არა უგვიანეს, 30 კალენდარული დღისა, ხოლო საქონლის იმპორტში მოქცევის მიზნით, გაფორმების ეკონომიკურ ზონაში საგადასახადო ორგანოს მიერ შევსებული დეკლარაციით გაფორმებისას, იმპორტის გადასახდელები გადახდილი უნდა იქნეს საქონლის გაშვებიდან არა უგვიანეს, 5 კალენდარული დღისა, ხოლო ამ ინსტრუქციის 82-ე მუხლით გათვალისწინებული „ოქროს სიის“ მონაწილის კუთვნილი საქონლის გაფორმებისას – არა უგვიანეს, 30 კალენდარული დღისა.

დაბოლოს, 1. საგადასახადო კოდექსის ნოვაციური 224-ე მუხლი და ინსტრუქციის ნოვაციური 80–89-ე მუხლები მრავალ სასიკეთოს ჰპირდება ამ მუხლების მომხმარებლებს. პირველ რიგში, მსხვილ კომპანიებს, რადგან ქვეყნის ეკონომიკურ საზღვართან გადასაადგილებელი ტვირთების სიმრავლე, რომელთა მიმართ გაფორმებისა და სხვა საგადასახადო პროცედურების განხორციელება აყოვნებდა ტვირთებს, ხშირ შემთხვევაში, დღეებიც კი, სჭირდებოდა ტვირთების გაფორმებას, – დღეს ეს პროცედურა დადებითად გადაწყვიტა „ოქროს სიამ“, რადგან მსხვილი კომპანიები, რომლებიც დიდი რაოდენობის ტვირთებს გადაადგილებენ საზღვარზე, მათთვის ახალი გაფორმების სისტემა მოქმედებს, კერძოდ, მათ შეუძლიათ ტვირთი პორტალში შემოტანიდან თავიანთ სანჯობში გააფორმონ, ბუნებრივია, საგადასახადო ორგანოს მუშაკთან ერთად, ან გაფორმების საგადასახადო ორგანოში, სპეციალური წესებით, რითაც გარკვეული შეღავათი მიეცემათ იმ საქონლის გადამაადგილებელ პირებს, რომლებიც შედარებით მცირე ტვირთს გადაიტანენ ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე; 2. ამასთან, მათზე დაბეგვრის სპეციალური, საშელავათო რეჟიმი ვრცელდება; 3. განიტვირთება შემოსავლების სამსახურს დაქვემდებარებული პორტალები, რომლებიც დაუბრკოლებლად, დროის მცირე მონაკვეთში გააფორმებენ სხვა, შედარებით მცირე გაბარიტულ ტვირთებს, რომელთა მესაკუთრეებსაც, „ოქროს სიის“ ამოქმედებამდე, რიგებში დგომა უწევდათ (დიდგაბარიტული ტვირთების გაფორმებას დიდი დრო

მიჰქონდა); 4. მთავარი სიკეთე, რაც ამ ნოვაციური მუხლის ამოქმედებას მოჰყვება, ის არის, რომ დროში იგებს მენარმეც და ბუნებრივია, საგადასახადო ორგანოც, რომელსაც მეტი შესაძლებლობა ექმნება, რათა უმოკლეს ვადაში გააფორმოს ტვირთები და გაუშვას შესაბამისი სასაქონლო დეკლარაციით გაცხადებულ ოპერაციაში (მაგალითად, იმპორტში) და სხვა.

„ოქროს სიის“ (ავტორიზებული ეკონომიკური ოპერატორის) შემოღებით შემოსავლების სამსახური იმედოვნებს, რომ პირობების გამარტივების შემდეგ „ოქროს სიაში“ განწევრიანების სურვილს კიდევ მეტი კომპანიები შეუერთდება და პროგრამა უფრო მიმზიდველი გახდება იმპორტიორებისათვის, რაც ხელს შეუწყობს მათი დროისა და ზოგადად, საგადასახადო სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციას, რადგან ანალოგიური პროგრამები მოქმედებს ევროკავშირის თითქმის ყველა ქვეყანაში. მაგრამ, ნათქვამია, ყველა ნოვაციას დიდი სიფრთხილით უნდა მივუდგეთ, რომ ამ ნოვაციური მუხლების შესაბამისად, საქონლის გაფორმების გამარტივებული პროცედურების გამოყენებით, ქვეყნის საზღვარზე არ შემოაღწიოს კონტრაბანდულმა საქონელმა.

შენიშვნები:

- ¹ ია ხარაზი, საბაჟო სამართალი, თბ; 2010, გვ. 4.
- ² ია ხარაზი, საბაჟო სამართალი, თბ; 2010, გვ. 4
- ³ ია ხარაზი, საქართველოს საგადასახადო სამართალი, თბ. 2011, გვ. 246.
- ⁴ ზოგიერთი ინფორმაცია აღებულია ინტერნეტ-საიტიდან.
- ⁵ პორტალი – საკონტროლო გამშვები პუნქტია ქვეყნის ეკონომიკურ საზღვართან.
- ⁶ იხ.: საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის №993 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის „საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ“ მუხ. 81.
- ⁷ ვგულისხმობთ სატრანზიტო ტვირთის გადაადგილებას საქართველოს ეკონომიკურ საზღვარზე.
- ⁸ საუბარია „სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრის ვადებზე“. დაწვრ. იხ.: შესაბამისი ინსტრუქციის მუხ. 20, სადაც საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურების სხვადასხვა კოდებით დადგენილი საქონლის გადაადგილებისათვის სხვადასხვა ვადებია დაწესებული, ვთქვათ, ინსტრუქციის მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სეს ესნ-ის 8701, 8702, 8703, 8704, 8705, 8711 (რომლის ძრავის მოცულობა 50 სმ კუბზე მეტია) და 8716 (მისაბმელები და ნახევრადმისაბმელები) სასაქონლო პოზიციებით გათვალისწინებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების დეკლარირება ხდება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემთა ავტომატიზებულ ბაზაში სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ან მონობის შევსების თარიღიდან 45 კალენდარულ დღეში და სხვ.

LEGAL ASPECTS OF SPECIAL PROVISIONS OF THE TAX CODE

KETEVAN GARDAPHKHADZE

Dean of Law School, Professor

Davit Agmashenebeli Georgian University

IA KHARAZI

Professor, Davit Agmashenebeli Georgian University

The new provisions of the Tax code are very promising not only for the users of economic and good-related operations but for natural persons as well who are involved in export-import of goods (movement of goods) without establishing a legal entity within economic territory of the country. One of the most important novelty is article 224 of the Code (“the Golden List”, Authorized Economic Operator), also the innovative Chapter XXI (art. 80-89) “the Golden List” of the Instruction about “Movement and registration of goods within the Georgian Economic Territory” approved by the decree of the Minister of Finance No993 of 2012. The mentioned tax law (economic) institute was not known for the previous editions of Tax and Customs Codes. Introduction of this institute is connected to the elaboration of this programme by the World Trade Organisation (WTO). Georgia is the member of WTO. This method is the well-used one among lots of members of the WTO.

What is the real use of this institute for the export-importers of goods? Before we answer this question lets discuss article 224 of the Tax Code, what kind of privilege does it give to persons in the list? By including in “the Golden List” a person gets the right to simplified procedure while importing or exporting goods and right to different rules for paying import fees.

Where this institute comes from? What kind of benefits should a businessman expect while being included in this programme? What kind of positive and negative influence has this process?

“The Golden List” was introduced by the WTO and it is well-used in many member states. The members of “the Golden List” should meet number of requirements elaborated specifically by each country.

The Georgian Government elaborated the new economic programme, which has as a main goal simplification of crossing Economic Border of Georgia which gives an opportunity to persons crossing the border with goods to save their financial resources. In the elaboration of this institute experts of European Union and USAID were involved and finally the model was agreed which is the most acceptable for the Georgian reality. The goals of “the Golden List” are also to promote establishment of programme based on modern requirements of cooperation between the state agencies and private law actors and to increase mutual trust, support to International trade and investments. According to the authors, implementation of “the Golden List” through simplification of control units’ procedures gives the possibility for efficient use of administrative resources.

საქართველოს ინტეგრაცია ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში

თამარ ვეფხვაძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის დოქტორანტი

ევროპის გაერთიანების იდეა საუკუნეების განმავლობაში მოაზროვნეთა და პოლიტიკოსთა განსჯის საგანი იყო. ჯერ კიდევ, 1795 წელს, კანტმა თავის ნაშრომში „მარადიული მშვიდობა“ ჩამოაყალიბა ევროპის ქვეყნების ფედერაციის იდეა, რომელიც მიმართული იქნებოდა მშვიდობის უზრუნველსაყოფად. უ. ჩერჩილმა კი, 1946 წელს, თავის ერთ-ერთ გამოსვლაში გააჟღერა „ევროპის შეერთებული შტატების“ იდეა, რათა შექმნილიყო გაერთიანებული და დემოკრატიული „დიდი ევროპა“.

საუკუნეების წინათ, მოაზროვნეებისაგან განსხვავებით, პოლიტიკოსები და სახელმწიფოს მეთაურები – ნაპოლეონისა და ჰიტლერის ეპოქაში, ამ იდეის ხორცშესხმას ომისა და ძალადობის გზით ცდილობდნენ.

1945 წელს, გაეროს შექმნა ნოვატორული სამართლებრივი ნორმების ჩამოყალიბების საფუძველი გახდა. გაეროს მიერ ჩამოყალიბებული საერთაშორისო სამართლის ნორმებით ომი კანონგარეშედ გამოცხადდა. საერთაშორისო სამართალში აღნიშნული პრინციპის დამკვიდრებამ ძირეული ცვლილება გამოიწვია მსოფლიო მასშტაბით. კერძოდ, ევროპის ქვეყნები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ უნდა შექმნილიყო ევროპის კავშირი არა ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით, არამედ მშვიდობისა და ეკონომიკური ინტეგრაციის ნიშნებზე დაყრდნობით.

ევროპის გაერთიანების ინიციატორად შეგვიძლია მივიჩნიოთ მოაზროვნე ჟან მონე. მან ჩამოაყალიბა იდეა, რომელის მიხედვითაც, ქვანახშირისა და ფოლადის ერთობლივად წარმოება

(ომისათვის იარაღის დასამზადებლად) ევროპის გაერთიანების სანინდარი იქნებოდა. ქვანახშირისა და ფოლადის ერთობლივ მწარმოებელ ქვეყნებად მონემ საფრანგეთი და გერმანია მიიჩნია, აგრეთვე არ გამორიცხავდა წარმოების პროცესში სხვა ევროპული ქვეყნების ჩართვასაც. მონეს მიერ ჩამოყალიბებულ იდეას ხორცი შეასხა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერტ შუმანმა, რომელმაც აქტიური მოლაპარაკებების წარმოება დაიწყო ევროპაში ქვანახშირისა და ფოლადის მომპოვებელ ექვს წამყვან ქვეყანასთან (ბელგია, საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იტალია, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები). 1951 წელს, სწორედ ამ ქვეყნებს შორის დაიდო პარიზის ხელშეკრულება. მას მოგვიანებით მოჰყვა 1957-1958 წლების რომის ორი ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულებები მიიჩნევა ევროპის გაერთიანების უპირველეს წყაროებად. ევროპის გაერთიანებაში ძირეული ცვლილებები შეიტანა 1992 წლის მაასტრიხტის ხელშეკრულებამ, რომლითაც დაარსდა ევროპის კავშირი (EU).

ევროპის გაერთიანებაში მოიაზრება წვერი ქვეყნების როგორც პოლიტიკური, ასევე, ეკონომიკური კავშირი. წვერი სახელმწიფოები წლების მანძილზე ერთმანეთს ცოდნასა და გამოცდილებას უზიარებდნენ, საერთო მომავლის შესაქმნელად თავიანთ რესურსებს აერთიანებდნენ და დღეისათვის, შექმნეს სტაბილური სივრცე ეკონომიკისა და დემოკრატიის განვითარებისათვის.

ევროკავშირი ეკონომიკურ კავშირში მოიაზრებს წვერი ქვეყნებს შორის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობას. მათ შორის, განსაკუთრებული ადგილი უკავია ტრანსპორტის სფეროს, კერძოდ – სამოქალაქო ავიაციაში თანამშრომლობას. ევროპის ერთიანი საჰაერო სივრცის შექმნის იდეა საფუძველს იღებს რომის ხელშეკრულებიდან, რომლის მიხედვითაც, დადგინდა პრეზუმფცია, რომ მოკავშირე ქვეყნების ეროვნული ეკონომიკა შეიძლება გაერთიანდეს იმ მიზნით, რათა ხალხისა და საქონლის გადაადგილების ეფექტიანი სისტემა ჩამოყალიბდეს.

რომის ხელშეკრულების მეოთხე თავი სატრანსპორტო ურთიერთობებს არეგულირებს. ხელშეკრულების 84-ე მუხლი მიუთითებს, რომ მეოთხე თავში ჩამოყალიბებული ნორმები გამოიყენება მხოლოდ საავტომობილო, სარკინიგზო და შიდა საზღვაო ტრანსპორტზე. ამავე მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულია, რომ ევროპის საბჭოს აქვს უფლება ერთსულოვანი გადაწყვეტილებით აღნიშნული ნორმები გამოიყენოს საჰაერო ტრანსპორტზეც.

ევროპის საბჭოს ერთსულოვანი თანხმობა საჭიროა მხოლოდ მეოთხე თავთან მიმართებაში საჰაერო ტრანსპორტზე, ხელშეკრულებების დანარჩენი მუხლების გამოყენებისას თანხმობა საჭირო არ არის. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ევროპის სასამართლოს 1974 და 1986 წლების გადაწყვეტილებანი.

1974 წლის „ფრანგი მეზღვაურების“ საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ რომის ხელშეკრულებით განსაზღვრული დებულებანი, როგორცაა თავისუფალი გადაადგილების უფლება, შეიძლება გავრცელდეს საჰაერო ტრანსპორტზეც, ისევე როგორც სხვა სახეობის ტრანსპორტზე.

1986 წლის საქმე „საფრანგეთის პროკურატურა ლუკას ასეს წინააღმდეგ“, სასამართლომ მიანიშნა, რომ რომის ხელშეკრულების კონკურენციული სამართლის დებულებები ავტომატურად ვრცელდება საჰაერო ტრანსპორტზე.

მეოცე საუკუნის 80-იან წლებამდე, ევროკავშირს არ მიუღია ისეთი ძირეული სამართლებრივი ნორმები, რომლითაც დაარეგულირებდა საავიაციო ბაზარს. ამის მიზეზი შესაძლოა იმაში მდგომარეობდა, რომ წვერი ქვეყნებს სურდათ საავიაციო დარგისათვის ნაციონალური სტატუსის შენარჩუნება. რეგულირების პირველი მცდელობა იყო 1987 წელს, ევროგაერთიანების მიერ

მიღებული ლიბერალიზაციის პირველი პაკეტი. აღნიშნული პაკეტის მიღების წინაპირობას წარმოადგენდა აშშ-ის მიერ გატარებული პოლიტიკა, რომელსაც მოჰყვა ამერიკული ავიაკომპანიების მსოფლიო და ევროპულ ბაზარზე გაბატონება. ევროპა მივიდა დასკვნამდე, რომ უნდა შემოეღო რეგულირების ერთიანი წესი, რომლითაც კონკურენციას გაუნევედა მომძღვარებულ ამერიკულ ავიაკომპანიებს.

1986 წელს, ცვლილებები შევიდა რომის ხელშეკრულებაში, რომლის მიხედვითაც, გაერთიანება კისრულობს ვალდებულებას, რათა მომავალში, 1992 წლის 31 დეკემბრამდე, შექმნას ერთიანი შიდა ბაზარი. შიდა ბაზარი მოიაზრებოდა როგორც კავშირი საზღვრების გარეშე, სადაც უზრუნველყოფილი იქნებოდა ფიზიკური პირების, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება.

ცვლილება შეეხო აგრეთვე, სატრანსპორტო ნორმებს, კერძოდ, რომის ხელშეკრულების 84-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც, მეოთხე თავის შესაბამის მუხლებთან მიმართებაში სატრანსპორტო საკითხების განხილვისას, საბჭოს გადაწყვეტილების მიღება შეეძლო უკვე კვალიფიციური უმრავლესობით და არა ერთხმად, როგორც მოცემული იყო პირველად ტექსტში. ევროგაერთიანების მიერ შემუშავდა ლიბერალიზაციის სამი პაკეტი, რომლებითაც ეტაპობრივად დაინერგა და განხორციელდა ის ძირითადი ღონისძიებანი, რომლებიც მიმართული იყო ევროპის საავიაციო ბაზრის გაერთიანებისაკენ.

ლიბერალიზაციის პირველი პაკეტით რეგულირების პოლიტიკა გავრცელდა რეგიონულ და ძირითად აეროპორტებზე საჰაერო მიმოსვლის განხორციელებისას და ავიაგადამზიდავებს მისცა შესაძლებლობა გამოეყენებინათ ჰაერის მეხუთე თავისუფლება.¹ ამასთან, გადამყვან-გადამზიდავებს მიენიჭათ შეღავათიანი ტარიფის თავისუფლად დაწესების უფლება, მაგრამ გაერთიანების პრეროგატივას კვლავ განეკუთვნებოდა ტარიფების დამტკიცების უფლება.

ლიბერალიზაციის მეორე პაკეტი მიღებული იქნა 1990 წელს. ბაზარზე დაშვება უკვე შესაძლებელი გახდა ჰაერის მესამე,² მეოთხე³ და მეხუთე თავისუფლებით ყველა აეროპორტთან მიმართებაში. გაფართოვდა დაბალი ტარიფების ავტომატური დამტკიცების ზონები და ზედმეტად მაღალი ტარიფების უარყოფის ვალდებულება დაწესდა.

ლიბერალიზაციის მესამე პაკეტი ძალაში შევიდა 1993 წელს. აღნიშნული პაკეტით ევროკავშირის ტერიტორიაზე დაწესდა ლიცენზირების საერთო კრიტერიუმები, შემოღებული იქნა ერთიანი საჰაერო გადამყვან-გადამზიდავის სტატუსი. ავიაკომპანიებს მიენიჭათ გადაყვანა-გადაზიდვის უფლებები ნებისმიერი მიმართულებით ევროკავშირის ტერიტორიაზე.

თავდაპირველად ევროგაერთიანების მიერ ჩამოყალიბებული ნორმები მხოლოდ მის წევრებზე ვრცელდებოდა. მაგრამ მოგვიანებით, ევროპის ქვეყნები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ლოკალური სამართლის ნორმების არეალი უნდა გაეფართოებინათ. აღნიშნულის აუცილებლობა განსაკუთრებით, საჰაერო სამართალში გამოიხატება, რადგანაც სამოქალაქო ავიაციის ფუნქციონირება ლოკალურად წამოუდგენელია, ვინაიდან მასზე მოქმედებს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია, წარმოებისა და რეალიზაციის ახალი ბაზრების ჩამოყალიბება, საქმიანი ურთიერთობების ტრანსნაციონალიზაცია, კონკურენციის ზრდა, ალიანსების ჩამოყალიბება, ტურიზმის განვითარება და სხვა. სწორედ, 2003 წელს, საბჭოს კომუნიკეში „გაფართოების შესახებ“, ჩამოყალიბდა მოსაზრება ევროპის სამეზობლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებით. მოგვიანებით, მას მოჰყვა სტრატეგიული დოკუმენტი „ევროპის

სამეზობლო პოლიტიკის შესახებ“ (2004 წელს), რომლითაც განისაზღვრა კონკრეტული ვადები და პირობები არანევრ ქვეყნებთან თანამშრომლობისათვის. 2006-2007 წლებში მასში შეტანილი იქნა დამატებები სამომავლო სტრატეგიულ გეგმებთან დაკავშირებით. სატრანსპორტო სფეროში აღნიშნული დოკუმენტების ამოსავალი ნერტილი იყო ერთიანი ევროპის საავიაციო სივრცის შექმნა, სადაც განეწინააღმდეგებოდა როგორც ევროკავშირის, ასევე, მისი სამხრეთით და აღმოსავლეთით მოსაზღვრე მეზობელი ქვეყნები.

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) უმთავრესი ამოცანაა თავიდან აგვაცილოს მოსალოდნელი არასახარბიელო შემთხვევები, ახალი გამყოფი ხაზები, რაც შეიძლება წარმოიშვას ევროკავშირის ნევრ ქვეყნებსა და არანევრ ქვეყნებს შორის ურთიერთობის შედეგად,⁴ ასევე, უზრუნველყოს დემოკრატიის, სტაბილურობის და კეთილდღეობის გავრცელება მისი საზღვრების ირგვლივ.

სამეზობლო პოლიტიკა მიზნად ისახავს ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების მხარდაჭერას. სატრანსპორტო სფეროში იგი მიმართულია სატრანსპორტო კავშირების გასაძლიერებლად და სატრანსპორტო მოქმედების მოსაწესრიგებლად – მოკლე და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. გეგმის მიხედვით, საავიაციო სფეროში განსახორციელებელ ღონისძიებებს განეკუთვნება:

- გაანეწინაოს მეზობელი ქვეყნები საჰაერო მომსახურების სრულყოფის შესახებ ხელშეკრულებაში;
- გააგრძელოს საჰაერო მიმოსვლის მართვის სისტემების მოდერნიზაცია;
- უზრუნველყოს საავიაციო უსაფრთხოება, უშიშროება ევროკავშირსა და მეზობელ ქვეყნებს შორის საერთაშორისო დონის სტანდარტების შესაბამისად;
- გაანეწინაოს მეზობელი ქვეყნები ერთიანი ევროპის საჰაერო სივრცეში.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად ევროკავშირი ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს არანევრ ქვეყნებთან და ახორციელებს პროგრამებს ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად. მოლაპარაკებების შედეგად, დაიდო მთელი რიგი ორმხრივი შეთანხმებანი ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობა სამეზობლო პოლიტიკის ჩამოყალიბებამდე, დამოუკიდებლობის აღდგენის პირველივე წლებიდან დაიწყო და დღემდე აქტიურ თანამშრომლობაში გამოიხატება. 1996 წელს ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული იქნა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება (PCA), რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ამ ორ სუბიექტს შორის ურთიერთობას. თავდაპირველად აღნიშნული ხელშეკრულება დაიდო 10 წლის ვადით. ვადის გასვლის შემდგომ, იგი უკვე ავტომატურად ყოველწლიურად გრძელდება, მომდევნო ერთი წლით.

შეთანხმება ითვალისწინებს ინტენსიურ თანამშრომლობას პოლიტიკურ, სავაჭრო, ეკონომიკურ, საინვესტიციო, საკანონმდებლო, სამართლებრივ, სასაზღვრო, სატრანსპორტო და სხვა სფეროებში. 1996 წლის შეთანხმებით, მხარეებმა ერთმანეთს მიანიჭეს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი სხვადასხვა სფეროში. მაგრამ აღსანიშნავია, რომ უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი არ იქნა დანესებული საჰაერო ტრანსპორტზე (შეთანხმების 24-ე მუხლი, 1 ნაწილი). სატრანსპორტო ბაზარზე მხარეები თანამშრომლობენ კომერციულ საფუძველზე, შეუზღუდავი შეღწევის პრინციპის შესაბამისად.

1996 წლის ხელშეკრულებაში ძირითადად, საუბარია საზღვაო გადაყვანა გადაზიდვებზე და აღნიშნულია, რომ საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის ნორმები შეიძლება განისაზღვროს სპეციალური შეთანხმებით, რომელიც მხარეებს შეუძლიათ დადონ აღნიშნული შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ (მუხლი 33).

1996 წლის შეთანხმების 58-ე მუხლი ტრანსპორტის სფეროს შეეხება. აღნიშნული მუხლით მხარეები ვალდებულია კისრულობენ, რომ განავითარონ და განამტკიცონ ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობა. საჰაერო სფეროში აღნიშნული გამოიხატება სატრანსპორტო სისტემის გარდაქმნასა და მოდერნიზაციაში, სატრანსპორტო სექტორის პრივატიზაციაში, გლობალური სისტემის ფორმირებაში, კერძოდ, აეროპორტების ექსპლუატაციისა და საჰაერო ნავიგაციის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციასა და განვითარებაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ამერიკავაკასიის რეგიონში დამოუკიდებელ სახელმწიფოებს შორის და სხვა მეზობელ ქვეყნებთან მიმოსვლას, ასევე, იმ მარშრუტებისა და ტრანსევროპული კავშირების მოდერნიზაციას, რომლებიც განიხილება TRASECA-ს პროექტში.⁵

2006 წლის 17 მაისს, დაიდო ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასა და ევროგაერთიანებას შორის საჰაერო მომსახურების გარკვეული ასპექტების შესახებ, რომელიც 2006 წლის 18 ივლისს, საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიკაციით ძალაში შევიდა. აღნიშნულმა ხელშეკრულებამ ცვლილებები და დამატებები შეიტანა საქართველოსა და ევროგაერთიანების წევრ სახელმწიფოებს შორის მანამდე დადებულ ხელშეკრულებებში. ცვლილებები შეეხო ევროგაერთიანების წევრ სახელმწიფოებთან (ავსტრია, ბელგია, კვიპროსი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ირლანდია, ლატვია, ლიტვა, ნიდერლანდები, პოლონეთი, დიდი ბრიტანეთი) დადებული ხელშეკრულებების მუხლებს:

1. წევრ სახელმწიფოთა მიერ გადაყვანა-გადაზიდვის დანიშვნა (მუხლი 2). აქვე აღვნიშნავთ, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების გარდა, ეს ცვლილება აგრეთვე ვრცელდება ისლანდიის რესპუბლიკასთან, ლიხტენშტაინის სამთავროსთან, ნორვეგიის სამეფოსთან და შვეიცარიის კონფედერაციასთან დადებულ ხელშეკრულებებზე;
2. ნებართვებისა და უფლებამოსილებების მინიჭების უარყოფა, ანუღირება, შეჩერება ან შეზღუდვა (მუხლი 2);
3. რეგულირების კონტროლი (მუხლი 3);
4. საავიაციო სანავის დაბეგვრა (მუხლი 4);
5. ევროგაერთიანების ფარგლებში გადაზიდვის ტარიფები (მუხლი 5).

ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, მანამდე ხელმოწერილ ხელშეკრულებებთან კოლიზიისას, უპირატესობა ენიჭება 2006 წლის ხელშეკრულებას.

აქვე აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომლის მიხედვითაც, საქართველოსა და ევროპის გაერთიანებას შორის დადებული ხელშეკრულების მიზანს არ წარმოადგენს ევროგაერთიანებასა და საქართველოს შორის საერთო მიმოსვლის მთლიანი მოცულობის გაზრდა, გადაზიდვების ბალანსზე გავლენა ან არსებული ორმხრივი საჰაერო მომსახურების ხელშეკრულებების დებულებებში მიმოსვლის უფლებასთან დაკავშირებული ცვლილებების შეტანა.

2010 წლის დეკემბერს, ხელი მოეწერა ხელშეკრულებას საქართველოსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ, რომელიც 2011 წელს, საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცდა. ევროპის ერთიანი საავიაციო სივრცის ჩამოყალიბების

ინიციატორი იყო ევროკომისია. თავდაპირველად, იგი ევროკავშირის წევრ ქვეყნებს მოიცავდა, მაგრამ მოგვიანებით, მას შეუერთდა ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიც.

ერთიანი საჰაერო სივრცის შექმნით, საავიაციო ბაზრის ურთიერთხელმისაწვდომობის პრინციპზე დაყრდნობით, ევროპის ტერიტორიაზე მართვისა და რეგულირების ნოვატორული ნორმები ჩამოყალიბდა. ამის ნათელი მაგალითია ლიბერალური პოლიტიკის წარმოება, მონოპოლიის აკრძალვა და კონკურენციის ხელშეწყობა. ჯერ კიდევ, რომის კონვენციის 85-ე და 86-ე მუხლებით აიკრძალა მონოპოლიური ქმედებების განხორციელება. აღნიშნული მომავალში განმტკიცებული იქნა ევროპის საბჭოს 1962 წლის მე-17 რეგულაციით. საბჭომ განმარტა, რომ კონკურენცია არის ყველაზე კარგი საშუალება ეკონომიკური აქტივობისა და აუცილებელია საცხოვრებელი სტანდარტებისა და სამუშაო ადგილების უზრუნველსაყოფად.⁶

საჰაერო სამართალში ევროპის მასშტაბით კონკურენციის ამკრძალავი ქმედითი ნორმები 1993 წლიდან დაწესდა. მანამდე საჰაერო ტრანსპორტის ბაზარი მოიცავდა სახელმწიფო ბაზრების ჯგუფს. თითოეულ ქვეყანაში საშინაო საჰაერო მიმოსვლები იმართებოდა შიდასახელმწიფოებრივი ნორმებით, რომლებიც კონკურენციის დაშვებისა და ხელშეწყობის დონიდან საკმაოდ შორს იდგა. ევროპაში საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვა რეგულირდებოდა სახელმწიფოებს შორის დადებული ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შეთანხმებები შედარებით ლიბერალური იყო, ისინი მაინც შეიცავდნენ საკუთრებისა და ბაზარზე შეღწევის გარკვეულ შეზღუდვებს (ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ერთ ავიაკომპანიას ეძლეოდა გადაყვანა-გადაზიდვის განხორციელების უფლება).⁷ რაც შეეხება საერთაშორისო ტარიფებს, ისინი „იატას“ რეკომენდაციების საფუძველზე მთავრობის მიერ წესდებოდა. ლიბერალიზაციის პროცესმა გააუქმა ბაზარზე შეღწევის ინსტიტუციური ბარიერები და წევრ სახელმწიფოებს ბაზარზე დაუბრკოლებლად შესვლის უფლება მიეცათ.

კონკურენციის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა, რომ ავიაკომპანიები მოქმედებდნენ კომერციულ საფუძველზე და არ სარგებლობდნენ სუბსიდირებით. საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული შეთანხმების მე-8 მუხლით, სახელმწიფოები კისრულებენ ვალდებულებას, რომ ავიასაწარმოებს არ გაუწიონ ისეთი დახმარება, რომელმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ავიაციის სფეროში მხარეთა შორის ვაჭრობაზე. აღსანიშნავია, რომ კონკურენციული ნორმების დაწესება მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარებას. ეს არ გულისხმობს, რომ კავშირის პოლიტიკა დაფუძნებულია შეზღუდვებზე, არამედ, თანამშრომლობა წევრ ქვეყნებს შორის დაშვებულია და ეხმარება ეფექტიანობის ამაღლებაში კავშირის შიგნით და გარეთ. ძირითადი ბიძგი ევროკავშირის კონკურენციული ნორმებისა არის დაიცვას „ხელსაყრელი ერთიანი ეკონომიკა“.⁸

2011 წლის ხელშეკრულებით მხარეებს შესაძლებლობა ეძლევათ ისარგებლონ შეთანხმებიდან გამომდინარე ყველა უპირატესობით, რომელიც ფუძნდება ლიბერალური პოლიტიკის გატარებას, მათ შორის, ბაზრებზე შეღწევადობით და ორივე მხარის მომხმარებლისათვის მრეწველობის დარგებისა და მუშახელისათვის მაქსიმალური სარგებლის მინიჭებით.

ევროკავშირის ტერიტორიაზე ერთიანი საჰაერო სივრცის შექმნით უზრუნველყოფილი იქნება საჰაერო მართვის სისტემის არქიტექტურის შეცვლა, ფრენების უსაფრთხოება და საჰაერო სივრცის გამტარუნარიანობის გაზრდა. აღნიშნული პროცესი იმართება ევროპის საჰაერო მოძრაობის მართვის გეგმის (EATM Master Plan) მიხედვით, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია ერთიანი ცის დანერგვის ევროპული/ადგილობრივი (ESSIP/LSSIP) მექანიზმი. იგი

მოიცავს ევროპული ერთიანი ცისა და ადგილობრივი ერთიანი ცის დანერგვის პროცესებს, რომლის სრულყოფისათვის აუცილებელია მასში მონაწილე ქვეყნების საავიაციო სექტორის (ეროვნული რეგულირების/ზედამხედველობის ორგანო, საჰაერნაოსნო მომსახურების პროვაიდერი, აეროპორტების ოპერატორები და თავდაცვის უწყება) ჩართულობა. პროცესის მართვა ხორციელდება ევროპის საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების სააგენტოს (EUROCONTROL) მიერ.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობაში, დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებების გარდა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტრატეგიული სამოქმედო გეგმები, რომლებითაც ევროკომისია განსაზღვრავს იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პარამეტრებს, რომელთა დახმარებით ქვეყნების მიერ მიღწეული პროგრესის შეფასება ხდება. სამოქმედო გეგმები აგებულია საერთო პრინციპებზე დაყრდნობით, მაგრამ განსხვავდება თანამშრომლობის თვალსაზრისით, ქვეყნის საჭიროებისა და საერთო ინტერესების შესაბამისად.

2006 წლის 14 ნოემბერს, ევროკავშირსა და საქართველოს შორის დამტკიცებული იქნა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა (ENP AP), მისი მიზანია უფრო მჭიდრო ორმხრივი ურთიერთობების დამყარება, რომელიც გასცდება პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში თანამშრომლობას. აღნიშნული გეგმით, საქართველომ და ევროკავშირმა იკისრეს უფრო ღრმა ეკონომიკური ინტეგრაციისა და ორმხრივი პოლიტიკური თანამშრომლობის განმტკიცების ვალდებულება.

ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობა განსაზღვრულია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის 4.6 თავით. ტრანსპორტის სფეროში დახმარების განწესის მიზნებია:

- საკანონმდებლო და სარეგულაციო სისტემის ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების პროცესი;
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სტრატეგიის შემუშავება;
- თანამშრომლობა ნავიგაციის სფეროში;
- საგზაო მოძრაობისა და სატრანსპორტო დებულებების სრულყოფა;
- პორტების სექტორის რესტრუქტურისა და დახმარება შესაბამისი კონვენციების განხორციელების საქმეში.

2005 წლის მარტში, ევროკავშირის კომისიამ დაამტკიცა კომუნიკე, რომელიც გვთავაზობს 2010 წლისათვის ევროპის ერთიანი საავიაციო სივრცის გაფართოებას ევროკავშირის მეზობელი ქვეყნების შეყვანის გზით. 2006 წლის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მიხედვით, საავიაციო სფეროში დახმარების განსახორციელებელ პრიორიტეტულ ღონისძიებას განეკუთვნება საქართველოს ევროპის ერთიანი საავიაციო სივრცეში გაწევრიანება. აღნიშნული ღონისძიება უკვე განხორციელდა, რაც 2010 წლის დეკემბერში, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელშეკრულების დადებით გამოიხატა.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის ძირითადი მიზნები და პრიორიტეტები ჩამოყალიბებულია სტრატეგიის განმსაზღვრელ დოკუმენტში (CSP), რომელიც მომზადებულია ევროკავშირის მიერ და აღწერს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სიტუაციას, ინსტიტუციების მდგომარეობას საქართველოში, ასევე, ითვალისწინებს 2007-2013 წლებში, საქართველოსადმი ფინანსური დახმარების განწესას. მასში განსაზღვრულია, თუ როგორ უნდა განვითარდეს უფრო ინტენსიური ურთიერთობები ქვეყანასთან. დოკუმენტით რვა პრიორიტეტული სფერო არის განსაზღვრული, სადაც განსაკუთრებული ადგილი ტრანსპორტის სფეროს უკავია.

დოკუმენტის მოქმედების პერიოდში საქართველო პირველად იქნება შერჩეული ახალი „ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტისათვის“ (ENPI), რომლის მიზანია ტექნიკური დახმარებისა (TACIS-ის⁹ დოკუმენტით გათვალისწინებული) და ფინანსური დახმარების გაზრდა ინვესტიციების მოზიდვის გზით.

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესი მეტად რთული და შრომატევადია, რადგან ორივე მხარის ინტერესებია გასათვალისწინებელი. 1996 წლის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაში აღნიშნულია, რომ მხარეები ვალდებული არიან სამართლებრივი კუთხით ითანამშრომლონ ერთმანეთთან. რაც გულისხმობს საქართველოს არსებული და მომავალი კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან. საქართველომ იკისრა ვალდებულება, რომ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას თანდათან შესაბამისობაში მოიყვანდა ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან (მუხ. 43.1). შეთანხმებაში ჩამოყალიბებულია ის სფეროები (მათ შორის სატრანსპორტო სფერო), სადაც ჰარმონიზაციის მიღწევა გარდაუვალი აუცილებლობაა (მუხ. 43.2).

1997 წლის 2 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტის №828-ის დადგენილებით, 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებს და ნორმებს. თავის მხრივ, ევროკავშირმა იკისრა ვალდებულება ტექნიკური დახმარება გაუწიოს საქართველოს, რომელიც მოიცავს: სემინარებს, ექსპერტთა გაცვლას, სტაჟირებას, კანონმდებლობის მიღებაზე კონსულტაციებს, კანონმდებლობის თარგმნისათვის დახმარებას და სხვა.

2007-2008 წლებში ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის მიერ ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში შემუშავებული იქნა სამოქმედო გეგმა – „საქართველოს საავიაციო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპულ საავიაციო კანონმდებლობასთან.“ აღნიშნულ გეგმაში განერილია ყველა იმ ღონისძიებების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც დაგეგმვარება საკანონმდებლო ნორმატიული ბაზის ჰარმონიზაციაში ევროკავშირის საავიაციო კანონმდებლობასთან მიმართებაში.

პროექტის განხორციელება 2011 წლის აპრილიდან დაიწყო და ხორციელდება საჯარო სამსახურის დაძმობილების პროგრამა TWINNING-ის¹⁰ მხარდაჭერით. პროექტის ღირებულება შეადგენს 1 250 000 ევროს და განერილია 18 თვეზე.

90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე შიდასახელმწიფოებრივ ნორმებში შეტანილი იქნა მთელი რიგი ცვლილებები, რომლებიც შეეხო საჰაერო კოდექსს, ტრანსპორტის სფეროს მართვისა და რეგულირების შესახებ კანონს, სამოქალაქო კოდექსის 21-ე თავს. მიღებული იქნა მთელი რიგი სამართლებრივი აქტები, რომლებიც შემუშავდა ევროპული კანონმდებლობის ჰარმონიზაციის საფუძველზე (ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესები, საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირების წესი, საჰაერო ტრანსპორტით სახიფათო ტვირთის გადაზიდვის წესი, საავიაციო შემთხვევებისა და ინციდენტების სამსახურებრივი მოკვლევის წესები, საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესები, საჰაერო ხომალდების საფრენოსნო ვარსიანობისა და რეგისტრაციის წესი).

საქართველოს განვერიანება ევროკავშირის ერთიან საჰაერო სივრცეში ეროვნული სამოქალაქო ავიაციის განვითარების საწინდარია. აღნიშნულ სივრცეში შესვლით ქართულ ავიაკომპანიებს ეძლევათ შესაძლებლობა შეაღწიონ ევროპულ ბაზარზე. ამასთან, ევროპული ავიაკომპა-

ნიების ქართულ ავიაბაზარზე შემოსვლა დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნის და ეროვნულ ავიაკომპანიებს მისცემს შესაძლებლობას განეწიანდნენ ავიაკომპანიათა ალიანსებში. ევროკავშირის მიერ დამკვიდრებული ლიბერალიზაციისა და კონკურენციის დამცავი ნორმების შიდა-სახელმწიფოებრივ სამართალში იმპლემენტაცია ეკონომიკის განვითარებისა და აღორძინების სანინდარი იქნება. მიუხედავად მთელი რიგი დადებითი ფაქტორებისა, ქართულ მხარეს დიდი სიფრთხილე მართებს, რათა ძლიერმა ევროპულმა ავიაკომპანიებმა არ მოახდინონ შედარებით სუსტი ქართული ავიაკომპანიების შთანთქმა. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად, სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს ისეთი სამართლის ნორმები, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება კონკურენციულ გარემოში ეროვნული ავიაკომპანიების არსებობა და განვითარება. ამასთან, ქართულმა მხარემ უნდა გაითვალისწინოს იმ ევროპული ქვეყნების მაგალითი, სადაც ერთიან ევროპულ ბაზარზე შესვლამ გარკვეული უარყოფითი შედეგები გამოიღო, კერძოდ:

- შიდა მიმოსვლების განვითარების შეფერხება, რომელთა საფუძველზეც გაუქმდა არაეკონომიკური, მაგრამ მნიშვნელოვანი საჰაერო გადაყვანა გადაზიდვები, რადგანაც კონკურენცია გამძაფრდა მთავარ სამაგისტრალო მარშრუტებზე;
- ეროვნული გადამყვან-გადამზიდავების შეუფუებლობაში უფრო ღია სავაჭრო გარემოცვასთან;
- ძლიერი კონკურენციის ზენოლის გამო, ავიაკომპანიების უსაფრთხოებისა და უშიშროების საკითხებზე დაფინანსების წყაროების შემცირებაში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველომ უნდა გაითვალისწინოს ევროპული ქვეყნების გამოცდილება, რომლებიც უკვე წლებია ნერგავენ და აუმჯობესებენ ლიბერალიზაციის ელემენტებს როგორც ევროკავშირის შიგნით, ასევე მის მეზობლებთან, სამეზობლო პოლიტიკის ელემენტებიდან გამომდინარე.

ევროკავშირის მიერ შემუშავებული ლიბერალიზაციის პოლიტიკით უზრუნველყოფილი იქნა ამ რეგიონში საავიაციო სფეროს წარმატებულად რეგულირება. ამიტომაც, ევროკავშირის გამოცდილების გაზიარება და შიდასახელმწიფოებრივ სამართალში დანერგვა, მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი სახელმწიფოსათვის. ევროკავშირის წევრი ქვეყნები მსოფლიო მასშტაბით მიიჩნევა როგორც მნიშვნელოვანი და სასურველი ავიაპარტნიორები. ევროპის საავიაციო ბაზარზე შესვლა მსოფლიოს ავიასანარმოებისათვის განვითარებისა და წინსვლის სანინდარია. ამასთან, ევროპის ერთიანი საჰაერო სივრცის ჩამოყალიბებამ გარკვეული ზემოქმედება მოახდინა ორმხრივ საერთაშორისო საჰაერო შეთანხმებებზე, რადგანაც რეგიონული ნორმების დანესება მის წევრ ქვეყნებს აიძულებს გარკვეულ ჩარჩოებში მოექცნენ და იმოქმედონ დანესებული ნორმების შესაბამისად.

საქართველო, როგორც განვითარებადი და ამავედროულად, ევროპა-აზიის გზაჯვარედინზე მდებარე ქვეყანა გვერდს ვერ აუვლის ევროპის ტერიტორიაზე მიმდინარე ლიბერალიზაციის პროცესებს. პირიქით, საქართველომ ყველა არსებული რესურსი უნდა გამოიყენოს, რომ გახდეს ძლიერი ევროპის განუყოფელი ნაწილი. ჩვენი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან კი, დაგვეხმარება შიდასახელმწიფოებრივ სამართალში დავენერგოთ სამართლის ის ძირითადი ნორმები, რომლებიც უკვე წლების განმავლობაში ევროპაში წარმატებულად ფუნქციონირებს. ამასთან, აუცილებელია საქართველომ უზრუნველყოს ეროვნული გადამყვან-გადამზიდავთა ინტერესების დაცვა ლიბერალური პოლიტიკის გატარების თვალსაზრისით, რაც უკვე წარმატებით ხორციელდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. 1995 წლის საქართველოს კონსტიტუცია;
2. 1996 წლის საქართველოს საჰაერო კოდექსი;
3. 1997 წლის საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
4. დ. გეფერიძე, თანამედროვე საჰაერო სამართალი, თბ., 2009;
5. Paul Stephen Demspey. European Aviation Law. Kluwer Law International, The Hague. 2004;
6. Paul P. Craig. EU law: texts, cases and materials. Fourth edition. Oxford University Press. 2008;
7. Martin Bartlic. The impact of EU law on the regulation of international air transportation. Ashgate Publishing Company. England. 2007;
8. Shawcross and Beaumont, Air Law, 5-th edition, London, 2004;
9. Lowenfield A. Aviation Law: Cases and Materials, 1981;
10. General B. Cheng, The Law of International Air Transport, London, 1992;
11. Malcolm N. Show, International Law, fourth edition, Cambridge University Press, 2001;
12. www.icao.org
13. www.eurocontrol.int
14. www.gcaa.ge

შენიშვნები:

- ¹ ჰაერის მეხუთე თავისუფლება – მესამე სახელმწიფოდან მომავალი ან მასში მიმავალი მგზავრების, წამოსაღები ან წასაღები ტვირთის ან ფოსტის პირველი სახელმწიფოს ტერიტორიაზე საჰაერო ხომალდიდან ჩამოსხმის და გადმოტვირთვის უფლება ან პრივილეგია.
- ² ჰაერის მესამე თავისუფლება – ავიაგადამზიდავის რეგისტრაციის სახელმწიფოში საჰაერო ხომალდზე აყვანილი მგზავრების, წასაღები ფოსტისა და ტვირთის პირველი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩამოსხმისა და გადმოტვირთვის უფლება ან პრივილეგია.
- ³ ჰაერის მეოთხე თავისუფლება – ავიაგადამზიდავის რეგისტრაციის სახელმწიფოში მიმავალი მგზავრების, წასაღები ფოსტისა და ტვირთის პირველი სახელმწიფოს ტერიტორიაზე საჰაერო ხომალდზე მიღების უფლება ან პრივილეგია.
- ⁴ Paul Stephen Demspey. European Aviation Law. Kluwer Law International, The Hague. 2004. P. 57.
- ⁵ TRASECA-სატრანსპორტო დერეფანი – ევროპა, კავკასია, აზია.
- ⁶ Paul P. Craig. EU law: texts, cases and materials. Fourth edition. Oxford University Press. 2008. P. 1044.
- ⁷ დ. გეფერიძე, საერთაშორისო საჰაერო სამართალი, თბ., 2009, გვ. 218.
- ⁸ Martin Bartlic. The impact of EU law on the regulation of international air transportation. Ashgate Publishing Company. England. 2007. P. 15.
- ⁹ TACIS-ის პროგრამა შემუშავებულია ევროკავშირის მიერ, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, დემოკრატიის განვითარებასა და კანონის უზენაესობას ევროკავშირსა და მის მეზობელ ქვეყნებს (აღმოსავლეთ ევროპა და ცენტრალური აზია – ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები) შორის, ასევე, მეზობელი ქვეყნის კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას. ტრანსპორტის სფეროში ევროკომისიის დახმარება ხორციელდება TACIS-ის რეგიონული პროგრამის „სატრანსპორტო

დერეფანი ევროპა-კავკასია-აზია“ (TRACECA) საშუალებით. მისი მიზანია ვაჭრობისა და ინვესტიციების ხელშეწყობა TACIS-ის რეგიონში არსებული სატრანსპორტო ქსელების ერთმანეთთან და ევროპის სატრანსპორტო ქსელებთან დაკავშირების გზით.

- ¹⁰ TWINNING – საჯარო სამსახურის დამოხილების პროგრამა, რომელიც შეიქმნა 1998 წელს ევროკავშირის ინიციატივით და მიზნად ისახავს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და ბენეფიციარი ქვეყნის ადმინისტრაციების თანამშრომლობას ინსტიტუციური განვითარების, ევროკავშირის სამართლებრივი ნორმებისა და სტანდარტების დაახლოების კუთხით.

INTEGRATION OF GEORGIA IN COMMON EUROPEAN AIRSPACE

TAMAR VEPKHVADZE

PHD Student of Grigol Robakidze University

Article offers an overview of the basic characteristics of the common European airspace, trends of its further development, as well as legal relations between European Union and Georgia based on those legal norms that regulate relations between these two bodies. There are opinions expressed regarding integration of Georgia in common European airspace as well reasoning that this integration shall serve as prerequisite for the development of the Georgian civil aviation.

The work reviews fundamental legal norms of the European liberal policy and Agreements signed between Georgian and European Union in 1996, 2006 and 2011. Having analyzed all, author concludes that Georgia's membership in the European Union common airspace shall be prerequisite for the development of Georgian civil aviation. This will allow Georgian air companies to have access to the European market, and on the contrary European air companies shall provide additional job opportunities here. Georgian air companies will have opportunities to join alliances of air companies. Implementation of EU norms safeguarding liberalization and competition at the national level shall lay grounds for the development and growth of the economy.

Despite number of advantages related with Georgia's integration in common European airspace, Georgian side should watch carefully to avoid absorption of the weak Georgian air companies by strong European air companies. In order to avoid this, state should elaborate legal norms that will allow Georgian air companies to exist and develop in the competitive environment.

სოციალური დიალოგი – როგორც კოლექტიური ხელშეკრულების დადების საფუძველი

ამირან ზენაიშვილი

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის

სამართლის სკოლის დოქტორანტი

1. სოციალური დიალოგის განმარტება

სოციალურ დიალოგს საერთაშორისო ორგანიზაციები შემდეგნაირად განმარტავენ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) თვალსაზრისით, სოციალური დიალოგი უნდა მოიცავდეს მოლაპარაკებების, კონსულტაციების ან ინფორმაციის გაცვლის ყველა საშუალებას – სამთავრობო, დამქირავებლებისა და დასაქმებულთა წარმომადგენლებს შორის. იგი შეიძლება არსებობდეს სამხრეთი პროცესის სახით, მთავრობის, როგორც ოფიციალური წარმომადგენლის ჩართულობით ან დაქირავებულ-დამქირავებლის ორმხრივი ურთიერთობების სახით, ასევე, მთავრობის მხრიდან მონაწილეობის გარეშე. კონცენტრაცია შეიძლება იყოს არაფორმალური ან ინსტიტუციური, ხშირ შემთხვევებში კი – მათი კომბინირებით. სოციალური დიალოგის მთავარი მიზანია მხარეთა შორის კონსენსუსის მიღწევის ხელშეწყობა და დასაქმების სფეროს მონაწილეების დემოკრატიული ჩართულობა. წარმატებული სოციალური დიალოგის სტრუქტურებსა და პროცესებს აქვთ პოტენციალი, რომ გადაწყვიტონ მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური საკითხები, ხელი შეუწყონ კარგ მმართველობას, სოციალურ და სანარმოო კეთილდღეობას, სტაბილურობას და დააჩქარონ ეკონომიკური პროგრესი.¹

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია „სოციალურ დიალოგში“ ასევე, მოიაზრებს ისეთ მრავალფეროვან პროცესებსა და პრაქტიკას, როგორცაა „მოლაპარაკებები, კონსულტაციები ან უბრალოდ ინფორმაციის გაცვლა ხელისუფლების, დასაქმებულთა და დამსაქმებელთა წარმომადგენლებს შორის, რომელთა მიზანია საერთო ინტერესების გამოკვეთა-ჩამოყალიბება ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის სფეროში.“²

სოციალური დიალოგი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს თანასწორი და სათანადო სამუშაო პირობები ჰქონდეთ დასაქმებულებს – თავისუფლების, თანასწორუფლებიანობის, უსაფრთხოებისა და ადამიანური ღირსების დაცვის მხრივ. სოციალური დიალოგი მოიცავს მოლაპარაკებების, კონსულტაციების, ინფორმაციის ურთიერთგაცვლის ყველა ფორმას სამთავრობო, დამქირავებლებისა და დასაქმებულთა ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის, ერთობლივი ინტერესების საკითხებში. იგი შეიძლება იყოს ნებისმიერი კომუნიკაციური აქტივობა სოციალური პარტნიორების მონაწილეობით, რათა ზემოქმედება მოახდინონ მოლაპარაკების საკითხების დარეგულირებასა და შემუშავებაზე.

ეფექტიანი დიალოგი გულისხმობს უფლებას, რომ ადამიანებმა თავისუფლად შექმნან ჯგუფები თავიანთი ინტერესების დაცვის ხელშეწყობისათვის. გაერთიანებებისა და კოლექტიური მოლაპარაკებების თავისუფლება ILO-ს ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს. „ასოციაციებისა და კოლექტიური გარიგებების თავისუფლების შესახებ“ 87 და 98 კონვენციების მიღებიდან მოკლე დროში, ILO მივიდა დასკვნამდე, რომ ასოციაციების თავისუფლების კონვენციის შესაბამისობაში მოყვანა ზედამხედველობის პროცედურას საჭიროებდა, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ, ზემოაღნიშნული კონვენციები არ იყო რატიფიცირებული. შედეგად, 1951 წელს ILO-მ ჩამოაყალიბა ასოციაციების თავისუფლების კომიტეტი (CFA), რათა რეაგირება მოეხდინა ასოციაციების თავისუფლების დარღვევებზე, მიუხედავად იმისა, რატიფიცირებული იყო თუ არა კონვენციები ამა თუ იმ კონკრეტულ ქვეყნებში.³

სოციალური დიალოგის რეალური ეფექტის ხარისხი სხვადასხვა ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით ცვალებადია. იგი შეიძლება არსებობდეს როგორც სამმხრივი პროცესი, მთავრობის, როგორც ოფიციალური წარმომადგენლის ჩართულობით ან დაქირავებულ-დამქირავებლის ორმხრივი ურთიერთობების სახით (პროფკავშირები და დამქირავებელთა ორგანიზაციები), მთავრობის მხრიდან მონაწილეობის გარეშე. კონცენტრაცია შეიძლება იყოს არაფორმალური ან ინსტიტუციური, ხშირ შემთხვევებში კი, კომბინირებული. დიალოგი არსებობს სახელმწიფოებრივ, რეგიონულ ან საწარმოო დონეებზე, შეიძლება იყოს ინტერპროფესიული, სექტორული ან კომბინირებული სახით.

ETUC განმარტებით სოციალური დიალოგი არის მოლაპარაკებების პროცესი, რომლის შედეგადაც საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლები (ანუ „სოციალური პარტნიორები“) აღწევენ შეთანხმებას, რომ ერთად იმუშაონ ამა თუ იმ პოლიტიკასა და საქმიანობაში. სოციალური დიალოგი ტარდება როგორც სახელმწიფოებრივ და დარგობრივ (სექტორულ), ისე საერთო ევროპულ დონეზე. სოციალური დიალოგის „ორმხრივობა“ აერთიანებს მუშებსა და დამქირავებლებს, სოციალური დიალოგის „სამმხრივობა“ კი, პროცესში ასევე, რთავს მთავრობებს ან ევროგაერთიანების წარმომადგენლებს.⁴ იგი უნდა მოიცავდეს მოლაპარაკებების, კონსულტაციებისა და ინფორმაციის უბრალო გაცვლის ყველა ფორმას მთავრობის წარმომადგენლებს, დამქირავებლებსა და მუშებს შორის, ეკონომიკისა და სოციალური პოლიტიკის საკითხებზე, რომლებიც მხარეთა საერთო ინტერესის საგანია“ – ეს ინტერპრეტაცია საერთაშორისო კონვენციებში აღნიშნულს შეესატყვისება.⁵

ILO-ს სხვადასხვა კონვენციები ბევრი ქვეყნისათვის ძალზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია პატიოსანი შრომითი ურთიერთობების საკითხების და სოციალური დიალოგის პროცესის მხარდასაჭერად. სოციალური დიალოგის მართვის მხრივ, ორი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა

იყო: დელორსის შეხვედრა ყველა დიდი პროფკავშირის მონაწილეობით, რომელიც გაიმართა 1985 წლის 31 იანვარს. ამ ისტორიულ შეხვედრაზე პროფკავშირული ორგანიზაციები შეთანხმდნენ ევროპული სოციალური დიალოგის შემდგომ განმტკიცებაზე,⁶ რაც აისახა ამსტერდამის 1997 წლის შეთანხმების 138-139 მუხლებში.⁷

ამდენად, სოციალური დიალოგი მოიცავს მოლაპარაკებების, კონსულტაციებისა და ინფორმაციის უბრალო გაცვლის ყველა ფორმას მთავრობის წარმომადგენლებს, დამქირავებლებსა და დასაქმებულებს შორის, ეკონომიკისა და სოციალური პოლიტიკის საკითხებზე, რომლებიც მხარეთა საერთო ინტერესის საგანია. შრომითი ურთიერთობების კონტექსტში, სოციალური დიალოგი ეხება ინტერაქტივობებსა და ურთიერთობებს სოციალურ პარტნიორებს შორის, რაც აუმჯობესებს ან აძლიერებს კლასიკური კოლექტიური შეთანხმებების ტრადიციულ ჩარჩოებს და კოლექტიური ხელშეკრულებების ცენტრალურ როლს შრომით ურთიერთობებში. კაპიტალსა და შრომას შორის არსებული კონფლიქტების დასარეგულირებლად, მან შეიძლება გაიაროს მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ევროპის იდეოლოგიური გზები, რამაც მუშების უფლებების აღიარება მოიტანა, მათ შორის – პროფკავშირული ორგანიზაციის შექმნის უფლებისა.⁸

2. სოციალური პარტნიორები

სოციალური პარტნიორები არიან სოციალურ დიალოგში ჩართული დასაქმებულთა გაერთიანებები/პროფკავშირები და დამქირავებლები (ან მათი წარმომადგენელი ორგანიზაციები). სოციალური პარტნიორობის იდეა მყარად ეფუძნება სანარმოო ურთიერთობებში მოქმედ მრავალ ევროპულ მოდელს და დღეისათვის, აღიარებულია ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფოს მიერ. ევროპულ ინტერპროფესიულ დონეზე, სოციალური პარტნიორები არიან ETUC, BUSINESSEUROPE, CEEP და UEAPME.⁹

სოციალურ პარტნიორობთან დიალოგი ევროპული სოციალური მოდელის ერთ-ერთი ძირითადი საყრდენია. იგი მოიცავს დისკუსიებს, კონსულტაციებს, მოლაპარაკებებსა და ერთობლივ მოქმედებებს, რომელიც მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ევროგაერთიანების შექმნის შეთანხმებაში, ამ პროცესებში სოციალური პარტნიორების წარმომადგენლების ჩართვით. ევროპული სოციალური დიალოგი, რომელიც შეიძლება იყოს ორმხრივი ან სამმხრივი, ავსებს ნაციონალური სოციალური დიალოგის პროცესებს, რომლებიც ევროკავშირის უმეტეს წევრ სახელმწიფოებში მოქმედებენ. სოლიდარობის, პასუხისმგებლობისა და მონაწილეობის პრინციპებზე დაყრდნობით, იგი ქმნის ძირითად არხს, რომლის მეშვეობითაც სოციალურ პარტნიორებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ევროპული სოციალური სტანდარტების დამკვიდრებაში და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ საზოგადოებრივი გაერთიანების მართვაში.¹⁰

სოციალური პარტნიორობა ევროპული ინტეგრაციისა და ქვეყნის ევროპეიზაციის განუყოფელი ნაწილია. სოციალური პარტნიორობა ევროპული დემოკრატიული სახელმწიფოებისათვის ტრადიციული და არსებითი ელემენტია. ისეთ ქვეყნებში, როგორცაა გერმანია, ავსტრია და ნიდერლანდი სოციალური დიალოგი პოლიტიკური კულტურის იმდენად ორგანული ნაწილია, რომ მას ფორმალისებაც კი, ნაკლებად სჭირდება.¹¹

სოციალური დიალოგის ინსტიტუტები შეიძლება იყოს ორმხრივი, სამხხრივი ან „სამხხრივი პლუს.“ სამხხრივობა – სოციალური დიალოგის მნიშვნელოვანი მექანიზმი – ეხება შრომით ურთიერთობებს, სადაც სახელმწიფო, დამსაქმებელი და დასაქმებულები არიან ავტონომიური, დამოუკიდებელი პარტნიორები და საერთო ინტერესები აქვთ. ორმხრივობა არის წესების პაკეტის, დასაქმების პირობების განსაზღვრისა და ა.შ. პროცესი კონსულტაციების, მოლაპარაკებების, საერთო ვალდებულებების აღებისა და კონსენსუსის მიღწევის მეშვეობით. თუ ორმხრივ პროცესს არ მოაქვს შედეგი სადავო საკითხების თავიდან აცილებაში ან დარეგულირებაში, მაშინ აუცილებელი ხდება სამხხრივი პროცესის დაწყება, მორიგება/მედიაცია და არბიტრაჟი/დარეგულირება. სოციალური დიალოგისათვის საჭიროა პოლიტიკური ნება და სოციალური დიალოგის წარმოების სურვილი ყველა მონაწილის მხრიდან, გაერთიანების თავისუფლების ფუნდამენტური უფლებისა და კოლექტიური შეთანხმებების პატივისცემა და შესაბამისი ინსტიტუციური მხარდაჭერა.¹²

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობით მიღწეული იქნა გარკვეული შედეგი – საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2009 წლის 12 ნოემბრის ბრძანებით დაფუძნდა სამხხრივი კომისია საქართველოს მთავრობის, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა და საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების მონაწილეობით. უდავოა, რომ კომისიაში ხელისუფლება დომინირებულ და ძლიერ სუბიექტს წამოადგენს, რომლის პოლიტიკური ნება რიგი საკითხების გადანყევტაში მნიშვნელოვანია, განსახილველი საკითხების შესაბამისად, სამხხრივ დიალოგს თვალყურს ადევნებს როგორც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია, ისე საზოგადოების ფართო ნაწილი.

თავად სოციალურ პარტნიორებს შორის შეიძლება არსებობდეს პირდაპირი („ორმხრივი“) ურთიერთობები ან არსებობდეს ურთიერთობები სამთავრობო სააგენტოებსა და სოციალურ პარტნიორებს შორის („სამხხრივი“ ურთიერთობები). უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, სოციალური დიალოგი შეიძლება ნიშნავდეს მოლაპარაკებას, კონსულტაციას, ან უბრალოდ, მოსაზრებების გაზიარებას დამქირავებლებს, დაქირავებულებსა და მთავრობებს შორის. იგი შეიძლება შედგებოდეს მუშახელისა და მენეჯმენტის ურთიერთობებისაგან, მთავრობის უშუალო ჩარევის გარეშე. სოციალური დიალოგი მოქნილი მექანიზმია, რომელიც საშუალებას აძლევს მთავრობების, დამქირავებლებისა და დაქირავებულების ორგანიზაციებს, რომ მართონ ცვლილებები და მიაღწიონ ეკონომიკურ და სოციალურ მიზნებს. სოციალური დიალოგის საქმიანობების მაგალითები მოიცავენ ერთობლივ ინფორმაციას, ღია დისკუსიებს, კონცენტრაციას (მიმდინარე სამხხრივი დიალოგი), თვალსაზრისების ურთიერთგაზიარებას, კონსულტაციებსა და მოლაპარაკებებს (შეთანხმებები/საერთო შეხედულებები).

სოციალური დიალოგი და კოლექტიური შეთანხმება როგორც წესი, მიმდინარეობს მხარეთა მიერ სამი ძირითადი მიმართულებით: სოციალური დიალოგი, სოციალური კანონმდებლობა და კოლექტიური შეთანხმებები.

პირველი – ეს არის სოციალური დიალოგი, რომელიც ინსტიტუციონალიზებულია ლისაბონის შეთანხმების 152-155 მუხლებში და ძირითადად, საწარმოთაშორისო და დარგობრივ დონეზე იმართება. მაგრამ, ამ ნაწილში ასევე, წარმოდგენილია ინფორმაცია მოლაპარაკებებთან დაკავშირებულ გარემოებებზე და დასკვნა ტრანსნაციონალური კომპანიების შეთანხმებების შესახებ (MNCs).

მეორე ქვენანილი ეხება დასაქმებულთა გაერთიანების/პროფკავშირების უმნიშვნელოვანეს როლს, რომლის შესრულებასაც ისინი ცდილობენ როგორც ევროპულ, ისე რეგიონულ დონეზე ევროპული კანონმდებლობის (შრომითი კოდექსის) როგორც უპირველესი კანონის (მაგალითად, შეთანხმების ახალი/შეცვლილი დებულებები, ევროკავშირის ქარტია, ფუნდამენტური უფლებების ქარტია და ა.შ.) და მეორადი კანონმდებლობის (მაგალითად, რეგულაციები, დირექტივები და ა.შ.) ფარგლებში. აგრეთვე, ყურადღება ეთმობა ევროსასამართლოს (CIEU) მზარდ როლს ევროპული კანონმდებლობის ინტერპრეტაციაში.

დაბოლოს, მესამე ქვენანილი – ETUI-ს მუშაობა კოლექტიური შეთანხმებების სფეროში ხელფასებთან და შრომის პირობებთან დაკავშირებით, ნაციონალურ (დარგთაშორისი, დარგობრივი, სანარმო) დონეზე და კოლექტიური შეთანხმებების ტრანსნაციონალური კოორდინაცია პროფკავშირების მიერ.

„სამმხრივი“ სოციალური დიალოგი და პრაქტიკა სამთავრობო, დამქირავებლებისა და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის, როგორც ამა თუ იმ საზღვრებში ისე, საზღვრების გარეშე, დღესდღეობით ყველაზე მეტად რელევანტურია გადანყვეტილებების მიღწევისა და სოციალური სოლიდარობის თვალსაზრისით, რომელიც სხვა საშუალებებთან ერთად განსაზღვრავს შრომის საერთაშორისო სტანდარტებს.¹³

„სოციალურ პარტნიორებს უნიკალური ადგილი უკავიათ სამოქალაქო საზოგადოებაში“, რადგან ყველაზე კარგად იციან, თუ როგორ გადანყვიტონ შრომასთან დაკავშირებული საკითხები.¹⁴ ეს მართლაც მეტად მნიშვნელოვანი განცხადებებია, წარმოგვიდგენენ რა, სოციალური დიალოგის დიდ შესაძლებლობებსა და უნიკალურ ხელსაყრელობას სოციალური რეფორმების ინიცირებისა და მართვის მხრივ (სულ მცირე, სამუშაო ძალებთან დაკავშირებულ საკითხებში მაინც). ამასთანავე, რამდენადაც აქცენტი კეთდება სოციალური დიალოგის სარგებლიანობაზე სოციალურ პოლიტიკაში საკანონმდებლო ცვლილებების მცდელობებთან ერთად, იგი შეიძლება განხორციელდეს ისე, რომ შეძლოს კომპენსირება გაუკეთოს ევროკავშირის კანონმდებლების ახალი ინიციატივების ზოგიერთ ნაკლოვანებას სოციალური სტანდარტების ამალების ან შენარჩუნების საკითხებში.¹⁵

ელიტა ღირსია ფლობდეს იმას, რაც აქვს, სწორედ მისთვის შინაგანად დამახასიათებელი თვისებების ძალით. ჩამოყალიბება ხდება არა ძალაუფლების, სიმდიდრის, პრესტიჟის მოპოვებისათვის ბრძოლაში, არამედ იგი არის საზოგადოების მიერ მისი ყველაზე ღირსეული და ფასეული წარმომადგენლების ბუნებრივი შერჩევის შედეგი. ელიტარულობა საზოგადოების ეფექტიანი ფუნქციონირების პირობაა. დემოკრატიული საზოგადოება პიროვნებებს აძლევს შანსს, სასტარტო პირობების თანასწორობას, ზოგი სათანადოდ სარგებლობს ამით, ზოგი კი, ვერ იყენებს მას, ამიტომ შესაბამისად, შედეგებიც განსხვავებულია და უნდა იყოს კიდევ.

ადგილი აქვს ელიტათა კონკურენციას, რაც საშუალებას აძლევს საზოგადოებას, დემოკრატიული პროცედურების გამოყენებით შეარჩიოს ყველაზე კვალიფიციური და კომპეტენტური მმართველი ჯგუფი, რომელიც დაინტერესებულია სტრატეგიული მნიშვნელობის გადანყვეტილებათა მიღებითა და ცხოვრებაში გატარებით. ლიდერს უნდა ახასიათებდეს ხუთი უნივერსალური თვისება: 1. წარმოსახვის ძალა; 2. სოციალურ ხდომილებათა წინასწარგანჭვრეტისა და გათვალისწინების უნარი; 3. მოქნილობა; 4. მრავალმხრივობა; 5. თავშეკავების უნარი.

3. საუკეთესო პრაქტიკა სოციალურ დიალოგში

სოციალური დიალოგი ნაციონალურ დონეზე, ბევრ ქვეყანაში კარგი მართვის მნიშვნელოვანი კომპონენტი გახდა. სამხრეთი სოციალური დიალოგი ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის საკითხებისადმი მიძღვნილ შეხვედრებზე ფუნდამენტურ როლს ასრულებს დემოკრატიის განმტკიცებაში, სოციალურ სამართლიანობასა და პროდუქტიულ, კონკურენციულ ეკონომიკაში. ამ სამივე მხარის ერთიანობა ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში, ხელს უწყობს კონსენსუსის მიღწევასა და დაბალანსებას მოთხოვნასა და ეკონომიკურ წინსვლაში, რასაც სოციალური სტაბილურობისაკენ მივყავართ. უდავოა, რომ ეკონომიკური კეთილდღეობა და სოციალური პროგრესი ვერ მიიღწევა, თუკი მთავრობები, დამქირავებლები და მუშები ერთმანეთისაგან იზოლირებულად იმოქმედებენ. სამხრეთი დიალოგი გვთავაზობს შესაძლო საუკეთესო სცენარს, დაგეგმილი პოლიტიკის ეფექტიანი და მდგრადი განხორციელებისათვის და ამცირებს სანარმოო და სოციალური კონფლიქტების რისკებს.¹⁶

სოციალური დიალოგი საუკუნოვან ისტორიულ გამოცდილებას ეყრდნობა და ბუნებრივადაა შერწყმული პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების სხვა ასპექტებთან. სოციალური დიალოგის გზით საერთაშორისო ორგანიზაციები ესწრაფვიან „ადამიანთა ღირსეული და პროდუქტიული შრომის მიღწევას, თავისუფლების, თანასწორობის, უსაფრთხოებისა და ადამიანური ღირსების პირობებში“. ამ მიზანზე ორიენტირებული სტრატეგია შრომის სფეროში ურთიერთობების რეგულირებაა, რაც მხარეებს შორის კონსენსუსის მიღწევამ უნდა უზრუნველყოს. „დიალოგი“ სწორედ ამაზე მიუთითებს: უნდა მოხდეს დაპირისპირებიდან ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობაზე გადასვლა.¹⁷

სოციალური დიალოგის დეფინიცია და კონცეფცია სხვადასხვა ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით ცვალებადობს. მიუხედავად აღიარებული დადებითი როლისა, სოციალური დიალოგი ჯერ კიდევ, არ გამოიყენება სრული ეფექტურობით. იმისათვის, რომ სოციალური დიალოგი წარმატებული იყოს, ჩვენ გვესაჭიროება კავშირი პროცესსა და ხელშესახებ შედეგებს შორის. ამიტომ, სოციალური დიალოგი არის არა მხოლოდ ევროპული ფენომენი, იგი უფრო ფართო სპექტრით წარმოადგენს პროცესს, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს კომპლექსურ სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებზე. ამიტომ, საჭიროა სოციალური დიალოგის პროცესის დოკუმენტირება და ანალიზი, რათა უფრო ღრმად შევიცნოთ, თუ რა ხდება ამ პროცესში. ასევე, არსებობს საჭიროება, რომ უფრო მეტად განმტკიცდეს სოციალური დიალოგის ძირითადი მოთამაშეების შესაძლებლობები, კერძოდ, დასაქმებულებისა და დამქირავებლების ორგანიზაციების, აგრეთვე, შრომისა და დასაქმების სამინისტროს, რომელსაც შეუძლია კატალიზატორის როლი შეასრულოს ნაციონალურ დონეზე.

მოლაპარაკებები ყოველთვის იწყება მოთხოვნების წარდგენით. ადმინისტრაცია ცდილობს დაიწყოს დისკუსიები პროდუქტიულობის გაზრდასთან დაკავშირებულ საკითხებზე. სოციალური დიალოგი საჭიროებს დასაქმებულებისა და დამქირავებლების მტკიცე დამოუკიდებელ ორგანიზაციას, რომელსაც ექნება ყველა საჭირო ტექნიკური შესაძლებლობა, რომ მიიღოს საჭირო ინფორმაცია. ასევე, იგი საჭიროებს პოლიტიკური ნების არსებობას და გაერთიანებების შექმნის თავისუფლებისა და კოლექტიური შეთანხმებების ფუნდამენტური უფლებების პატივისცემას. აქ, სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლი ეკისრება მდგრადი პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და

მუშებისა და დამქირავებლების ორგანიზაციის ხელსაყრელი გარემოს შექმნაში, რათა მან დამოუკიდებლად იმოქმედოს. შიშის ან დასჯის საფრთხის გარეშე, სოციალური დიალოგის მთავარი მიზანია მხარეთა შორის კონსენსუსის მიღწევის ხელშეწყობა და დასაქმების სფეროს მონაწილეების დემოკრატიული ჩართულობა. წარმატებული სოციალური დიალოგის სტრუქტურებსა და პროცესებს აქვთ პოტენციალი, რომ გადანეციტონ მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური საკითხები, ხელი შეუწყონ კარგ მმართველობას, სოციალურ და სანარმოო კეთილდღეობასა და სტაბილურობას, დააჩქარონ ეკონომიკური პროგრესი.

საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პოლიტიკის ფარგლებში სოციალური დიალოგის ინსტიტუციონალიზაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წამოწყებაა. სოციალური დიალოგი თავისი არსით ეფუძნება იმ ღირებულებებს, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა დღევანდელი დემოკრატიული ევროპის ჩამოყალიბებაში. ფართოდ გაგებული სოციალური დიალოგი წარმოქმნილია პლურალიზმის იმ მოდელით, რომელიც საფუძვლად უდევს ევროპული სტილის წარმომადგენლობას, პარლამენტარიზმს და სამოქალაქო საზოგადოებას. მათთან ერთად ის ქმნის მრავალფეროვანი ინტერესების არაანტაგონისტური თანაარსებობისა და სტაბილური განვითარების შესაძლებლობას.¹⁸

წარმატებული სოციალური დიალოგი შეიძლება გახდეს კონსენსუსისა და დასახული მიზნების მიღწევის გასაღები, გვთავაზობს რა, კონკურენციული როლებისა და კონფლიქტების მართვის საშუალებებს. ILO-ს გენერალური დირექტორის თვალსაზრისით, მყარი სამმხრივობა არის ILO-ს ფუნდამენტი, სოციალური დიალოგი კი, არის ILO-ს სტრატეგიული მიზნების – უფლებების, დასაქმებისა და სოციალური დაცვის – მიღწევის ინსტრუმენტი.

სიღარიბის შემცირების სტრატეგიული პროგრამა (PRSP) შრი-ლანკასა და ნეპალში, შესაძლებლობას უქმნიდა ILO-ს სუბრეგიონულ ოფისს ნიუ დელიში, რათა უზრუნველყო სოციალური პარტნიორების მონაწილეობა ნაციონალური პოლიტიკის შემუშავებაში. შრი-ლანკაში ფუნქციონირება განაახლა სამმხრივმა ეროვნულმა შრომითმა საკონსულტაციო საბჭომ, რომელიც მუშაობს სანარმოო რესტრუქტურის საკითხებზე, EPZ-ზე და შრომითი კანონმდებლობის რეფორმაზე. შრი-ლანკაში, წარმატებული რესტრუქტურის მაგალითს წარმოადგენს ტელეკომი, რაც განხორციელდა სოციალური დიალოგის მეშვეობით. პაკისტანში, მუშათა და დამქირავებელთა ორმხრივი საბჭო დაეხმარა მთავრობას კონსენსუსის მიღწევაში სახელმწიფოში მინიმალური ხელფასის დადგენისა და შრომითი კანონმდებლობის რეფორმის საკითხებში.¹⁹

ასევე, შეიძლება მოვიტანოთ მაგალითები სოციალური დიალოგის განმტკიცების თანამდევრი შედეგების მითითებით: იაპონიაში, სოციალური დიალოგი მაღალი დონის კონსოლიდირებული ფორმითაა წარმოდგენილი და კონტექსტუალურად წარმოგვიდგენს უმუშევრობის სიტუაციას და პროფკავშირების მოქნილ პოლიტიკას სამუშაო პროგრამების შექმნაში. კერალას შტატში, ინდოეთში, სოციალური დიალოგის პროცესის შედეგად, შესაძლებელი გახდა საქმიანობების წარმართვა არაფორმალურ სექტორში დასაქმებულებთან და ასევე, იმ დასაქმებულებთან, რომლებიც სხვაგვარად არიან დაუცველნი კეთილდღეობის ამალგების სქემებში მონაწილეობის შესაძლებლობების არქონის გამო. ირლანდიაში, ხელფასების განსაზღვრის პასუხისმგებლობა აიღო ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ, რომელმაც წარმატებით გამართა ოთხრაუნდიანი მოლაპარაკებები საშემოსავლო პოლიტიკის საკითხებზე და ხელი შეუწყო ეკონომიკის სწრაფ წინსვლას. სინგაპურში, ფორმალურ და არაფორმალურ დონეებზე გაიმართა სამმხრივი

მოლაპარაკებები სახელფასო და სხვა საკითხებზე. ეს თავი მოიცავს თერთმეტ მოხსენებას, მათ შორის შემაჯამებელ დასკვნას და ათი მაგალითის განხილვას ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან.²⁰ „ბრაზილიაში, სოციალური დიალოგი არასოდეს ასრულებდა დიდ როლს არც შრომით ურთიერთობებში და არც უფრო ფართო მაკროეკონომიკურ საკითხებში, გარდა რამდენიმე მნიშვნელოვანი გამონაკლისისა“.²¹ რეკომენდებულია, რომ ნორვეგიამ გააძლიეროს სოციალური დიალოგის ინსტიტუტების, მაგალითად – დამსაქმებელთა ასოციაციების, პროფკავშირების, შრომითი პირობების ინსპექციების მხარდაჭერა ქვეყნებში, სადაც უცხოური ინვესტიციები საფრთხეს უქმნიან სოციალური დიალოგის პროცესებს, მაგალითად – ანგოლაში, ზამბიაში, კენიაში.²² კაცობრიობისათვის უცხო არ არის თანაგრძნობა და თანადგომა. ამ თვისების მეტნაკლებად მატარებელია თითოეული ადამიანი.

სოციალური დიალოგის მოდელი შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერ სამუშაო ადგილზე, ნაციონალურ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეებზე, რაც უფლებამოსილებას ანიჭებს სოციალურ პარტნიორებს, რომ მონაწილეობა მიიღონ შესაბამის პოლიტიკურ პროცესებსა და პროგრამებში.²³

ღირსეულ შრომით ურთიერთობებსა და სრულუფლებიან პროფკავშირებს აშშ-ის მთავრობა ძლიერი დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განუყოფელ ნაწილად განიხილავს. ამდენად, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ყურადღებით აკვირდება მათ მდგომარეობას დემოკრატიზაციის პროცესში მყოფ ქვეყნებში. მისი ყოველწლიური ანგარიში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ არაორაზროვნად კრიტიკულია საქართველოში შრომითი უფლებების დაცულობისა და შრომის კანონმდებლობის მიმართ.²⁴

4. ევროპული სოციალური დიალოგი

ევროპული სოციალური დიალოგი გათვალისწინებულია ევროგაერთიანების შექმნის ხელშეკრულებით (138-ე და 139-ე მუხლები, ადრინდელი 118ა და 118ბ მუხლები) და რომელსაც მხარი დაუჭირა ევროკომისიამ როგორც უკეთესი მართვისა და სოციალური და ეკონომიკური რეფორმების ხელშეწყობის ინსტრუმენტს.²⁵

ევროპაში, სოციალური დიალოგი ეროვნულ დონეზე, მოიცავს მაკროეკონომიკური პოლიტიკისა და შრომის ბაზრის საკითხებს, აგრეთვე მნიშვნელოვან რეფორმებს სოციალური დაცვის სისტემაში. შესაბამისად, სოციალური დიალოგი არის ევროპული სოციალური მოდელის ძირითადი კომპონენტი. მის ამ ფარგლებს OSE მოიცავს შრომითი ბაზრის, ხარისხიანი შრომისა და ცხოვრების დონის შექმნაში მონაწილე მხარეთა კონტრიბუციების ანალიზში. ევროპის სექტორული სოციალური დიალოგის მნიშვნელობა ხაზგასმულია ევროკომისიის 1998 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებაში 98/500/EC – სექტორული სოციალური დიალოგის კომიტეტების შესახებ. სწორედ ამ კონტექსტში აღნიშნული იყო, რომ OSE რამდენიმე კვლევასა და სამუშაოს ატარებს ევროკომისიისა და საცხოვრებელი და შრომითი პირობების გაუმჯობესების ევროპული ფონდისათვის.²⁶

1992 წლიდან დაწყებული, სოციალურ დიალოგს პრიორიტეტული ადგილი ენიჭება ევროკავშირის განცხადებებში სოციალურ პოლიტიკასთან დაკავშირებით და ჩამოყალიბებულია როგორც „ევროპული სოციალური მოდელი“. მაგალითად, მასში გაცხადებულია, რომ სოციალური

დიალოგი არის: „ევროპული სოციალური მოდელის ცენტრში“ „ეკონომიკური და სოციალური რეფორმების მამოძრავებელი ძალა“. რამდენადაც „გაფართოებული კავშირის უკეთ მართვა ეფუძნება ყველა დაინტერესებული მხარის ჩართვას გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში“, თუ გადავხედავთ სოციალური დიალოგის დღემდე მიღებულ შედეგებს, მიღწეული და განხორციელებული შეთანხმებების პირობებს, ასეთი მოთხოვნები არ გახლავთ მკაფიოდ დასაბუთებული. 1992 წლის შემდგომ პერიოდში მიღწეული იქნა მცირე რაოდენობის დარგთაშორისი შეთანხმება სოციალური პარტნიორების მიერ და არც ერთი მათგანი არ ყოფილა მნიშვნელოვანი თავიანთი პირობებით.²⁷ ეს, სავარაუდოდ, ის შემთხვევაა, როდესაც აშკარად ჩანს შეუსაბამობა სოციალურ დიალოგთან დაკავშირებით ევროკავშირის მოთხოვნებსა და რეალურად მიღწეულ შედეგებს შორის, ნაწილობრივ ალბათ იმ გაუგებრობების გამო, რაც მოქმედ პრაქტიკაში გვხვდება: რა არის ეს – კოლექტიური გარიგება, კორპორატიულობის ფორმა თუ კანონშემოქმედებითი საქმიანობის მეთოდი? 1998 წელს, როცა ECJ-მ გამოიყენა თავისი უფლებამოსილება, რათა გადაეწყვიტა მხარეთა „წარმომადგენლობის“ საკითხი სოციალური დიალოგის შესახებ შეთანხმებაში, ბრაიან ბერკუსონმა გააკრიტიკა სასამართლო იმისათვის, რომ მან სათანადო ყურადღება არ მიაქცია იმ ფაქტს, რომ სოციალური დიალოგის კონცეპტუალური ფესვები, პრინციპში, ნაპოვნი უნდა ყოფილიყო საწარმოო ურთიერთობებში.²⁸ ანალიზებდა რა, სოციალურ დიალოგს როგორც კოლექტიური გარიგების ტიპს, სასამართლოს უნდა ეღიარებინა, რომ ასეთი საკითხები თვითონ მხარეებს უნდა გადაეწყვიტათ. სოციალური დიალოგის, როგორც კოლექტიური შეთანხმების ერთ-ერთი ტიპის არსის გასაცნობიერებლად როგორც ამას ბერკუსონი გვთავაზობს, აუცილებელია გამოვლინდეს მასთან დაკავშირებული სერიოზული ნაკლოვანებები.²⁹ ეს არის „კოლექტიური გარიგება“, სადაც მომლაპარაკებელი მხარეები განიცდიან დამოუკიდებლობის ნაკლებობას, რათა გადაწყვიტონ მთელი რიგი საკვანძო საკითხები – მათი პარტნიორების იდენტიფიკაცია, მოლაპარაკებების საგანი; „კოლექტიური გარიგება“, სადაც ევროკომისია თავისთვის ითხოვდა უფლებას, რომ „შეაფასოს“ კოლექტიური შეთანხმებების ხარისხი; „კოლექტიური გარიგება“, რომელსაც არა აქვს უფლება მიმართოს საწარმოო ზომებს. კოლექტიური დიალოგის, როგორც კოლექტიური გარიგების ამ სერიოზული ნაკლოვანებების ფონზე, არგუმენტად მოტანილი იყო ის, რომ პრაქტიკაში შესაძლოა უკეთ გავერკვეთ დისკუსიების ტიპებში, რომ დისკუსიები და არა გარიგებები უწყობს ხელს საწარმოო აქციების წარმოშობის საფრთხეს, რადგან ეს არის ყველასათვის მისაღები გადაწყვეტის საშუალება და არა ის, რომ ურთიერთსაპირისპირო ინტერესების მქონე მხარეებმა ჩაქუჩების ბრახუნით გამოსძალონ ერთმანეთს კომპრომისები.³⁰ კომისიამ სწორედ ეს მიმართულება მიიღო გასაანალიზებლად და განმარტა სოციალური დიალოგი როგორც შეუქცევადი პროცესი, რომლის მონაწილეებიც ერთმანეთს აცნობენ თავიანთ განზრახულობებსა და შესაძლებლობებს, ამუშავებენ ერთმანეთისადმი წარსადგენ ინფორმაციას, აზუსტებენ და განმარტავენ თავიანთ ვარაუდებსა და მოლოდინებს. ეს არაა იგივე, რაც გარიგება, მაგრამ ქმნის მოლაპარაკების უფრო ეფექტიან საშუალებას განსახილველი ფაქტების, პრობლემებისა და მათი შესაძლო გადაწყვეტების ერთმანეთისაგან გამოცალკევებით, ხარჯებისა და სარგებლის დაყოფით.³¹

ევროპული სოციალური მოდელის ლეგიტიმურობას საფუძველი ჩაუყარა ევროკომისიის ადრინდელმა შეთანხმებამ, ევროკავშირის ქართლამ ფუნდამენტური უფლებების შესახებ და ევროპულმა შრომითმა კანონმდებლობამ. შეთანხმება ყოველმხრივ აღიარებს სოციალური დიალოგისა და სოციალური პარტნიორების როლს თავის 152-ე მუხლით, რომელშიც აღნიშნულია, რომ

„კავშირი აღიარებს და მხარს უჭერს სოციალური პარტნიორების როლს თავის დონეზე, ნაციონალური სისტემების მრავალფეროვნების გათვალისწინებით. იგი ხელს უწყობს დიალოგს სოციალურ პარტნიორებს შორის, პატივს სცემს მათ ავტონომიურობას“. TFEU 154-155 მუხლებში ასევე, შეიცავს ევროპული სოციალური დიალოგის სამართლებრივ ჩარჩოებს. ევროკავშირის ქარტია დასაქმების შესახებ, გვთავაზობს „კოორდინაციის ღია მეთოდს“ დასაქმების ევროპული სტრატეგიისათვის (TFEU-ის 145-150 მუხლები) რომელსაც ამჟამად სამართლებრივი ძალა მიეცა ევროკავშირის დაფუძნების შეთანხმების 6(1) მუხლით (TEU განსაზღვრავს ასოციაციის ფუნდამენტურ უფლებებს, ინფორმაციასა და კონსულტაციებს, კოლექტიურ გარიგებებსა და მოქმედებებს, ადგენს სოციალური პარტნიორების როლს ევროკავშირის სოციალურ პოლიტიკაში, და კოლექტიური მოლაპარაკებებისა და მოქმედებების ლეგიტიმურობას, აგრეთვე ინფორმაციასა და კონსულტაციებს საწარმოს დონეზე). ევროპის შრომითმა სამართალმა განსაზღვრა საინფორმაციო და საკონსულტაციო უფლებების ზოგადი ფარგლები ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში და წარმოგვიდგინა ევროპული სოციალური მოდელის არსებითი მასშტაბები (ევროსაბჭოს დირექტივები 94/95 და 2009/38). ევროკავშირის ჩართულობის მისწრაფება კიდევ ერთხელაა ხაზგასმული ევროპულ პლატფორმაში სიღარიბისა და სოციალური გარიყულობის წინააღმდეგ, რომელიც წარმოადგენს ევროპის 2020 წლის სტრატეგიის ნაწილს, სადაც აღნიშნულია, რომ სოციალური უთანასწორობის დამარცხება, სოციალური სამართლიანობა და ფუნდამენტური უფლებები უკვე დიდი ხანია რაც ევროკავშირის ძირითადი მიზანია, რომელიც ეფუძნება ადამიანის ღირსებისა და სოლიდარობის ფასეულობების პატივისცემას. ევროპული სოციალური მოდელი ასევე, ხასიათდება კოლექტიური ხელშეკრულებების მაღალი დონით. კომისიის 2010 წლის ანგარიშში ევროპის ქვეყნებში საწარმოო ურთიერთობების შესახებ, აღნიშნულია, რომ ნებაყოფლობითი კოლექტიური გარიგებები ძირითად როლს ასრულებს საწარმოო ურთიერთობებში და წარმოადგენს სოციალური პარტნიორობის განმსაზღვრელ ელემენტს როგორც ევროკავშირში, ისე მის ფარგლებს გარეთ. თუმცაღა, ევროკომისიის ანგარიშის თანახმად, კოლექტიური გარიგებების როლის, ფარგლებისა და ეფექტიანობის მხრივ, დიდი განსხვავებები არსებობს ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნებში.³²

ევროპული სოციალური დიალოგი არსებობს თვით ევროკავშირის მართვის ბირთვში. იგი საშუალებას აძლევს ევროპულ სოციალურ პარტნიორებს, რომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ევროპული სოციალური სტანდარტების დადგენაში. ევროპული სოციალური დიალოგი შეტანილია ევროპულ შეთანხმებებში და წარმოადგენს ევროპული სოციალური მოდელის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს. ევროპული სოციალური დიალოგი ერთი მაგიდის გარშემო უყრის თავს პროფკავშირებისა და დამქირავებელთა ორგანიზაციების წარმომადგენლებს, აყალიბებს დისკუსიების, მოლაპარაკებებისა და ერთობლივი საქმიანობების ჩარჩოებს, ევროპული სოციალური პარტნიორობისათვის. ევროპულ სოციალურ პარტნიორებს შორის დიალოგი არსებობს როგორც დარგთაშორის, ისე დარგობრივ დონეებზე. დარგთაშორისი დიალოგის მონაწილეები არიან ETUC, BUSINESSEUROPE (დამქირავებლები კერძო სექტორში) / UEAPME (მცირე და საშუალო ბიზნესი) და CEEP (სახელმწიფო დამქირავებლები), რომლებსაც დადებული აქვთ ერთმანეთთან მთელი რიგი ჩარჩო-ხელშეკრულებები: მშობლების შვებულების შესახებ (1996 წელი და მისი 2008 წლის რედაქცია), არასრული დროით დასაქმების შესახებ (1997 წ.) და ფიქსირებულ-ვადიანი კონტრაქტების შესახებ (1999 წ.). ეს ხელშეკრულებები რატიფიცირებულია მინისტრთა საბჭოს მიერ და დღეისათვის უკვე ევროპული კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ:

2009 წლის მაისში, ევროპელმა სოციალურმა პარტნიორებმა მიიღეს თავიანთი სამუშაო პროგრამის მესამე მემორანდუმი 2010 წლამდე ვადით, სადაც იდენტიფიცირებულია მათი ერთობლივი საქმიანობების სფეროები. სოციალური დიალოგი აგრეთვე, წარმოებს სხვადასხვა საწარმოო სექტორებში, რასაც პროფკავშირების მხრიდან კოორდინაციას უწევს ევროპის საწარმოო ფედერაციები. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ევროპულ დონეზე წარმოების სპეციფიკური საკითხების გადასაწყვეტად. დარგობრივი (სექტორული) სოციალური დიალოგის კომიტეტები, ჩართულნი არიან, მაგალითად, ტრენინგების მონყოფის, სამუშაო დროისა და პირობების, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების, მდგრადი განვითარების, მუშათა თავისუფალი გადაადგილების საკითხებში.³³

ევროსაბჭო – მხარს უჭერს სოციალურ დიალოგს ევროპის პროფკავშირებისა და დამქირავებელთა ორგანიზაციების – სოციალური პარტნიორების მონაწილეობით. ევროპულ დონეზე სოციალურმა პარტნიორებმა საკმაოდ გაზარდეს იმ ავტონომიური ხელშეკრულებების რიცხვი, რომლებსაც ისინი თავად ახორციელებენ, სხვები კი, ტრანსფორმირებულია კანონმდებლობაში. ევროპული სოციალური დიალოგი ეხება დისკუსიებს, მოლაპარაკებებსა და ერთობლივ აქტივობებს წარმოების ორი მხარის წარმომადგენლებს (დამქირავებლები და მუშები) შორის. დიალოგი ტარდება ორი ძირითადი ფორმით – სამხრეთ დიალოგში მონაწილეობენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ორმხრივი დიალოგი კი, ტარდება ევროპულ დამქირავებლებსა და პროფკავშირულ ორგანიზაციებს შორის. ორმხრივი დიალოგი ტარდება საწარმოთაშორის დონეზე და სექტორული სოციალური დიალოგის კომიტეტების ფარგლებში. მათი წარმომადგენლობის შედეგად, ევროპულ სოციალურ პარტნიორებს უფლება აქვთ მიიღონ კონსულტაციები კომისიისაგან და შეუძლიათ მიიღონ მოლაპარაკებების გამართვის გადაწყვეტილება ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. სოციალური დიალოგის ინსტიტუციონალური ბაზისი წარმოდგენილია ევროგაერთიანების შეთანხმებაში. ევროპული სოციალური დიალოგის შედეგად, ევროპელი სოციალური პარტნიორების მიერ შემუშავებულია 300-ზე მეტი ერთობლივი დოკუმენტი, რომლებიც შეტანილია მონაცემთა ბაზაში.³⁴

სოციალური დაცვა და სოციალური ჩართულობა – ესაა ის პრიორიტეტი, რასაც ევროკავშირი კოორდინაციას უწევს, მხარს უჭერს სიღარიბისა და სოციალური უთანასწორობის დამარცხებას. სხვადასხვა ქვეყნების მთავრობები თავიანთი სახელმწიფოებრივი გეგმების შუქზე ახდენენ საერთო მიზნების ინტერპრეტაციას, რომლებიც ნაციონალური სტრატეგიული ანგარიშების სახით წარედგინება ევროკავშირს. ამ ანგარიშებს თავიანთი ერთობლივი დასკვნით აფასებენ ევროკომისია და ევროსაბჭო. ეს ანგარიშები ასახავენ, თუ ევროკავშირის დონის რომელი ინიციატივები იქნა განხორციელებული ამა თუ იმ ქვეყანაში. ევროკომისია ასევე, მუშაობს ქვეყნებში, რომლებსაც გაკეთებული აქვთ ევროგაერთიანებაში განვერიანების განაცხადები, რათა დაეხმარონ ასეთ ქვეყნებს სოციალური სისტემების რეფორმებში. ამ საქმიანობის პრიორიტეტები მოცემულია „ერთობლივი ჩართულობის მემორანდუმში.“³⁵

სოციალური დიალოგის ევროპის სექტორულმა კომიტეტმა „დროებითი სააგენტო სამუშაოს“ ფორმატში 2011-2012წწ. დასახა ნაციონალური სოციალური დიალოგის ხელშეწყობის სამუშაო პროგრამა – ევროპელი სოციალური პარტნიორები ითვალისწინებენ შემდეგს:

ა. ერთი ან ორი შეხვედრის მონყოფა „მრგვალი მაგიდის“ ფორმატში, ევროკავშირის წევრობის კანდიდატ რომელიმე ქვეყნებში, შესაბამისი ქვეყნების სოციალური პარტნიორების კოორდინაციით. ასეთი „მრგვალი მაგიდები“ ორგანიზებული იქნება TAIEX/ევროკომისიასთან

კოორდინაციით და მიზნად ისახავს ნაციონალური სოციალური დიალოგის ინიცირებას და/ან გაუმჯობესებას სექტორში და ევროპული სოციალური დიალოგის, როგორც სოციალური კომუნიკაციის ნაწილის ხელშეწყობას.

- ბ. სოციალური დიალოგის სექტორული კომიტეტის თითოეული შეხვედრის გამოყენება UNI-ევროპისა და Eurociett-ის აფილირებული წევრებისაგან ანგარიშების მისაღებად ნაციონალური სოციალურ დიალოგის უახლესი მოვლენების შესახებ.
- გ. UNI-ევროპისა და Eurociett-ის წევრების ერთობლივი პრეზენტაციები თავიანთი კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებების შესახებ. პირველ ასეთ პრეზენტაციებს გააკეთებენ სოციალური პარტნიორები იტალიიდან, ჰოლანდიიდან, ბელგიიდან, საფრანგეთიდან, შვედეთიდან და გერმანიიდან, ასევე, სხვა ქვეყნებიდან, რომლებიც ისურვებენ ერთობლივ პრეზენტაციაში მონაწილეობას.³⁶

5. სოციალური დიალოგის პრიორიტეტული საკითხები

2004 წლის იანვარში, EPSU-სა და ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭოს დამსაქმებელთა პლატფორმას (CEMP-EP) შორის შეიქმნა სექტორული სოციალური დიალოგის კომიტეტი ადგილობრივ და რეგიონულ მმართველობასთან. ამჟამად, კომიტეტი მუშაობს თავის მეოთხე სამუშაო პროგრამაზე, რომელიც 2011-2013 წლებზეა გათვლილი და რომელიც დამტკიცდა 2010 წლის დეკემბერში გამართულ პლენარულ სხდომაზე. ამ სამუშაო პროგრამით განსაზღვრულია შემდეგი პრიორიტეტები: დამსაქმებლებისა და დასაქმებულთა გაერთიანებას/პროფკავშირების წარმომადგენლობა ადგილობრივი და რეგიონული მმართველობის სექტორში, სოციალურ დიალოგში დისკუსიების მოწყობა და ერთობლივი შეთანხმებების მიღწევა საერთო ინტერესების საკითხებზე; და ევროპული სოციალური დიალოგის გაძლიერება ადგილობრივი და რეგიონული მმართველობის სექტორში ლისაბონის შეთანხმებით მიღებული ადგილობრივი და რეგიონული ავტონომიის ზოგადი პრინციპების აღიარებით, შემდეგ საკითხებზე: საქმიანობების ორგანიზება წვერი ქვეყნებისა და წევრობის კანდიდატების ადგილობრივი და რეგიონული მმართველობის სექტორში სოციალური დიალოგის შენარჩუნებისა და განმტკიცების მიზნით, დამსაქმებელთა და პროფკავშირულ ორგანიზაციებს შორის; ადგილობრივი და რეგიონული მმართველობის საზოგადოებრივი მომსახურების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა სოციალურ და გარემოსდაცვით ღირებულებებზე პასუხისმგებლობისა და შრომითი ბაზრის საკითხებზე ინფორმაციის გაცვლის ანგარიშვალდებულების საფუძველზე, ინტერესებისა და საუკეთესო პრაქტიკის რეალიზების ხელშეწყობა ადგილობრივი და რეგიონული მმართველობის ფარგლებში; კომისიის, პარლამენტისა და საბჭოს კონსულტაციების გათვალისწინება, აქტიურობის გამოვლენა და ზემოქმედება საკანონმდებლო პოლიტიკაზე დასაქმების, ტრენინგების, სოციალური დაცვის, შრომითი კოდექსის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში; მოლაპარაკებები და პოზიციების შეთანხმება პოლიტიკის საკითხებზე ევროპულ დონეზე, ევროპულ ინსტიტუტებთან დიალოგის მიზნით.³⁷

ევროპის ლიდერების მოხსენებაში გაიჟღერა იმ გარემოებებმა, რომ ევროპა მკაცრი დემოგრაფიული ცვლილებების წინაშე დგას როგორც შობადობის, ისე სიცოცხლის ხანგრძლივობის

თვალსაზრისით. LRG-ს ფარგლებში, ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ გამოწვევების პროგნოზირება, რომლებიც დიდ ზეგავლენას მოახდენენ დასაქმებასა და სამუშაოზე. არსებული შრომითი რესურსების უნარების ადაპტირების საკითხი სამუშაოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ცვლილებებთან და დასაქმების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა შრომით ბაზარზე ახალგაზრდობის ჩართვის ახალ, ინოვაციურ გზებთან ერთად, კვლავაც ძირითად საკითხად რჩება.

სოციალური პარტნიორების მიერ შეხვედრებზე, სადაც დისკუსიები მიმდინარეობს სოციალური დიალოგის საკითხებზე, რომელიც წარმოადგინეს საზოგადოებრივი მომსახურების ღონისძიებებზე ზემოქმედების მქონე პრობლემებისა და მათი შედეგების ერთობლივ ანალიზს, მხარეთა მიერ დიდი შემოფოთება გამოიხატა არსებული პრობლემების გამო, მესამე მხარის მიერ დარღვევების მზარდი ტენდენცია სასწრაფო რეაგირებას საჭიროებს. მესამე მხარის დარღვევების წინააღმდეგ მულტი-სექტორული სახელმძღვანელო ინსტრუქციების შესახებ ევროპელი სოციალური პარტნიორის პროექტისადმი მიძღვნილი ბოლო მესამე სემინარის შემდეგ, EPSU მოუწოდებს შესაბამის მონაწილეებს, რომ უფრო მეტი იმუშაონ ამ ტენდენციის შესაჩერებლად სამუშაო ადგილებზე და ამ შეურიგებელი ფენომენის საბოლოოდ აღმოსაფხვრელად. EPSU[1] და სხვა მონაწილეები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამ ფენომენის არსებობა აბსოლუტურად მიუღებელია.³⁸ დღეისათვის, ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა ტიპის სოციალური დიალოგი მოქმედებს.³⁹ ევროკომისიის ბოლო ანგარიში ევროპაში სანარმოო ურთიერთობების შესახებ, უპირატესობას ანიჭებს ისეთ სოციალურ დიალოგს, რომელსაც შეუძლია შეასუსტოს ამჟამინდელი ფინანსური კრიზისით გამოწვეული ნეგატიური ეფექტები.⁴⁰ ამ ანგარიშში აღნიშნულია, რომ ევროკავშირის წევრი ის ქვეყნები, სადაც სოციალური პარტნიორობა ყველაზე მტკიცეა, სხვებზე მეტი წარმატებით გადალახავენ კრიზისს.

ევროპის ქვეყნის წარმომადგენლები მივიდნენ კონკრეტულ დასკვნამდე, – უმეტეს განვითარებად ქვეყნებში მმართველობის საერთო გაუმჯობესების შედეგად. სოციალური დიალოგის პირობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ბოლო 20 წლის პერიოდში ყველაზე დიდი გამოწვევა, რომლის პირისპირაც დღეს სოციალური დიალოგი დგას, არის ის, თუ როგორ შეძლებს იგი გაუმკლავდეს „არაფორმალურ“, „არაორგანიზებულ“ სექტორებს, რომლებიც განვითარებად ქვეყნებში, მოიცავენ სამუშაო ძალის 60%-დან 90%-მდე და ხშირად, მაგრამ არა ყოველთვის, მოქმედებენ პროფკავშირებისა და დამსაქმებელთა ასოციაციების გვერდის ავლით.⁴¹

ევროპელი ლიდერების კონფერენციაზე (ECPR) გამოსვლისას აღინიშნა, რომ „თეორიულ ნაწილში ჩვენ ხაზი გავუსვით სამ ძირითად ფაქტორს, რათა შეგვეფასებინა როლი, რასაც სოციალური დიალოგი ასრულებს სამი სხვადასხვა განზომილების რეჟიმში, მართალია, იგი გაუმჯობესებას საჭიროებს, კერძოდ, – სტრუქტურული თვალსაზრისით, თუმცა შესაძლებელია გამოვყოთ სამი ძირითადი პრინციპი.“ რომელიც მოცემული ცხრილ №1-ში.

ცხრილი №1

ეკონომიკური და სოციალური უფლებები	ინსტიტუციური ფარგლები	საჯარო პოლიტიკის ეფექტიანობა
იგი წარმოადგენს სოციალური და ეკონომიკური უფლებების	მას აქვს დადებითი ზემოქმედება საჯარო პოლიტიკაზე. – თუ	იგი აძლიერებს ინსტიტუტების ანგარიშვალდებულებას

ეკონომიკური და სოციალური უფლებები	ინსტიტუციური ფარგლები	საჯარო პოლიტიკის ეფექტიანობა
<p>უზრუნველყოფის ინდიკატორს წარმომადგენლობითი, დამოუკიდებელი და ეფექტიანი დასაქმებულთა გაერთიანებებისა თუ ინსტიტუტების მეშვეობით. - იგი არის სოციალური და ეკონომიკური უფლებების უზრუნველყოფის ინდიკატორი (მორლინო, 2009; ლი, 2010).</p>	<p>სოციალური დიალოგი პასუხობს მონაწილეთა დამოუკიდებლობის, წარმომადგენლობით, ეფექტიანობისა და თანამშრომლობის კრიტერიუმებს (მეილანდი და დუ, 2004), მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მას დადებითი ეფექტი ექნება საჯარო პოლიტიკაზე (გროსი, 2010), დიალოგის პროცესის ფორმირებისა და განხორციელებისას.</p>	<p>მთავრობის საქმიანობებზე კონტროლის მეშვეობით. – იგი ითვალისწინებს სოციალური მოთამაშეების ერთიანობას აღმასრულებელი გადაწყვეტილებების მიღებისას. ეს არის კონტროლის ფორმა და მიუხედავად იმისა, რომ მას მხოლოდ არაფორმალური და საკონსულტაციო ფუნქცია აქვს სამთავრობო საქმიანობებზე რეაგირებისათვის, იგი აძლიერებს ინსტიტუტების ანგარიშვალდებულებას (შმიტერი, 2005).</p>

საბოლოოდ, სოციალური დიალოგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს დემოკრატიულ მართვაში და ზოგადად, დემოკრატიულ სისტემაში ძირითადად, სამი განზომილებით: ეკონომიკური და სოციალური უფლებები და აქედან გამომდინარე – თანასწორუფლებიანობა; ინსტიტუციური ფარგლები და საჯარო პოლიტიკის ეფექტიანობა და ამდენად – კანონის უზენაესობა; და ინსტიტუციური კონტროლი და შემდეგ – ინსტიტუტებსშორისი ანგარიშვალდებულება (დაიამონდი და მორლინო, 2004; მორლინო, 2009).⁴²

შემუშავებული იქნა რეკომენდაციები ევროპული ქვეყნებისათვის – თუ როგორ გაუმჯობესდეს მოქალაქეთა ყოველდღიური ცხოვრებისეული თუ სამუშაო პირობები სოციალური დიალოგის ფარგლებში და მის გარეთ. რეკომენდაციები განკუთვნილია ეროვნული მთავრობისადმი:

- კოლექტიური შეთანხმებების, როგორც: 1. დასაქმებული პირებისათვის კარიერაში წინსვლის, შრომის ანაზღაურების, უსაფრთხოების თანასწორი პირობების გარანტირების; 2. დისკრიმინაციის დაძლევის; 3. სამოქალაქო საზოგადოების სრული მონაწილეობისა და ჩართულობის; 4. ინტელექტუალური განათლების ხელშეწყობის ინსტრუმენტის როლის გაძლიერება.
- პროფკავშირების, როგორც სოციალური პარტნიორის შესაძლებლობების განმტკიცება, რაც მათ საშუალებას მისცემს ეფექტიანად მოამზადონ/მიიღონ ინფორმაცია, შეაჯერონ სხვა-

დასხვა პროფკავშირების პოზიციები, მიაწოდონ ინფორმაცია თავიანთ წევრებს და მოამზადონ ისინი, რათა დაიცვან თავიანთი უფლებები.

- დასაქმებულთა მონაწილეობის ინტენსიფიკაცია და გაუმჯობესება ეკონომიკური საკითხების განხილვებში და არა მხოლოდ ინფორმირებულობის ამაღლების გზით, არამედ საკონსულტაციო და გადანყვეტილებების მიღების უფლებებით, ყველა დონეზე (კომპანიის, ქვეყნის, ევროპულ, საერთაშორისო დონეებზე).
- სოციალური პასუხისმგებლობისა და ანგარიშგების სამართლებრივი სისტემის შექმნა სანარმოო და ქვეკონტრაქტირების რგოლებში.
- სანქციების გამოყენება და გაძლიერება იმ დამსაქმებულთა წინააღმდეგ, რომლებიც არ სცემენ პატივს დასაქმებულთა უფლებებს.
- დაინტერესებულ მხარეთა მიდგომის ხელშეწყობა, რომელიც ასევე გულისხმობს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც წარმოადგენენ საზოგადოების ყველაზე მონყვლად სექტორებს, სრული მხარდაჭერა ჰქონდეთ საზოგადოებრივ ჩართულობასა და მონაწილეობაში შრომითი ბაზრის საკითხებში.
- სოციალური კანონმდებლობის რეფორმირება, სოციალური შეღავათების გაფართოება და პროფესიული მომზადების დონის ამაღლება;
- მეტი რესურსების მოზიდვა ღონისძიებებში, რომლებიც ხელს შეუწყობენ დასაქმებულთა დამატებას სამუშაო ადგილებზე და უზრუნველყოფენ მათ მუდმივ სწავლებას.
- შეკრებებისა და კოლექტიური შეთანხმებების, მათ შორის, გაფიცვების შესახებ ILO-ს 87 და 98 კონვენციების ყოველმხრივი დაცვა.
- კერძო დამქირავებელი სააგენტოების შესახებ ILO-ს 181 კონვენციის რატიფიცირება; გაფიცვების წესების შემოღება დამქირავებელი სააგენტოების კონტროლისა და საქმიანობის გაუმჯობესებისათვის.⁴³

შესაბამისი წევრებისაგან მიღებული კონტრიბუციების საფუძველზე, ევროპელი სოციალური პარტნიორები ითვალისწინებენ, რომ UNI-ევროპა და Eurociett გააგრძელებენ საუკეთესოდ აღიარებული პრაქტიკისა და ღონისძიებების გაცნობასა და მონაცემთა შეგროვებას დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში და შეიმუშავენ ყველასათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის ღონისძიებებს. ეს სამუშაო, კონკრეტულად, კონცენტრირებული იქნება: ა) შრომის ბაზრის დივერსიფიკაციაზე; ბ) დროებითი სააგენტო საქმიანობით დაკავებული პირებისათვის კრედიტების ხელმისაწვდომობასა და საცხოვრებელი პირობების შექმნაზე; გ) დროებითი სააგენტო საქმიანობით დაკავებული პირებისათვის ჯანდაცვის ყოველმხრივ ხელმისაწვდომობაზე და საპენსიო სქემებზე. ყოველივე ამის საფუძველზე, გამოქვეყნდება ინფორმაცია არსებული საუკეთესო პრაქტიკების შესახებ.⁴⁴

ბიბლიოგრაფია:

1. მარინა მუსხელიშვილი, სოციალური დიალოგი საქართველოში, თბილისი, 2011;
2. Junko Ishikawa. Key Features of National Social Dialogue: A Social Dialogue Resource Book. Geneva, International Labour Office, 2003;
3. Social Dialogue in Developing Countries, A Desk Study, prepared for Norad, March 2011;
4. E.M.Brandolini et al, “Europe as our common future: the European welfare model”, INPDAP, Rome 2007;
5. R. Thamarajakshi, Overview. Best practices in social dialogue. Role of social dialogue;
6. European Commission Communication on the European Social Dialogue, COM(2002) 341;
7. Habermas and the European Social Dialogue: Deliberative Democracy as Industrial Democracy? Ruth Dukes* and Emiliios Christodoulidis;
8. A. Sivananthiran; C.S. Venkata Ratnam *Edited by*. Best practices in social dialogue. Role of social dialogue;
9. Social Dialogue. ILO. <http://www.ilo.org/public/english/dialogue/themes/sd.htm>
10. Adalberto Cardoso, “Industrial Relations, Social Dialogue and Employment in Argentina, Brazil and Mexico”, ILO, Geneva, 2004;
11. HLF4 KNOWLEDGE AND INNOVATION SPACE – Social Dialogue in East Africa;
12. Country Reports on Human Rights Practices 2010, U.S. Department of State. <http://www.state.gov/g/drl/rls/hrrpt/2010/index.htm>.
13. A Dufresne, C.Degryse and P.Pochet (eds), “The European Sectoral Social Dialogue, actors, developments and;
14. challenges”, Brussels, 2006;
15. S Clauewaert, ‘2011: 20 Years of European Interprofessional Social Dialogue: Achievements and Prospects’ (2011) 17 Transfer 169-79;
16. UEAPME v Council of the European Union Case T-135/96; discussed in B Bercusson, ‘Democratic Legitimacy and European Labour Law’ (1999) 28 Industrial Law Journal 153;
17. A Lo Faro, Regulating Social Europe: Reality and Myth of Collective Bargaining in the EC Legal Order (Hart2000);
18. C Barnard, ‘The Social Partners and the Governance Agenda’ (2002) 8 European Law Journal 80-101; Oliver Gerstenberg and Charles F. Sabel: ‘Directly-Deliberative Polyarchy: An Institutional Ideal for Europe?’ in C Joerges (ed) Good Governance in Europe’s Integrated Market (Oxford University Press 2002); J Bohman and W Rehg (eds), Deliberative Democracy: Essays on Reason and Politics (MIT Press 1997);
19. European Commission DG for Employment and Social Affairs, Report of the High Level Group on Industrial Relations and Change in the EU (European Communities, January 2002), 25;
20. European Sectoral Social Dialogue Committee on “Temporary Agency Work” Work Program 2011 – 2012;
21. European social model <http://www.eurofound.europa.eu/areas/industrialrelations/dictionary/definitions/EUROPEANSOCIALMODEL.htm>
22. P.C.Schmitter, “Reflections on where the theory of neocorporatism has gone and where the praxis of neocorporatism may be going”. In G.Lehmbruch and P.C.Schmitter (eds.), Patterns of a corporatist policymaking, London 1982.;

23. European Commission (EC), "Industrial Relations in Europe 2010". Brussels, October 2010;
24. Social Dialogue in Developing Countries, A Desk Study, prepared for Norad, March 2011;
25. Slavina Spasova – Luca Tomini Phd – Centre d'Etude de la Vie Politique – Université Libre de Bruxelles. Democratisation Through Social Dialogue? The Influence of EU's Social Dialogue Norms on the Role of the Social Partners in the National Council for Tripartite Negotiation. Paper presentend at the ECPR Graduate Conference, Dublin 1-3 september 2010;
26. Social dialogue: a tool to promote and defend decent work and quality jobs in Europe-RECOMMENDATIONS FOR NATIONAL AND EUROPEAN STAKE-HOLDERS.

ნორმატიული მასალა:

27. კონვენცია – კოლექტიური მოლაპარაკებების ორგანიზებისა და გამართვაზე უფლებათა პრინციპების გამოყენების შესახებ;
28. ევროპის სოციალური ქარტია;
29. კონვენცია – ასოციაციებისა და კოლექტიური გარიგებების თავისუფლების შესახებ.

ინტერნეტმასალა:

30. <http://www.ilo.org/public/english/dialogue/>
31. <http://www.ilo.org/global/about-the-ilo/decent-work-agenda/social-dialogue/lang-en/index.htm>.
32. <http://www.etuc.org/a/104>
33. http://europa.eu/legislation_summaries/employment_and_social_policy/social_dialogue/index_en.htm
34. http://en.wikipedia.org/wiki/Social_dialogue
35. <http://www.ilo.org/global/about-the-ilo/decent-work-agenda/social-dialogue/lang-en/index.htm>
36. <http://www.state.gov/g/drl/rls/hrrpt/2010/index.htm/>
37. http://en.wikipedia.org/wiki/Social_dialogue
38. http://www.ose.be/EN/research_topics/social_dialogue.htm
39. <http://www.eurofound.europa.eu/areas/industrialrelations/dictionary/definitions/EUROPEANSOCIALMODEL.htm>
40. <http://ec.europa.eu/social/main.jsp?catId=329&langId=en>
41. <http://ec.europa.eu/social/main.jsp?langId=en&catId=750>
42. <http://www.etuc.org/r/59>
43. <http://www.epsu.org/r/73>

შენიშვნები:

- ¹ <http://www.ilo.org/public/english/dialogue/>
- ² Junko Ishikawa. Key Features of National Social Dialogue: A Social Dialogue Resource Book. Geneva, International Labour Office, 2003.
- ³ <http://www.ilo.org/global/about-the-ilo/decent-work-agenda/social-dialogue/lang-en/index.htm>

- ⁴ <http://www.etuc.org/a/104>
- ⁵ Social Dialogue in Developing Countries, A Desk Study, prepared for Norad, March 2011. P. 2.
- ⁶ A Dufresne, C.Degryse and P.Pochet (eds), “The European Sectoral Social Dialogue, actors, developments and challenges“, Brussels, 2006.
- ⁷ E.M.Brandolini et al, “Europe as our common future: the European welfare model“, INPDAP, Rome 2007.
- ⁸ R. Thamarajakshi, Overview. Best practices in social dialogue. Role of social dialogue.
- ⁹ http://en.wikipedia.org/wiki/Social_dialogue
- ¹⁰ http://europa.eu/legislation_summaries/employment_and_social_policy/social_dialogue/index_en.htm
- ¹¹ მარინა მუსხელიშვილი, სოციალური დიალოგი საქართველოში, თბილისი, 2011, გვ. 7.
- ¹² R. Thamarajakshi, Overview. Best practices in social dialogue. Role of social dialogue.
- ¹³ [http://www.ilo.org/global/about-the-ilo/decent-work-agenda/social-dialogue/lang—en/index.htm](http://www.ilo.org/global/about-the-ilo/decent-work-agenda/social-dialogue/lang-en/index.htm)
- ¹⁴ European Commission Communication on the European Social Dialogue, COM(2002) 341.
- ¹⁵ Habermas and the European Social Dialogue: Deliberative Democracy as Industrial Democracy? Ruth Dukes* and Emiliios Christodoulidis.
- ¹⁶ A. Sivananthiran; C.S. Venkata Ratnam *Edited by*. Best practices in social dialogue. Role of social dialogue.
- ¹⁷ Social Dialogue. ILO. <http://www.ilo.org/public/english/dialogue/themes/sd.htm>
- ¹⁸ მარინა მუსხელიშვილი, სოციალური დიალოგი საქართველოში, თბილისი, 2011, გვ. 2.
- ¹⁹ A. Sivananthiran; C.S. Venkata Ratnam *Edited by*. Best practices in social dialogue. Role of social dialogue.
- ²⁰ A. Sivananthiran; C.S. Venkata Ratnam *Edited by*. Best practices in social dialogue. Role of social dialogue.
- ²¹ Adalberto Cardoso, “Industrial Relations, Social Dialogue and Employment in Argentina, Brazil and Mexico“, ILO, Geneva, 2004.
- ²² Social Dialogue in Developing Countries, A Desk Study, prepared for Norad, March 2011. P.43.
- ²³ HLF4 KNOWLEDGE AND INNOVATION SPACE – Social Dialogue in East Africa
- ²⁴ Country Reports on Human Rights Practices 2010, U.S. Department of State. <http://www.state.gov/g/drl/rls/hrrpt/2010/index.htm>.
- ²⁵ http://en.wikipedia.org/wiki/Social_dialogue
- ²⁶ http://www.ose.be/EN/research_topics/social_dialogue.htm
- ²⁷ S Clauewaert, ‘2011: 20 Years of European Interprofessional Social Dialogue: Achievements and Prospects’ (2011) 17 Transfer 169-79.
- ²⁸ UEAPME v Council of the European Union Case T-135/96; discussed in B Bercusson, ‘Democratic Legitimacy and European Labour Law’ (1999) 28 Industrial Law Journal 153.
- ²⁹ A Lo Faro, Regulating Social Europe: Reality and Myth of Collective Bargaining in the EC Legal Order (Hart2000).
- ³⁰ C Barnard, ‘The Social Partners and the Governance Agenda’ (2002) 8 European Law Journal 80-101; Oliver Gerstenberg and Charles F. Sabel: ‘Directly-

- Deliberative Polyarchy: An Institutional Ideal for Europe?’ in C Joerges (ed) Good Governance in Europe’s Integrated Market (Oxford University Press 2002); J Bohman and W Rehg (eds), Deliberative Democracy: Essays on Reason and Politics (MIT Press 1997).
- ³¹ European Commission DG for Employment and Social Affairs, Report of the High Level Group on Industrial Relations and Change in the EU (European Communities, January 2002), 25.
- ³² European social model <http://www.eurofound.europa.eu/areas/industrialrelations/dictionary/definitions/EUROPEANSOCIALMODEL.htm>
- ³³ <http://www.etuc.org/r/59>
- ³⁴ <http://ec.europa.eu/social/main.jsp?catId=329&langId=en>
- ³⁵ <http://ec.europa.eu/social/main.jsp?langId=en&catId=750>
- ³⁶ European Sectoral Social Dialogue Committee on “Temporary Agency Work” Work Program 2011-2012.
- ³⁷ <http://www.epsu.org/t/73>
- ³⁸ <http://www.epsu.org/t/73>
- ³⁹ P.C.Schmitter, “Reflections on where the theory of neocorporatism has gone and where the praxis of neocorporatism may be going“. In G.Lehmbruch and P.C.Schmitter (eds.), Patterns of a corporatist policymaking, London 1982.
- ⁴⁰ European Commission (EC), “Industrial Relations in Europe 2010“. Brussels, October 2010.
- ⁴¹ Social Dialogue in Developing Countries, A Desk Study, prepared for Norad, March 2011.
- ⁴² Slavina Spasova – Luca Tomini Phd – Centre d’Etude de la Vie Politique – Université Libre de Bruxelles. Democratisation Through Social Dialogue? The Influence of EU’s Social Dialogue Norms on the Role of the Social Partners in the National Council for Tripartite Negotiation. Paper presentend at the ECPR Graduate Conference, Dublin 1-3 september 2010.
- ⁴³ Social dialogue: a tool to promote and defend decent work and quality jobs in Europe-RECOMMENDATIONS FOR NATIONAL AND EUROPEAN STAKE-HOLDERS.
- ⁴⁴ European Sectoral Social Dialogue Committee on “Temporary Agency Work” Work Program 2011-2012.

SOCIAL DIALOGUE – AS BASIS FOR SIGNING JOINT AGREEMENT

AMIRAN ZENAISHVILI


PHD Student of American – Georgian University

Purpose of the article is to highlight role of the collective agreement, its important role in legal outcome in social dialogue. Social dialogue that is still in its initial stage, needs to be advanced, from structural point of view as well as in terms of bilateral relations between parties. Collective Agreement that is based on the free wills of the parties is reached through the dialogue, it involves negotiations between the parties, consultations and simple exchange of information between government representatives, employers and staff, on economic, social and political issues, that represent the sphere of interest for parties.

In the context of labor – social relations, article also refers to interactions and relations between the partners, that improves or strengthens traditional frames of classical collective agreement and role of collective agreement in labor relations.

Social dialogue, as bases for signing collective agreement, is an indicator for safeguarding social and economic rights, if the social dialogue responds to independence, representation, effectiveness and cooperation criteria, we can assume that it might positively effect formation of dialogue process and in terms of implementation, parties will feel more responsibility and similar agreements will be properly fulfilled. Sharing of responsibility is done through handling social dialogue.

Social dialogue enables social partners and other interested persons to participate in defining their future. Purpose of this participation and cooperation is to support reaching an agreement and progress in all aspects of economic and social welfare, social protection, stability and equal rights.



Social dialogue, first of all is means for reaching this goal. It represents an effective tool to deal with collective challenges. This is a forum that provides opportunity for constructive interventions, reaching social consensus / compromises between interested parties.

Successful social dialogue is an indicator for democratic growth of civil society, it reduces disagreement between the parties and increases economic stability of the country.

Article reviews importance of European social dialogue, vision of international organizations and international courts regarding this issue. Positive sides of the collective agreement shall be highlighted.

საქართველოს მოსამართლეთა ასოციაცია
JUDGES ASSOCIATION OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/Tel-Fax: (+995 32) 292 34 90

საქართველოს უზენაესი სასამართლო
THE SUPREME COURT OF GEORGIA
ტელ-ფაქსი/Tel-Fax: (+995 32) 299 70 01



9 771512 259002